

114 /
1974/2

96 036 0570
206 570 90333

გვეთვინო

114/2

93

1

1974

გნათობი



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის მიერ გამოცემული
 და საერთაშორისო მშენებლობის მიზნებისთვის გამოცემული

წელიწადი 49-ე

№ 1

იანვარი, 1974 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

12.418

ქალწულა ლენინს	3
დალილა გეგიაშიძე — ლექსები	4
პარლუ კობახიძე — წინ, ზარმაცებო! მოხბობა	6
ივანე თარბა — ლექსები, თარგმანა შოთა ნიშნიაიძის	42
მიხაილ ქვლივიძე — ფიქრები	49
ვახტანგ გორგაძელი — შინე საქმე და სარწმუნაველო, ლექსი	57
გიორგი მინდიაძე — ლექსები	59
ქეთევან ნუცუბიძე — კართლის მძვავლი	61
მირიან ხერგიანი — კლდის ვეშვი, ბიოგრაფიული რომანი	80
ინეს რიხოსი — გამოთხოვება, პოემა, ახალბერძნულიდან თარგმანა იზა ორჭონიკიძის	1

ნაკვეთი

კ. კოვანოვი — თხზილსი და უღელბინილაზა	119
გიორგი პაპუაშვილი — ვახტანგ დიდი ლილოს მინდორი	130

კრიტიკა და კუბლიცინტიკა

ჯანსუღ ლინჯილია — მინდობანი თანამდროვე კართული კოეზირს ტან- დინცივაზა	139
რევაზ მთვალაძე — თანამდროვე კოეზირს შესახებ	151

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საბჭოთა კავშირის
 მწერლების კავშირი
 გამომცემლობა

3. ტაბიკაჰვი — ინდიკალკაჲრის თხუთხიტი სტრუქონი
 ნათილა ურუხაჲ — რული და მსახირობი
 იოსებ ზინიზარბი — ოღიში, დიაღ ზარღაჲმნათა ჳრონიკა

161
 165
 170
 არქივული
 ბიბლიოთეკა

შაკტები, მოგონებანი

პაატა გუგუზვილი — ღაუვიწყარი მასწავლებელი 173
 რუბინ ლუნიანი — ვაკეტიხ ღაბრუნია 179
 გიორგი ჯავახიშვილი — ფოლკლორული მასალაჲი „ნიმიღის“ ფარტულაჲ 184

ქიზნების მიმოხილვა

34. იმანიშვილი — წიგნი ზემოიმიტულ კილოკაჲჲ 187
საზღვარგარეთ 189



მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კომისია:

ი. აბაშიძე, რ. აბაშაძე (პ/მე მდიანი), დ. ჯინილი, დ. გამყარაშვილი, მ. ღაბაშვილი, ე. მალარაჲ, ზ. შლენტი, ბ. სულაბაძე, ბ. მათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შანსაღია, ვ. წულაშიძე, ო. ვილარაჲ, ზ. ჯიბლაჲ.

ტექნედაქტორი რ. ჩაქვტაძე

გადეცა ასაწობად 21/XI-73 წ., ზელმოწერილი დასაბეჭდად 20/I-74 წ., ანაწობის ზომა 7¹/₄ X 12, ქალღდის ფორმატი 70 X 108¹/₁₆. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობათი ნაბეჭდი ფურცელი 16, მ. საღ.-საგამომცემლო თაბაჲი 12.

რედაქციის მისამართი:
 თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბალეფონები: რედაქტორის — 93-55-11. ტე 51628. ტირაჲი 14.000. შტაჲ. 3721
 პ/მე მდიანის — 93-55-18, ჯანუოფილეზების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20. საქ. კა ცკ-ის გამომცემლობის სტაჲჲა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© „მნათობი“, 1974 წ.



ეკლავნება ლენინს

მსოფლიო ლენინიანა — ვრცელზე ვრცელი მატიანა ახალი კაცობრიობის მთელი ცხოვრებისა. ამ მატიანედან გაეიხსენებთ ერთ პატარა წერილს, რომელიც დაიბეჭდა ბულგარულ ეურნალის „პლაშის“ ფურცლებზე.

ეურნალის თარიღი: 1924 წელი, № 2, 15 თებერვალი.

ეს იყო წლები, როცა ბულგარეთში ფაშისმი მძინვარებდა.

მაგრამ ხალხი, მთელი მოწინავე ინტელიგენცია, ბულგარეთის კომუნისტური პარტია მთელი ძალითა და შეუპოვრობით ებრძოდა ბნელ რეაქციას.

„პლაშის“ ხსენებული ნომერი აწყობილი იყო, როცა მისმა რედაქტორმა, გავოჩენილმა ბულგარელმა პოეტმა გეორგ (გეო) მილევაშა მიიღო ცნობა, რომ 21 იანვარს, მოსკოვში გაზრდაცეალა ლენინი; მან გააჩერა ეურნალის ბეჭდვა დაწერა მოკლე გამოსათხოვარი წერილი და ეურნალის ფურცლებზე გამოაქვეყნა.

სულ მალე გეორგ მილევი წამებით მოკლეს ციხეში.

ქვემოთ ვაქვეყნებთ გეორგ მილევის ზემოხსენებულ წერილს და პატარა ფრაგმენტს თანამედროვე ბულგარული მწერლის სერაფიმ სევერნაკის ნარკვევიდან „ასოცდაათი მტრის, რომელთაც დასასრული არა აქვთ“...

გეორგ მილევი

• • •

ლენინი მოკვდა... სიტუვა „მოკვდა“ უაზრობაა, როცა ლაპარაკობ ამ განუზომლად დიდ ადამიანზე, რომელიც გახდა მარად უკვდავი თვით სიცოცხლეშივე... ახლა საჭირო არ არის არც სიტყვები, არც ბიოგრაფია, არც მის საქმეთა შეფასება. მას შეაფასებს თვითონ მომავალი. დღეს კი, მისმა თანამებრძოლებმაც და მისმა მტრებმაც იციან: ლენინი იყო ერთი იმ ადამიანი,

მიანთავანი, ისტორიის ტიტანი, რომლებაც ათასწლეულებში ერთბელ მოცეცინებთან ხოლმე ქვენიერებას, ის იმდენად დიდი იყო, რომ ჩვეულებრივი ადამიანის თვალი უძღურია ერთბაშად დაინახოს ეს სიდიადე; იმდენად ძლიერია შუქი მისი იდეებისა, რომ იგი სწვდება მთელ სამყაროს.

1924

სერაფიმ სევერნაკი

• • •

კინოფირის ნაცნობ კადრებს, ახლანდელი კინოანსათვის უჩვეულო სისწრაფით რომ სცვლიან ერთი-მეორებს, სამარადისოდ აღუბეჭდავო ლენინის გამოსვლა მოსკოვის საბჭოს შენობის აივნიდან.

დღეს მარტო სპეციალისტებს და მუზეუმების მუშაკებს და ახსოვთ სახელები იმ რეკორტებისა, რომელთაც ეს კადრები გადაიღეს... ახლა ადამიანმა მოიგონა ვიფეროწაწერა, ახლა უკველ ბავშვს შეუძლია ატრიალოს კინოკამერის სახელური და ფარზე ჩააწეროს უველაფე-

რი, რაც ცაზე და მიწაზე ზღვება, მაგრამ ის დიდი და მარადიული ასოცდაათი მტრის კინოფირისა, რომელზეც ვლადიმერ ილიას-ქე ლენინი აღბეჭდილო, კვლავ უჩვეულო სისწრაფით ვარბის მოჭადოებელი კაცობრიობის თვალწინ და მოუთხრობს ადამიანებს, როგორი იყო ის სინამდვილეში.

ხოლო რეკოლუცია — კვლავ ახალგაზრდა და ლენინიც კვლავ ლაპარაკობს მოსკოვის საბჭოს შენობის აივნიდან.

1974

გონიერება

დგას ობელისკი, როგორც გამხმარი
კვიპარისი...
ჩუმად დაედივარ
მოკვეთილი ხელების ტყეში.
სისხლის წვეთები გაბნეულან
ვარსკვლავებივით
და მიწა კენესის!
ო, ფრთხილად, მარსის ქვეშევრდომებო!
შურისძიებით
დანაღმულა
ჩემი სულის ვრცელი ველები
და ვაი იმას,
ვინც აქ გართობას მოისურვებს!
ჩვენ არ გვინახავს
არც ერთი ომი,
მაგრამ ყოველვამ
ვისმენთ ღრიალს ბომბდამშენების
და დაქცეული ქალაქების ქვითინი
გვესმის.
ვხედავთ,
უდაბურ მოედნებზე ზღვის და
ხმელეთის
მშათა საფლავებს, ყორღანებს

და ჩაძირულ გემებს
დრო ეფინება,
როგორც — დიდება.
და მათ გარშემო
შევდარი თესლი სარვევლასი —
გაყინული ტყვიები ყრია.
ჩემი თაობა
ყველაფერზე სოიფოვს პასუხს.
ის დაიჭურებს
და დაიცავს
მხოლოდ სიმართლეს.
მისი ხელები მიინდობენ
აწმყოს და წარსულს
და ატარებენ
უკუნითი უკუნისამდე.
ასლა ჩვენ გვტკივა
არა მარტო მშათა სიცოცხლე,
არამედ —
ომში დაკარგული ღიმილის
ფასიც.
დგას ობელისკი
ვით მსოფლიოს მოწოდება
მშვიდობისაკენ!

• • •

სახეს მალავენ ალვის კვირტები.
ქალაქის მტვერში
ისვრება წვიმა...

დღეს ალბათ ისევ გამიჭირდება
შენი ცბიერი ღიმილის ხილვა.
წვიმს.



ჩემი სული ჩამოდის ციდან
და გამვლელები ფეხქვეშ თელავენ...
თეთრი სამოსით
აქ უნიღბო გოგონა ვლიდა,
მაინც ვერ იცნო იგი
ვერაინ.
ცრემლიან თვალებს
მიფათურებს სულში აგვისტო

და კენკავს სევდას ხორბალივით
მისი ნისკარტი.
ქუჩა კი უსმენს ძველებურ
და ჩემს ნაბიჯებს —
მძიმეს ესოდენ.
მე მივუყვები წვიმიან ზეცას
სველი ფოთლების
და მდუმარე ქარის
ესკორტი.

მიზოვებულ ქალს

გაყინულია შენი გული —
ვით უპატრონო საფლავის ლოდი.
გაპყურებ ქუჩას.
ყველა მიდის და
არავინ მოდის.
და მოლოდინი
არ ილევია.
დგახარ სარკმელთან,
როგორც მგზავრი —
დაცლილ ბაჭანზე.
ქარი მავთულზე ზის მერცხალივით
და ჩაფიქრებულ ზეცას აქანებს.
არავის ესმის
შენი ვედრება,
წვიმით ივსები...
და მაინც ვლი,
და შენი სულის თეთრი კედლები

მოსატულია იმედის ფერით.
აგვისტო ატმებს სიმწვანეს აცლის,
ღრუბული გიმზერს
ხმელი ტოტიდან,
შენ გჯერა,
მოგა მდუმარე კაცი
და მზეს დაკარგულს
მხრებით მოგიტანს.
შენ დაინახავ მის თვალში
მინდორს,
რომელიც
დიდხანს თელეს ცხენებმა...
ეგ ხელი,
როგორც პატიება,
უბო და წმინდა,
მის დახრილ თავზე
დაეხვეწება.

ოფთი დაღუპული ბავშვები

შენ ველარ ხედავ.
ოქტომბერი იქცა კოცონად,
რკვენი ფოთლები,
ვით გაცვეთილი კლავიშები
როიალისა.
ზეცა აივსო
ცეცხლისფერი რექვიემებით
და ჰორიზონტი
მტვრადქცეულმა
ოქრომ დანისლა.

სოფლის მწვანე სასაფლაოდან
ღია ჭიშკარს გაპყურებენ
ნაძვის ნერგები,
ვით ციხის სარკმელს —
პატიმრები,
და მიწყარითან
დაუღალავი მესაფლავე —
ქარი ღიღინებს.
თმაგაწეწილი, ნალვლიანი საღამო მოდის,

მოდის ლამაზი შაოსანი —
 ვით გახსენება.
 ჩემო პატარა ნებეირა,
 იძინე მშვიდად!
 სურნელოვანი თეთრი ხელი
 გიფარავს თვალებს,
 ჩამოდის ციდან პირმშვენიერი
 და სასთუმალთან
 სანთელივით გენთება მთვარე.
 აქ დედაშენი — სიჩუმეა!
 ცრემლიანია ბალახები...
 მღორე მდინარე გაწოლილა —
 იგი ცრემლია,
 დედების და შვილების ცრემლი.
 მიჭირს დარჩენა... წასვლაც მიჭირს...
 აგერ, ხელიხელჩაკიდებული
 ბავშვების ხმები
 მორბიან ჩემკენ...
 შინს ჩასვლის შემდეგ
 როგორც ზღვას — სიბოძო,
 მეც შემრჩა
 მათი მოსმენის ნიჭი.

...ხმელი ფოთლების თაიგულებს
 ჰკრავს ოფელია
 და ჩაძინებულ ჩვილთა მსგავსად
 ტალღებზე აწვეს.
 ეს არის ჩემი ბეწვის ხიდი...
 როგორც აკვანი ცარიელი,
 ირწყვა წყალი,
 ატირებული
 მოსდგომიან
 ნაპირს ნუკრები
 და ველურ მტრედებს
 მათთვის ნაძვის გირჩები მიაქვთ —
 სპილენძისფერი სატყუარები.
 შლამში ბზინავენ
 თოჯინების ნამსხვრევები —
 თეთრი კენტები...
 ვერ დავივიწყებ
 მე ამ ნაპირს
 ვერასოდეს!
 ვფიცავ!
 მშვიდობით!

მ თ ა ნ ბ ი ნ რ ა

აქ არის ყველა,
 ვინც ამაღლდა,
 ყველა აქ არის.
 საფლავებს შორის მიბაიჯებს
 თეთრი ლაშქარი
 წელთა.
 იზრდება ზოგიერთის სახელი უფრო,
 ყალბზე შემდგარი საუკუნე
 მათ ადგილს უთმობს.

აქ ცა და მიწა არის სმარაგდის,
 მზე მზეობს მუდამ
 და რთველი რთველობს,
 და დაბლა,
 როგორც ვარსკვლავების დიდი
 ქალაქი —
 გაღიმებული,
 იდუმალი
 ჩანს საქართველო.

• • •

როგორც პლაჟზე ოუთრგვერემანი
 ქალიშვილი —
 კრამიტებზე
 გაწოლილა თოვლი.

თვალსაწიერს მიეფარე ასე მშვიდი,
 განმერიდე აღსარებით მოღლილს.
 დღე გავიდა, ვუმჯერ ქუნას,
 ჩემს ბაგეზე,



როგორც სისხლი ჭრილობიდან,
მელოდია წვეთავს.
უბნაო სველი ჩიტი —
სევდა მეძებს,
მოციქული შემოდგომის თვეთა.
ახლა აღარ ამაღლდება ჭერი,

ცისკენ აღარ აფრინდება
არწივი...
ფანჯრის ქვემოთ
ვაზის ლერწი მღერის
ნალვლიანი
კაცვიით.

შ ი შ ი

თავისუფალი,
ვით მასხარა ხელმწიფის კარზე —
„ო, ჩქარა! ჩქარა! — ვყვირი —
ჩქარა!“ —
მე არ მინდა,
უთქვენოდ დავრჩე.
ვედილობ,
მივდიო
სისწრაფეში დაბნეულ აზრებს,
დილას,
შუადღეს,
შებინდებას
თანდათან გარჩევ.
ჩემი სიტყვები გვეიდებათ ყელზე
მიძივებად,
უფრო მძაფრდება სულის ტკივილი
(ის გაიძულებს,
ან სამარე გაგათბრევენოს,
ან ოქროს სკამი გაჭედინოს შენთვის
სამეფო).
მე ღვინოსავით მომერვვა
თავბრუსხვევა,

დამეძინება.
ეს აღტაცებაც ტოლფასია უმოძრაობის.
მაინც მოვრბივარ
და თქვენსავით მეც მაქვს ჭაობი,
სადაც ოდესმე
დახრჩობამდე უნდა ჩავფლო.
თვითონ ვარ სანაოც და ღონ-კიხოტიც
და ეს მიხვედრა
ყველაფერზე მწარეა უფრო.
შემრჩება, ალბათ, ფრთების ნაცვლად,
მე რომ ვითხოვდი,
მშვიდი კედლები...
და დავიბუდებ
აბრეშუმის ჭიასავით რბილი და უფხო.
ვინ უწყს, რამდენჯერ
ჩემს წილ მინდვრებს ასე ვცვლავდი
და ეს სინათლევ
მერამდენე ახალ მზის არის.
ჲ მოჩანს ისე არეული
და ცვალებადი,
როგორც საშობლოდაკარგული
კაცის სიზმარი.

• • •

სორს სიყმაწვილის ლანდი
რიალებს
და გულნატკენი
ღუმს
ვიოლინო
და ჩვენს ბილიკზე ფერმობშიანე
თვალანთებული
მზე მირონინობს.

აბა, მამულო,
ვით გამარჯვება,
ჩემი გული და ჩემი ხელები
ღღეს, როგორც კილოდო,
ისე დამრჩება
ამ გაზაფხულის
ვლეთ-მეღეთი.
ყე ვუერთდება

თეთრად ავარდნილ
ტყეშლის სალუტებს
ეზოს გარშემო,
სადაც იმედი ფოთქავს მრავალი
და ცისარტყელა ჭიშკარს აშშვენებს,
სადაც სიცილით თამაშობს ბავშვი

და კრეფს ყვავილებს
ჯერ უდარდებლად,
თერმე ჩახედავს ყაყაჩოს თვალში
და ის იტვირთავს
ჩვენს უკვდავებას.

შეშორების გზილი ღუ

ჩამოვილიან
ნაღვლიანი ღრუბლის გუნდები...
ჩამორჩენილი წეროს ძახილს
ინმენს ჭაობი...
ლალი სიმწვანე
ძალმიღეულ მზეზე ხუნდება
და ეკარგება დღესაც ფერი
თანდათანობით.
ჭიშკართან, სკამზე


ცხვრის ტყავებში
ჩამთბარა პაპა,
„ნადირობის დრო მოსულაო“ —
ფიქრს მისდევს დაღლილს.
ყალიონიდან მოწყვეტილი
მკრთალდება სწრაფად
კვამლი.
და ყვინთავს მუხლისძირში ბებერი ძალი.
მიდიმოდიან ნაღვლიანი ღრუბლის
გუნდები.

ბერიცხვალეზა

ი. გაგარინს

შენ წახვალ ახლა,
შენ წახვალ, ვიცი!
აფეთქდებიან უპეებში
სახელდაბელოდ ჩასაფრებული
სურვილების
ლურჯი
ნაღმები.
გადაიღვრება ელვარ თოვლზე
ფერები მიწის.
შენ წახვალ ახლა
და მთვარეში ჩაეხახლები,
გადნები მზეში,
ვარსკვლავებში,
ყვავილში,
ცაში.
ბავეს გაგიპობს
ფრთაფარფატა ფოთლების ტაში.

ჩამოიცილება იჭვებისგან,
გაქრება ფიქრი,
გაწვება ფეხქვეშ
სხივთა ლალი ტალღების ლელო.
გადაიშლება
კიდევ ერთი ფურცელი წიგნის
უგუშინდელიოდ,
უზვალინდელიოდ,
უდღევანდელიოდ,
და დამევიდრდება
შ ა რ ა დ ი ს ო ბ ა !
შენ წახვალ ახლა
და ვარსკვლავთა
გულთბილ რატრატში
კვლავ დაბრუნდები
ერთის ნაცვლად
ა თ ი ა თ ა ს ი !



გ მ ღ ლ დ ი ნ ი


დაწანწალებენ
 წვიმით სავსე
 მღვრიე ჰაერში
 გაფითრებული ცისარტყელის
 გრილი გუნდები.
 იმ მთების იქით,
 შუის მხარეში მაინც გაგეშვი!...
 სულს საჯირითოდ დაჭიმული
 სტაკეა კუნთები
 დღეს მოუბურავს

გაცვეთილი
 სველი ფარაჯა,
 არა და არა,
 ცას დიმილი არ ედროვება
 და კარის მიღმა,
 მშვიდი სიზმრის
 ერთგულ დარაჯად,
 მძიმე ნაბიჯით
 დასეირნობს
 ერთფეროვნება.

• • •

ის, შეიძლება.
 აღარ მოვიდეს...
 მე ვწუხვარ,
 მაგრამ არ მეშინია
 მარტო დარჩენის, ქარის ოინებს
 ვუშვებ და ქარიც
 ნამგალივით აღესილია
 და წვიმას იმკის.
 მტკივა!
 ამასაც ავიტან, ვიცი!
 ცრემლი, ყვირილი, მე ვერ მიშველის...
 ვით კულისებში კლოუნი ცირკის,
 ნაღვლიანია ბუნჭი ცირცელის.

ის ახლა აღბათ
 სხვა გზაზე მიდის,
 როგორც საავდრო ცაზე — ღრუბელი,
 და ჩემს მკლავებში
 იბუდებს ბინდი,
 და ძღვევამოსილ გულს ვუჩუმდები.
 წარვიტან ტკივილს
 ოქროს ზოდევით
 და გადავივლი სველ ბაღს მეფურად,
 და დაეცემა ეს მოლოდინიც,
 როგორც ხის ძირას —
 მკვდარი ბელურა.



კარლო კობერიძე

წინ, გარეგნულ!

მოთხრობა

ნახსოვი გზის დასასრული

ქიმიში რომ ჩავფლავდი და ორ ორი-
ანს ეს მესამეც მიემატა, მოსახდენი მა-
შინვე მოხდა: საზეიმოდ გამოიხიბლადეს.
მერვე კლასში ხარ დარჩენილიო. კარგი,
პო, ჯანდაბას, დავრჩი და დავრჩი, ამის
გულისათვის სხვას ვის გამოაცალეს სა-
ხარხოხელას სკამი, ჩემთვის რომ გამოე-
რიდებინათ?! მაგრამ, აი, ქიმიის მასწავ-
ლებელს ვარდი რომ გადაეფინა პირისა-
ზეზე, ამან უარესად ამიკანკალა მუხლე-
ბი. ახლაც ვერ გამიგია, ჩემი დარჩენა
მისთვის ასეთი ბედნიერება რატომ უნ-
და ყოფილიყო? თვითონ ბოლოქანქა-
რასავით რომ დაკვიკვიებს და თანაც
ცხვირში ნიღნიღებს, აბა, გამახსენეთ,
როდის იყო დავცინოდნი? არ ითხოვა ბი-
ძაჩემმა და, რა ჩემი ბრალია! ალბათ არ
უყვარდა და არ ითხოვა! ბარე ორასი წე-
რილი გამოუგზავნა, გინდა თუ არა,
ცოლად მითხოვეო. სარკეში კი არ იხე-
დებოდა, მიუჭლებოდა მაგიდას და სწე-
რდა და სწერდა სასიყვარულო წე-
რილებს! ამ დროს ერთხელ მაინც რომ
ჩაეხედა სარკეში, აღვილად მიხვდებო-
და, ბიძაჩემის ფარდი რომ არ იყო. ეეჰ,
მაშინ რა გვეშველებოდა?! მე ორიანი
ამცდებოდა ქიმიში, ის კიდევ გაიხედ-
გამოიხედავდა და იქნებ გაპყოლოდა
ვინმეს! დამღუბა და დამაქცია!

რა ჯოჯოხეთი მე დავატრიალე, არ ვი-
ცი?! — ბიძაჩემს სამად-სამი წერილი
მოეპარე, ჩვენი ქიმიის მასწავლებლის
გამოგზავნილი წერილი და, ღმერთი,
რჯული, მარტო ჩვენს ჯგუფს წავუკითხე.
ჯგუფში კიდევ ძალიან ცოტანი ვართ:
ოცდაერთმეტი კაცი. გაზეთში რომ გა-
მომეჭვეყუნებინა, ან მომეხერხებინა და
რადიოთი გადამეცა, ვიტყვოდი, ორიანი
ჩემზე ახია-მეთქი. ამ უბრალო რაღაცა-
ზე, არა მგონია, კაცის გაფუჭება ღირ-
დეს!.. გაბრაზებულ გულზე ხომ შეიძ-
ლება უარესი რამე მეთქვა, მაგრამ რა
საკადრისია?! მე ქიმიში მიღებული
ორიანი მწყინს, თორემ რატომ სხვა
ორიანებზე არ ვამბობ რამეს, ალალი და
უსაყვედურო იყო და აკი ენაც გადავე-
ლაპე! ბიძაჩემზედაც გაბრაზებული ვარ:
მოეცადა ორი წელიც, დავამთავრებდი
სკოლას და მაშინ მოეყვანა ცოლი... არა,
ისევ ასე ჯობდა! რას ამბობ, მე რომ ძა-
ლო მყავს, იმისთანა ტყუილია: რაც არ
უნდა 'დაეუშავო,' დედანიმის გასაგონა-
დაც არ გამიწყრება. მერე რა ბიძაშვი-
ლი გამომიგზავნა ღმერთმა; ისიც იკით-
ხეთ! მართალია, ჯერ ისევ აკვანში წევს,
მაგრამ ახლაც ეტყობა, ქიმიში მაგარი
ფინზე რომ იქნება: ჩაის ცოტათიც რომ

აკლდეს შაქარი, იმ წუთში გააბამს ღნავილს...

მოკლედ, მერვე კლასში დავრჩი. ჩვენებმა ჯერჯერობით არ იციან და, როცა გაიგებენ, იცოცხლე, კარგ აღდგომას დამიყენებენ. შინისკენ მივდივარ, ილიაში ქიმიის სახელმძღვანელო მაქვს ამოჩრილი და ხელსა და გვერდზე ცეცხლს მივიღებ. გადასავლენად, მართალი გითხრათ, შენანება, თორემ აქამდე ამას დავაწყვეტინებდი ნერვებს? თანაც ვირბე მეცოდებიან, შეკამენ ვირბე, მერე შიგ შე ისეთი უპატრონო ნივთიერებები მეგულება, ერთმანეთში აითქიფება და, მოგკამა პირი, ტყავს გაქიმავენ!

მივდივარ, ძლივს მივათრევე ფეხებს და ვნატრობ: ისე გავრძელდეს ზნა, მთელი ჩემი დღე და მოსწრება ვიარო, ვიარო და მაინც ვერ მივაღწიო შინამდე. ან არადა, მაშინ მივღწიო, ტყემალივით თეთრად რომ ვიქნები აბოლებული...

არ მინდა შინ დაბრუნება, მაგრამ სად წავიდე: ნათესავს მივუყავუნო? აბა, ისინი ამიყვირდებიან თუ ამიყვირდებიან! ჩემს ძალოს გამოვეცხადო მანგლისში? არც ის დამაყრის სიყეთეს... მთელი სკოლა ისე გაოცებული მომჩერებოდა, თითქოს ახლახან დავბრუნებულიყავი კოსმოსიდან. რა მოხდა, მომდევნო კლასში გადასულებო, შე დავრჩი პირველი. თუ უკანასკნელი დარჩენილი მე ვარ?!

რა გაუძლებს მამაჩემის ბუზღუნსა და დედაჩემის წყევლა-კრულვას. ისეთი გამართული წყევლა იცის დედაჩემმა, ჩვენი ქიმიის მასწავლებლის ალალი დეიდაშვილი გეგონებათ.. აყვირდებიან და აბუზღუნდებიან ჩვენები. მე შენ გეტყვი, საბუზღუნო და საყვირალი არ აქვთ. ჩემმა უფროსმა დამ ხუთებზე დაამთავრა სკოლა და ხუთებზე სწავლობს უმაღლესშიც. იმდენი მაღლობის წერილი მოვდის შინაც და სკოლაშიც, რაღაც ეჭვი მეპარება, თვითონ ხომ არა გეწერს. ჰა?! — ამას, ისე სიტყვის მასალად ვამბობ... ჩემი ძმაც, მიხოც, წელან რომ წამომეწია მერვეში, მაგარი ხუთოსანია.

აქა მცხელა სწორედ, ვიღაც-ვიღაცები კი მანუგეშებენ, ეგეც არაფერფერებს ენალვლებათ, თვითონ თავი მტკნარს მტკნარს არადა სხვისი რა ბრალია — საკუთარი ხელით შე თვითონ გამოვიღადრე ყელი. დედაჩემის თქმისა არ იყოს, სად გავგონილა, ხალხი და ჯამათი, კაცი სკოლაში დადიოდეს და სათოფედ არ ეკარებოდეს ქიმიასა და მათემატიკის რაღაც-რაღაცებს! არ მიყვარს ეს საგნები და რა ვქნა! გადავშლი თუ არა, ყინწი მწყდება მაშინვე; ქუჩაში რომ მივდიოდე და ორიოდ სტრიქონი ჩავიკითხო, ცხენივით ზეზეულად ჩამომეძინება. წადით და მიჩივლეთ! ღამის ყარაული ხომ არა ვარ, ჩამეძინოს და სამართალში მიმცენ. ბებიამეც ღამეში მარტო ოთხი საათი სძინავს, შე რომ ნებაზე მიმიშვათ, გავშლი ფეხებს, მოხერხებულად ამოვიღებ ბალიშს, ძალიან შორს არ წავალ და, იმ დროს გამოვლევიძება, ჩემს ძუძუძუვარა ბიძაშვილს შვილიშვილი თუ არა, შვილი მაინც უეჭველად ეყოლება.

ამას წინათ გაზეთში წავიკითხე: თურმე ერთ სახელმწიფოში კოლექტიურად დააძინებენ მოწაფეებს, ჩართავენ რაღაცა აპარატს და უცხო ენასაც კი ასწავლიან, არამეთუ დედაენასაო?! ამ ამბიდან ისეთი დასკვნა გამოვიტანე, სხვას რომ ფიქრადაც არ მოსვლია: რაკი ძილში ასწავლიან საგნებს, გამოდის, რომ ვისაც ძილი უყვარს, მაგარიც ის არის. მერე ენახა დოყლაპია მიხოს, რა ბიჭიც ვიქნებოდი. ჩემს მეტი არავინ უშლის. ამდენს ნუ კითხულობო. არ უშლიან და ეგე, სათვალე გაირტყა თუ არა! ხანდახან დავუმაღლე ხოლმე სათვალეს და ჯოხ-წამორტყმული ქათამივით მიისვრის ფეხებს. ამანაც შემაძულა წიგნი, როგორი ამბავია, მეც დამაკლდება თვალის სინათლე და, ორი ბეცი ერთ ოჯახში, ცოტა არ იყოს, ქარბი მეჩვენება.

არა, მაინც რა კარგი აპარატი გამოუგონებიათ იმ დალოცვილებს: წაუძინებ, მერე გაიღვიძებ და გათავდა — ხუთზე იცი ეს შენი ქიმი და მსგავსნი მისნი... ჩვენი ორლობის გადასახვევთან ვაბო

ძია შემხედა — ის გაბო ძია, ადრე ჩვენი მეზობელი რომ იყო — ვენახიდან მოდიოდა. დაკერებული თოხი გაედო მხარზე და მოაბოლებდა. დამინახა, გაჩერდა და მეუბნება:

— რა ჰქენი, ვერან, გაინაღდე ქიმიში ორიანი?

გაბო ძიას ბიჭი, გურამა და მე ერთ კლასში ვიყავით და გამოცდის ამბავი იქიდან იცოდა. გამოცდის ამბავი კი იცოდა, მაგრამ ჩემი ჩაფეხვის ამბავი საიდან გაიგო?!

ვღგავარ და ყურებჩამოყრილი მივჩერებოვარ.

— მაშ, დამთავრე სკოლა, ჰა?

— რა დროს დამთავრებაა, ჯერ ხომ ეხლა გადავბარგდი მერვეში?

— ემაგ ბედით რომ ევლო შენს ქიმიის მასწავლებელს, ორიანს კი აღარ გამოგიტყაცუნებდა!

მოდინდა და ნუ დაგრჩება პირი ღია; ვხედავ, კაცი ვენახიდან მოდის დაღლილი, ამოგანგლული. ეტყობა, მთელ დღეს თავი არ აუღია, და ჩემი წელანდელი ჩაფეხვის ამბავი კი ხუთი თითივით მოეხსენება?! რადიოთი თუ გადასძახეს? — არა მგონია. როგორც მე ვიცი, ვენახებში რადიოს გაყვანას სამერმისოდაც არ აპირებენ. ჯერჯერობით ტელევიზორზედაც არაფერი ისმის, ოღონდ ტელეფონზე ყოყმანობენ ცოტა, მგონი, არ გამუგვადგებო.

გაბო ძიამ თოხი მოიქნია, პირით ჩაასო მიწაში, ტარზე ჩამოჭდა, გულზელი დაიკრიფა და ღიმილით მეუბნება:

— ეხლა შენ იმასა ფიქრობ, საიდან გაიგო, არა?

— მართლა მაგასა ვფიქრობ!

— აკი იმდღესაც გითხარი, გულთმიანი ვარ, ვაგლახო!

— შენ თუ მართლა გულთმისანი ხარ, ის რატომ ვერ გაიგე, ავტობუსის შოფრად რომ იჯექ, ვინ ავაფცქენა სარკე?

— გავიგე კიდევაცა და საკუთარი ხელითაც მოვატანინე. აი, აჰა, შენი ორიანის ამბავიც ხომ იგრე ვითხარი, ვითომც იქა ვყოფილვარ! რომ ვითხრა დარჩენი-

ლი ხარო, თან ეცილებოდა, არა, იმას, რა ჰქვია, ქიმიის მასწავლებელს ნუღა!

— ე, მართლა ეცილებოდა? ამდენს საიდანა გაიგე?!

— გავიგე.

— მაინც?

— მაინც გავიგე. ვიწვალე, ვიწვალე და მაინც გავიგე!

— რაღაც არა მჯერა შენი გულთმისნობისა? გითხრა ვინმემ?

— სხვისი თქმა რათ მინდა, მე არ ვიცი, სადაური ყანის ბზე გიყრია გოგრაში? — პაპიროსი მომაწოდა, — გამომართვი, გააბოლე, ნალველი გადაგეყრება.

— არ ვეწევი.

— აღარ გედროვება? — იცინის, — გამომართვი, ნუ გერიდება. რა უკან უკან იწეე, მამაშენს კი არ ეტყვი!

— არ ვეწევი და ძალაა?!

ისევ იცინის გაბო ძია. თუ ეგ სიცილა არ ჩაგამწარო, ბიჭი არა ვყოფილვარ! დაეგდე წიგნი და ზედ დაეჭექი:

— ეგრეა, — სხვათა შორის ვამბობ, ზოგი ორიანს იღებს, ზოგი — სამიანს. ზოგი, — ოთხიანს, ზოგიც — ხუთიანს და მიდის ცხოვრება!

— მართლა, რა მიიღო ჩემმა ბიჭმა? — მკითხა და პასუხს დაელოდა წამოვდექი:

— ხუთიანი, ხუთიანი მიიღო, მაგრამ... — წიგნი ავიღე და ორღობისაკენ შევტრიალდი. თვალებზე ხელის ზურგი მოვისვი.

— რა მაგრამ? — წამოხტა გაბო ძია.

— მაგრამ, რა ვიცი... — შეეჩერდი, მოვტრიალდი.

— თქვი მალე, შე ოხერო!

— მე რატომ უნდა შეგაჯავრო თავი, მიხვალ შინა და იქ ვერ გაიგებ?

თოხი აიღო და ფერდაკარგული მომჩერდა:

— ვაიმე, ვაიმე! მითხარი, ბიჭო!

— შიოს ტრაქტორი დაეჯახა. დაეჯახა კი არა, გრძელ მორს მოათრევედა, წიფლის მორსა, ბოლო მოიქნია და წამოედო. მერე, იქით აღარ გამიხედავს.

ხომ იცი, როგორი გულჩვილი ვარ, იმის დანახვლა მინდოდა?

ისე დაიბნა, ისე გააბეჯა შიშმა, ნაბიჯის გადადგმა ვეღარ შეძლო. როგორც იქნა, გამოერკვა: ჯერ თავიქვე დაეშვა, ვენახისაკენ, მერე გაახსენდა, ჩემი სახლი ზევით არისო, და ზევით შებრუნდა, მოკაკუული გარბოდა. თოხის მძლავრ აწვევა ვერ მოიფიქრა და მიწაზე მიათრედა. ბოლოს ძირს დაავდო და ისე გავარდა.

ესეც ვგრე! ასეთი რამ მაგისი მოგონილია და ერთი თვითონაც ნახოს, თვითონაც იგემოს, რანაირია, ტყუილად რომ ჰქმს კაცი ფეთებას. ხომ არა ჰგონია, შარშან ოინი რომ მიყო, დამავიწყდა. მთელ ზაფხულს მანგლისში ვიყავი ბიძაჩემთან. თბილისში ავტობუსით ჩამოვედი, მერე კი მატარებელზე გადავიინაცლე. მივდივარ შინ და ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ ჩემს სოფელსა და ჩემიანებს. მატარებლის სარკმლიდან ჩვეს სახლს რომ მოვკარი თვალი, კინალამ გული ამომივარდა სიხარულით. ჩამოვედი სადგურზე და, ავერ არა ვხედავ ჩვენს გაბრიელს? თავის დანჯღრეულ „ვოლგაში“ ჩაბრძანებულა, მანქანის კარზე დიდკაცურად გადაუდგია ხელი და მოწყენილი მიყურებს. მივედი, მივესალმე, ჩემოდანი დავდგი და ვეკითხები:

— გაბო ძიავ, როგორ არიან ჩვენები?

— რა უჭირთ, — მითხრა და თავი მიაბრუნა; ისე მომეჩვენა, თითქოს არ სიამოვნებდა ჩემი დანახვა.

— როგორ არიან ჩვენები? — შეშინებულმა გავუთვოე.

— რა უჭირთ, მაგრამა... — უფრო მკვეთრად შებრუნდა, ზურგიით კინალამ ფანჯარა ჩაექტა.

— რა მაგრამ, გაბო ძიავ! — სადაცაა ავტირდები.

— ეპ, მიხვალ შინა და გაიგებ.

— შენ ვერ მეტყვი? — უკვე ვკანკალებ.

— ყველანი კარგად არიან, მაგრამა... აკი გითხარი, მიხვალ და გაიგებ-მეთქი.

— მითხარი, კაცო! — ცრემლი წაქრუნდა.

— საწყალ ბებიაშენს, დაელოდებოდა და აყენ ნათელი, გულში წავაყარეთ მიწა დიდი ნიჩბებითა... არ მინდოდა მეთქვა, მაგრამა... შენ რომ კაცს ჩააცივდები, მასვე ენებ?... ჩაქექი, — მანქანის კარი გამოალო.

ტირილანი ჩავექეი მანქანაში. საწყალი ბებიაჩემი, როგორ ვაჯავრებდი ხოლმე! თუ მამაჩემი იქ იყო, მეტყოდა რამეს ბებია და სმენაზე ვიდექი. გავცილებდი მამაჩემს და ყურები ტყლაპით მქონდა ამოლესილი! რას მიშევებდა, ნეტავი, რასაც მიშლიდა, დასაშლელი არ იყო ვითომ? ჩემი დაუძინებელი მტერი მეგონა ბებია და სიტყვასაც კი ვუბრუნებდი. ახლა იმისი დარდი აღარ მომასვენებს, რატომ ვაჯავრებდი-მეთქი.

გაბო ძიავ მანქანა გააჩერა: ჩვენს სოფელში შევსულვართ.

— ბოდიში მომიხსენებია, გიო, მაგრამა მე სხვა მხარეს უნდა გავუტეო და არ გეწყინოს...

ჩემოდანი ავიღე და ჩამოვედი, არც მადლობა მითქვამს, არც არაფერი. აღარ მახსოვს, მივდიოდი თუ მივრბოდი. აღარც ის მახსოვს, როდის გამოჩნდა ჩვენი სახლი და სახლის წინ გაჩერებული ძია გაბოს დანჯღრეული „ვოლგა“. ჯიბრით კი არ ვამბობ, დანჯღრეულია-მეთქი, რაში მჭირდება, თორემ ამასაც ვიტყვოდი. ნამდვილად ისეა დანჯღრეული მისი მანქანა, მართო ამ ახლომახლო სოფლებში დადის და აქაც თუ წააწყდა ავტონისსპექტორი, ძია გაბო ულაპარაკოდ, უქინწყლოდ უშვერს ხელს ათმანეთიანი ჯარიმის ქვითრის გამოსართმევად.

გულგახეთქილი, ატირებული შევედი ეზოში და, ბებიას ხმა არ მესმის?

— უი, შენ კი გენაცვალოს შენი ბებია, მომილამაზდი, შვილო?

ბოსტნიდან მოხუსხუსებს ბებია, ისეა გახარებული, შინდევითა ბრიალებს.

თქვენ ჩემი უნდა გენახათ სიხარული. ჩემოდანი კი არ დავდგი, დეაგდე. ამ დროს ძია გაბოს ხარხარი მომწვედა ჩვე-

ნი სახლიდან, ძია გაბოს ხარხარი და მამაჩემის სიცილით ნათქვამი:

— კაცი დაბერდი და შენსას მაინც არ იშლი? წვეთი არ ჩაარჩინო კიქაში... რომ გეუბნები, დალიე!

— ბარემ საბელი წამიკიერე ყელში!

— შენც ეგრე არ იცი, ხელში რომ ჩამიგდებ ხოლმე?

ბენაკანის გამორტანა გადადეპულია

ჩემი ძმა აივანზე რომ დავინახე, მივხედი, უკვე გაეკრა სამახარობლო. კბილები დავეკრაქუნე მიხოს, მუშტიც დავექნიე. დავემუქრე, უნდა მიგბეგვო-მეთქი. მან კი, ვითომც აქ არაფერიყო. სათვალე მოიხსნა, ჭიბიდან სუფთა, ქათქათა ცხვირსახოცი ამოიღო და საქმიანად შეუდგა წმენდას. ბუხარით მოაღებდა პირს, გრძლად დააორთქლებდა, მერე მოიღრეცდა კისერს, თვალებს აპარბალებდა და ისე უსვამდა ცხვირსახოცს. რამდენჯერ გავაფრთხილე შინ ჯერ მე ჩავალ-მეთქი. როგორც შენ გინდაო. ჩემი ძმა და მაინც ვერ გავიგე, რომელი ხისაგან არის გამოჩორკნილი— მოკალი და დაუუთოვებელი შარვალ-ხალათი ჩააცვი. თუ სადილი დაუგვიანე, ქვეყანას შეგიყრის... ეგეთი კაცია.

კიბზეუ კი არ ავედი, ავიპარე. შევედი გვერდითა ოთახში, მაგიდაზე დაედევინე და ფრთხილად ჩამოვეჭეი საწოლზე. მიხო ისევე აივანზე იდგა, სათვალე გაეკეთებინა და ღამილით მომჩერებოდა.

— ვამოდი აქეთ! — დამიძახა მამაჩემმა.

მიხოს გაეხედე: მანიშნა ადქიო.

ადექი, ოთახში შევედი, დავეყუდე და იატაკს ჩავაშტერდი, ხომ არ ჰიანდებამეთქი.

— დაქეი, — მითხრა მამაჩემმა, ცარიელი თეფში მიაწოდა დედაჩემს და ადრე ჩამქრალი სიგარეტის ნამწვი აიღო საფერფლედან. — დაქეი და თავის მართლებას არ მოჰყვე!

სკამი წამოვეწიე, დავქეი და გავისუსე.

მანამდე ხმა არ გაუცია მამაჩემს, ვიდრე დედამ ცხელი წვნიანთ *კრემიტა*-ნა და წინ არ დამიდგა. *ბიზლიონთა*

— თუ გახსოვს, რამდენი ხანია, რაც გაგაფრთხილე, ასე და ასე დაგემართებამეთქი? — მკითხა მამაჩემმა.

— ყოველდღე მეუბნებოდი.

მიხოს გაეცინა.

მგელივით მშოიდა. დარღით სიყვდილს რა უქირს, არავინ დაგძრახავს, მაგრამ გაშლილ სუფრასთან კაცი შიმშილით რომ მოკვდება, მე ძმაო, ნამდვილად სასიკვდილო მგონია. რაკი ამგვარი სიკვდილის წინააღმდეგი ვარ, შოთის ყუა დავითრე და მათლაფაში ჩაფშენას შევეუდექი, თან ისე ველაპავდი ნერწყვს. გეგონება გულზე ლუკმა დაადგაო.

— ილია ჭავჭავაძემ რა თქვა, თუ იცი? — სიგარეტს მოუკიდა მამაჩემმა.

— ტყემ მოიხსა ფოთოლიო, — წვინანში კოვზი ჩავურე.

— შერყეულია! — ხელები გაასავსავა დედაჩემმა, — ხვალვე ჩავუყვან ფს კიბატრს!

— შენ ვერ გააჩნჯავ — ჰკითხა მიი

— იგი ზონ კილის ეჭიმი ვარ, ბ შენც ხომ არ აღრიე?!

— რაღაც სისულელე ნუ გაიხადეო სალაპარაკოდ! — მაგიდაზე თითი დააკაუნა მამაჩემმა, — გიო, მომიბრუნდა, — გემრიელია?

ჰო-მეთქი, თავი დავუქნიე. პირი გამოტენილი მქონდა და იმიტომ ვერ ამოვიღე ხმა, თორემ ამას მაპატიებდა?

— მერე, ამოდენა მუტრუქმა არ უნდა იცოდე, გარჯა რომ უნდა მაგის შოვნას? ლუკმა ჩავულაპე და შევხედე.

— თავი დავანებო? — კოვზი მათლაფაში ჩავტოვე და დედას მივაჩერდი. დედაჩემს ეტყობოდა, ჩემს მოსვლამდე მოესწრო წატირება, დაწითლებული ჰქონდა თვალები. ოღონდ დედაჩემის ცრემლი არ დამანახვა, თუნდაც ქვეყანა გამსკდარა ღრიალით. ატირებულო მამაჩემი ხომ თავის დღეში არ მინახავს, იმისი ტირილი ისე როგორ მომხვდება გულზე, როგორც დედაჩემის ცრემლი

წამიკიდებს ხოლმე ცეცხლს. თითქოს ჩემს ჯიბრზე, მიზეზს ეძებს, ყველაფერზე ტირის. მამაჩემს, მგონი, მობეზრდა და აღარც კი აქცევს ყურადღებას.

— აღარ აქმევ ბაღს საჭმელს? — სატირლად მოემზადა დედაჩემი.

— ოჰო, ჰო, ჰო! თუ არ გამოეხარჩლე, ისე როგორ იქნება!

— მაშ რა ექნა, მოვკლა? — ცხერისახოცი მოიმარჯვა დედაჩემმა და სამზარეულოში გავიდა.

ბებია შემოვიდა ოთახში და წინსაფრის კალთით ნეღლი ლობიო შემოიტანა.

— ვინ დაგიწერა, შვილო, სუსტი? — ლობიო პირდაპირ მაგიდაზე დაყარა.

— აგერ, პურზე დაყარე, — ურჩია მამაჩემმა.

— მე ნუ მასწავლი, სად უნდა დაეყარო! — გაუწყრა ბებია, — ვინ დაგიწერა შვილო, სუსტი?

— ჭიმიის მასაწვლებელმა, — კოვზი ისევ მოვიმარჯვე.

— რა ვიჩინებ სალოცავი გასწყრომა, ჭა? სადაურია, ის მიწის ქვეშ ამოსადები?

— აქაური არ გახლავს, არ გეცოდინება, — უთხრა მიხომ, — მეც ბევრს მიტრიალებს, მაგრამ იქნებ იქით გაეაბა ხაფანგში.

— შენი იმედი კი ნამდვილად მაქვს, — უთხრა მამაჩემმა და თავზე ხელი გადაუსვა, — ოღონდ ცოტას ჭამ ძალიან, აბა ის რა ჭამა იყო! ამდენს რომ კითხულობ, ჯანი უნდა მაგასაც. ყველაზე მაგარი ჯანი წიგნის კირკიტს უნდა! შენ რომ გიოს ჯანი გქონდეს, რაღა მიჭირდა მაშინ!

— ი ჩემსავით აღრე და მალე დასაჭერივებელი, ი კაბაგასახუნებელი, რას ჩავაცოდე, რა მიწნაო? — მკითხა ბებია.

— ეგ შენს შვილიშვილს ჰკითხე, — წაჰოდე მამაჩემი, — არაფერი გაეგება არც ჭიმიისა, არც ფიზიკისა, არც ალგებრისა და, მასწავლებელი რა შუაშია! იმ ქალმა ორიანი რომ დაუწერა, მაგაზე არა მაქვს დასამდური და არც ვემდუ-

რი, მე ის მაწუხებს, ამ ბედოვლათს რა ეშველება-მეთქი.

— გულში არ ჩაიხვიო, ^{მეტირისული} მომეფერა ბებია, — გულზე არ მოიხვედრო! ცხონებულმა პაპაშენმა ხელის მოწერაც არ იცოდა, ჯვარს დაუსვამდა ხოლმე, მაგრამ თელავამდე იყო იმის სახელი გავარდნილი!.. შენ კი გენაცვალე, ჩემო ჩაუსვლელო მარსკვლაო!..

— კიდევაც შენ და შენმა რძალმა გადამირიეთ შვილი! — ბოლთა დაარტყა მამაჩემმა, — გაანებვირეთ და, ი, შედეგიც! ჯერ უმალღესი რა არის და ესეც რომ აქ ექნება კაცს... თქვენ გამიველურეთ!...

— რა ექნა, რა გაყვირებს, ბიჭო! — გაჯაფრდა ბებია, — გაიხედე, მეზობლები გამოვიდნენ კარშია!

— მაშ რა ექნა! — მაგიდაზე იდაყვებით დაეყრდნო მამაჩემი და თვალბეჭით მიაჩერდა თავის დედას, — ტყბილი სიტყვით ვერაფერი გაგაგებინეთ და ახლა, იოღლებული ვარ ყვირილზე გადავიდე.

ბებია წინსაფრის კალთა ჩაიბერტყა. მერე გაოცებისაგან ხელგანი მოიფშვნიტა და მაგიდას დასცხო მუშტი:

— გადი გარეთ! როგორ გალალდა, ჭა? გადი გარეთ!

დედაჩემი სამზარეულოდან გამოვიდა შეშინებული. მამაჩემს გაეღიმა და უსიტყვოდ გავიდა.

არ მახსოვს, მამაჩემს ოდესმე სიტყვა შეებრუნებინოს თავის დედისათვის. რასაც ბებია ეტყვის, ექაშნიკება თუ არ ექაშნიკება, ჩამამოუღებლად ასრულებს, ოღონდ უეჭველად გაეღიმება. როგორ უყვარს ბებია, რომ იცოდეთ! როგორ ეფერება ხოლმე. ერთხელ ავად გახდა ბებია, კინაღამ თავი მოიკლა მამაჩემმა აქაური ექიმები ხომ დღეში ათჯერ მოუდიოდა, მერე გაეარდა ქალაქში და პროფესორი ჩამოიყვანა. იმ პროფესორმა რომ უთხრა, კრიზისი უკვე გადაურტა ჩიო, მამაჩემმა ქვევრს მოაძრო კუდი და, მეზობლები რომ არ მოშველებოდნენ, ორიგენი შიგა ცვივდებოდნენ.

ბებია დედაჩემს მიუტრიალდა:

— უსწავლევლობის გულისთვის როცა ცხენის კუღზე გამოებათ, ამდროულად დედაკაცი ვარ და, ეხლა გავიგე თქვენგანა.

— სხვას რას ავალებს — წიგნი აიღე და ისწავლეო.

— არ აიღო და არ ისწავლა, მემრე გავიყვანოთ და მღვრიე ხევზე ჩაეაქვანოთ? — ისევე მე გადმომხედა ბებია, — რაც აინტერესებს, იმას აკი კითხულობსო... ჭამე, შეილო, ჭამე.

— გაიყინა და რალა ექამო.

— ლუკმის ჩაყლაპვას არ აცლიან, ეს სანაცოლეები და, ვითომო, რას ვაშვებთო?! გაიტა რძალო, და შეუთბე!..

დედაჩემმა შემთბარი წყნიანი შემომიტანა, მაგრამ უკვე აღარ მშოიდა.

ჩემს უარზე ბებია მკინდამ თავშალი შემოიხია:

— აი, აბა, ამას არ გიჩივით?! — გაუწყრა დედაჩემს, — როცა ბაღს მადა აქვს, ჭამას არ აცდით, ახლა გინდა მოგიტანია და გინდა არა!.. დაიდგი და შენ მიირთვი! გაგონილა, ღმერთო პატროსანო, ჩხუბით ჩამომიხმეს ბაღი?!.

სიმართლე თუ გინდათ, ჩამომხმარისა არაფერი მეტყობა, ვსუქდებოდი და ვსუქდებოდი!

— გამოდი, ერთი გარეთ, — უთხრა დედაჩემს მამაჩემმა, — საქმე მაქვს.

— შენ მოდი აქა, — უთხრა ბებია, — მოდი, გამაგებინე, რას უპირებთ ამ შიმშილითა და ტურტურით. დაბეჩავებულ ბაღსა?

მამაჩემი სკამზე დაჯდა, დედაჩემიც ბებია ფეხზე იდგა და ორივენი ელოდნენ, რას იტყოდა. ბებია ფიჩხის ლობიო მაგიდის კუთხეში მიაქუჩა და მითხრა:

— ეზოში გაიარე, გიო.

ავდექი და გავიზღაზნე გარეთ, მიხოს ხელი წამოვკარი, გამომყე-მეთქი. კიბეზე შევჩაჩერე და ხმადაბლა ვუთხარი:

— მიდი, დადექი და ყველაფერი წამოკრიფე, რასაც ჩემზე ჩააბულბულებენ.

— კარგი.

— არაფერი არ დაგვიწყდეს, ან კიდევ არ გამოტოვო.

— კარგი.

— მალე მოდი.

— კარგი.

— არ დაიგვიანო, ხომარდულქვეშ ვიქნები.

— კარგი.

რა გეგმები მქონდა, როგორ ვაპირებდი არდადეგების გატარებას და წყალში არ გადამეყარა ყველაფერი! ველარც მანგლისში წავალ ბიძაჩემთან, — რომც გამოიშვან, მე თვითონაც არ წავალ — იმათ რა პირით დავენახო, თუ ძმა ხარ?!

მახსენებამ პირველი

ერთხელ პურს აკრავს ბებიაჩემი: ვარცლის თავზე მოაფრქვევს საფანელს, ამოგლეჯს ვარცლიდან წებოსავით ძლივს გასაწყვეტ ცომს, გააგორებს საფანელში, დაზელს, ამ ზელაში თანდათან ზიგრძე ემატება ცომს. რომ დაატყობს, საკმარისი სიგრძე აქვსო, გადაეყუდება თონეში, მოიქნევს და — ტყლაპ! — მიაკრავს. წამოდგება მერე დაეჩივლული, აიშართება წელში, ყელზე და ყურებთან კიდევ უფრო ამოიკეცავს თაღს თავშალს, მოიმარჯვებს ასტამს და ახლად ჩაკრულ შოთს მისჩერებია, არ ითაფოსო. ერთი პური რომ ჩაუვარდეს, ერთი კუტი რომ დაინახოს ნაცარში, ისე ვიშვიშებს, გეგონება, კიდევ თუ ჩავარდა, ეგ არის და ამოვწყდით შიმშილით. პურს აკრავს ბებია, თან ჩემკენ უჭირავს თვალი: წიგნი მიჭირავს ხელში და, აბა, თუ კითხულობსო. პურსა ხდის და მებულხუნება ბებიაჩემი:

— მოვიდეს მამაშენი ჭერა!

— მოვიდეს და მოვიდეს, რა!

— ტყუილად მაინც გადაშალე, ბიჭო, ხალხისა მაინც არა გრცხვენია?! მოვა მამაშენი და მე ველარ გიშველი! დავილაღე, რომელი ერთხელ გიშველო, ზარმაც გიგოვ!

— აკი ვსწავლობ!

— მამაშენი რომ გამოგკითხავს, მაშინ გავიგებ მაგასა.

— მამაჩემს იგრე უნდა. რომ, რაც იმან იცის, მეც იმდენი ვიცი.

— ყელზე დაგადგება?! — როგორღაც გზისკენ გაიხედა და გაბო ძია დანახა, — შეილო, გაბო მოდი აქა, — შამფურიანი ხელი დაუქნია. კაბაზე მოედო: შამფური და ამოსაკემსი გაუხადა.

გაბო ძია შეჩერდა:

— ხელადა გვერდზე მიდგი, არ აადულო.

— სველი ხელადაც არი და თუშური ყველიცა.

შემოვიდა ეზოში გაბო ძია, ახალთახალი, ტარგაგდებული თოხი ექირა. გამარჯობა, ძალოო, მიესალმა ბებიას და იმ თოხის ტარზე დაეყრდნო.

— რა სურნელი აქვს ამ დალოცვილსა! — თავი გაიქნია გაბო ძიამ, — რა სურნელი აქვს, ნაღდი შირაქისა იქნება.

— იქაური დოლის პურია, — დაუმოწმა ბებიამ, — შირაქისთანა დალოცვილი პური, ტყუილია! წვერი წაამტვრიე, ლენოსაც გამოგიტან. დალოცვილი პურია!

— ეგრეა, სოფლის თავში რომ აცხოებენ, სოფლის ბოლოს დაგხვდება ამისი ოზნივარიანი სურნელი და ნერწყვის ჩაგაყლაპვინებს.. რა გინდოდა, ძალო?

— ჰირი და თვალში ნაცარი! ეგე, გიოს წიგნს ვერ ვაღებინებ ხელში, ქა, რამ შეაჯავრა ეგრე! იმდენ ორიანებს ეზიდება, ჩემი ბიჭი მეუბნებოდა, სათვალავი ამერიო! ამან დამიავადმყოფა რძალი, გუშინაც შეაღონა კბილმა.

გაბო ძიას გაეცინა:

— კბილის ეჭიმს დამიხედე, ე?! — მერე მე დამიძახა, — მოდი აქ, გიო!

წიგნი სკამზე. დადებ და ისე მივედი.

— წიგნი გამოაყოლე.

მიეუტანე, ისტორიისა იყო.

— ვისი ისტორიაა?

— ყველასი.

— ვის ყველასი? — ძალიან დაინტერესდა.

— მთელი ქვეყნისა.

— ყოჩაღად მოქცეულხარ! მორჩი ჩვენს ისტორიასა და მემრე მეზობლის

ბოსტანში გადაიხედე, არა? ყოჩაღად მოქცეულხარ!

— ჩვენი არ დაგვიწყია ვერა...

— ღირქტორი მაიქცა ეგრე მარჯვედ?..

— მაშ ვინ მოიფიქრებდა?

— ყოჩაღად მოქცეულა! სად გაგონილა, კაცო, ჭერაო სხვისა ისწავლეო, მემრე კიდევ შენო?! ამას ჩემისთანა უცოდინარი კაციც არ იტყვის! გაიგე, თებრო ძალო, ჭერაო სხვისა ისწავლე, მემრე შენო?!
— ალბათ შენი ისტორია უფრო ღრმა არი და იმიტომაცა... ძან გაეშმაკდა ხალხი!

— აი, რა, გიო, — მითხრა გაბო ძიამ, — რა ღირს ეს წიგნი? — მომწოდა. წიგნი გამოვართვი და დაუხედე.

— ოცდაცამეტი კაბიკი.

— კარგად წაიკითხე?

— მეტი რაღა კარგად წაიკითხო, ორი სამიანი აწერია ტყუბად.

— სწორია, ოცდაცამეტი კაბიკიო. ეს თოხი რა ეღირება, თუ გამოიცნობ?

— ვერ გამოვიცნობ.

— ოთხი მანეთი მივეცი, ტარის დაგება კიდევ სხვა დაჯდა. ეხლა შენა თქვი: ეგ რომ ხეირიანი რამე იყოს, ოცდაცამეტი კაბიკი ეღირებოდა? ამას რა დიდი ანგარიში უნდა: ეს წიგნი ოცდაცამეტი კაბიკი, ეს თოხი, უტაროზე გეუბნები — ოთხი მანეთი. ჰოო, ყველაფერი ეგრეა: რაც არ ვარგა, იმას ფასიც ნაკლები ადევს. ასეა, გიო, მე რომ შენს ადგილზე ვიყო, წიგნს გადავადგებდი და თოხს ვეტაკებოდი.

ბებიამ საჩხრეკს წამოავლო ხელი:

— შე ფეთხუშო, ამითეინ დავიძახე?! ამითეინ დავიძახე, ბაღლი გადამირიემეთქი?!
— არ დამარტყა! — თოხი მოიმარჯვა გაბო ძიამ და უკან-უკან დაიხია.

მე სიცილი ამიტყდა, ბებიას კალთაზე დავეკიდე, ვითომ ნამდვილად უნდა დამარტყა და არ ვუშვებდი:

— აბატე ბებია, მარტო ამ ერთხელ აბატე და აღარ აურევს...

მიხო გახარებული მოვარდა:

— მამამ თქვა...:

— მოიცა, მოიცა! — გავაჩერე, — დედამ იტირა?

— ცოტა. მამამ თქვა, ისეთ ადგილას გადავკარგავ, ათი დღის სავალი მაინც იყოსო.

— თვითმფრინავითაო?

— არ ვიცი. ბებიამ უთხრა, მგონი, ჩვენც გვევითებთაო. მერე დედამ თქვა...

— არ მინდა, პირდაპირ მითხარი, რა გადაწყდა?

— თავისი გაიტანა ბებიამ, ისაო, მარიამობის თვე რომ მიიწურება, გიოზე მაშინ ვილაპარაკოთ, მაშინ დავწყვიტოთ ერთმანეთითო.

— ეგ რომელი თვეა?

— აგვისტო.

თიბათხე

არდადეგები რომ დაიწყო, ერთი კვირაც არ იყო გასული, ბიძაჩემი გურამი ჩამოვიდა მანგლისიდან. მე შეგონა, მიხო მიახარებდა ჩემს ამბავს და, ბებიამ არ გამოიღო თავი?! — ასე გაგვაჯავრა, ასე და ასე გაგვაბორბოტა ამ მიწაგასახეთქმაო. ბიძაჩემმა მარტო ორიოდე სიტყვა გაიმეტა, არა გრცხვენია, ამხელა ბიჭი ხარ და წინ არ იყურებოი.

პირში წყალი დავიგუბე, თავი დავღუნე. ამის შემდეგ ჩემი დარჩენის თაობაზე სიტყვა აღარ ჩამოუვლიდა.

ბიძაჩემმა თქვა, საქმეს გამოვეპარეო, და მოსვლისთანავე წასვლაზე დაიწყო ლაპარაკი. დედაჩემმა უთხრა, ნამუსიკ კარგი საქონელიაო. მამაჩემმა — მართალს გეუბნება, ან ჩამოსვლა რა არის, ან წასვლა, სულ რომ არ მოგვჩვენებოდი, უკეთესი იქნებოდაო. ბებიჩემმა მანგლისელი რძალი გახვია შარსა და ხათაბალაში, ისე ვატყობ მგონი — იმან დაგბორკა, თავის მაჯაჯანაში მოგაქციაო. თავის მართლებას მოჰყვა ბიძაჩემი; ესა თქვა, ისა თქვა და ბოლოს მაინც სამსახურს მიადგა, უჩემოდ სახეირო არაფერი გაკეთდება, ხვალვე თავზე თუ არ დავადექიო. თავდაპირველად მისი ლაპა-

რაკიდან ვერაფერი გავიგე, ბერე კი, ორი ხელადა ღვინო რომ გიმოცდუნეს, მამაჩემმა და იმან, პირდაპირ თქვა: ~~მამაჩემმა~~

— გიო, შენს წასაყვანად გამომგზავნა ბიცოლაშენმა, მაგრამ ვერ წავიყვანე, მარტო არ წავალ, მაგრამ... შენ არ წავიყვან.

— მე უნდა წამიყვანო, ძია გურამ! — წამოხტა მიხო და კისერზე ჩამოეკიდა.

— პო, შეილო, შენ უნდა წავიყვანო — უთხრა ბიძაჩემმა მიხოს და ქიჭა შეავსო, — შენ ვაგიმარჯოს, ჩემო მიხეილ, შენს კაბიჭობას გაუმარჯოს, ჯანი მოგცეს ღმერთმა! კქუას აღარ გისურვებ, იმდენი გაქვს, რომ მოგემხო, გიორგისაც ეყოფოდა!.. ბებია გიცოცხლოს მამახეციერმა, დედ-მამა, დაიკო, შინაური, გარეული და, რა თქმა უნდა, გიოც! — დალია ღვინო და გადმომხედა, — ხედავ გიო, ერთი კვირის წინ მიხო გამოგვიკიდა. ზურგიდან საყელოში ჩაგავლო ხელი, მარტო რა მიგარბენინებს, შენი ძმა არა ვარ, მომიცადაე ერთად ვიაროთო, ჯერ სადა ხარ, შენი სიზარმაცით იმდენ რამეს დაკარგავ, იმდენს, რომ თვალსა და ყურს არ დაუჭერებ, როცა კაცად რქცევი.

— მართალია, — დაუთმოწმა მამაჩემმა, — ასეა, გიო, მერე ჩვენ არ დავგვემდღურო, რატომ ტყავს არ მაძრობდითო. შენთვის ჯერ არ დამიკარებია ხელი და ახლაც არ ვაგისვ-გამოგისვამ სახრეს.

ვიჭექი სუფრაზე და თუ რამეს შემეკითხებოდნენ, მაშინ ვატოკებდი ენას, აღრე ასე რა გამაჩერებდა, ბიძაჩემს თავს ვაბეზრებდი კითხვებით.

ათასი სადღეგრძელო ჩამოთავდა და აშლას რომ აპირებდნენ, ბებიაც გაცეცხლდა:

— იგრე მახსოვს, რო გიოს სადღეგრძელო არ დავილევიათ!

— ღირსია, რომ დავლიოთ? — თქვა მამაჩემმა, — შენ თვითონა თქვი, თუ ღირსია, დავლევთ.

— არც შენა მყავდი წითელი კოჭი. აბა ერთი არ ჩავიცეცხლია!

ბიძაჩემმა ღიმილით აიღო ქიჭა, გიო-

გავიმარჯოსო, და დალია. მამაჩემმაც მარტო ეს მითხრა — გავიმარჯოსო...

მეორე დღეს ბიძაჩემმა მიხო მანგლისისაკენ გააქროლა მანქანით, მე კი აქ დავრჩი, სოფელში, და ყველაფერი მე დამაწვა კისერზე: დაბურღულ წყაროზე სიარული, მალაზიაში გაქცევა-გამოქცევა, დედაჩემის წყევლა, მამაჩემის ბუზღუნა და ბეზიას ტურტური. რაკი ჯერჯერობით მხოლოდ მე ვიყავი შინ, ამ მხრივ და სხვა მხრივაც, შინაურების ყურადღება არ მაკლდა.

პირველ ხანებში ეზოდან იშვიათად ვადგამდი ფეხს, რაღაცას ვხიჩრკედებოდი, ან არადა, მეძინა. მთელი ერთი კვირა ისეთ სიზმრებს ვნახულობდი, ის რომ ამცხადებოდა, ის რომ ამცხადებოდა!...

ერთ დღესაც ეზოში ვარ, საქმე არაფერი მაქვს და ვფიქრობ, დრო რა ჯანდაბით მოვკლა-მეთქი. ამას ვფიქრობ და ნუცა ძალო არ მეძახის: ჯუმბერი ჩამომივიდა და, მაშ, არ გაგივიაო. ჯუმბერი მისი შვილიშვილია, თბილისელი ბიჭია და ზაფხულობით სულ ბეზიასთან და პაპასთან ჩამოდის ხოლმე. ამისთანა სამაჟაკო ვინმე მთელს სოფელში არ მეგულემა. ბიჭად ბიჭიც ისეთია, უკეთესს ვერ იტყვი. ჯუმბერი ჩემზე ორი წლით უფროსია. მიუხედავად ამისა, იშვიათივე ისე შევეწყვეთ ერთმანეთს, ალალ ძმაც გვერდზე მივაყენებ ხოლმე ხანდახან. ყველაფერი იცის ჯუმბერმა: კრივი გინდა, ფეხბურთი; ისა კიდევ: ატა-ბატა სიარული... ყველაფერში მაგარია.

მე და ჯუმბერმა ნუცა ბეზიას გასაგონად დიდი ამბით მივიკითხ-მოვიკითხეთ: ერთმანეთი, მერე განვმარტოვდით და მოვილაპარაკეთ: ბლები ახალი შემოსულია და ჯერ იმას გავკრათ კბილიო. კიტრი ახლა ყვავილშია, ვიდრე გამოიხორკლება და ბუსუსი დაეწმინდება, აჯობებს, წინასწარ შევათვალეოთო. ეს ორი საკითხი იყო მთავარი. ჯერ ერთი უნდა მოგვეყვანა სისრულეში, დანარჩენზე სხვა დროს ვიმტკრევდით თავს. სხვათა შორის, წინადადება წამოვაყენე, გელა გავ-

ვეყვანა საქმეში. ჯუმბერმა აცილებს მისცა, სირბილი არ ეხერხებათ, დავეთანხმე: ისე გავვისუტლდებოდა, რომ ზარმაცვარს, ას მეტრზე გაქცევას ათ წუთს სუფთად მოანდომებდა, რაც გადამწყვეტ შემთხვევაში მისი დატყვევებით დამთავრდებოდა. ტყვეებს კიდევ ათასი ხერხით ალაპარაკებენ ხოლმე. ეს ამბავი ზოგი წიგნებიდან ვიცით, ზოგი — კინოებიდან. სირბილის გახსენებამ დელიმელას ბიჭი — შამელა წამოსწია წინა რიგში. ჯუმბერმა თქვა, ამ მხრივ შამელა დაუფასებელიაო. მაგრამ დელიმელას ბიჭი ასეთ სეზონზე შინ არ იყო ხოლმე: მესამე კლასიდან გამოვარდა, სწავლა მეყოფა, ახლა საქმეს მივხედავო. მიატოვა სკოლა და მეძროხეობას მოჰკიდა ხელი: ხბორები ჩააბარეს, პატარიდან დაიწყე, შვილო, სახლიც ხომ საძირკველით იწყებო. ამის შემდეგ შამელა ტრაბახობდა, თვრამეტისა რომ გავხდები, ოც ბუღას ჩამაბარებენო. მეც დიდად საინტერესო მგონია ოცი ბუღის მწყემსვა!

იმ დღეებშივე შევათვალეოთ ადრეულა ბლები და აღმოვაჩინეთ: ზოგი მზეს გაეწითლებინა მხოლოდ, ზოგიც — შემღვრეული იყო. ასეთი უგემური რამისათვის თავის წახდენა არ ღირდა. მერე კიტრის საკითხი გავარკვიეთ: ჩვენებურ მშრომელ ხალხს, ჩვენს პატრისაკემად დიდი ყურადღება გამოეჩინა და ბლომად დაეთესა სამწინლეცა და შუშა კიტრიც. არც სასუქი დაეკლოთ, არც თოხი. ვიდრე რამდენიმე დღე გავიდოდა და მოლაღურები დაესეოდნენ ხალხს, გულბელდაკრფილები ხომ არ ვისხდებოდით, სხვა საქმე უნდა გავგეჩინა. თუთა ვახსენე ერთხელ და, უცნაურ რაღაცას წავაწყდით — რატომღაც თუთის მოპარვა არავის მოსვლია ფიქრად. თუთის კუნწულას ვერ მოტეხავ, ვერც უბეში ჩაიყრი.

რა გავაკეთოთ, რა გავაკეთოთ და, მოდი, კვირიკეს მთაზე ავიდეთ, იმ მთაზე პატარა ეკლესია რომ გვეგულემა, ისიც

დავათვალეიროთ. და იმ მთის გადაღმა რომ უშველებელი ტაძარია, ისიცო.

ფეხი ავითრიე, რა ვიცი, შეიძლება მამაჩემმა რაიმე საქმე გამოიმინახოს-მეთქი. ეგეც არაფერით, მითხრა ჭუმბერმა, მამაშენს ჩემი დიდი ხათრი აქვს, ვთხოვ და, თუ სიკეთე არ დავიწყებია, უარს როგორ მაკადრებსო. მისი გაწეული სიკეთე კი ორიოდ სიტყვაშიც თავისუფლად ჩაეტევა: მამაჩემი სამსახურში მიდიოდა. ეზოში რომ ჩავიდა, მამინ დანიხედა მაჯაზე — საათი დავიწყებოდა. ჭუმბერი ჩემთან იყო, ვიწეჭი და მელოდა, როდის ავდგებოდი. მამაჩემმა ამომძახა, სარკესთან დევს საათი და ჩამომავლოდო. ჭუმბერმა დამასწრო და ჩააწოდა. ეს იყო და ეს! ამას ეძახის ისეთ სიკეთეს, რომლის გადახდაც თურმე ყოველად შეუძლებელია. წარმოგიდგენიათ!..

მამაჩემს უარი არც მოსვლია ფიქრად, ის კი თქვა, თავი არ შეირცხვინო, თოფი არა მთხოვოთო, და გზაც კი დაგვილოცა. დაგვარიცა კიდევაც: უთენია აიბარგეთ, გზაზე არ გიყელოთ სიტყმ და მზემ არ დაგკრათო. ეკლესიის კედლებზე არაფერი წააქლაბნოთო, ფრთხილად, მშვიდად, დაკვირვებით მოიქეციეთო.

მზე რომ ამოვიდა, გადასახედავის კლდე უკვე კარგა შორს იყო დარჩენილი. მივდიოდით და, თანდათან იზრდებოდნენ ხეები, თანდათან ვიწროვდებოდა გზა და ბილიკებიც იშვიათად შედიოდა ტყეში.

საგზალი — ბლომა პური, ყველი, ორიოდ თავი ხაზვი და ნიორი — რიგრიგობით მიგვქონდა. სხვა დროსაც გვიხეტილია ტყეში და ვიცოდით, როგორი მოშიება იცოდა ტყემ. გგონია, პური დაღამებამდე არც გამახსენდებო და ვიდრე ერთ გორას გადაივლი, ისევ მგლად იქცევი.

ორგვლივ მწვანეა ყველაფერი. წიფელიც მწვანეა ამ დროს, მარტო ფერღობებზე ჩაკიდებული თრიმლი გამოკრთება ხოლმე წითლად. აქ უფრო სხვანაირი დღეა: აქა-იქ ისმის ჩიტების ვივილი-ჭიჭიკი და მანც დუმილითაა საესე

ტყე — დამაფიქრებელი, საკუთარ გულში ჩახედვის სურვილით. საესე ტყეში სიტყვაძვირი ხდება ადამიანი, ყველაფერს უკვირდება და საკუთარი ნაკლიც ერთბაშად ეცემა თვალში — მეზობლის ბიჭს არაფერი დაუშავებია საიმისო, ასე რომ მიზევევ. არც ის იყო კაიკაცობა, ვილაცის ძალს, პატრონს რომ ეძებდა, ისე გამეტებით მიაბეჭე ქვა, ვიდრე თვალს მიეფარებოდა, საცოდავად წაეწკავებდა...

მიდხარ ტყეში და ხედავ — ფითრი დახვევია ხეს, სადაცაა ტოტებს ჩამოულეწავს. იქით: ღიჭს გადაუვლია ჭავრციხილაზე და მიწაზე გაუკრავს. აქეთ ფათალო მოსდებია წიფლებს, ისე მოსდებია, თუ არ დააკვირდი, მორადქეული გეგონება დახუკუბებული ფათალო. სულ სხვაა ნეშოს სურნელი, ასე რომ ავსებს პაერს და სოფლისაკენ მიხედვას გიშლის... წყაროსაც სულ სხვანაირი გემო და ფერი აქვს, რაღაცას გაგონებს. დგახარ და ფიქრობ, რა უნდა იყოსო, მაგრამ რამდენსაც მიუახლოვდები, იმდენი წყდება ის კვანძი, საიდანაც ამოხსნამდე არაფერი ვრჩება... ფიქრობ, ფიქრობ და გელიმება მერე — იმ გუბებს გახსენებს. წყალდიდობა რომ ჩაივლის და მდინარის ნაკალამოტარში ბაყაყების ყიყინად და ტალახაღქეულ ყაყაპად რჩება. რამდენჯერ გაგვივლია ეს გზა, ისევ ახალკია ყველაფერი, რასაც ახლა ხედავ. ყველაფერი უცნობია იმ უშველებელი ლოდების გარდა, მშენებლობაზე რომ არ წაუღიათ.

ნესტიანი ჩრდილები ერთმანეთს ენაცვლება.

მივდივართ ტყეში მე და ჭუმბერი და ერთმანეთის ფიქრებს ხმაურივთა ვეკავთ:

— ეჭვი! — კედლიდან გადასძახის ჭუმბერი.

— ჰო, —ჰო—ჰო! — ხეებს გადავძახი მეც. ექოები გვაწყლებიან, გვანჯღრევენ, ოცნებიდან გვერეკებიან — მწვანე

სიხარულში გვაბრუნებენ და ჩაშვებულ
პერანგის ღილებს გულმოდგინედ
გვიხსნიან ბოლომდე.

ვილაცას სახარაოე ეგები მოუქ-
რია—ძირზედაც ეტყობა და იმაზედაც.
რომ გარკოილია ხე. გრძლად აუსხეპია
ტოტები, მერე ცხენისათვის მიუბამს სა-
თრად და გზა გაუქაწრავს, მოუფხოქნია.
ნამდვილად ხარაოედ ენდომებოდა ჯაგ-
რცხილები, ამ გახურებული წამლაობის
დროს მარჯვე გლუხაკი არასოდეს ფიქ-
რობს ზამთრისათვის შეშის მომარაგე-
ბაზე. საამისოდ სად სცალაია! გუშინდენ-
ლი შემოკრულია ნაჯახი, მიწისკენ მრქ-
ცეული ფოთოლი ისევ მწვანედ ლიქლი-
ვებს, ზედა ფოთოლი კი საცოდავად არ-
ის ჩამქეწარი. ვილაცა იყო, ფეხი დაუს-
ველდებოდა, ვერ შევიდა ტყეში, გზას
რატომ აკლებდა ჩრდილს?! მეტყვევის
ახლობელი იქნებოდა ვინმე, თორემ აქ
სადაური ტყეკაფია — ისეთი ხეები ამ-
ოლტილა, ნორჩი, ხასხასა ხეები, გეგო-
ნენა, სულ ახლახან ამოუხეთქიათ მი-
წაო. კანიც ისეთი აქეთ, თითქოს ნი-
აიყოლეს და ახლა წვიმას ელიან, რომ
ჩამოირეცხონო. მე და ჭუმბერი ვიდე-
ქით იმ გზის პირას, ვუყურებდით მთელ
კალოსტოლაზე შეკბეჩილ რცხილიანს
და ვაგინებდით ყველას, ვინც საკუთარი
სიამოვნების გარდა, სხვა ვერაფერს ხე-
დავს, ვერაფერს: ვერც ამოდენა მთასა
და ვერც გადამწვანებულ ტყიან გორა-
ეებს.

ჭუმბერს ვუთხარი, მოდი, ჯერ კვირი-
კის მთაზე წამოსკუპებელი სათვალთვა-
ლო ეკლესია ვნახოთ—მეთქი, მაგრამ არ
დამიჯერა, აჯობებს, ჯერ სამების ტაძარი
დავათვალეოთო. ავიარეთ აქანება,
ცოტა ჩავივალეთ და ტაძარიც გამოჩნდა
უზარმაზარ, ქოჩორა წიფლების ქვეშ.
ეს ეკლესია ბევრჯერ დაგვივალეოთრე-
ბია და ტყისკენ მომავალი გზისა არ
იყოს, ყოველთვის ახალ-ახალ რაღაცას
წავაწყდებით ხოლმე. ახალი ბევრი რამ
ვნახეთ ახლაც, განსაკუთრებით ტალი
ქვითა და ნახშირით წაჭლახნილი იმ რე-
გენების გვარ-სახელა, აქ რომ

ამოთრეულან ერთხელ. ვიღაცას თოვტი-
უსროლია ფრესკისათვის ერთ-ერთი
ეკლესიაში მარტო მოწყენებულნი
შის თავილა იყო გადაჩენილი და ისიც
ნიშანში ამოელოთ. რამდენჯერ გვითქ-
ვამს მე და ჭუმბერს, ასეთ დანაშაულზე
რატომ არა სჯიან, იმას ხომ არ მოიმი-
ზეზებენ, დამნაშავის კვალს ვერ მივაგე-
ნითო! აგერ არა წერია გვარი. სახელი
და მისამართი?! ვაი, ფრიადოსანო მოწა-
ფეგბო, მკლანელებო, რატომ ღმერთი
არ გაიცინებს, თქვენი ჭკუის პატრონი
რომ მერვეში გადაბრძანდით! მე კი...

მე და ჭუმბერმა მორწმუნე მლოცვე-
ლებივით სამჯერ შემოვუარეთ ეკლესი-
ას, შიგნითაც იმდენი ვიტრიალეთ, თვა-
ლები დაგველა და კისრებიც გვეტყო-
ნა.

— ისე მახსოვს, მგონი, შარშან ეს
ქვეები აქ არ ეყარა, — თქვა ჭუმბერმა,
ეკლესიიდან რომ გამოვდიოდით.

— მეც ეგრე მახსოვს, — ვუთხარი და
მალა ავიხედე: გარეთ გასასვლელი კა-
რის თაღის კუთხე ჩამონგრეულიყო.

— მხოლოდ სამი წელია აქ ამოვდი-
ვართ ხოლმე და, ვხედავ, ჩემს თვალწინ
იქცევა ის ტაძარი, რვა საუკუნის წინ
რომ აღშენებიათ ჩვენს წინაპრებს. რვა
საუკუნე ინახავდა ხალხი, უფრთხილდე-
ბოდა, მერე მოვიდნენ წერა-კითხვის
მკოდნე რეგენები და რვა საუკუნის
ნაფერები განძი ერთბაშად დააქციეს.

— რა გაბრაზებს, ჯერ ხომ არ დაუქ-
ცივიათ? *

— დაქცეულიც არის და მეტიც! ის
მაინც არ უნდა მოიფიქრონ, ეს ხეები,
საძირკველში რომ ამოჩრილან და სიგა-
ნეში იწვევენ, ძირში მიახერხონ? ან აგერ,
შეხედე, სახურავზე რომ ამოშრიალე-
ბულა, ის ხეები გასაჩერებელია—რაც
კაცის ხელმა დააკლო, ეგენი ვადაუთა-
ვებენ. ამ ეკლესიას ყარაული ჰყავს. წა-
ვიკითხე და ვიცი, საქართველოს ისტო-
რიაში მსხვილი ასოებით სწერია, ამა და
ამ საუკუნის ისტორიული ძეგლიაო! რა-
მდენჯერ ამოვდი აქა და, აბა, მითხარი,
ერთხელ მაინც დაგვხვდა ყარაული?!

ჭუმბერმა ზურგჩანთა გახსნა და ხელნათურა ამოიღო.

— როდის ჩადე? — გამიკვირდა.

— პურსა და ყველს რომ ვალაგებდი.

— ამ შუადღისას რად გინდა?

— გვირაბში უნდა ჩავძვრე.

ტაძრის გვერდით, მიწაში, ნახევრად ამოვსებული თალი იყო. ერთხელ ასანთი წამოვიღეთ. ჩავიდა ჭუმბერი შიგ, მაგრამ რამდენჯერაც ვაპკრა ასანთი, იმდენჯერ ჩაქრა. არა უშავსო, მერმის რომ ჩამოვალ, ხელნათურას ჩამოვიტანო. აკი ჩამოუტანია კიდევაც. მაშინ მომიყვა: ჩვენს წინაპრებს, თურმე, იმდენი მტერი ეხვეოდა, იმდენი, თვლა არ იყო. ჩვენები კი ჟუჟავდნენ და ჟუჟავდნენ... მაგრამ მტერი კალისავით მოედებოდა ხოლმე მთელ ქვეყანას და სხვა რა უნდა ექნათ, ციხეებში იკეტებოდნენ, ანდა ისეთ ეკლესიებში, მისი ადგილ-სამყოფელი არავინ რომ არ იცოდა. გაიკრიფებოდნენ ქალიან-ბალიანად, საქონლიანად, მოიპარაგებდნენ საქმელს და ჩაიკეტებოდნენ. ყველაფრის მომარაგება შეიძლებოდა, წყლის გარდა, წყალი აღრე ფუჭდება, ღებება კიდევაც. დამპალი წყლისთანა უგემური ხომ არაფერია — სუნი არ უფარგა და ფერი, გემოზე რომ არაფერი ვთქვათ. პირის დასაბანადაც კი აღარ ვზრგა. ამიტომ, წყალი რომ არ შემოკლებოდათ, ციხიდან და ეკლესიიდან გვირაბები გაჰყავდათ წყარომდე... მტერი ალყას შემოართყამდა, იდგა და ელოდა, წყალი შემოაკლდებათ და დამემონებიანო. მამა უცხონდათ, დანებდებოდნენ!

— გვირაბში უნდა ჩავეყუდო, — თქვა ჭუმბერმა, — წამრდი, შენ შესასვლელთან დადგე!

მივედით გვირაბთან. ჭუმბერმა ხელნათურა აანთო და გვირაბში ჩაეყუდა თავით.

— ვნახოთ, ერთი, რომელ წყაროსთან გავალ!

— მე როგორღა გავიგო, რომელ წყაროს მიაღებენ? — დავიხარე და ჩაეძახე.

— გვირაბს ამოვყვები ისევ.

— იმ წყაროსთან ნიშანი დადე რამე, ახლომახლო იმდენი წყაროა, კარგად თუ არ დაიხსოვ, აგერევა.

— მაგდენს მოვახერხებ როგორმე!

მზეში ხომ არ ვიდგებოდი, ჩრდილს შევეფარე და ბალახზე წამოვწეკი. ნეტავ წყაროს მიაღება ჭუმბერი თუ ხეზე გაეა? რა საინტერესო! ამდენ წყაროში რომელი ამოირჩიეს ჩვენმა წინაპრებმა? ვნახოთ, რომელ წყაროს სვამდნენ, მართლა ყველას სჯობდა თუ მოსახერხებელ ადგილზე ამოჩუხჩუხებენ? რამდენი წელი წვალობდა ჩვენი სოფელი და ძლივს მოახერხა წყლის გადაყვანა. აბა, ექსკავატორებიო, ბულდოზერიო და ძლივს არ გაიყვანეს?! მეთორმეტე საუკუნეში კი კილომეტრობით გვირაბი გაჰყავდათ წყარომდე, თანაც, იმ გვირაბში გამართულები დადიოდნენ! ჰო, გამოვიყვანეთ წყალი და ისეთი ყვირილი ატეხა ჩვე და იჭაურმა გაზეთმა, აუჰ, ალანისი მეორე არხი გამოუყვანიათ და ეგ არისო!

— მართლა გვირაბი არ მეგონა?! — ჭუმბერი ამოსულიყო და სახეზე ხელს ისვამდა. მართო სახეზე კი არა, მთელ ტანზე ჰქონდა მოდებული აბლაბუდა.

გაოცებული წამოვბტი:

— ეგრე მალე ჩახველ და ამოხველ?!

— ორი ნაბიჯი გადავდგი და მორჩა. დამთავრდა გვირაბი!

— რას ამბობ, კაცო?!

— რას ვამბობ და, მიწა ჩამოზვავებული! მოდი, მომიაცილე, ეს უპატრონო აბლაბუდა.

ერთი მხრიდან მოვყვები და აბლაბუდას ვაცილი.

— წერაქვი ამოგვეტანა და გამოგვეთხარა?!

— გაწმენდა განა გაყვანაზე ადვილია?!

— მა რა ექნათ, ჰა?

— არაფერი.

ისე ჩაგვიშხამდა ის დღე, კვირიკეს კორტოხზე გადმომდგარ სათვალთვალ

ეკლესიაზე ასევე სხვა დროისთვის გადავდეთ...

ჯემბერმა მთელი კვირით ადრე გამაფრთხილა, პაპაჩემი ბალახის სათიბად მიდის და, ჩვენც წაყვავთო.

თედო პაპა ძალიან სიტყვაძუნწი კაცი იყო. მოვიდოდა სამუშაოდან, დაჯდებოდა საჩხეში ან საზაფხულო ვაშლქვეშ, აბოლებდა თუთუნს და ერთავად ფიჭობდა და ფიჭობდა. ვერ გაიგებდი, რომელ მეზობელს რა თვლით უყურებდა. არასოდეს მინახავს მეზობლის ეზოში გადასული, თითქოს არ იცოდა, მისი ღობის იქით რა ხალხი ცხოვრობდა. ან ცხოვრობდა ვინმე თუ არა! ჯემბერთან იმ დროს მივდიოდი, თედო პაპა შინ რომ არ იყო. რაკი არასოდეს გამოლაპარაკებია, მეგონა, დასანახავად ვძულდი. მისი ხმა მაშინ თუ გამოვიგონია, როცა მეზობლის ღობს დაუტატანებდა, ანდა ცოლს გასძახებდა რაღაცაზე, მომიტანეო. უსაქმოდ მაშინ ნახავდით, ესე იგი. მაშინ გადაეშვებოდა ფიჭრში, მზე რომ ჩავიდოდა კვირიკეს შთის გადაღმა. საოცრება ის იყო — კატა და ძაღლი ყოველთვის ჰყავდა: ჩასუქებული და ჩამრგვალებული კატა და ძაღლი. კატაზე რა მოგახსენოთ, ძაღლს კი ყოველთვის ისეთს არჩევდა, ან ისე წვრთნიდა, მისი დაგლეჯილი არავინ მინახავს.

არასოდეს დამავიწყდება ის დღე, ჩემს თვალში თედო პაპა ყველაზე საყვარელ პაპად რომ იქცა ამ ქვეყანაზე.

თედო პაპას ვენახი რკინისგზასთან ჰქონდა. დღე და ღამე შიგ ტრიალებდა, ბალღივით ეფერებოდა და უვლიდა. რთველი რომ ჩაივლიდა და ერთი პირობა ბალახი ამოზიბინდებოდა, მარტო მაშინ ხნავდა ვენახს. დანარჩენ დროს თოხნიდა. ყველაფერი ედგა ვენახში: ათასნაირი მწვანელი, კიტრი, პამიდორი, საზამთრო, ნესვი და უფრო ათასნაირი ლობიო, ფიჩხის ლობიოც კი — ვენახის სარების ძირში ეთესა. გასადევარზე, მიწინისა და ღობის ძირებში, ისეთი ბალახი ბიბინებდა ყოველთვის, ბევრიც რომ გე-

ფიქრა, ვერაფრით მიხვდებოდე, რა ირად შედიოდა მწკრივებში გაზის შესასწავლად ანდა ცის გასახსნელად. თედო პაპას ცხენი არ ჰყავდა და სახედარი, ბალახს კი ყოველთვის თიბავდა. მწვანედ გააშრობდა, დაათალამებდა, დაახულებდა, მერე ვენახის თავში დაასობდა აკაციის გრძელ ბოძს და დადგამდა. სათივე ბოძს უქვევლად ქილას დაახურავდა, წყალი არ ჩაიპაროს და თივას გული არ დაუობდესო. შემოდგომაზე ბალახს იმ კაცს აძლევდა, ვინც გაზაფხულზე, ვიდრე ზვართქლა გაეკრკეცდებოდა, ორჯერ მოუხნავდა ვენახს.

რეკრეაქტზე გამაღვიძა ჯემბერმა, წამოდი, თუ მოდიხარო. მამაჩემს ვუთხარი, მივდივარ-მეთქი. უნდა წახვიდე, მამაო. ბებიაშეც მითხრა, ნუ გეზარება, წადიო. დედაჩემი მანგლისში იყო წასული მიხოს სანახავად, ის საიდან რას მეტყუოდა. ჩემს სტუდენტ დას კი ისევე ეძინა. ჩემს დას ისევე ფრიადებზე ჩაებარებინა გამოცდები და ისე იყო მამაჩემისაგან განეზიბებული, ცივ ნიავს არ აკარებდა, გადაღლილია ბაღლი, დაისვენოსო. ისიც ხან ერთ გვერდზე გადატრიალდებოდა, ხან — მეორეზე, ძილად იყო ქცეული. მისი ბედნიერება, ვაჟაკურად ვამბობ, ნამდვილად მშურდა.

მე და ჯემბერი რომ წავედით ვენახში, თედო პაპას უკვე დაეწყო თიბვა — ცელს ისე ფრთხილად იქნევდა, თითქოს ბალახს ეფერებო. ჩვენს დანახვაზე თავი ასწია და ღიმილით გადმოგვხედა. აკი გითხარით, ჩემი დღენი სულ მერიდებოდა თედო პაპასი და ახლაც თავისით გამიზარამაცდნენ ფეხები — უკან ჩამოვრჩი ჯემბერს, ვითომც ძალიან მაინტერესებდა, როგორ იყო შეწამლული ვენახი — დავიხარე და მოზრდილი მტევანი გადავებრუნე-გადმოვებრუნე.

— ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ? — ჰკითხა ჯემბერმა.

— აგერ, ფიწალს და ფორჩხს აიღებთ, — უთხრა პაპამ და გვიანა ბლისაკენ გადაიქნია თავი, იმაზე იყო მიყუ-

დებული ფიწალა და ფორჩხიც. — აი-
ლებთ და ააჭუჩებთ ბალახსა, მემრე მო-
ხვეტავთ და ერეკლეს საურმეზე გაშან-
შლავთ, უნდა გახმეს.

— აქ ვერ გახმება?

— იქ უფრო იკბინება მზე.

ჩვენს ჩამოსვლამდე ბევრი ბალახი გა-
ეთიბა პაპას, ასე, რომ საჩვენო საქმე
უკვე იყო: მე ფიწალი ავიღე, ჭუმბერ-
მა — ფორჩხი და მივახტით საქმეს.

— მაგას უცებ შორჩებით, — გვითხ-
რა პაპამ, — მოდით აქ, მიყურეთ, რო-
გორ უნდა ცელის ხმარება.

— ვიცო, ვგეც ვიცო! — თქვა ჭუმბერ-
მა.

— თუ მართლა იცი, მოდი და გამა-
მართვი.

ჭუმბერმა გამოართვა, მოიქნია და
ცელის წვერი ნაგოლვ მიწას ატაკა.

— არა გცოდნია! — გაეღიმა პაპას და
ახლა მე მომიბრუნდა, — აბა, ეხლა შე-
ნა სცადე, გიო.

ცელს მარჯვენა ღონივრად ჩავავლე
სახელურში, ტარზეც, ცოტა უკან დავი-
ხიე და ფრთხილად, დაწვევით მოვუს-
ვინ: ბალახი წყობისად წაწვა მიწაზე.

პაპამ ღიმილით შემომხედა:

— აი, ყოჩაღ! გურამი გასწავლიდა, ბი-
ძაშენი.

— იმან მასწავლა.

— როგორც გიომ მოიქნია, იგრე უნდა
მოცელვა, ჭუმბერავ. კარგად დააკვირ-
დი, შვილო. აბა, გიო, თიბე ბალახი, მე
ბოსტანში შაქვს საქმე, იქ ვიჩაღიჩებ,
ვიდრე ჩემი დედაკაცი ჩამოვა.

ნუცა ბებიაც ჩამოვიდა, ვისადილეთ
და ვისამხრეთ კიდევაც. მაგრამ ისევ
ჩვენ ვთიბავდით ბალახს, თედო პაპა კი
საურმეზე ეზიდებოდა: აჩენჩავდა ხოლ-
მე ბულულს და ისე ფენდა. ზოგს კი-
დეე ბარდებსა და ბუჩქებზე ჰკიდებდა.
საქმეს რომ შეაცოტავებდა, მერე ნამხ-
რვეს აცლიდა ვაზებს. შეუწამლავს კი
ამოიღლიავებდა ხოლმე, ისიც საურმეზე
გაჰქონდა და ბალახს ურევდა.

ნუცა ბებიას გვიან გავახსენდით, მო-

ვიდა, დახედა ჩვენს ნაგოლვს და
ავიშვიშდა:

— ეიშ, ქა, როგორ გადაუკორტინათ
მშვენიერი ბალახი?!

— შენ თავი დაანებე მაგათა! — დაუ-
ტატანა პაპამ, — გადაკორტინან კიდე-
ცა, ცელსაც დამიბლაგვენ და რალაც-
საც ისწავლიან, ყველაფერი სწავლით
არ არი?

ცელვას მოვრჩით. პაპამ გაიხარა, ეს
რა მარჯვე ბიჭები ყოფილანო.

ბალახი ახლა ღობის ძირებში იყო გა-
მოსათიბი, ცელი ვერ მიუღლებოდა და
ნამგალი გამოგვიჩინა.

მოკლე ჯოხი გამოვჭერი და ჭუმბერს
ვეუთხარი, ახლა მიყურე, ნამგლით გამო-
თიბვა როგორ უნდა-მეთქი. საითაც წაწ-
ვენილი იყო ბალახი, იმ მხრიდან შევა-
პარებდი ჯოხს, ავწვედი ბალახს, გაგას-
წორებდი და მერე გამოვუსევამდი ნამ-
გალს. ძალიან ძირში არ ვუსევამდი, მე-
შინოდა, ქვისთვის არ წამომეკრა. თედო
პაპამ რომ დამინახა, სამუხლუში თიბავს
ბალახსო, მითხრა: — ქვა არ ურევიო,
დაბლა დაწიე ბალახსა, — და ისევ გა-
ნაგრძო ნამხრევის გამორიდება.

ჭუმბერმა ნამგლით თიბვა მალე ის-
წავლა, გახალისდა და ხელში აღარ ჩა-
მიკვლო ნამგალი. უსაქმოდ ხომ არ ვიჯ-
დებოდი, ფიწალი მოვიმარჯვე, ვაბულუ-
ლებდი, ხან კიდევ მე და პაპა იმ ბულუ-
ლებს იქვე, ღობეზე ვფენდით.

იქაურობა შემეკნარი ბალახის სჭრ-
ნელით გაიქვინათა. ოფლით დაეცივდით,
მაგრამ იმდენად სასიამოვნო იყო ეს გა-
ციება, მგონი, არც შეგვიმჩნევია ხეირი-
ანად.

მუშაობის შემდეგ უფრო მკვეთრად
ვიგრძენით მიწის სურნელი და ჩრდილის
ფასი. სიმორცხვემ ერთბაშად გამიარა.

— თედო პაპავ, — ვეკითხები, — ჩვენ-
სა რატომ არ მოდიხარ ხოლმე?

— რა ვიცო, შვილო, ჭერჯერობით
საქმე არა მქონია და, როცა მექნება, რა-
ტომ არ მოვალ, რა, არ მიმიღებთ?

— მაგას ვინ ამბობს, მაგრამ... უსაქ-
მოდაც ხომ მიდიან ხოლმე სტუმრად?

— უსაქმურები არიან და იმიტომ მიდიან... შენც ავი ისა თქვი?! იმისი დრო სადა მაქვს, შეილო, როცა არ ვმუშაობ, მემრე კიდეც ფაქრი არ მიშეებს სხვაგან.

— ფიქრით არ იღლება კაცი?

— ფიქრით რომ იღლება, თონი იგრე როგორ დადღისი..

იმ საღამოს გვიან წავედი შინ. ჯუმბერმა თავისი გაიტანა, ჩვენი მუშა იყავი და ვახშადაც ჩვენთან უნდა მოხვიდეო. ჯუმბერს რამენაირად დავეუსულტებოდი, მაგრამ თედო პაპამ რომ მითხრა, თუ არ მოსულხარ, ხმა აღარ გამცეო. უარის თქმა ველარ მოვახერხე.

ნუცა ბებიაშ ქათამი დაგვიკლა და თითო ჰიქა ღვინოც დაგვალევიანა. გამხიარულდა თედო პაპა, ძველი ამბები მოგვიყვა, თავისი თავგადასავალი იყო ყველაფერი იმისთანა ამბავი სხვაგან არ გამოგონია. არც ასეთი მხიარული და ენაწყლიანი მინახავს თედო პაპა. ბოლოს, თვალები რომ მოუწყლიანა ღვინომ, ჯუმბერს უთხრა:

— შეილო, რას გეუბნები ხოლმე გიონე, აქ არის და უთხარი.

— სხვას გიო გერჩიოს, სამეგობრო ბიჭიო. ჰოდა, მირჩენია კიდეცაც.

— კიდეც გითხარი რაღაცა.

— არ მახსოვს.

— მაშინ გავიმეორებ. გიო, შეილო, აი, მერვეში რომ ჩარჩი, ამაზე დარდი არ გაივლო გულში. სწავლა იმიტომ არი მისწრება, რო, ველარავინ მოგატყუებს, ავიც გეცოდინება და კარგიც. მე ნასწავლი კაცი მოტყუებული არ მინახავს, თავს რომ იტყუებს, იგეთი — რამდენიც გინდა. შენ როგორ გგონია, მევენახე გლეხი, ძლივს რო ახერხებს ხელის მოწერასა, გაუნათლებელია? არ დაიჭრო! ჩამოიყვანე რომელი აგრონომიც გინდა და თუ იმაზე კარგად არ იცოდეს ვაზის მოვლა-პატრონობა, მაშინ აემ პურის მადლი გამოწყარეს! უნდა ისწავლო, შეილო, ყველაფერი უნდა იცოდეს! აი, ჯუმბერას ეგონა, ადვილია ცელის მოქნევა, მაგრამ არ გამოუვიდა! უნდა ის-

წავლო, შეილო, ეგ ერთი წელი არაფერი, მემრე აღარ გასწიო გაქვითი, არ გემარჯვება და შენც კალატრონობა ისწავლე... აბა, ჩამომითვალე, რამდენი ხერიანი კალატრონია ამოდენა სოფელში? რამდენი იქნება და, ბევრი-ბევრი, ორი. დანარჩენი, ვის ხელშიც დაგინახავს ქაფია, ერთ კაცად რო გადაახალისო, ათი წელი მოუნდება საღორის აშენებას. ეგეთი უხეიროები არიან. ქვეყანასაც ატყუებენ და საკუთარ თავსაც.

— რამდენსა ლაპარაკობ, ადამიანო?! — უთხრა ნუცა ბებიაშ, — შენ რო ამდენი ლაპარაკი არ იციოდი?

— სალაპარაკო არა მქონია და რაზე უნდა მელაპარაკა? ან კიდეც, ერთხელ მე ვილაპარაკო ვაბმითა, დაშავდება რამე? შენ რომ ლაპარაკობ ხოლმე, მე როდის გიშლი? აი, ბიჭებო...

— რა ღმერთი გიწყრება, ადამიანო?!

— ვის უწყრება ღმერთი, ვიონ თქვას, — ჩახიხიხითა პაპამ და მხარზე ხელი დამადო.

იმ ხელის სითბო დღესაც მახსოვს...

ის დღე იყო და ის დღე: ყოველ საღამოს მივდიოდი ჯუმბერთან, სახლწინ წამოზიზინებულ მატრეტელაზე წამოვგორდებოდი და ასე მივჩერებოდი თედო პაპას. პაპა თუთუნს აბოლვბდა და ღინჯად იწყებდა:

— იყო და არა. იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კეთილი ხელმწიფე... — აქ შეჩერდებოდა, — კეთილი ხელმწიფე ჯერ არ დაბადებულა, მაგრამ ეს ზღაპარია და ეგრე უნდა...

მთელი თვე მშვიდად, ზღაპარებით ტკბილად მიილეოდა, ერთ უბრალო შემთხვევას მოულოდნელად რომ არ მოექნია კუდი.

როგორც იცით, კბილის ექიმია დედაჩემი, დილით მიდის სამსახურში და საღამო ხანს ბრუნდება. ავადმყოფები შინაც აკითხავენ, განსაკუთრებით შაბათ-კვირას. უსინჯავს კბილს: ამოსაღებს იღებს, მოსარჩენს არჩენს, დასაბლომებს

პლომბავს. ერთ საღამოსაც კირვალიძი-
ანთ ლადო მოადგა ჩვენს კიშკარს:

— ექიმო!

დედაჩემმა გახედა.

— მობრძანდით, ლადო ძიავ, რამ შე-
ვაწუხათ?

— ცოლს გავუძელი და კბილმა არ გა-
მამაგდო სახლიდან?! — ხელსახოცი მი-
უფარებია ყბაზე და ისე მოიკაკევა.

დედაჩემი თავის კაბინეტში შეუძღვა.
მე გვერდითა ოთახში ვიჯექი და ვარ-
კვევით მესმოდა მათი საუბარი:

— დაბრძანდით, ლადო ძია.

— მადლობელი ვარ!

სკამი კრიალებს, ეტყობა დაჯდა.

— აბა, მაჩვენე კბილი... ჰო, ასე... ეს
არის? — კაკუნი მესმის, — არა? ეს არ-
ის? კარგი. ახლავე ჩაგყუჩებთ ტყი-
ვილს... როდის აგტკივდათ?

— სამხრობა რომ გადავიდა. წაიღო
თავი ამ პატრონმკვდარმა!

— ცოტა ხანიც გაუძელი და ყველა-
ფერი ისე იქნება, თქვენ რომ გეკადრე-
ბათ!

— ღმერთმა ქნას! იგრე შემალონა,
მრცხვენინან, თორემ ნაცემი ბალივით
ავლრიალდებოდი.

ხმაური მესმის — დედაჩემი წამალს
ამზადებს.

— ძნელია კბილის ტკივილი! — ამ-
ბობს დედაჩემი.

— ძნელია, მაშა, კურდღლები მაგით
არ იხოცებიან?

— გააღე პირი, კიდევ გააღეთ! კარგია!
ასე!.. საღი კბილია. ამოსაღებად ცო-
დოა!.. ნერწყვი არ ჩაყლაპო! ორი საათი
ძალიან გაგამწარებს, მერე კი ჩაყუჩდე-
ბა. ნერწყვი არ ჩაყლაპოთ!.. აბა, დამ-
თავრდა კიდევაც... ორი საათი არც წყა-
ლი დალიოთ, არც ჭამოთ რამე.

— მადლობელი ვარ, ჩემო რძალი!

— ლადო ძია, ჭერჭერობით მაგარი
არაფერი ჭამოთ!

— ხილი მეჭმევა?

— ახლა რა ხილია? თუთა! თუთა, კი
ბატონო! ბალს კურკა გამოარიდეთ და
ისე მიირთვით!

— მერმე, შემარჩინა შენმა ბიჭმა გა-
ლი? იგრე უნამუსოდ მოიქცა, წამლად
ერთი ტოტიც აღარ დამიტოვა, სუ დაბ-
ლა ჩამოიღო!

— უი! უი! გადამრევს ეს ბიჭი! თავს
ჩამომამხრობინებს!

— მე არ მითქვამს არავისთვის და
შენა ჰყრი ქვეყანასა?

წამოვხტი და გავვარდი ვარეთ...

არ მიყვარს ასეთი შეუგნებელი ხალ-
ხი: რომ მივსულიყავით და გვეთხოვა,
ბალზე დაგვაპტიყეო, უარს არ გვეტყო-
და, ხელგაშლილი კაცია და თავს არ გა-
იხდიდა ქვეყნის სალაპარაკოდ. ვიფიქ-
რეთ, ჩვეულებრივი ბალია, მეტი არა-
ფერი, შეწუხებად არ ღირსო; არც შევა-
წუხეთ და სამღურავით არ აგვიკლო?!
მოდი და ამის შემდეგ ამისთანა კაცს ჰა-
ტივი ეცი!

მაკათთვა

ვენახმა შაბათი და კვირა არ იცის.
მოგაწევა საქმე და ბალიშზე თავს არ
დაგადებინებს. ისე ვადიოდა კვირეები,
ერთი დღე არ დაუსვენია მამაჩემს: შუა-
ღამისას მოდიოდა, ისეთი დაქანცული
მოდიოდა, ლაპარაკის არაქათიც აღარ
ჰქონდა. ივანშემებდა მუნჯურად, მიწვე-
ბოდა ტახტზე და ხვრინვას ამოუშვებდა
მაშინვე. გათენდებოდა და ისევ საშუა-
ოზე ვარბოდა. სწორედ ამ მოუცლე-
ლობის გამო, ჩემთან ლაპარაკი ვერ მო-
ხერხა.

სათიბათვო მსხალი ჩვენ გვედგა, ამი-
ტომ მე და ჭუმბერს სხვისაზე აღარ წაგე-
ცდენია ხელი. ზომარდულზე კი ცუდხად
იყო საქმე, მარტო ბარნაბანთ ბალში
ანათებდა. იმ დღეც ვიღეს ისე ესხა,
ცოდვით იქით ვერ ვიხედებოდი, გვე-
გონა, საცაა ჩამოიღეწებოდა სიმძიმით
თუ გული გქონდა, თუ კაცი იყავი და
ქუდიც გეხურა, სასწრაფოდ უნდა და-
გეხსნა გასაჭირიდან.

დილით გელას გავუარე და ამ დაბე-
ჩავებული ზომარდულის თაობაზე გადა-
ვუჯარა სიტყვა. ეს სამწუხარო ამბავი

რომ გაიგო, დალონდა კაცი. მე კიდევ იმაზე დავლონდი, გელა რატომ დალონდა-მეთქი. ასე რომ გაგრძელებულიყო მეორე დილაშდევ, დარდს გადავყვებოდილით ორივენი და საბუხლუნო საქმე გაუხნდებოდა რცხილაძე კოლას — მაშინაც ის იყო ძირითადი მესაფლავე.

ისეთი წუწურაქი ვინმე ბრძანდებოდა ბარნაბა, წვეთი წყალი არ გაუვიდოდა პეშვიდან. შთელ შვიდ წელიწადს ერთ ჭგულში ვიყავით და ისე გაიქრო ნამუსი, ბალი არ დამათვალიერებინა. გელაც ამას უჩიოდა სწორედ. შეთვალდებოდა ხილი თუ არა, ფეხს ვერ გამოადგმევინებდი ბალიდან, ვადაყრუებული ბერიკაცივით სულ შიგ ტრიალებდა. უცხო კაცს ეგონებოდა, ბუნების სიმშვენიერე არ ახედებს გვერდზეო, ნამდვილად კი წვრილფეხობისა ეშინოდა, არ დამისუნთქონო.

ბარნაბას სახლს ქვემოთ, გზის ვადაღმა პქონდა ბალი. ის ბალი სკოლის ეზოს ემიჯნებოდა.

როგორც მოვილაპარაკეთ, ისე მოვიქცეთ: მე, ჭუმბერი და გელა შუადლიისას მივედით სკოლის ეზოში და ისეთი ჟრიაშილი აეტეხეთ, მარტო ბარნაბა კი არა, მამამისიც ვარეთ გამოვახედეთ.

— როგორა ხარ? — ჰკითხა ჭუმბერმა, — რა საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევი?

— „ბიჭო გოგიას“ გადაქიდა, ბალზე არ უშვებს, მომიქამსო, — თქვა გელამ და გაიცინა.

— როგორ არ ვუშვებ, ბუდე კი არა აქვთ ზედა?

— გამოჩეკეს? — ვკითხე.
— ჯერ კრუხადა ზის.
— ნათლობა არ გამოიპარო...

ცოტა ხნის შემდეგ რაღაც მოვიმიზეზეთ და მე და გელა შინ წავედით. ვითომ შინ წავედით, ბარნაბას ხომარდულს კი მოვუთაროეთ. ვიცოდით; ბარნაბა ბაღში ეგულეობდათ თავისიანებს და აღარ ჩამოიხედავდნენ. ამიტომ ხომარდულის კენწერო გადმოვიწოდეთ, სულ გვერდდაწითლებულებს ვარჩევდით. იქავე ამოვივსეთ ფერდები, მერე

უბეები გამოვიტენეთ, გამოვჭერით იელის ღობეში და უკან დაებრუნდით. ბლომა ხომარდული რომ დინნასა ბარნაბამ, დიდად გაიხარა, ჰამას არ აცდიდა ჭუმბერს.

— სად იშოვეთ? — გვკითხა, თან ორივე ყბით ილუკებოდა.

— თბილისიდან ჩამოიტანა დედაჩემმა, — უპასუხა გელამ, — ორი ტომარა ჩამოიტანა, პირი ისე პქონდა მოკრული, ვიჯახირეთ, ვერ გავხსენით, მერე ავდექით და დანით ვავჭერით მშვენიერი საბელი.

— ნეტავ სადაურია? — დაინტერესდა ბარნაბა, — ძალიან გემრიელია, თაფლივით ჩამტკებარა.

— მაგაზე არ იკლავდა დედაჩემი თავსა, რატომ არა ვკითხეო?

— უნდა ეკითხა!
ჭუმბერმა ხომარდული ჩაკბინა და ბარნაბას შეხედა:

— თქვენს ხომარდულს არ ასხია?

— არ გვიდგა, — ისე იცრუა ბარნაბამ, სამივენი ვავშრით, — ჩვენ რომ გვედგას, ქალაქიდან ჩამოტანილ ხომარდულს გაკადრებდით?!

— აი, კაცი! — შეაქო ჭუმბერმა, — ზოგს თავაზიანობისაც არაფერა გაეგება!

სიცილი აგვიტყდა. ამ უხერხულობიდან რომ დაგველწია თავი, ჭუმბერმა წვერებიანი ანეკლოტი გაიხსენა, თან თქვა, წელან მოვეყვი ეს ანეკლოტი და ესენი ისევე იმაზე იციინანო. სასაცილო არაფერი იყო, მაგრამ ბარნაბამაც გამოიჩინა სახომარდულე კბილები.

მე და გელას ჰამას თავი აღარ გვეკონდა, ორნი კი იმდენ ხომარდულს ვერ მოერივენენ: ნახევარზე მეტი დარჩა. სულ სკოლის ეზოში ხომ არ ვიქნებოდით და, წამოვიშალეთ.

ბალახზე გაფენილ ხომარდულს დახედა გელამ და იკითხა:

— ამას რა ვუყოთ?
— ეყაროს, გიშლის რამეს? ვინმეს ღორები გამოივლიან და რამენაირად მიავნებენ. ან არადა, ბარნაბას განათლ-

ბული მამიდა ღორებს რომ გამოატარებს პატარა ეკლესიის გვერდით დასაბმელად, დინახავს და თვითონ უჩვენებს გზასა, — ვთქვი მე.

— ასე არ გამოვა, — თქვა გელამ, — ის ქალბატონი საკუთარი მასწავლებლის საფლავს ვერა ხედავს და ამ პატარა ხომარდულს დინახავს?!

— რა საფლავსო? — შუბლი შეიკრა და თავი გაიქნია ჯუმბერმა.

— პატარა ეკლესიის გვერდით როა, — უთხრა გელამ.

ბარნაბას ხმა არ ამოუღია. ჯუმბერი კი ერთ წერტილს ჩააშტერდა.

— ბარნაბამ წაიღოს შინ. წაიღე, ბარნაბ, — ურჩია ჯუმბერმა, — წაიღე, მგონი, მამაშენსა და დედაშენს ჯერაც არ უქამიათ ხომარდული.

ბარნაბა ცას ეწია. პერანგი ამოიჩეჩა, დაიკალთავა და უცებ წამოკრიფა ხილი.

წავიდა გახარებული ბარნაბა, ჩვენ კი ისევ ჩრდილში დავსხედით. ჯუმბერმა თქვა, რაღაც საქმე მაქვს, მოვილაპარაკოთო. მე და გელა იმიტომ მივჩერებოდით გასუსულები.

— თავიდან დავიწყო? — გვკითხა ჯუმბერმა.

— ბოლოდან არ აჯობებს? — თვალა ჩამიკრა გელამ.

— მე, მაგალითად, შუადან მირჩევნია.

— გიყვები ხართ! — ჩაიციხა ჯუმბერმა, მაგრამ მთლად დალაგებული ხალხიც აუტანელია! ერთი ნათესავი მყავს, ჩემხელა შვილიშვილები ახვევია, კულტურული კაცი ვარო, და თქვენობით მელაპარაკება ხოლმე. აი, ასე: „თქვენ, ამხანაგო ჯუმბერ!“ მამაჩემს ეუბნება: „ამხანაგო ლევან, რას იტყვით ამინდის გაუარესების თაობაზე!“ კიდევ: „თქვენ, ქალბატონო ნატო, — დედაჩემს ელაპარაკება, — როგორ ფიქრობთ, ჩემი შვილიშვილი თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში რომ ჩაირიცხოს ფილოსოფიის ფაკულტეტზე ისწავლის? მე რომ სანკტ-პეტერ-

ბურგის უნივერსიტეტში ვასწავლობდი...“ ასეა, კაცი ცოტა უღელხეობილი თუ არ არის, ისე მოსაწყენია. დიახ. არ დავიწყო?

— დაიწყე, — ნება დავრთე, — მაგრამ ბევრი არ ილაპარაკო.

— ჯერ ის მითხარით, თქვენზე დიდი ხომ ვარ? თქვენზე მეტი ხალათი ხომ გამიცვეთია?

— არა მგონია, — ვეუბნები, — ხალათის გაცვეთაზე გელასთან ხმა არ ამოგვღებდა. რაც ამას ხალათი გაუცვეთია, თბილისის ყველა მაღაზიაში არ იქნება იმდენი.

— სწორია. მაინც დიდი ვარ და დამიჯერეთ: ქურდობა კიკაცობა რომ იქოს, ჩვენი შშობლები ჩვენზე ჰკვიანები არიან და ვერავენ დაასწრებდათ.

— მერე, ვინ ქურდობს?! — გაიცინა გელამ.

— ჩვენ.

— ვინ ჩვენ?!

— აი, სამივენი.

— ტყუილია! — წამოვუხტი, — ცოცხალი ტყუილია! კირვალშიანთ ლადოს ბალი თუ დავუღწეოთ, ღირსიც იყო! ეგ ოხერი, ჰიან ტყემალსაც ველისციხის ბაზარზე მთარბენინებს! არადა, ქვეყანას ჰგონია, ხელგაშლილი ბერიკაციაო! ღირსი იყო... აეს ბარნაბას ხომარდულიც... აბა, ეს რა ქურდობაა?! ეგეთი დაულაგებელი ახალგაზრდა არ შეგონე, სიმართლე და პირში თქმა თუ გინდა, ეს არის, ამხანაგო!

— ამაზე, არც ვამბობ, — მოტყდა ჯუმბერი, — მე ის მაფიქრებს, ამ ცოტაცობით დაუკრეფავში არ გადავადეთ-მეთქი.

— შენ მაგაზე ნუ გეფიქრება, — უთხრა გელამ, — დაუკრეფავში არ გადავალთ, მაგრამ დღეს შიოს ვენახში კი უეპველად უნდა გადავიდეთ.

— აბა შიო? — ვეკითხები.

— თქვენეული ღელის გადასწვრივ, მოლობილში რომ აქვს ვენახი.

— იქ რა დავრჩენია?

— ბალური მარწყვი სდგმია, ამბობენ,

სულ წითლად ღუისო. უნდა გადავიდეთ შიოს ვენახში და გავიგოთ, სიმართლეა თუ სოფელმა ისევ საქოროად მოიცილა ამ გახურებული ყანის მკის დროს? ხალხის ლაპარაკს არასოდეს ავყოლივარ, მაგრამ ამისი შეუქოწმებლობა არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება.

— საყურადღებო აზრია! — წამოდგა ჯუმბერი, — ნამდვილად საყურადღებოა! თუ ახლავე არ გავარკვიეთ, გული გამისკდება ჯავრით. ავღვეთ, წავიდეთ.

ავდექით და წავედით.

შიო პაპას ვენახი ჩვენი ღელის გადასწვრივ არის, წვრილიანში. იმ ახლო-მახლო მარტო ეს ვენახია. ირგვლივ სულ ღიჰით სავსე და ეკალბარდით გატენილი ტყეა. პატარ-პატარა მინდვრებზე მარტო კრაზანა და საეზოვე ცოცხი ხარობს. აქა-იქ — სალამურა ბალახი, მაინცდამაინც გულზე რომ არ ახატია მოშობულ საქონელსაც კი. თანაც მთელი ის მიდამოები ისეთი ქვიანია, რიყე გვგონებთ. ბებიჩემმა მითხრა ერთხელ, საწყალმა შიომ მთელი თავისი გაუხარელი ახალგაზრდობა იმ ახოს გატეხასა და ქვის გატანას შეაღიაო. რაკი მარტო მისი ვენახია იმ წვრილიანსა და ეკალბარდიან მინდვრებში, ისე აქვს შემოღობილი. დელიმელას გაწუწუებული კატაც ვერ შეძრება შიგ და ვერც იმისა პატრონი გადაიხედავს ღობეზე. ძეძვის ღობეს ყოველ წელს აახლებს: დიდ-დიდ თალმებს ჩამოაცვამს ხოლმე უთხოვარის სარებს. ძეძვიც იქვე აქვს, ფუსფუსის მეტი კიდევ რა იცის: მუშაობს ასე, ნელა, მშვიდად, დაკვირვებით. კარგი პაპაა, სალამიც იცის და ზღაპარიც, მაგრამ ხომ უნდა გავარკვიოთ, ჭორია თუ სინამდვილე — იჭაურობა მართლა ბაღური მარწყვით აქვს გადაწითლებული თუ შემოდგომურა თრიმლის ფოთოლი მოაბნია ვენახის პირზე!

არავინ დაგვინახოსო, ღელე-ღელე დაუწყვეთ, ქვემოდან მოვუარეთ ვენახს. მივიპარეთ და თავდაპირველად ვენახში შესასვლელ კარს მივადექით, შიო

პაპა აქ არის თუ თავის სახლწინ, კაკალ-ქვეშ წამოგორებული და ქალღმერთისა მოსულ ლამაზ შვილიშვილს, მხნახნახს, ძმები გრიმების ზღაპარს უყვება, ჩემი მოგონილიაო.

ღობის კარს, ერთის ნაცვლად, ორი კლიტე ედო. დავინახეთ და წელში გავიშალეთ. კლიტეს ვერ გავაღებთ და კარის დამტვრევაც არ შეიძლება: კაცს უჭახი-რია და რა გულით გინდა ჩამოიღო!

ვიდექით და ერთმანეთს ვუყურებდით. აღარ ვიცოდით, რა გველონა.

— ნალდი ქაჭეთის ციხეა, — თქვა გელამ, — ეს რა კარგად მოუფიქრებია! შეხედეთ: კარის თავზე ორი ხალხა გაუდვია, მალღაც ძეძვი შეუყრია, ზევიდან არ გადააბიჯონო!

— მოდი, შინ წავიდეთ, — თქვა ჯუმბერმა.

— მეშორება, — თავი მოიქექა გელამ.

— მეც ასე ვფიქრობ, — დავეთანხმე, — ამ სიგრძე ვენახია და, არა მგონია, შედობვის დროს პატარა გასაძრომი არ დარჩა სადმე.

ვენახის ერთ მხარეს მარტო ძუძუმეყვალათი გახლართული მინდორი იყო. მეორე მხარეს — ღიჰიანი ბარდები.

— აქეთ აჯობებს დაზვერვა, — თქვა გელამ, — ამ ღიჰიანის მხარეს. შიო პაპა იფიქრებდა, ამ მხარეს დიდი გამაგრება არ უნდა ვენახს, ისედაც აკრავს ცოცხალი ღობეო.

ჩავიარეთ ღიჰის მხარეს, კანკებიც დავიკაწრეთ, ხელებიც. ხალათ-შარვლებზედაც დაგვექიდა ღიჰი, ხალხი არა ხართ, სად მიდიხართო! ნაბიჯს არ გვადგმევინებდა, მაგრამ გავჩიუტდით და დაუუსხლტით. ბოლოს მაინც სამშვიდობოს გავედით: ერთგან, კუნელი რომ ჭარბობდა ღიჰს, ნატარი შევამჩნიე, დავისარე, ვენახისაკენ გავიხედე და მაშინვე წამოვხტე:

— მოდით, ბიჭებო, ვენახში ვართ!

ბიჭები მაშინვე მოცვიდნენ.

— სად არის? — ისეა გახარებულ გელა, მარტო თვალებიღია.

დავიხარე და გავხედე:

— აგე, ვაზებიც კი ჩანს! რალაცას უვლია აქეთ, ან მეყურძნე ძალლი იქნებოდა, ან — მგელი, ანდა — მგლისფერი ტურა.

გავწლიკვდით და ფრთხილად მივძვრებით ბარდში — მშვენიერი ბილიკია! იმისი კი არ გვეშინია, ვინმე დაგვიანხავსო — ეკალმა არ დაგვეგლიჯოსო. ვენახის ღობეს მალე მივუახლოვდით. აქეთ-იქით იმდენი ბურტყელი იყო რალაცისა, ერთ ყურთბალიშს ამოავსებდა.

— გამიშვი! — გვერდზე მიმაყენა გელამ, — გამიშვი, ჯერ მე გავძვრები.

შენ რა გინდა! — ისევ გამოვიწიე, — საცალოსავით რომ წასულხარ სიგანეში, გაიქედები და, რამდენიც არ უნდა იღრიალო, ვეღარ გიშველი.

— გიო გასხლეტს, — თქვა ჯუმბერმა.

დაოთხილი მივდივარ. ერთი ტოტი იყო უშნოდ ჩამოწეული, ის შევამტვრიე, თავი გავყავი ღობიდან, გავჩერდი და ვენახში გავიხედე, მივზვერ-მოვზვერე იქაურობა. გული რომ დავიშოშმინე, თამამად გავძვერი. ჯერ ერთი ხელი გადავდგი, მერე — მეორე. ახლა ერთი ფეხი გადავდგი, მერე — მეორე და, ჩხლაც, გაიჩხაკუნა და ფეხი ამეწვა კიდეც. გამოვწიე ფეხი და არ აჩხარუნდა რალაცე! ჭაჭვის ასხმა გეგონებოდათ, ისეთი ჩხრიალი მომესმა. თან ჩხრიალებს, თან ფეხზე მიჭერს. მინდა გამოვგლიჯო ფეხი, მაგრამ ვერ მოვართვეს; რომ მიდიხარ, სად მიდიხარ, იმას აღარ კითხულობ, გიშვებ თუ არაო? შეშინებულმა მივიხედე უკან და გული გამისკდა: მგლის ხაფანგში არ გავებმულვარ?! — რა ჩხრიალებს მანდ! — მეძახის გელა.

— მალე, ბიჭებო, თორემ მომაჭამა ფეხი, ამ ოხერმა!

ფაცხაფუცხით მოვარდა გელა:

— რა დაგემართა?! — აი, მგლის ხაფანგში გავები?! ვაიმე! — რგოლებს ვაწეები, მაგრამ არაფერი გამოდის — მარწუხი უფრო მიჭერს.

ჯუმბერიც მოვიდა, აქეთ-იქიდან და

აწენენ ორივენი და, როგორც იქნა, გამოთავისუფლეს ფეხი. ჭირისნეული მოვიწმინდე და დავიხედე ჭაჭვის ხეობა წითელი ზოლი დამდევს. მეწვის ფეხი. წამოვდექი და გავიარ-გამოვიარე, პირველად მეშინოდა, ვაითუ, ვეღარ გავიარო-მეთქი. გავიარ-გამოვიარე და გამელიმა სიხარულით: ფეხი მეწვოდა ისევე, ერთ ტივილსაც ვგრძნობდი, მაგრამ ეგეც არაფერი, მშვიდობით გადავჩაიბი.

ხაფანგის კაუჭი შეინდარწლის კუნძისა ჰქონდა მოდებული, გელამ ახსნა.


— მე ამისი პატრონი რა ვთქვა! — მოქნევა დააპირა, ბარდებში უნდა გადავგლო.

— მოიცა! — შევაჩერე, — არ გადავგლო, მჭირდება.

— ამოდენა ხაფანგი ვერ დაინახე?! — ელიმებოდა ჯუმბერს.

— რა უნდა დამენახა, აი, — გამქცნარი ფოთოლი ფეხით მიხვეტე ღობისაკენ, — აი, ეს ფოთოლი ეყარა ზედ! შიო პაპას ვერ უყურებ, ცოტა მიწაც მოუთხრია და სანახევროდ შიგ ჩაუსვამს ხაფანგი. კიდეც კარგი, ბიჭებო, მარტო-კა არ წამოვდი, თორემ მტრისას, მე რომ დღე დამადგებოდა.

ხაფანგი იქვე დავტოვეთ. შიო პაპას გადაქავეებული მამულის დათვალიერებას შევუდგეთო. არაო, ჯერ ქოხში ქუქურტანიდან შევიხედეთო — ნეტავ შინ რალა აქეს ამ დლოცვილს: თოხებო, ბარო, წერაქეო, თეფშებო, ქვაბები; ორი თუ სამი ხალათ-შარვალი, მშვენიერი მაგიდა, დაბალი სკამი, კოკურა, ნიტრა... ამდენი რამე ზოგიერთი კაცის ოჯახშიც არ შეგულება. ამისთანა მოვლილი, დარაკრაკებული ვენახი ბევრი არ შეგულეება; ვენახის გვერდზე, თავსა და ბოლოში ნაირ-ნაირი ხეხილი შრიალებს. ამდენი ატამი არავის ედგმება ჩვენს სოფელში. ისე ესხა, ტოტები რომ არ ჩამომტვრეოდა, ორკამა ჭიგოები და სარები შეედგა ალაგ-ალაგ, ზოგი კიდეც მავთულებით მიება ერთმანეთზე. მავთულს რომ არ ჩაეჭრა ტოტები, ძველი ფეხსაც-



მელები ენა და მანქანის საბურავის ნაჭრები დაეყოლებინა. აქ სარგბსაც ეტყობოდა კაი კაცის ხელი, მოსიყვარულე, გამრჩე კაცის ხელი. ვენახსაც თითქოს დაეთასებინა სიკეთე — ისე დატკეფილიყო — ღმერთო, ლხინში მოახმარე მისი წვენი ამ მოთამაშებულ ბერიკაცს — ისე დატკეფილიყო ვენახი, გეგონება, გიდებლით მიაყარესო. ლობიო შემრეშილი იყო უკვე, კიდევ სამიოდე ამისთანა გვალვიანი დღე და გამოსაბარდიც იქნებოდა.

ისე ვიყავით მოხიბლული ამ მშვენიერი ვენახით და ბოსტან-ბაღჩით, ხმა არც ერთს არ ამოგვიღია. ერთიც ვადავხედდეთ ვენახს და თამრო მსხლის ჩრდილში დავსხედით. ცოტა შევიქაქანოთო.

ლობის ძირში, ქობთან, თივის ბუდე დავინახე, ზედ დაეწვიმა და მთლად ჩაშვებულყო. ასეთ ბალახს საქონელი პირს არ აკარებს, სახედარიც კი უკადრისობს. მარტო თონის ჩასაკიდებლად გამოიყენებს ხოლმე ნაღდი ოჯახიშვილი, ისიც ზამთარში სიმშრალეში თუ შეინახა. ამ ბუდელის დანახვამ რაღაცა გამახსენა და ჩემთვის ჩამელიმა.

— წადი, შენ ხაფანგი მოიტანე, — ვუბნებდი გელას, — ისეთმა რამემ გამკრა გოგრაში, სიცილით მუცლები უნდა აგატყოთ. გელა მაშინვე გაიქცა. მეც წამოვდექი, ავიღლიავე ბუდელი და ვენახში შემოსასვლელ კართან დავყარეთვალით მოვზომე. საღ შეიძლებოდა ხაფანგის დაგება — მე ის მიანტერესებდა, შიო პაპა როგორ ვაღმოაღვამდა ნაბიჯკარის ვალების შექმნა.

— მომეხმარეთ, ბიჭებო, ხაფანგი შევაცუნოთ.

აღრეც შენახა ამისთანა ხაფანგი და დაგებაც ვიკოდი. ბიჭებმა რომ დაინახეს, სადაც ვაპირებდი ხაფანგის ჩასაფრებას, ყველაფერს ადვილად მიხვდნენ და ტაში დასცხეს, რა ოინი იქნებოდა.

ხაფანგი მალე დაუვგეთ და ისევ ჩრდილში დავსხედით.

— როდემდე უნდა ველოდოთ, რა იცი, დღეს ჩამოვა? — მკითხნენ ჩემი ბიჭები.

— როგორ არ ჩამოვა, — უთხრა გელამ, — აგე, ბალახი მოუტანია საიდანაც, გუშინდელი მოთიბულია და გადაბრუნება უნდა. მოშუადღევდება და გამოცხადდება ვენახში, დაბარებულევით გამოცხადდება. ქონება აქა აქვს და იმ ერთი ციკქნა ეზოში რა გააჩერებს, მგონი სული ეხუთება.

შეე რომ გადაიხარა, ვენახის ბოლოში გავედით, ატამს შევეფარეთ, იქიდან კარგად მოჩანდა ვენახის კარი და ჩვენც დავუწყეთ თვალთვალი. ველოდეთ და, ჩვენისთანა უყისმათონი ხომ აღარ იქნებიან ამ მარწყვითა და ხომარდულით საესე ქვეყანაზე! — არ გამოჩნდა შიო პაპა! ოღონდ კარგად ჰყავდეს ლამაზი ქალაქელი შვილიშვილი და თუნდაც ხვალაც ნუ ჩამობრძანდება ვენახში!

— მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, შიმშილით მოვკვდი კაცო, შინ უნდა წავიდე! — დაიღრიჯა ჯუშბერი.

— ჩვენცა გვშია, მაგრამ ხომ ხედავფხს არ ვიცვლით. დაჯექი, ჩემი ძმა არა ხარ? — უთხრა გელამ. — თუ გინდა, ხვალაც არ იშინებო, ცოტაც მოიცადე, სადაცაა გამოჩნდება. ეს ერთი ბებერი მგელია დაიძურწება სოფლის ბოლოსა და ბარემ ესეც გავაბათ, ტყავი ორმოცდაათი მანეთი ღირსცხვარი ორმოცი მანეთი და მგელი ორმოცდაათი! ამ ბლომა ფულის გულისათვის, ისე გააქრეს მგელი, წამლად ვერსად იშოვი! უმგლოდაც არ ვარგა ქვეყანაო.

— ეგ ვინ გასწავლა? — მიუბრუნდა ჯუშბერი.

— ეგე, გიოს ბიძამ თქვა, გურამმა.

— მართლა, გიო?

— ვერ ატყობ, მიედ-მოედება!

— ეხლავე ცარიელი თავი აქვს და რომ გაიზრდება და თავიც გაეზრდება, შენ მაშინა ნახავ სიცარიელეს.

ვილაცამ ჩაახველა. მიწას გავეკარით და ვენახის კარს გავყურებთ. კარიც მალე გატოკდა და გაიღო: შიო პაპა

შემოიკაცა. ზედ კართან დაყრილი, ჩაშავებული ბალახი რომ დაინახა, ეტყოდა არ ესიაშოვნა, შეჩერდა და დააქქერდა. მერე ფეხი გაუსვა მიწას, ალბათ, იფიქრა, ერთ მხარეს მივხვეტავო, და ხაფანგმა არ დაიჩხაკუნა?! ხაფანგის დაჩხაკუნება და შიო პაპას ჩიფჩიფი ერთი იყო — ბებრულად იცინოდა, თან ხაფანგს დაჩერებოდა.

— რა ეშმაკი ბალები არიან, ეს არდასაზრდელები! რას აღარ მოიგონებენ!

დაიხარა პაპა და რგოლებს დააწვა. დააწვა, მაგრამ ძერა ვერ უყო, დაბლა ვერ დასწია. რაკი წამოიმართა, ქოხწინ სკამად თთხუთხა ქვა რომ ეგდო, იქით წახზრიალდა.

წამოვდექი და გელაც წამოდგა. შიო პაპამ, ვიდრე დაგვიჩხაკუნებდა, მანამდე ცქვიტა ყური ბერიკაცია, მაგრამ კურდღელი ვერ აჯობებს, ფაჩუნს ვერ გამოაპარებ. დაგვიჩხაკუნა და გვიცნო კიდევაც:

— თქვე პირქვედასამარხებო თქვენს! თქვენ ოხტშიაც ამოვალ, მაიცა ჯერ, ფეხი გადავირჩინო!

— აბა, ჩვენ რო დაგვიგე, რა გეგონა! — ნიშნის მოგებით უთხრა გელამ, — კაცისთვის ცუდს რომ მოიწადინებ, არ იცო, იქით მოგიბრუნდება?! ძან გაწუხებს?

— არ მაიყარეთ ჩემი სწორი თუ არ ამიშვათ!

ჯუმბერი მამინვე მივიდა, მეც მივედი, გელაც და გავუთავისუფლეთ ფეხი. გელამ ხაფანგი ქოხს უკან მიაგდო, შეეშინდა, თავზე არ დაგვათხლიშოსო.

— ჩამოსხედით ერთი, — გვითხრა პაპამ, — ეს ბიჭი ვილასია? — ჯუმბერზე გვიკითხა.

— თედოს შვილიშვილია! — უთხრა გელამ და გვერდით მიუჭდა, — ნასწავლი კაცია.

— პაპა არა ჰყავს ხელმრუდე და ამას რაღა ჩემი გამჩენი გასწყრომი?

— სხვა ვინღა ქურდობს! — პირში ვეცი.

— არა, ქურდობთ კი არა, შომავე-

ბი ხართ, ის შომავეები, ყოველ ვაზაფხულზე გულს რო მიჭამენ! ღობეებში რომ მიძვრებიან და შვინდარწლასს, მჭექსა და ასკილს ვენახად რო მითელიან! მა ვინა ხართ, შვილო, მითხარით, რა გინდათ სხვისა ვენახში, ისიც დაკეტილ ვენახში!

— შენ რაღათა კეტავ ვენახს! — უთხრა გელამ, — შენ თუ მართლა კიი კაცი ხარ! ჯერ აქ მოსაპარს ვერაფერსა ვხედავ და მართლა რომ თვალგასახარი გაჩნდება რამე, მაშინ ხომ ორლულიანი თოფით დამიხვდები! რათა კეტავ ცარიელ ვენახს?

— საქონელი გამოიხრებებს, რეგვენო!

— დავიჯერო, მარტო საქონლისა გეშინია?!

— საქონლისა და შენი! — ქოხის კარს დაუწყო წვალემა, — შენიც მეშინია და ეგე, გიორგასიც!

— ჯუმბერასი არ გეშინია?

— არა.

გააღო ქოხი პაპამ და წყალი გამოიტანა კოკით:

— თუ გინდათ დალიეთ, ოროდან ამოვიღე, ჩაციებულაია! ჰო, დალიეთ! მოგწყურდებოდათ, ვინ იცის, მთელი ეს ამოდენა დღე მელოდეთ. მცოდნოდა მაინც, აღრე წამოვიდოდი. მგონი, ნაწილი არ ჩავსვლიათ პირში! საქმელი არ წამომიღია. რა გიყოთ?

— რას გვიპირებ? — ჰკითხა გელამ

პაპას არაფერი უთქვამს, კოკა მოიყუდა, დალია წყალი, მერე ის კოკა ქოხში შეიტანა, კარი გამოიხურა, ისევ ქვაზე დაჭდა, წელზე მოიჭირა ხელი:

— ვაი, ვაი, ვაი! — საცოდავად აკენესდა

გუნება მომეშხამა. ჯუმბერს მივხედე — ფერი წასვლოდა. აღარც გელა იყო კარგ დღეში.

— რას გვიპირებ? — არ მოეშვა გელა.

— რა უნდა დაგიპიროთ რა, სამილიციოდ ხომ არ გაგიმეტებთ, ისევ ავადგები და მამაშენს ვეტყვი, გიოს მამასაც.

— თუ ჩემი სიკეთე გინდა, შიო პა-

პავ, მილიციაში მიჩვილე! — შეეხებე-
წე.

— ეტყვი მამაჩემსა და ჯარში წავალ,
დღესვე წავალ ჯარში! — დაემუქრა
გელა.

— ჯარში რა გინდა, ბიჭო?

— შენს ბიჭებს რაღა უნდოდათ ჯა-
რში, მოხალისედ რომ წავიდნენ? ეტ-
ყვი მამაჩემსა და მეც მოხალისედ წა-
ვალ!

— მე არ წამოიყვან?—ცკითხე გელას.

— უშენოდ შიო პაპას ვენახში არ
წამოვსულვარ და, მამ, ჯარში წავალ?!

შიო პაპა ჩაფიქრდა. მთელი ამ ლაპა-
რაკის დროს ჯუმბერს ხმა არ ამოუღია,
ოდნავადაც არ შეტოვებულა იჭდა და
შიო პაპას მისჩერებოდა, თან ჯოხი
ეჭირა ხელში და მიწას ჩიჩქნიდა. შიო
პაპა იმ ჯოხს დააკვირდა, დიდხანს უყ-
ურა და ბოლოს ასწია თავი:

— წადით, შეილებო, თქვენ მაგისი
ნუ გეშინიათ, არავის არაფერს ვეტყვი!
დაიზარდენით და გამრავლდით!.. ღმერ-
თმა ჩემი სწორი მოგყაროთ და მერმე
არა უშავს, ხაფანგში რო გაგაბან თქვე-
ნცა...

წამოვედით ჩაფიქრებულები. განსა-
კუთრებით ჯუმბერი დადგა უგემურ
გუნებაზე:

— ხაფანგში გაბმალა უნდოდა, ძვალ-
ტყავია ცარიელი, ძლივსღა დაიკაცებდა!

— ცუდად მოვიქეცი, რომ გაიგოს
მამაჩემმა, ცოცხალს არ გამოიშვებს. არც
მაგისი ბიჭი დამაყრის ხეირს. შენ რა-
ღა მოგივიდა, ჯარში წასვლა მაინც რამ
გაგახსენა?! — მიეუბრუნდი გელას.

— ორი ბიჭი დაკარგა ომში, თურმე
ორივენი მოხალისეებად წავიდნენ.

— მართალს ამბობ?! — ჰკითხა ჯუმ-
ბერმა.

— მამაჩემისაგან ვიცი.

— არ გამოგივიდა კაიკაცობა! ეგ არ
უნდა გეთქვა! — შეწუხდა ჯუმბერი.

პახსენება მორა

მამაჩემი სამუშაოდან ყოველთვის
გვიან ბრუნდებოდა შინ. ისე იყო ხოლ-
მე დალილილი ჩაის რომ სვამდა, კინა-
3. „მნათობი“, № 1.

ლამ ეძინებოდა. ერთ ღამესაც ბებია
სახარებას მიკითხავდა, დედაჩემი ხმას
აღარ მცემდა, რაც მანერვიულე, ისიც
მეყო. ჩემი დაიყო კი სოხუმში
იყო წასული დასასვენებლად და წერი-
ლებით მესაყვედურებოდა იქიდან. მი-
ხო მანგლისში ბრძანდებოდა და აღ-
ბათ იმდენი საჩხირკედლოო საქმე გა-
იჩინა, წერილის წერად ვერ დაჯღე-
ბოდა. ასე რომ მე ჩამაგდეს ამათ ხე-
ლში. მართალია, მამაჩემს სალაპარა-
კოდ არ ეცალა, მაგრამ დამაფასა და
დრო მაინც გამონახა:

— წანწალი არ მოგბეზრდა? — მკი-
თხა და ჩაი დაისხა ფინჯანში.

— რა მომაწყენს, ვერთობი.

— უსაქმურობა დიდი ვერაფერი გა-
სართობი მგონია. შენ რას იტყვი? —
მომაჩერდა.

— შეიძლება.

— მე რომ ხუმრობის გუნებაზე არა
ვარ? თუმცა, ამაზე სხვა დროს ვილა-
პარაკოთ. ახლა შენთან სულ სხვა საქ-
მე მაქვს: ყანა რა ხანია გაიჭრა, შენ
და გელა რომ წამოხვიდეთ და ჯუმბე-
რიც წამოიყვანოთ, არაფერი დაშვე-
დება. სათქვენო საქმეც მოინახება.
წელან ბებიაშენი რომ გეუბნებოდა,
წვიმებია მოსალოდნელით, როგორა
გგონია, პაერზე თქვა? დილით ადრე
აიწიე ლოგინიდან, მოელაპარავე ბი-
ჭებს და ხელი წამოგვაშველეთ. გაიგე,
რასაც გეუბნები?

— გავიგე. რატომაც არ წამოვალთ!

— კინოს ფული მაინც შეგხვდებათ,
მუქთად არავინ გამუშავებთ.

— ადრე რომ მოგეფიქრებინა, ფულს
ვინ დაეტებს, ნერვები დაგვიწყნარდე-
ბოდა, — უთხრა დედაჩემმა.

— სად მიგყავს, შვილო?! — ბებია
ყური მოჰკრა საუბარს და აყვირდა, —
ჯერ ძვალი არ გამაგრებია, სად მიქა-
ჩები ბალსა?

— გუთნში არავენ აბამს, რასაც ამ-
ის ტოლები აკეთებენ, ჩვენც იმ საქმე-
ზე მივავდებთ...

მეორე დილით ჯუმბერიცა და გე-
ლაც დაეფეთე. ორივენი სიხარულით



წამოფრინდნენ. დაესხედით მანქანაზე და ალაზანზე გამოვცხადდით. კოლეგტივის თავმჯდომარე ვალიკო ძია ღიმილით შეგვხვდა. მერე მამაჩემს მოეთათბირა და საქმეზე დაგვაყენეს: ფიწლები მოგვაჩემეს ხელში, კომბაინი ნამჯას რომ ისვრის, ის ნამჯა დაუდეთ მანქანაზეო. მერე, როცა დაგცხებათ, აგერ, ალაზანი, გადაცვივდით წყალში და თავი კი არ დაიხრჩოთ იბანავეთო.

ცხელა. კრიკინებიც ჩრდილს ეტანებიან, ჩვენ კი მზის გულში ვდგავართ და ფიწლებს ვატრიალებთ. გელა მალა ახტა მანქანაზე, ნამჯას მე და ჯუმბერი ვაწვდით. იმდენს არ ვაწვდით, რამდენიც თავზე გვეყრება. ოფლში ვცურავთ. მთელი ალაზანი ნამჯისა და ზორბლის სასიამოვნო სურნელით გაჟღენთილა. ეს სურნელი გახუნებულ თონეს, საფანელიან ვარცლს, თუშურ ყველსა და შოთებს გვახსენებს. მკლავზე რომ გადაიხვევ და არ გადატყდება. ლამის მგლებად ვიქცეთ: მოგვაწყდება შიშხილი და ფიწალს გვიტრიალებს გულ-მუცელში. წყლის სმითაც ეგრა ვძლებით. თავს რომ მოვუბამთ მანქანას; გელა დაბლა ჩამოდის და შოფერი ადის მალა, შე დაეძეკავ და თოქსაც მე გადავუქირებო. წავა მანქანა და ახლა ზვინებში ვხტებით თავით, ერთმანეთს ვაყრით ნამჯას. ვიდრე სხვა მანქანა მოვა, გრილში შეფარებასაც არა ვფიქრობთ, ალაყ-მალაყის ხასიათზე ვართ! ისიც სათქმელია, რომ ეს ღამთხვეული შოფერები ერთმანეთს ეჭიბრებიან და, როცა გგონია, ბოლო მანქანა ჯერ ფერმასთან მისულიც არ იქნებაო. ის მოჭაყაყადება უწინ?! კიდევ კარგი, მარტო ჩვენ არა ვართ ამ საქმეზე გამოყოფილნი, თორემ რა ხელები და ღონე აუვიდოდა ამდენი მანქანის დატვირთვას?! ასე ვიწმუშავეთ რამდენიმე დღეს, წვიმებს შემინებულნი ველოდით მაგრამ საქმეში ხარ, ჯიბრზე ისე ჩამოინთო, კინაღამ ცეცხლი წაუვიდა გაფიცებულ ნამჯას.

ღამე ავდივართ სოფელში სხვებისა არ ვიცი, მე კი ისე ვარ დაღლილი, მამაჩე-

მისა არ იყოს, ჩაის დალევს თავი აღარა მაქვს.

ღილით ირიერავენ და ისევე ალაზანზე გავრბივართ, მალე ავიღოთ ნამჯა, ტრაქტორები არ მოგვიცდნენო. თან ნამჯა გაგვაქვს, თან ნაყანობს ტრაქტორები ხნავენ.

შუადღისას ალაზნისაკენ გავრბივართ. ფიწლის ტრიალი ისე როგორ დაგვლის, რასაც ბანაობა გეშვრება. ზაფხულზე ისე ცოტავდება, ისე მიიღევა ხოლმე ალაზანი, ჰალისაკენ რომ მიტრიალდები და ხეების ჩრდილში შეერევა, გგონია, იქიდან ველარ გააღწევსო. უარესიც რომ დაემართოს, რა გასაკვირია: არხში უშვებენ მთელ წყალს. მოკლედ, დედას შვილს აღარ უტოვებენ. და მაინც ერთ ადგილას ღრმა წყალს მივგვინთ: ნელა უხვევს ალაზანი, ისე გუბდება, გვეგონება, ეზარება და აღარ მიდისო. სწორედ იმ მოხვეულს წნორები ახვევია, ბებერი წნორები. ერთი წნორი განსაკუთრებით ღამისადღვას. ავდივართ იმ წნორზე, მოვექცევით კენწეროზე და თავით ვეშვებით წყალში.

ჩვენი მუშაობის ბოლო დღეს კაი გრძელი დასვენება გამოგვივიდა მივედით საველე საწყობში და საველე სამკობველოს ვეცით მაშინვე, ცოტა ხნის შემდეგ უშანგა შოფერი მოვადა. უშანგა ჩემი შორეული ნათესავია. პართლია, ორჯერ ჩემზე დიდია, მაგრამ მაინც ვძმავაცობთ.

შოფრის კვლობაზე ენაკვიმატია უშანგა. აილო გაზეთი და საველე საწყობის ყარაულს გადახედა. საველე საწყობის ყარაული შარშან ოფლში გაწურეს, ორიოდე კილო დარკვეული ხორბალი ჩაეყარა პურის ჩანთაში და ისე დაუქირეს ხელში, მაგრამ აბატიც.

აილო გაზეთი უშანგმა, გადახედა საწყობის ყარაულს გიგოლა ხარაძეს და ხმამალა, ყველას გასაგონად დაიწყო:

— პარიზი. 27 ივლისი. საყდესის კორესპონდენტი. როგორც რეიტერი სააგენტოს სპეციალური კორესპონდენ-

ტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, ზარაკანას სტადიონზე, გასახდელში, თამაშის შემდეგ პელეს უთქვამს: მეოცე საუკუნის უბედურებად კიდევ ის მიმჩნია, რომ ვიგოლა ხარატეს, რომელსაც წამაჩემი ყარსის ჩხუბში გაეცნო, ქურდობა დაუწყიაო.

ისეთი ღრიანცელი ატყდა, ზარბაზნის გასროლასაც ვერ გაიგონებდით. უშანგა კი მოწმენდილი ზის, მხრებს იჩეჩს, თვალებს ბლუტავს და ტუჩებსაც წრუბავს, ნეტავ რა აცინებს ამ ხალხს, რამ გადარიაო.

მერე ფეხზე დგება, წელში იმართება თავს უკან აგდებს, კისერს იღრეცს: ყველა მე მიყურებს, რა ვქნა, შარვალი ხომ არ გამომეხაო. ხედავს, რიგზეა ყველაფერი, ისევ გაოცებული ჯდება და გაზეთის წასაკითხად რომ ალებს პირს, გიგოლას ხმაც ესმის.

— ყველა ყველაფერს იპარაშს და ამ ორი მუჟა ხორბლისთვის ქვეყანა არ შემოიყარეს?! —

— შენ ეგა თქვი! — იხრჩობა მამაჩემი.

— საიდან სად გაუგიათ, ჰა?! ყარსის ჩხუბში ბევრი ძმაკაცი მყავდა ნამდვილად ნეტავი რომლის ყმაწვილმა წამოაყრანტალა?! იქამდის ვილა მიაწვდინა ხმა, ჰა?!

— ეგეც აქა სწერია, — ამბობს უშანგა და განაგრძობს, — ეს საიდუმლო, რაიონულ გაზეთში რომ მუშაობს ქვემოხოდაშენელი ბიჭი, იმას უთქვამს საიდუმლოდ გურჯაანელ ფოტორეპორტიორ ვანო შადინაშვილისათვის. სხვათაშორის, ვანო შადინაშვილი, თავისი ხელობის გარდა, კიდევ იმით არის ცნობილი, რომა საიდუმლოს შენახვა იცის. მაგრამა რომელიღაც მეურნეობის რთველში წამოსცდენია შარშან და ქვეყნიერებასაც იჭიდან მოედო! სამწუხაროა! — მშვიდად ამბობს უშანგა და გაზეთსა კეცავს, — მე ისა მწყინს, გიგოლა პაპავ, რომ ჩვენებური კაცი ბრძანდებოდა და შენი ჩადენილი გაუგებრობა, შენს გარდა, ჩვენც ლაფს ვეასხამს!

— ამის შემდეგ როგორ მოვიქცეთ? — ეკითხება სიცილით დაოსებულმა ვმჯდომარე.

— სულ ადვილი რამეა, — ეუბნება უშანგა, — აი, რა უნდა გავაკეთოთ: ყველა ყარაულს ყარაული უნდა დაეუნიშნოთ თქვენი, ამხანაგო ვალერიან თქვენი, ესე იგი, თავმჯდომარის სახით. თუ პირიქით მოვიქცევით, არც ამით დაშავდება რამე. რამე დაშავდება კი არა, მე ნამდვილად უკეთესიც მგონია!

თავმჯდომარეს ისე უყვარს უშანგა, უარესიც რომ უთხრას, შუბლს არ შეიკრავს. †

— ცოტა მეტი ხომ არ მოგივიდა? — მართო ეს უთხრა.

ყანის მკა დამთავრდა. საქმეს რომ მოერჩით, გული დაგეწყდა სამივეს. რამდენსა ვნატრობდით, ნეტავ ერთ კვირას კიდევ გაგრძელდეს ალოობაო ამას ჩვენა ვნატრობდით, ახლა კოლექტივის თავმჯდომარისათვის გეკითხათ? კაცი სიხარულით სკამზე ველარ ჯდებოდა, ერთი კვირით ადრე ავიღე მოსავალი და ამით მთელს რაიონში ყველაზე წინ გადავიწიეო.

დამთავრდა სიცილით, ოფლით ქუყმ პალაობით, სიცილით, კომბაინის ხმაურით, ტრაქტორის გუთანზე გამოხმული მტერის კორიანტელითადაც ივი წყლის წყურვილით სავსე ალოობა. დამთავრდა, მაგრამ ხორბლისა და ნამჭის სურნელით ისევ გაქლენთილი იყო მთელი ის მომდევნო დღეები.

მარიამობისთვე

— მარიამ ძალო! — გელას დედას ვეძახს.

ჩვენს სოფელში ვისაც მარიამი ჰქვია, ყველას მაროს ეძახიან, მართო პასპორტში უწერიათ მარიამი. მაგრამ გელას დედა მასწავლებელია და მარო რომ დაუძახო, შუბლს შეიკრავს.

გელას დედას დაუძახებ და დელიმელამ კი გამომხედა თავისი სახლიდან:

— რა გინდა, ვერან?

— შენ ვინ დაგიძახა?!

— მე შეგონა, მე დამიძახე!

— საიდან უნდა გგონებოდა, დედ-მელა გქვია დიდი ბოდინში, გიორგი გქვია, გელას დედას კი — მარიამი!

— კარგი, პო, რა ალაზნანზე ჩამაცი-ლე! — შეტრიალდა.

— მარიამ ძალო! — ისევ დაეუძახე. ახლა კი გაიგონა:

— რა ამბავია?

— გელა შინ არი?

— შინ გახლავს. ერთი ეს მიბრძანე, ყმაწვილო, იმას ვერ დაუძახე?

— ვიცოდი, შუა ძილში იქნებოდა და გაღვიძებისა მომეროდა.

მარიამს გაეღინა. ამ დროს გელა თვალების ფშვენტით გამოაჯივრდა აივანზე, გრძელი პერანგი ეცვა. დედა-მისი პირსაბანთან იღვა. გელამ ვერ დაინახა, თვალების ფშვენტითა და მთქნარებით იყო გართული, ხეირიანად ვერც მე მხედავდა და არ წამორო-შა?

— თოფი აქ არის, მაგრამ ვაზნებს ვერ მივაგენი!

— რას მიედ-მოედები, არ შესის?! — გავიოცე განგებ, იქნებ მივახედრო, დედამისი რომ გვისმენს-მეთქი.

—, რას მივედ-მოვედები და, აქაუ-რობა გადავატრიალე გუშინ, ქვევრებ-საც კი გადავხადე, მაგრამ... ვერ ვიპო-ვე!

კიდევ ვაპირებდი ხმის ამოღებას, ვინ მაცალა:

— თქვე მაწანწალებო! — იყვირა მა-რიამმა, — ახლა ნადირობა არ მომინ-დომეს ვახვანიშვილის სიძესავით! ჭერ მოვიდეს მაშაშენი! — დაემუქრა გე-ლას, მერე უცებ ისეთი სილაქი გასც-ხო, დელიმელა გამოახედა ფანჯრიდან. გელა ოთახში კი არ შეტრიალდა, კიბე-ზე ჩამოეშვა. მივრბივარ და მომდევეს.

— სად მიდიხარ, ბიჭო! — უყვი-რის დედამისი და იატაკის საწმენდი ჭოხით მორბის კიბეზე. — სირცხვი-ლია, ბიჭო, ტანტარა სად გარბიხარ, მეზობლობა რას იტყვის! მობრუნდი, შე სანაცილე!

გელამ უკან არ მიიხედა.

— ესლა რაღა ვქნათ? — მოთხრა მან და ტრუსში ჩაიტანა პერანგი. ტრუსში ჩაიტანა, მაგრამ პერანგის კალთებმა ტოტიდან გამოყვეს ბოლოები, — ჯუ-ბერას რა პირითლა შევხედო, სანადი-როდ რომ ვერ წავედით?

— ჯუმბერა განათლებული კაცია, შევა ჩვენს მღვთმარეობაში.

ყორეზე ჩამოვსხედით და ვფიქ-რობთ: სანადიროდ ვერ წავედით, ჯუ-ბერთან თავი რომ მოგვეჭრა, ამასაც ავიტანო როგორმე, მაგრამ შინ მისვლა არ გინდა?

— წადი შენი შარვალი წამომიღე, — მეუბნება გელა.

— ჩემი შარვალი შენ რაში გამოგა-დგება?

— არც იგრე ხარ გალეული!

— მოგიტან, მაგრამ შენც ხომ იცი, ვერ ჩაეტევი? მიდი, დედაშენს შერი-გებაზე მოელაპარაკე, მე გზიდან მო-ვუვლი, გადავძვრები ფანჯარაში და შენს შარვალს მოვიპარავ.

— გენაცვალე სულში, ცარიელი თა-ვი ხარ! მიდი, აიწიე, ცოტა ჩქარა! ფე-ხსაცმელი არ დაგაიწყდეს, ან ოთახში ეყრება, ან საწოლქვეშ, ან აივანზე — პირსაბანთან.

— ან მარანში რომ იყოს, ან სხენ-ზე, მაშინ როგორ მოვიქცე?

— მღვთმარეობის მიხედვით იმოქ-მედე, სრულ უფლებას გაძლე, — მი-თხრა ღმილით და აივნის მოაჯირზე დაყრდნობილ დედას დაუძახა:

— რომ მოგიახლოვდე, წყალს არ გადმომასხამ?

მარიამს გაეღინა:

— იცი, რომ წყალზე შენი წასვლის დროა და მიიტომ ამბობ, არა?

— ეგ არც მიფიქრია, ჭურჭელი ეზ-ოში ჩამოიტა და შენ ისევ მალა ადი. მე რომ წყალს მოგიტან, შენ აივანზე უნდა დამხედე-სხვაგან არსად წახვი-დე, თორემ ძალიან მეწყინება!

ამასობაში გზაზედაც გავედი, სახლის კედელზედაც ავცოცი და ღია ფან-ჯრიდან ოთახშიც გადავძვერი. შარვალი-ხალათს მაშინვე მივაგენი, საწოლის

თავზე იყო გადაკიდებული, მაგრამ ფეხსაცმლის პოვნას საშველი არ დადგა. აივანხედაც გამოეყავი თავი—არც იქ იყო! ვაჰ! სად იქნება?! ოთახში შევბრუნდი ისევ. ასჯერ საწოლქვეშ შევიხედე, ასჯერ — მაგიდის ქვეშ; ფეხსაცმელს რა უნდოდა ლოგინში. მაგრამ იქაც ვნახე — საბანი აფწიე. პერე არ ვიპოვე? სკამზე ელაგა!

ფანჯრიდან რომ გადავხედი მაშინ დამინახა გელას დედა:

— ეს რა პირქვედასამარხია!

თავაწივლი, გაჭიმული ნაბიჯით მივდივარ. ერთ ხელზე შარვალ-ხალათი მაქვს გადაკიდებული, მეორე ხელში ფეხსაცმელი მიჭირავს და მივებოტებ მტკრიან შარახზე. გელას დედა ფანჯარაზე გადმოეყუდა, სიცილით მეუბნება:

— შორს არსად წახვიდეთ.

გაგჩერდი:

— საითაც გელა წავა, საკუთარი სახლიდან გაძევებული გელა, ჩემი გზაც იქით არის, მარიამ ძალო.

გელამ კიშკარი გამოაღო, ისიც გზაზე გამოვიდა.

— შორს რა გვინდა, გიგო ინსპექტორი უნდა ვნახოთ.

— გიგო ვინ არის? — ჰკითხა დედამ.

— მილიციის ინსპექტორი. რჩევას ვკითხვავ გაყრაზე:

— რას ჩერჩვებო, ბიჭო?!

— უნდა გავიყაროთ. გავიტან ჩემს წილს და გიოსთან გადავბარგდები.

— მაგასაც რომ გამოაპანლურებენ სახლიდან, მერე სად გადაბარგდები?

მე და გელამ ერთმანეთს შევხედეთ ბოლოს მე ვთქვი.

— ჯერ ამ საქმეს მოვათავებთ და მერე ვიფიქრებთ მაგაზე.

შევტრიალდით და მივდივართ. სკოლის ბაღში გადასვლას ვაპირებთ, გელა იქ ჩაიცვამს ტანსაცმელს.

— შვიგრებმა არ იაროთ! — დაგვადევნა მარიამმა.

თედო პაპას სახლის აივანზე ვისხედით და თავს ვაჭნევდით სინანულით.

ჯუმბერს ძალიან ეწყინა, სანადიროდ წასვლა რომ გადაიღო. გელა კი დალოდნელი დაბრკოლების ამბავს, დაწვრილებით მოუყუვა ჯუმბერი დაფიქრდა, მართლაც, სად უნდა დაემაღლათ ვაზნები და სავაზნე? გელამ ის თქვა, ჯუმბერმა — ეს, მე ესეცა ვთქვი და ისიც, მაგრამ არაფერი გამოვიდა — გელას ისე გადაეჩხრიკა იქაურობა, სქელი წიგნებიც არ დაეტოვებინა.

— ვაზნები სად დამალეს, ეს კი არ მაინტერესებს, სულ ერთია, დღეს მაინც ვიპოვი. მე ის მაინტერესებს, ხალხი დავებრლით და თოფს არ გვანდობენ. აკი მამაჩემი მეუბნება ხოლმე, შენხელა რომ ვიყავი თოფიცა მჭონდა და ხანჭალიცაო. არც ხანჭალი მინდა, არც თოფი, ორივე მისი იყოს, არ ვედავები, თხოვება რაღაა, მათხოვოს მაინც?! აღარაფერს დავეძებ, თავში რაღას მიკაჯუნებენ, კაცო?!

ჯუმბერმა კეფა მოიქექა:

— ავღებები და პაპაჩემს ვთხოვ თოფს.

— მერე, სადა აქვს პაპაშენს თოფი? — ვკითხე.

— ძალიან დაუშავებია, რომ არა აქვს! — გაბრაზდა გელა.

— მაინც რომელი თოფი უნდა სთხოვო პაპაშენს? — ისევ მე ვეკითხები ჯუმბერს.

— რომელი თოფი და, პაპაჩემს ვეტყვი, გელას მამას თოფი სთხოვე და მერე ის თოფი მე მათხოვე-მეთქი.

— თხოვნიტ იქნებ თხოვოს, მაგრამ შენ მაინც არ ჩაგიგდებს ხელში.

— მამაშენი სად არის? — ჰკითხა გელას ჯუმბერმა.

— ქალაქშია ამ დილით უნდა ჩამოვიდეს. სადაცაა გამოჩნდება.

გზისკენ ვიყურები და გელას მამა არ დავინახე? ხელში ჩემოდანი ეჭირა და ვილაცას უღიმოდა.

— აგე, მიდის კიდეცა! — ეუთხარი გელას.

გელა შეერთა, ჩაიღიმა და ნელა წამოღდა:

— გაიხედე, გიო, დაზვიერე. მამაჩემი

ათაზში რომ შევა, ხელი დამიქნე. მივიპარები, საჩეხში დავუყუდები, გავიგებ, დღევანდელ ჩვენს ამბავს რამდენს მიუმატებს დედაჩემი. არ ვიცი, თუ გუნებაზეა შეიძლება სულაც არაფერი უთხრას. ვიდრე მამაჩემი შინ მივა, მე ჩვენს ყორეს მივეფარები. გაიგე?.

ღობეს ავეკარი და გელას მამას გაყვალე თვალი: კიშკარი გაალო, აიარა კიბე, ჩემოდანი აივანზე დადო და ოთახში შევიდა. მიეტრიალდი და ხელი დავუქნე გელას. გელა გაიქცა აივანში შევიარა და იქიდან მეტყვანება..

მალე დაბრუნდა გელა, საწყლად ეღმებოდა, რალაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა.

— რა გაიგე ახალი? — ჰკითხა ჭუმურმა.

გელამ ისევ ღიმილით გადმოგვხედა:

— რაც გავიგე, ნეტავ არ გამეგო!

— თავი მოგვეჭრა?

— მაგრად!

— მაინც, რა ისეთი უბედურება დატრიალდა?

— ვაზნებს მივაგენი.

ხალხი გავბედნიერებულვართ და შენ ახლა ვარდები კლდებზე?

— კლდებზე გადავარდნას არ ვაპირებ, — ტახტზე ჩამოჯდა გელა და ჩემში სახლისკენ გაიხედა, — თოკს ვიშოვი საღმე და, აგე, გიოს გულაბზე უნდა ჩამოვიხრჩო თავი. ცუდი ამბავი დამემართა!

— თქვი, თუ ამბობ, შე თავგასიებული! — ცნობისმოყვარეობამ წამომახტუნა. — სად იყო ვაზნები?

— ჩემს ჩანთაში.

— მამაშენმა გასცა ეგ საიდუმლო?

— ჰო, ოთახში შევიდა და დედაჩემსაც მიახარა, ასე და ასე მოხდაო. მამაჩემმა გაიცინა, ვაზნები ისეთ ადგილას დავუშალე, მთელ ათ წელიწადს რომ ეძებოსო, ვერ იპოვისო. სადაო, ჰკითხა დედაჩემმა. სადა და, მაგის წიგნების ჩანთაშიო. მე რომ გელას სიბეჭითის ამბავი ვიცი, ეგ იმ ჩანთისაკენ

არასოდეს მიიხედავს, მეც იმიტომ ჩავლდე ჩანთაში, ამაზე სადმე დავიფიქროვდი სხვაგან სად იქნებაო. მიდიო, თუ არა გჯერათ, — თავი გააქნია გელამ. — სხედან ესლა ორივენი და ამაზე იცინიან ისევ.

— მარჯვედ მოუფიქრებია, — თქვა ჭუმურმა სიცილით, — ის მაინც თუ იცი, სად არის შენი წიგნების ჩანთა?

— როგორ არ ვიცი, წიგნების კარადის გვერდზე ჰკიდია.

— ვაი! — დავიღრიჯე, — ქვევრშიც ეძებდი, შე კაი კაცო, და იმ ჩანთაში ერთხელ მაინც ვერ ჩააცურე ხელი?

— მაგარი ოინი მიყო. კიდევ იმიტომ მიდიოდა დაარხეინებული, ცარიელი თოფიც იმიტომ დამიკიდა თავით, უყურე და გულზე გასკდიო!..

— ეგეც არაფერი! — თქვა ჭუმურმა, — ესლა ზომ ვიცით, სადაც არის ვაზნები, ხვალ მაინც წავალთ სანადიროდ, თქვენ ისა თქვით, დღეს რა გავაკეთოთ?

ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და ძილზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრეთ...

ყანის მკა რომ დამთავრდა და ნაწვერალზე სიმინდიც დათესეს, იმ დროს უკვე თვალი შედიოდა ყურძენში. ტრაქტორი აღარ შეიშვებოდა შიგ, რალა დროს ხენაა, რთველი კარზეა მომდგარიო, და მამაჩემმაც მოიცალა დილის ძილისათვის. ფაცაფუცობთ აღარ ზერებდა ცხელ ჩაის და აღარც ვაზნაზე ვუვინებოდა. არ ვიცი, ვის უცდიდა და რას უცდიდა, ჩემი სწავლის თაობაზე ხმა არ ამოუღია. ოღონდ, აი, წყაროზეც მაგზავნიდა სოფლის თავში, მალაზიაშიც — სოფლის ბოლოს... ერთი წუთით არ მასვენებდა. რა ძნელი და აუტანელი ყოფილა უსაქმო კაცის ოჯახში ტრიალი — ჯაჭლანის მეტს არაფერს უნდა მოელოდე მისგან...

თვე რომ განახევრდა, ჯერ მისო ჩამობრძანდა მანგლისიდან, მერე — ჩემი დაიყო. ისევ იყო გაშავებული, მეგონა, იქაც ალოობას ჩაევლო, და წვიმებმა არ მოგვისწროსო, დამსვენებლებისათ-

ვის გამოეწიათ ყელი, ნამჭა შეაყარეთ მანქანებზეო. დედაჩემი თავის ჩვეულებრივ საქმიანობას ეწეოდა — კბილებს აძრობდა ხალხს. ბებია ლობიოს გამოზარდვითა და დაბეგვით ერთობოდა, ან კრუნსა სევამა საბუღარზე; ხანდახან კიდევ ინდაურს დასდევდა ნიერის კბილით, კვერცხებს იპარავს და მინდა მივაგნოო. სიძართლე რომ ითქვას, ამ უკანასკნელ მძიმე მოვალეობას საკმაოდ ადვილად ეყოფა.

ჩემი სტუდენტი დაიკო თავს არ მიყიდებდა, არაფერს მეუბნებოდა ზღვასა და მეზღვაურებზე, ნავსა და მენავებზე... მიხოს კიდევ მე არ ვუყადრებდი თავსა და ისევ ჩაკეტილი აღმოჩნდი.

ორიოდე დღემ რომ გაიარა, ჩემითაც დაინტერესდნენ — მაინც ჩვენია და რა ვუყოთო.

ყველანი სუფრას მივუსხედით. უსიტყვოდ ვისადილეთ. მერე ქალებმა ლაპარაკითა და ბუზღუნით აალაგეს სუფრა. მამაჩემმა სიგარეტის გაუხსნელი კოლოფი ამოიღო ჭიბიდან. მაგიდაზე დადო და ზედ ასანთი დაადო. მივხვდი: იმდენ ხანს უნდა ემსხდარიყავით მაგიდასთან, ვიდრე ოცივე ღერი არ ჩაენავლებოდა ხელში.

მამაჩემმა მოუკიდა სიგარეტს და გამოიხედა:

— რას იტყვი, როგორ მოვიქცეთ, გიო?

— ამდენი რო ესმოდეს, შენ კი არ დაგიწყებდა ხელებში ყურებას, — უთხრა ბებია და ამით მიმახვედრა, ნუ გეშინია, აქა ვარ და მაგრადაცა ვდგავარო.

— რაზე როგორ მოვიქცეთ, მამი?

— შენს სწავლაზე, ესე იგი, მომავალზე ვამბობ. ივლი მერვეში?

— ვივლი, მაგრამ, მემრისაც ეგრე დამიწყებ ლაპარაკს.

— გასაგებია, — თქვა მამამ და წამოდგა, სიგარეტის კოლოფიც აიღო, ასანთიც, მშვიდად ჩაიღო ჭიბეში და გარეთ გავიდა.

— სად მიხვალ, კაცო?! — შეწუხდა

დედაჩემი. ბებიაც გაოცებული იყო. მიხოსა და ნინოს ვერაფერი შევატყვე, კედელზე გაკრული სურათივით ერთ პოზაში ისხდნენ გაუტოკებლად და ერთმანეთს უყურებდნენ.

მამაჩემი მაშინვე შემობრუნდა ოთახში. ძალიან გაბრაზებული იყო, მაგრამ ცდილობდა ასე მოეჩვენებინა თავი, თითქოს ჩემზე კი არა, სხვა რაღაცაზე ჭავრობდა. სკამს დასჩერებოდა, ვერ მოეფიჭებინა, დამჭდარიყო თუ აივანზე გასულიყო ისევე.

— დაჯექი, შვილო, რა ფეხზე დგახარ, — უთხრა ბებია და ოდნავ გამოსწია სკამი.

— დავჯდე, თორემ ლაპარაკს დამაცდით!

— ვინ აგაფარა პირზე ხელი?!

— რა ვიცი, აქ ყველანი უფროსები ხართ და აღარ რჩება ჩემი ადგილი.

— მაინც, როგორ მოვიქცეთ? — ჰკითხა დედაჩემმა, — შვილია და, იმის გულისათვის, მათემატიკურ საგნებს გულს რომ ვერ უდებს, ხელი ავუქნით?

მამაჩემს ხმა არ ამოუღია, ახლა სიგარეტს მოუკიდა, მკერდი გამოიბერა — ღრმად ამოისუნთქა და ფეხი ფეხზე შემოიღო.

— შენ რა გაქვს გადაწყვეტილი, რას აპირებ და რა გინდა? — მკითხა ბოლოს.

— როგორც თქვენ მირჩევთ. მეც ისე მოვიქცევი, — ვუთხარი და ნინოს შევხედე. ნინომ თვალი მომარიადა. მიხოს შევხედე — გამიღიმა.

— ცხვარში ვავადლოთ! — ურჩია ბებია.

— არც იქ ივარგებს! — გაბრაზდა მამაჩემი, — საქმეზე არ მიიშვება. ვერ ერთი, ვერ ენდობი, მეორეც — წანწალსა და ლაზლანდარობას ვერსად მოაშლევინებ. თავი ქულში აქვს — არ შია და არ სწყურია, ამან გაათავებდა და გადააგვარა სწორედ მთელი ეს ზაფხული მეტი სადარდელი არა მქონია. რა გვეშველება, არ ვიცი, ფიჭრის თავიც აღარა მაქვს! სკოლაში რომ დავაბ-

რუნო, ოცი წელი მოუნდება საშუალოს დამთავრებას და კაცად მაინც არ ივარგებს... ჰო, გავა სახლიდან და, ომში წასული კაცისა არ იყოს, დაბრუნდება თუ არა, არავინ იცის...

— გურამთან ზომ არ გაგვეგზავნა მანგლისში? — იკითხა დედაჩემმა — იქნებ იმას მაინც შეუნახოს ხათრი.

— არ ივარგებს! — უარყო მამაჩემმა, — ახლა იმას აცვამს ჭაქარს!

— ყველა გზა ჩაკეტე და მამ როგორ მოვიტყუო, შვილო! — გაწიწმატდა ბებია, — ჩვენი რჩევა ჭკუაში არ გივდება, შენს მოსაწონს კიდევ ვერაფერს ვამბობთ და, სოლომონ ბრძენი ზომ შენა მყავხარ, შენ გვირჩიე რამე!

მამაჩემი გაჩუმდა. მიზო წამოდგა და თქვა:

— ერთად ვივლით სკოლაში, რა მოხდა, დაჯდეს მერვეში და მე ვამეცადინებ!

— დაიკარგე აქედან, თორემ ჩამოგაყრევი კბილები! — ვუყვირე.

— აი, აჰა, — ხელები გაშალა მამაჩემმა, — ტვინი აქვს ვითომ?!

სკამზე დავეშვი და გავიტრუნე.

— არა! — თავი გააქნია დედამ, — ამისგან კაცი არ დადგება.

— ეგ მახოროტებს სწორედ! — კვერი დაუკრა მამაჩემმა.

— მამა! — როგორც იყო სიტყვა აიღო ნინომ. — მაგას ვკითხოთ, იქნებ თვითონ უმიზნებს რამეს? არ შეიძლება, რაღაცა არ ედოს გულში. თქვი, გიო, ერთხელ მაინც არ გინატრია: ვთქვათ, მფრინავი გამოსულიყავი, შოფერი... ათასი რამეა ამ ქვეყანაზე!

— კოსმონავტობას ვუმიზნებ! — პირდაპირ მივარტყი.

— შენთან ლაპარაკიც არ შეიძლება — თქვა ნინომ და აღარც ამოუღია ხმა, მგონი, მოსმენითაც აღარ გვისმენდო.

მიზომ გადაიხარხარა. დედაჩემმა ვერ შეიკავა თავი, ხელი აიფარა პირზე, თავი გვერდზე მიაბრუნა და გაიღიმა.

— სატირალია და იცინი?! — გაუწყრა მამაჩემი, — ბიჭს ჰკუის ნატამალი

არ გააჩნია, თავი გვაქვს ჩამოსაბრჩობა. შენ კი გეცინება! — მერე შე მრძელმა — შე დოცლაპიავ, კოსმონავტობას რომ ცოდნა და წიგნში ჩაყვინთვა უნდა, იმდენი არაფერს სჭირდება! შენა გგონია, ავე, ქვემოთბნელი, თავცარიელი შოფერივით მიუჯდება საჭესა და; ჰაიდა! მამა გიცხონდა, ხალიჩებს გავიშლიან და დაფა-ზურნით მიგაცილებენ კაბინამდე!

— ბიჭმა რაღაცა წამოისროლა და საქმეთ არ გაიხადე?! — შეაწყვეტინა ბებია. — აქ იმიტომ არ ვსხედვარო. ვლანძლოთ და ვთათხოთ! ამოდენი რო იყავი, შენცა გყავდა ოფოფები!

ამაყად ავწიე თავი და მამას შევხედე. მამაჩემი მიმიხვდა:

— ფრთები შეგასხა, ჰა?

— ამ ცხელ ოთახში ტყუილად ვსხედვართ და სიცხითა ტყუილად ვითუთქებით! — თქვა დედამ, — წყლის ნაყვია და მეტი არაფერი! გვეყოფა. მე ლაპარაკის თავიც აღარა მაქვს! რაც გინდათ ისა ქენით! — ადგა და სამზარეულოში გავიდა ოხვრით. ნინოც მალე წავიდა. მიზომ კი უფრო ახლოს მოიწია, ნინოს სკამზე გადმოინაცვლა.

— თქვენმა წიგნებმა და სწავლა-განათლებამ მშვიერი მუცლით მატარა მთელი ჩემი დღე და მოსწრება, — აწუწუნდა ბებია, — როცა სამარეში ფეხის ჩადგმა დავაპირე, განჭინა მაშინ გამეცო პურით. ტირილისა და ვაი-ვიშის მეტი არაფერი მინახავს. ვფიქრობდი, შვილები წამომეზრდებიან, ხელს შემამეველებენ-მეთქი, შენ კი ერთი დამთხვეული ბალისათვის ვერ მოგივლია. გზა ვერ გიჩვენებია! რაღა იმედი უნდა მქონდეს შენი! — ბებიაც აიკაკვა. იმ დროს ისეთი საწყალი იყო. ისეთი საცოდავი, გული ჩამწყდა, ჩემს თავზე მომივიდა ჭავრი... ვადაღწევიტე, რასაც ახლა მირჩევდნენ. უყოყმანოდ დავთანხმებოდი.

ბებია მკარს ზღურბლს გადააბიჯა და მამაჩემმაც დაუძახა:

— მომისმინე, დედი!

ბებია ნელა შემობრუნდა:

— სათქმელი გაქვს რამე?

— კი, ცოტა ხანს დაჯექი.

ბებია დაჯდა, სახეში მიაჩერდა.

— მიდი, დედამენს დაუძახე, — მიხოს უთხრა მამამ.

მიხო სამზარეულოში გავარდა და დედა შემოიყვანა. დედას ნინოც შემოჰყვა.

— საგარეო ტანსაცმელი ამოიღე, — წამოდგა მამაჩემი, საათს დახედა, — ერთ საათში ჩამოივლის ავტობუსი, თბილისს იქით მივდივარ, მანამდე თავ-მჯდომარესთან გადავალ, დავეთხოვები. ამას მივხედავ კი არა, ისეთ ადგილზე ვუკრავ თავს, საკუთარი ჰერი ედემად მოეჩვენოს!

ისე სწრაფად გავიდა მამა გარეთ. ისე სწრაფად ჩაიარა კიბე და გააჭრილა კიშკარი, ვერავენ მოასწრო, ეკითხა რამე. ნეტავ, რას აპირებსო, თქვა მიხომ და სათითაოდ ყველას გადმოგვხედა. დედა ტანსაცმელის კარადას ეცა. მე და მიხო აივანზე გამოვედით. ბებია კი ისევ მაგიდასთან იჯდა დაფიქრებული,

საცოდავად მოკუნტული, ერთი მუხა ბებია.

წასვლა და მოსვლა ერთი იყო: მოვიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა, ხვალ სალამოს დაებრუნდებო, მარტო ესა თქვა, არც დაგვემშვიდობა და არც სხვას დაულოცავს გზა..

მამის მოლოდინში ჰამის მადაც კი დავეკარგე. ადგილს ვერა ვპოულობდი. ბიჭებთან ისევ გავდიოდი ხოლმე და ისინიც ადვილად ამჩნევდნენ, რალაცის მოლოდინში ფერს რომ ვეკარგავდი თანდათან.

ეს ლოდინი ერთხელ ხომ უნდა დამთავრებულყო და დამთავრდა კიდევაც: მეორე დღეს, მზის ჩასვლისას მამაჩემი მშვიდად შემოვიდა ეზოში. გამარჯობათო, და მხოლოდ მე, მის დამთხვეულსა და გადარეულ შვილს ჩამომართვა ხელი:

— როგორა ხარ, შე ძეგლო, უჩემოდ ხომ არ მოგეწყინა?!

ეს უკვე სასიკეთოდ მენიშნა.

გ ე ო ლ ო გ ე ბ ი

მათ არ იციან დასვენება, მშვიდი ცხოვრება,
დაპბედებით შეხვედრები და განშორება.
მზეზე ამოაქვთ საიდუმლო გარდასულ ჯამთა,
რასაც წყვილიადა წაგლესოდა და ჟანგი ჭამდა.

დაუცხრომელი ძიებით და აღმოჩენებით
მზეზე ამოაქვთ ძველი დროის უცხო მშვენება.

მიწაში ჩაზრდილ საიდუმლოს ანუ სიმდიდრეს
მუქთად, უჯაფოდ, უბრძოლველად ვერც დაიმკვიდრებ.

გზები, ძიება, იერიში და ისევ გზები
აი სამყარო გეოლოგთა ლტოლვის და გზნების.

ჰეი, ციმბირო, — ჩრდილოეთის ქურა გიგანტო,
მკერდზე ტაიგა დაგფენია ლურჯი წვერივით,
შენი მშვენება მინდა სულში გადავიხატო
ტბით მოჩითული, ალაგ-ალაგ მზით დასერილი.

ჩემი სალაში გეოლოგებს — მამაც მშვერავენს,
ულრანში გზებს რომ მიიკვლევენ, მთებს რომ სერავენ,
ძიების ჟინი მეც მომიხატა,

ჟინი მიგნების

ჰეი, მეწვიე შთაგონებავ, ურინმაჩინო.

გეოლოგების ნაფხურებს კვალში მიგვყვები
სიტყვის მადანი იქნებ სადმე აღმოვაჩინო.

* ციმბირელი ციკლოდ-5.

• • •

სადაც კი წავალ სახეტიალოდ
ბედნიერების ცრემლი მერვეა,
აფხაზეთში კი (რა დაგიმალოთ)
ყველაზე უფრო ბედნიერი ვარ.

შაინც რა არი გრძნობა ასეთი
უბრალო კაცსაც
ღმერთს რომ მადარებს,
იხე მცირეა ეს აფხაზეთი,
სადაც კი წავალ თან დაეატარებ.

ვნახე ზღაპრული აღმოსავლეთი,
ბედმა ციმბირის გზებსაც მასტუმრა,
მაგრამ სადაც კი ღამეს ვათევდი,
მე აფხაზეთი მედო სასთუმლად.

მესიზნრებოდა პატარა რიწა —
ტყიანი მთების დიდი ივავი.
სადაც ვიყავი, კაცობას ვფიცავ,
მე აფხაზეთის შველი ვიყავი.

ვინც თავის სახლში მასპინძელია
და აქვს მამულის ზოვლის უნარიც,
მას უფლება აქვს, უეჭველია,
სხვათა ქვეყნების იყოს სტუმარი.

ღმერთო, სტუმრები კარგად მიმყოფე
მოკეთებეც და მეზობლებიც!
თუ ლხინთან ერთად ჭირს გაიყოფენ,
უფრო და უფრო ვემეგობრები.

არ ვსტუმრებივარ ჯერ ყველა მოძმეს
ყველგან სიკეთე მელის ურიცხვი.
ჩემი ალალი გულია მოწმე:
მზადა ვარ მხოლოდ სიყვარულისთვის.

• • •

ყვავილების ქვეყანაა ჩემი აფხაზეთი,
წარსული კი ზღაპარია ღამის ათასერთის.

თავიდანვე მეგობრებად ვისაც დავიგულებდით,
სიმღერებით ვხვდებოდით და ჭრელი თაიგულებით.

რას მიქვია მარტოობა... ყოფა კარნაქეტილი, —
ფრთებს უტოლებს პორიზონტებს ბედი ჩემი კეთილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცალკე ყოფნა, განზე დგომა ღმერთმა ყველას გვაშოროს,
განა მაშინ გვექნებოდა ერთი დიდი სამშობლო?

ყველგან სადაც სამეგობროდ წამიყვანენ ფიქრები,
ერთდროულად სტუმარიც და მასპინძელიც ვიქნები.

ციმბირამდე გაფრენილა ჩემი შუკა-ბილიკი,
ძალად კი არ ვსტუმრებივარ, მპატიებენ პირიქით.

ცხადშიც, ძილშიც თან დამყვება ლოცვად ხელაპყრობილი
აფხაზეთი — ჩრდილოეთის პაწაწინა დობილი.

ამ ციმბირულ ბუნებას და ამ ციმბირულ ხასიათს
სულ სხვაგვარი სილამაზე, სულ სხვაგვარი ფასი აქვს.

მზის ყვავილებს აშრილებს, მზის ყვავილებს ყინული
და სიმღერად იბადება გაზაფხულის ბინული.

მეც ვიგონებ ბინულივით ამ ციმბირულ აისებს,
ჩემს ყოფას და ჩემს სიმღერებს ამ სხივებით ავივსებ.

მე ამ სხივებს შინ წავუღებ მეზობელს თუ ბიძაშვილს
და ოქროსფერ თევზებივით ჩავაცურებ რიწაში.

აღზარს მთები

მიყვარს მთებისთვის თვალის შევლება,
სიმაღლის ფასი ნამდვილად ვიცი.
დიას, მთებია მიწის მშვენება,
ნთა ბუნებრივი ძეგლია მიწის.

მთები მშატებენ ხალისს და სიმზნეს
ამიტომ მიყვარს მთების ოჯახი,
ისინი გვანან სიმაღლის კიმნებს
და ვაკეცობის გმირულ მოძახილს.

ნისლი ქედებზე ადის ფარფატივით
და ლამაზია ნისლის ქაოსაც.
თოვლის გვირგვინი და ტყის ნაბადი
არის მარადი სარქველ-საწოლი.



თეთრი კვიცივით მოხტის ჩქერალი,
ცის ნაჭრებივით ფშვინავენ ტბები.
ბედნიერი ვარ მთის მაცქერალი
და პირველყოფილ სიჩუმით ვტკბები.

მე მთებში უნდა გაგკაფო გზები,,
წინაელის სურვილი მიტაცებს ვიდრე.
რაც უფრო მაღლა ამწევენ მთები
უფრო მეტს ვხედავ შორეულ მიწდერებს.

სიგბირთან გასაუბრება

დიდო ციგბირო,
შენთან მინდა გასაუბრება,
როგორც კაცი კაცს გესაუბრო,
მომეც უფლება.

მაგ ყინვაშიაც გიზგიზებდა ცოდვის ხანძარი
და თეთრი ძვლებით ქათქათებდა შენი ყინული.
იქნებ ეს ტბები ცრემლებია უზარმაზარი
შენი ტყეების წამწამებით გადაჩრდილული?

შენ ხარ სამარე შეამბოხე დიდთა ვაგაკცთა,
და მათი ძვლებით შენი მიწა უფრო გაკაჟდა...

ვე შენი მიწა ცოდვა-ბრალის
დიდი წიგნია,
ბევრი ფურცელი თოვლის ყდაში ვერ მიგვიგნია.
ყინულის ღოდქვეშ საიდუმლო ბევრი მარხია,
მათი წიაღი ეამთაბრძოლამ ვერ შეარხია.

მე კი ვალში ვარ უსახელო გმირთა წინაშე
და მათზე ფიქრით ძალას ვიკრებ და სულს ვიკაეებ.

რომელი ერთი გავიხსენო
მამულიშვილი,
ვისაც კატორღა სამუდამოდ

ქჷონდა მისჯილი.
ვინც შეეწირა თავის ხალხის თავისუფლებას —
მის სულთან მინდა,
მის აჩრდილთან გასაუბრება.

რამდენი გმირი უსახელოდ
უძეგლოდ დარჩა,



მაგრამ უკვალოდ არ გამქრალა
იმათი გარჯა.

არ დაიშურო, შემოქმედო,
სიტყვა თუ ფუნჯი
დაე, უფროე ამეტყველდეს
წარსული მუნჯი.

შენც ჩემო ლექსო,
გახდი ეამთა გადამლახველი,
დაღუპულ გმირთა ვაჟკაცობის მაცნე და ელჩი,
იელვოს ხსოვნის ქარქაშიდან
გმირის სახელმა
და ნაომარი მახვილივით
გვეჭიროს ხელში.

ნ ა რ ნ ე რ ა

როცა ციმბირის ვიყავ სტუმარი,
შემომაფრინდა წარწერა ქვაზე:
„ტყეს გ-ვუფრთხილდეთ,
ტყეს მოვუაროთ“ —
ქვა ყველა გამვლელს შესთხოვდა ასე.

მე ამ წარწერას, ვით გრძნეულ ფრინველსა
და მწარე მოთქმას ქვაზე დაღვენთილს
აქ აფხაზეთის ზღაპრულ ტყეებში
შეუუშვებდი და მოვამრავლებდი.

ტყის ოკეანე არის ციმბირი
და ზეცას მწვეანედ შეჰკიდებია;
დიდი ზრუნვით და დიდი ზიფრთხილით
ყოველ ხე და ბუჩქს უფრთხილდებია.

მე კი ვაჟკაცურ ბრძოლას მავალებს
ტყე მოუვლელი და გაჩეხილი,
ეს აფხაზეთის მწვეანე ზღაპარი,
ეს სილამაზე ჩვენგან შერყვნილი.

დაე, ტყის მოვლა მალე გვენებოს,
თქვენგან გვესწავლოს, ტაიგელებო!

მზე ჩემთანაა მუდამ



მე ყოველდღილით მზე მომაკითხავს
და ოქროს სხივებს მომხვევს ფრთებივით,
მერე გაუღვივართ ერთად სახლიდან
და დაჯვიალებთ მეგობრებივით.

სულში ჩამდგარა მზის შარიშური,
ერთ ვენებიანი გულისფანცქალი,
მზე არის ჩემი სათნო მიჯნური
და იჭვიანი ანჩხლი წაწალიც.

მე იგი მიყვარს დაბადებიდან,
მისი დალალი მხრებით მიჭირავს
და ჩემი აკუნის თავზეც კეიდა
მისი სხივების ოქროს ღინჭილა.

მზე ხომ ერთია მთელ ქვეყანაზე —
სანყაროს ჯილად ცაზე გასული.
მე კი მინათებს მთელ სილამაზეს
მხოლოდ ერთი მზე, მზე აფხაზური.

და ჩემი სიტყვა ფრთააღერილი
აბლებურ ყოფის ყნოსვით და გემით.
აფხაზეთიდან ჩამოფრენილი
თბება ციმბირის ბანჯგვლიან მზეში.

მეც იქ ვიჩქარი მგზავრი გვიანი,
მუდამ იქა ვარ სერს შემომდგარი
სადაც მზე მხედება ალერსიანად,
როგორც მოყვარე და მეგობარი.

მე და მზეს გზები ერთი გვექონია
და კიდევ რალაც უფრო საერთო,
ჰოდა მე და მზე, ასე მგონია,
ვერსად ვერ გავძლებთ უერთმანეთოდ.

პრინაპი კატუნე



აღტაი რომ დავინახე შენისლული,
უმალ ფრთებად გამომეხსა ლთების სული.

დამინახა და ტალღების თქაფუნით
უმალ ჩემკენ გამოიქცა კატუნი.

ტალღებს შლიდა და ფრთებივით კეცავდა,
აღბათ ჩემი ჩახუტება ეწადა.

ვით ველური ჯიშინი ულაცი
ვერასოდეს ვერ იგუებს უნაგირს,
მოფრინავდა თუ მოხტოდა ზემოდან
ჩემი ფიქრი ფაფარივით შვენოდა.

ო, კატუნო, ჩემო ფიცხო ოცნებაე,
ჩემი სიტყვა ჭამანდივით მოგწვდება,

როგორ მინდა მღელვარებით შენა გგავდე
და ეს ლექსიც იყოს შენი შენაკადი.

თარგმნა ზოსთა იონინიძე



ფიქრები

დავ, ასე იყო...

ძნელია სახლიდან წასვლა, დედ-მამის, ნათესავებისა და მეზობლების მიტოვება, მაგრამ უფრო ძნელია, როცა ქალაქს მოშორდები, სადაც ბავშვობა და სიყრმე გავიტარებია.

თბილისი!...

ჩემი ფიქრი ახლა მის ერთ პატარა უბანს დასტრიალებს. რა მახსოვს? დედის ალერსიანი გაღიმება, ნაძვის ხე, წითელა და ყივანახველა, სკოლა, წიგნები, პირველი სიყვარული და პირველი ნამდვილი მწუხარება, რომელმაც წაშალა ზღვარი სიყმაწვილესა და იმ ასაკს შორის, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცს წითელყელსახვევიანი ბავშვები ქუჩაში „ძიას“ დაგიძახებენ...

მაგონდება 1941 წელი. ივნისის შუა რიცხვებში სკოლა დავამთავრეთ და თანაკლასელები წავედით მარჯანიშვილის ქუჩაზე სურათის გადასაღებად. ფოტოგრაფი დიდხანს გეაწვალებდა, ხან ასე დაგვეკა, ხან ისე, ხან ჩვენი პოზა არ აკმაყოფილებდა, ხან განათება არ მოწონდა. ამასობაში, ერთი ჩვენგანი ქუჩაში გავიდა პაპიროსის საყიდლად (მაშინ უკვე პაპიროსსაც ვეწეოდით ზოგიერთები) და როცა დაბრუნდა, ჩურჩულით გვითხრა: „ბიჭებო, ომი დაიწყო!“

4. „მნათობი“, № 1.

იმ ფოტოზე შეშინებული თვალები გვაქვს ყველას. ჩვენს თვალებში ომის გამომეტყველება აღბეჭდილი...

მე მაგონდება თბილისი ომის დღეებში. ქალაქს თითქმის სამხედრო ფარაჯავცვა: რუხი იყო მთაწმინდის კალთები, მახათას მთა და ნავთლუღის მიდამოები. დამით ქალაქი კვდებოდა, კი არ იძინებდა. არაფერი ჩანდა უკუნ სიბუნელში. მხოლოდ ალაყაფებთან ჩაცუცქული მოჭრივების ჩუმი გადალაპარაკება არღვევდა სიჩუმეს, ან მილიციელის სტვენა და ვინმეს გულმოსული შეძახილი: „ჩააქრეთ პაპიროსი!“

მე მახსოვს უხილავი თვითმფრინავების გულისგამაწვრილებელი გუგუნი და შუქის ვეებერთელა დაშნებით გადახაზული ზეცა. მახსოვს შამშილი და ლანჩაძრობილ ფენსაცემელში ჩამდგარი ხისველე. ახლაც ერთნატივლი მივლის ამის გახსენებაზე... მახსოვს, ქარხნიდან დაბრუნებულს როგორ გამომიწოდდა დამ ოთხად დაკეცილი ქალაღდი. ეს იყო ძმის დაღუპვის ცნობა... ისიც მახსოვს, როგორ დავამშვიდე ატირებული გოგო. მერე კი, როცა გავისტუმრე სკოლაში, როგორ ავტირდი ლოგინზე პირქვედამხობილი. თვალწინ მიდგას კარის მეზო-

ბელი, სომეხი ქალი, რომელიც იმ დროს ოთახში შემოვიდა, თავზე ხელს მისვამდა და მაწყუნარებდა... ბევრი რამ მახსოვს იმ დროისა: ჯანგატიხილი მამის ჩამოსვლა ფრონტიდან, ქარხანაში გათენებული ლამეები და ბოლოს, ყველაზე მძაფრი მოვონება: გამარჯვების დღე, როცა მე და ჩემი ამხანაგები ქუჩაში უცნობებს ვაჩერებდით და ვკოცინდით! ის ბედნიერი დღე ყველა ტანჯვათა და დანაკლისთა საზღაური იყო ჩემთვის.

რატომ ვიგონებ ამას?

იმიტომ, რომ ყველაფერი, რაც გამახსენდა, თბილისსაც გადახდა თავს! იმ დღეებში, და მერეც, ჩემი და თვითელი ჩვენგანის ბედი განუყოფელი იყო თბილისის ბედისაგან. ჩემი ბიოგრაფია ისევე, როგორც სხვების თავგადასავალი, თბილისის მატინის ერთი ფურცელია და ამ ფურცლის გადაკითხვა არასოდეს არ იქნება ზედმეტი...

ამჟამად შორიდან ვეაღერებები თბილისს. და თუ ჩემი მრგონება ნაღვლიანად ეღერს, ნუ დამძრახავთ: მეტი სიყვარულისგან მომივიდა. სიყვარულსაც თავისი გუნება აქვს: ხან მოიწყენს, ხან მოიღუნის...

მე ვხუტავ თვალებს და ფიქრით ისევ თბილისს ვუბრუნდები... საღამო ხანია. იისფერი ბინდი დასწოლდა ქალაქს: მთაწმინდის კალთებს, მტკვრის სანაპიროს, ქუჩებს, მოედნებს, ბაღებს, ეზოებს... „გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?“ — ასეთი ბინდია სწორედ. რუსთველის პროსპექტზე ჩარიგებულ ქადრებს ბელურები შესევნიან. მომღერლებივით იკავებენ თავიანთ ადგილებს და ლოტბარის ნიშანს ელიან, რომ საგალობელი უთხრან თბილისს. კარლ მარქსის ხიდზე. ვაჟურად თმაშეკრეპილი გოგონა მიდის. მას ალბათ მზია ჰქვია, ან მანანა, ან ირმა, ან ირინე. ამას მნიშვნელობა არა აქვს! მთავარი ისაა, რომ ქალიშვილი საღამო მიეშურება და მისი სახე ამ საღამოსავით წყნარია და უშფოთველი. ქალიშვილი ცოტახნით ხიდზე ჩერდება და დასავლეთით იხედება.

იქ, წყნეთის თავზე, ცხენსვივლად უვიოთელია. არც ერთი ღრუბელი. არ ჩანს ცაზე. „ხვალაც კარგი დარი იქნება“, — ფიქრობს ქალიშვილი და განაგრძობს გზას...

დაე, ყოველთვის ასე იყოს: ცას შეხედოს თბილისის მკვიდრმა და კარგი ამინდი იწინასწარმეტყველოს!

საკავადმყოფოში

გრძელი და ცივი დერეფნის ხვლიკისფერ კედლებზე სხლტებოდა და ირეკლებოდა მძუტვათა ელნათურების ყვითელი შუქი. დერეფნის ბოლოში, მაგიდასთან, მოწყალეების და იჭდა. „იზოლატორი“ ეწერა კარებს. სხვა ოთახებს ციფრებით ცნობდნენ: „პირველი“, „მეორე“, „მესამე“ და „მეოთხე“ პალატები; „ქალთა ჭირურგიული განყოფილება“. „მორიგე ექიმის კაბინეტი“, „საოპერაციო“, „შესახვევი“ და სხვა... წარწერები ბევრი იყო.

დორა ერჭვა მოწყალეების დას. ჭუჭყიანი თეთრი ხალათი კოჭებამდე წვდებოდა. ამ ხალათს ღამით მორიგეობის დროს იცვამდა, რადგან ამ დროს ყველას ეძინა და გამკითხავი არავინ იყო. ყველას ეძინა, მორიგე ექიმსაც. ზოგჯერ დორასაც, როცა წასაქითხი წიგნი არა ჰქონდა. მაგრამ კითხვის მინც ძილა სჯობდა. ვესტიბულის კუთხეში ძველისძველი, ტყავადაძრობილი სავარძელი ეგულებოდა, იქ არავინ შეაწუხებდა. ვესტიბულამდე არც ავადმყოფების ხმა აღწევდა. ერთი სიტყვით, უკეთეს დასასვენებელ ადგილს საავადმყოფოში კაცი ვერ მონახავდა. „რა მოუსვენარი ხალხია ეს ავადმყოფები!“ — იტყოდა ხოლმე ქეთინო, დორას მეგობარი ქალი. ისინი შეცვლილ მორიგებოდნენ: დღისით — ქეთინო, ღამით — დორა. ხანდახან პირიქით.

მაგრამ ეს ერთი კვირაა, დორას სამჯერ მოუხდა ზედიზედ ღამის გათევა... იქ, დერეფნის ბოლოში კარია. „იზოლატორი“ აწერია კარებს. მას შემდეგ, რაც ის ქალი პალატიდან „იზოლატორში“ გადაიყვანეს, დორას ერთი გვერ-

დის წაიკითხვაც ვერ მოუხსრია. ძილზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია! რამდენჯერმე უხდება ლამეში ქაფურის შესხაპუნება, შესვევა, გადახვევა, კომპრესები, მასაჟი და კიდევ ათასი ვანდაბა და დოზანა! „დასწყევლოს ღმერთმა ყველა გაჭირვებული და ავადმყოფი!“ — ფიქრობს დორა და სასოწარკვეთით ებლაუჭება „თეოს“ უკანასკნელ სტრიქონებს. არაფერი ჩადის თავში. იცის, საცაა გიჟივით გამოვარდება ის ბიჭი, დედას რომ უვლის, და... „დორა! მოდი, შენი ჭირი-მე, მგონი, ცუდადაა!“ სულელი! ცუდად იქნება, მა არა თითქო დორა ღმერთი იყოს! მაგ ჭალს აღარაფერი ეშვებოდა, თქვა პროფესორმა და დორაც ასე ფიქრობს... „თმაგაშლილი თეო ოთახიდან გავარდა და იყვირა: „მამა, მამა... მამა!“ ყაფლანმა სწრაფად მოიხედა...“ „დორა! მოდი, შენი ჭირი-მე...“ — ესმის დორას და ხელად ავიწყდება წაიკითხული. ზღაზღანი დგება და იზოლატორისაკენ მიდის. „ის ბიჭი“ (დორამ არც კი იცის მისი სახელი) კარებში დგას. მაღალია, შავგვრემანი, თვრამეტ-ცხრამეტი წლისა, უძილობისაგან სახე გაფითრებულია... „დორა, გვენაცვალე... ტკივილები აწუხებს, პანტოპონს ხომ არ გაუკეთებ?“ „ჰმ, წამლის სახელიც უსწავლია!“ — ღვარძლიანად ფიქრობს დორა და ავადმყოფთან შედის.

ოთახი პატარაა, ისეთი პატარა, რომ ერთ საწოლს ძლივს იტევს. საწოლის გარდა, შიგ ტაბურეტიცაა, რომელიც მაგიდის მოვალეობას ასრულებს. ელნათურა, ეტყობა, გადამწვარა და სანთელი ანთია. კედლებზე, იატაკზე და ავადმყოფის საბანზე ყვითელი ლაქებია. დორას უზარმაზარი ჩრდილი ავადმყოფსა და ქერს ეფინება. სიბნელეში ძლივს მოჩანს ბალიში ღრმად ჩაფლული თავის ქალა ფართოდ გახედილი თვალებით. ავადმყოფი რალაცას ჩურჩულებს, წყლიდან ამოყვანილი თევზივით პირს აღებს და რალაცის თქმას ცდილობს. დორა საწოლისკენ იხრება. „არაფინ... არაფინ იცის... იმან კი ვაიგო, ის

მიხედა... საშვილოსნო, მე კი ნაწლავები... აი აქ...“ დორას არ ესმის რუსული, გარდა ამისა, თეოს ამზავი დარჩა დაუმთავრებელი. „რა მოხდება მერე? შეხედება თუ არა თეო თავის საყვარელს?“ „როდის გაუკეთეთ უკანასკნელი ნემსი?“ — ეკითხება დორა კარებში გაშვებულ ვაჟს. „დიდი ხანია... გავუკეთეთ კიდე რა! ძალიან წვალობს“. შეილის ხმაში მუდარაა და უმიდობა. „რა შენაღვლება, გაუკეთებ“, — ფიქრობს დორა და გადის იზოლატორიდან. „ბა-ამ!“ — მოსმის ვესტიბულში კედლის, საათის რეკვა. ღამის პირველია...

სულერთი არ არის შენთვის?

ღამის პირველი საათი იქნებოდა. ის ქალი ტრამვაის გაჩერებაზე იდგა ვიღაც ვაჟთან. დამინახა, ერთხანს მიყურა, მერე მოიცილა ვაჟის ხელი ისე, რომ არც შეუხედავს მისთვის და წელა, მთვარეულივით წამოვიდა ჩემსკენ. ამ დროს ტრამვაი ჩამოდგა, ავედი და მოვიხედე, ისიც ამოსულიყო. ვაჟი გაჩერებაზე დარჩა და სანამ ტრამვაი დაიძრებოდა, თვალი არ მოუცილებია უკანა ბაქნისათვის, სადაც ჩვენ ვიდექით...

დიდხანს მიდიოდა ტრამვაი. ჩერდებოდა და მიდიოდა. ჩვენ ხმას არ ვიღებდით, მე ჩემთვის ვიყავი, ის — თავისთვის. ბოლო გაჩერებაზე ჩამოვედით. უსიტყვოდ გავყევით ჩაბნელებულ ქუჩას. ის წინ მიდიოდა, მე — უკან... მივადექით ბარაკის ტიპის ფიცრულ შენობას. საერთო დერეფანი გავიარეთ და ოთახში შევედით. მან რკინის გისოსებიანი ფანჯარა გამოალო. გამოჩნდა ფართო, მოტიტვლებული ეზო და ალაგ-ალაგ გარღვეული ქვის გალავანი. გალავნის იქით რკინისგზის ლიანდაგი იყო, იმის იქით კი, — დიდი სასაფლაო. იქ ძალიან ბნელოდა... არც მას და არც მე ხმა არ ამოგვიღია. ისე მივეკარით ერთმანეთს, სიტყვა არ გვითქვამს. უცებ გაჰქრა ყველაფერი, იყო მხოლოდ მისი ტანის სიმკვრივე და შორეული მოგონების

გაურკვეველი ნაღველი ჩემს გულში...
ფანჯრის მიღმა დროდადრო მატარებ-
ლები მიჰქროდნენ და მაშინ ჩემად
წკრიალებდნენ ქიქები კედლის განჯი-
ნაში.

ოთახში სიჩუმე სუფევდა, ივლისის
დახუთული ღამის სიჩუმე. ისევ და ისევ
გრიალით, რახრახით მიჰქროდნენ მატარებ-
ლები და მე არაჩვეულებრივი სიცხადით ვგრძნობდი, როგორ იზნიჭებოდა
ლიანდაგი მათი უსასველო სიმძიმის
ქვეშ... ჩემს გვერდით უცნობი დედაკა-
ცი იწვა. ის ქალიშვილი კი არა, სამი
წლის წინათ უგონოდ შეყვარებულმა
რომ დავტოვე ქალაქში, არამედ სულ
სხვა, უცხო და ღამაში დედაკაცი, რო-
მელიც ყველა ქალს გავდა ამ ქვეყანა-
ზე...

ვცდილობდი, მომეგონებინა, რა ერქვა
ამ ქალს და ვერაფრით ვერ ვიგონებდი.

— ნანა... — ვთქვი ბოლოს, ანგარიშ-
მიუცემლად.

— მე ნანა არ მქვია.

— აბა?

— სულერთი არ არის შენთვის? —
მიპასუხა და კედლისკენ მიბრუნდა.

გულაღმა ვიწეჭი და ფანჯარას გავც-
ქვროდი. ვარსკვლავებით მოყენილი ცა
მავთულებით იყო გადახაზული. ეხოში
ონკანი მოშლილიყო და ქაფაფენილზე
შიშინით იღვრებოდა წყალი.

რადის ჩამქინა, ვერ გავიგე. უტნაუ-
რი რამ დამესიზმრა: ბზუოდა რაღაც,
მომამბურებლად და გაუთავებლად ბზუ-
ოდა რაღაც ზედ ყურთან და მოსვენებას
არ მძალევდა. ყველაზე უფრო ის მაწვა-
ლებდა, რომ ვერ გამეგო საიდან მოდი-
ოდა ეს ბზუილი: წინა სიზმრიდან იყო
გამოყოლილი თუ სხვა იყო. მერე ამ
ბზუილს უტნაური სანახაობა მოჰყვა:
მტრის თვითმფრინავებს დაეჩრდილათ
ცა. დაბლა, სულ დაბლა, ათიოდე მეტ-
რის სიმაღლეზე მიფრინავდნენ თვით-
მფრინავები, ფრთა ფრთაზე გადაეწნათ
და მათი ქროლვისგან ამტყდარი ქარი
შავად გადატრუსულ ბალახს მიწასთან
ასწორებდა. მე სანგარში ვიწეჭი პირ-

ქვედამხობილი, სახე მიწაში ჩამქმალა
და სუნთქვა მიქირდა. ~~მეტი~~ ~~მეტი~~ ~~მეტი~~
მოველოდი ნაცნობ, ~~მეტი~~ ~~მეტი~~ ~~მეტი~~
წვივოს, რომელსაც აფეთქების ხმაც
მოჰყვებოდა და მაშინ... უცებ დაიქუხა
რაღაცამ და შეშინებულმა თვალები და-
ვაჰყიტე. გათენებულყოფი. ფანჯრის იქით
საბარგო მატარებელი მიდიოდა. კარა-
დაში ქიქები წკრიალებდნენ, ოთახში
ჩაიდნით ხელში ჩემი მასპინძელი იდგა.

— ჩიის დაღვე თუ ყავას?

— სულერთია ჩემთვის, — ვუპასუხე
და ჩაიქმას შევედუქე. სამსახურის საქმე-
ზე ვიყავი ჩამოსული და მივლინება
დღეს მითავდებოდა, ღამის თვითმფრი-
ნავს მოსკოვში უნდა წავეყოლიდი.

სიზმარი

ზღვაში აღმართულ, თვალმუფდამ
ციცაბო კლდეს გზა შემოსალტვია. არც
დასაწყისი უჩანს, არც ბოლო. გზას ერთი
მხრიდან კედელი საზღვრავს, მეორე
მხარე — პირდაღებულ უფსკრულს დას-
ცქერის, ქვემოთ — ზღვაა. იგი ციდა
დამვებულ უზარმაზარ ღარდას ჰგავს,
რომლის ლურჯი კალთები კლდის ძირში
ქაფის მაქმანითაა შემოქობილი.

თავდაღმართში საშინელი სისწრაფით
მიჰქრის ხალხით გატენილი საბარგო ავ-
ტომობილი. მგზავრებს შორის მეც
ვარ. ფეხზე ვდგავართ და ერთმანეთს ვე-
ბლაუქვებით, რომ ამ გადმოვცვივდეთ.
გზა ვიწროა, ისეთი ვიწრო, მანქანა
ძლივს ეტევა ზედ, და აი, ერთ მოსახვევ-
ში მე ვგრძნობ, არაჩვეულებრივი სიცხა-
დით ვგრძნობ, როგორ სწყდება მანქანის
უკანა ბორბლები მიწას, როგორ იხრება
მანქანა მარცხნივ, მერე ერთბაშად მა-
ლაყს აკეთებს ჰაერში და შურდულივით
მიექანება ქვევით, ზღვის უფსკრული-
საკენ. ქარი მიწივის ყურებში, სუნთქვა
მეკვრის, გული ამოვარდნაზე მაქვს...
„უნდა გადავხტე... რაც შეიძლება მაღლედ
უნდა გადავხტე, თორემ...“ მანქანა კი
ზღვას უახლოვდება, წამიც და... და უც-
ებ ეღვასავით გაანათებს გონებას მაშ-
ველი ფიქრი: „ეს სიზმარია!“



თვალს ვახელ და შეშინებული სა-
წოლზე ვჯდები. კუბეში ვაგონის გამცი-
ლებელი შემოსულა; იღიმება და ჩაის
მთავაზობს.

რუსული ენა კარგად ვიცი და ხშირად
მეკითხებიან: „შენ თვითონ რატომ არ
თარგმნი საკუთარ ლექსებს რუსულ ენა-
ზეო?“ უცნაური შეკითხვაა! აბა რა ვი-
ცი მე, რა წარმოდგენას აღძრავს რუს
მკითხველში ჩემი რუსული სიტყვა? მე
ქართველ მკითხველთან მაქვს საქმე, და
ამიტომ წინასწარ ვიცი, რა წარმოდგე-
ნას შექმნის მასში ჩემი ნათქვამი ქარ-
თული სიტყვა.

უსინათლოს რომ წამით დაუბრუნდეს
თვალსჩინი — ესაა შთავგონება.
იგი გავლევებასავითაა... ამის შემდეგ ხე-
ლოვანმა თვალგახელილმა უნდა გაიი-
როს ის გზა, რომელიც მანამდე თვალ-
დახუჭულმა გაიარა.

ყურადღებით უსმენდნენ და ისიც
დიდი სიამოვნებით ჰყვებოდა თავისი
ცხოვრების ამბავს: უამბობდა ცოლზე
რომელთანაც, მისი სიტყვით, არ იყო
ბედნიერი. იგი ცდილობდა გაერკვია
ცოლთან ურთიერთობის არსი, დაედგრა,
ვინ იყო მათში მართალი, ვინ —
მტყუანი, რის გამო მოხდა, რომ ოჯახში
აღარ ედგარება და სხვა. დარწმუნებუ-
ლი იყო, რომ მისი მსჯელობა საესეებით
შეესაბამებოდა სინამდვილეს. ლაპარა-
კობდა და ტკბებოდა თავისი მკვერმეტ-
ყველებით, ფიზიკური თვალთ დანახუ-
ლი ფაქტების ზუსტი ანალიზით და იმ
შეფასებით, რომელსაც აძლევდა უახ-
ლოესი აღმზიანის თვითეულ განცდასა
და საქციელს... კარგად აზროვნებდა, სა-
ღად და გონივრულად, ამიტომაც ვერ
ამჩნევდა, რომ დაღატაკი ჩადიოდა.

ხალხური მუსიკა — ეროვნული ენაა,
იგი შეიძლება ან გესმოდეს, ან არ გეს-
მოდეს — იგი არ შეიძლება იყოს ცუდი
ან კარგი.

მეოცნებეს ფულის მიღება უყვარდა.
არა დაგროვება და ხარჯვა, არამედ მი-
ღება, რადგან ამ დროს თავისი სურ-
ვილების განხორციელებაზე ფიქრობდა
და ტკბებოდა იმ განუსაზღვრელი ძა-
ლით, რასაც ფული ანიჭებდა. გამოიყე-
ნებდა თუ არა ამ თავის შესაძლებლო-
ბებს, მისთვის მნიშვნელობა არა ჰქონ-
და, რადგან მეოცნებე იყო...

ჩემი სამშობლო — ქართული
ენაა. იგი უსაზღვრო და ხელშეუხე-
ბელია, იგი ჩემშია და ჩემს გარეთაცაა
ჩემშია — ივრის პირას გატარებული ბა-
ევშობიდან მოყოლილი სიტყვების მარა-
გი და ქალაქზე მათი გადატანის ურ-
ყვეი ცოდნა, სკოლაში მიღებული განათ-
ლებით განმტკიცებული... ჩემს გარეთ
— მოსკოვში, ჩერნიახოვსკის ქუჩა-
ზე მდებარე სახლში წლების მანძილ-
ზე დაგროვილი ქართული წიგნები: რუ-
სთაველი, გურამიშვილი, ვაჟა, ბარათაშ-
ვილი, „ვისრამიანი“, საბა, „ქართლის
ცხოვრება“, ლექსიკონები, ილია, ავაკი,
ყაზბეგი, დ. კლდიაშვილი, ნ. ლორთქი-
ფანიძე, მ. ჭავჭავაძე, გ. გამსახურ-
დია, „ბათა ქექია“, გ. შატერაშვილი,
გ. რჩეულიშვილი, რ. ინანიშვილი, რ. ჭე-
იშვილი... აგრეთვე ნივთები: თიხის ჭურ-
ჭელი, ჭედური ხელოვნების ნიმუშები,
სამთავისის, გრემის, შატილის ფოტო-
სურათები, ფიროსმანის რეპროდუქცი-
ები და საქართველოს რუკა კედელზე;
საწერ მაგიდაზე კი, შუშის ქვეშ, გალაკ-
ტიონის, ლეონიძის, ჩიქოვანის და ჩემი
ცოცხალი და გარდაცვლილი ახლობლე-
ბის სახეები... რითია ცუდი სამშობლო?

ლექსის წერის დროს პოეტს ამა თუ იმ სტრიქონის უთვალავი ვარიანტი მოსდის თავში. აქედან ერთი უნდა ამოირჩიოს — ყველაზე შესატყვისი იმის, რისი თქმაც უნდა. ამაშია სიძნელე: მიავნო აუცილებელს, ზუსტს და არა მიახლოვებულს... რაც უფრო ნიჭიერია პოეტი, მით უფრო მეტ „ვარიანტთან“ აქვს საქმე და მისი არჩევანიც უფრო შეუმცდარი.

„მიახლოებული“ სიტყვა ლექსში ისევე მიუტყვებელია, როგორც ყალბი ბგერა მუსიკალურ ნაწარმოებში ან მცდარი მოძრაობა — ცეკვაში.

„სიყვარულსა მალვა უნდაო“, — თქვა ბრძენმა და მართლაც, სიყვარული გაუმყლავნებელი ფოტოფირიფითაა: დღის სინათლეზე ფუჭდება, კარგავს თავის სახეს. ის, რაც მხოლოდ ო რ მ ა იცის, ყოველთვის სუფთაა და უცოდველი, საკმარისია მ ე ს ა მ ე თვალმა შეხედოს და... ყველაფერი ძალზე პროზაული ხდება.

თვითელი ჩვენგანის არსი ე. წ. „მოსახლვრე სიტუაციაში“ ანუ დიდი განსაცდელის ქაშს ვლინდება და მაინც დმერთმა ნუ მოგვასწროს იმას, რომ ერთმანეთისთვის მეგობრობის დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა დაგვიჩრდეს!

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში აზრისა და სიტყვის კონფლიქტი შეინიშნება. დღევანდელი აზროვნების შესატყვისი მეტყველების შექმნა და დამკვიდრება — მწერლის უპირველესი ამოცანაა.

სიყვარული რ წ მ ე ნ ა ა და ცოდნაზე მალდა დგას. საყვარელ ადამიანზე არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ გ ვ ი ყ ვ ა რ ს და ეს საკმარისია. სამაგი-

ეროდ კარგად შეგვიძლია დავახასიათოთ ადამიანი, რომლის მიწარათ გულგრილი ვართ.

პოეტები, ვისაც არაფერი აქვთ სათქმელი, მკითხველის ყურადღებას მოულოდნელი სიტყვიერი „ილეთებით“ იპყრობენ ხოლმე. ნუ დავავიწყდება, რომ ყოველი „ილეთი“, რომელსაც ჩვენი ყურადღება შინაარსიდან ფორმაზე გადააქვს, სარისკოა და შეიძლება ავტორის მარცხით დამთავრდეს.

სიმართლეს ყოველთვის გარკვეული მიზნით ლაპარაკობენ, მაშინ როდესაც გულწრფელობა გამიზნული არაა, იგი თავის არსშია ჩაქეტილი და თავის თავს აკმაყოფილებს.

სიმართლის თქმა ბოროტ ადამიანსაც შეუძლია, მაგრამ ბოროტი ადამიანი არ შეიძლება იყოს გულწრფელი. გულწრფელად ტყუიან, როცა ტყუილი სჯერათ ან ცდებიან, სიმართლეს კი — შეგუნებულად ამბობენ, მაშინაც, როცა სიმართლისა არცა სჯერათ.

გულწრფელობა არაა უსუსური, როგორც ზოგიერთს ჰგონია, პირიქით, უდიდესი ძალაა და თუმცა პარადოქსივით ეღერს, დიპლომატიის საუკეთესო იარაღიც. სიმართლესაც იყენებენ დიპლომატიის საშუალებად, მაგრამ მართლის მთქმელმა იცის, რას ამბობს და რისთვის ამბობს, ამით უნებლიედ ამხელს თავის თავს და ამაშია მისი სისუსტე.

გულწრფელობა განაიარაღებს მოწინააღმდეგეს, სიმართლე — ეჭვს იწვევს მასში და სიფხიზლისაკენ მოუწოდებს.

გულწრფელობის განსახიერება თავადი მიშკინია დოსტოევსკის „იდიოტიდან“...

ადამიანები კვდებიან, იბადებიან, ბუნება კი სულ არსებობს და მუდამ ახალია, რადგან მას ყოველთვის ახალი ადამიანის თვალი ხედავს.

* * *

სიამაყე — ღირსებაცაა და ნაკლიც: ამჟამად ადამიანი არ წახდება ისე, რომ სხვისი მოსავლელი გახდეს, მაგრამ თუ გაუჭირდა, სხვის დახმარებასაც არ იყარებს.

* * *

რაც უფრო რთულია მწერლის შინაგანი სამყარო, რაც უფრო ღრმად და თავისებურად აღიქვამს იგი მოვლენებს, მით უფრო ბუნებრივი და მისაწვდომი უნდა იყოს ნაწარმოების ენა, მისი ფორმა.

პრიმიტიულად მოაზროვნე ავტორი, რომელიც არაფრით არ გამოირჩევა ჩვეულებრივი მოკვდავებისგან, წლებზე ფეხს იდგამს და იჭაჭება, რომ რამენაირად დაუმტკიცოს მკითხველებს თავისი ორიგინალობა. და პირიქით — გამორჩეული ბუნების ადამიანი გარესსამყაროსთან თავის რთულ დამოკიდებულებას უბრალოდ და გასაგებად გადმოგვცემს. ერთსაც და მეორესაც თითქო „შინა“ ან „სცხენია“ გამოჩნდეს ის, რაც შინამდვილეშია: პირველს — ზედმიწევნით მარტივი, მეორეს — ზედმიწევნით რთული.

* * *

ლექსის ბჭკარედი — თოჯინასავითაა, რომელსაც მთარგმნელები, როგორც ბავშვები, ნაირ-ნაირ ტანსაცმელს აცმევენ თავიანთი ცოდნისა და გემოვნების მიხედვით.

* * *

ქეშმარიტების არცოდნა — არცოდნაა, ქეშმარიტების ცოდნა და დამალვა — ბოროტმოქმედება.

* * *

სიბერეს ადამიანი ურიგდება ისევე, როგორც ფიზიკურ ნაკლოვანებას ან ავადმყოფობას. „მინცდამინც ცუდი არაა, არც საშიშია!“ — ფიქრობს იგი და

მოხუცებულობაში გარკვეულ უპირატესობასაც ხედავს, ისეთს, რაც ახალგაზრდებს არ გააჩნიათ. მეტი რა დაარჩენიათ მოხუცებს: ზეიბრებებით ან ჰიპერტონიკებით, ისინიც აუცილებლობას ემორჩილებიან და არა მარტო ემორჩილებიან, ამართლებენ კიდევ თავის მდგომარეობას და ცდილობენ წარმოიდგინონ იგი რაღაც განსაკუთრებულად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, სავსებით ბუნებრივად და კანონზომიერად.

* * *

ცოდნისკენ სწრაფვა თვითთელი ჩვენგანის თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ ვიციტ — დაგვლუპავს ცოდნა თუ გადაგვარჩენს? თუ დავიღუბეთ, რაც უნდა ბევრი ვიცოდეთ, ერთი რამ მაინც არ გვეცოდინება: რამ დაგვლუპა — მიღებულმა ცოდნამ, თუ იმან, რაც უცოდნელი დაგვრჩა და რაც (ჩვენი რწმენით) ნამდვილად გადაგვარჩენდა, რომ გვეცოდნოდა?!

* * *

პოეზია ოცნებისა და სინამდვილის დაპირისპირების ნიადაგზეა აღმოცენებული და ნაპერწკალივით ჩნდება მაშინ, როცა ეს დაპირისპირება კონტრაქტის ხასიათს ღებულობს. შემოქმედება — დარღვეული ჰარმონიის აღდგენისა, ან ახლადჩასახული წინააღმდეგობის უკიდურესობამდე მიყვანის ცდაა. მხატვარს სურს შეარიგოს თავისი „მინდა რომ იყოს“ იმასთან, რაც „არის“, ანდა პირიქით — გააწვეავოს ეს დაპირისპირება და საბოლოოდ გათიშოს ერთმანეთისაგან ოცნება და სინამდვილე. ამ კონფლიქტის გადაწყვეტა მხოლოდ მხატვრის ცნობიერებაში შეიძლება, ამიტომ ყოველი გამარჯვება ცხოვრებაში: ბოლომდე მიყვანილი საქმე, აცხადებული სურვილი თუ დაკმაყოფილებული ვნება — დაუწერელი ლექსი ან პოემა, ჩანასახშივე დაღუპული მხატვრული ჩანაფიქრია...

* * *

მკითხველმა ნაწარმოების მოქმედ პირად ან შწერლის თანაავტორად უნდა იგრძნოს თავი — ლიტერატურული ნაწარმოების ღირსება ამით განიზომება.

* * *

ბოროტ ადამიანზე ხშირად იტყვიან: „მხეციანო“... რა უსამართლობაა! მხეცი არასოდეს არ შეიძლება იყოს ისეთი სასტიკი და დაუნდობელი, და რაც მთავარია, ისეთი გაწაფული ბოროტებაში, როგორც ვერაგი ადამიანია.

* * *

გრძნობა, რომელიც ჩაგვაფიქრებს, აზრი, რომელიც აგვაღელვებს — თავისთავად პოეზიის ჩანასახია.

* * *

გრძნობამ თავისი გამოხატულება აზრში უნდა ნახოს, აზრმა — სიტყვაში. მაშინაა ლექსი დამთავრებული.

* * *

შთაგონება შორეულ ქვეყნებში მოგზაურობას ჰგავს და ლექსი — იქიდან დაბრუნებული მგზავრის ნაამბობია.

* * *

ლექსის წერის დროს მთავარია სიტყვას არ აპყვე, მისი მონა-მორჩილი არ ვახდე, საშუალება არ მისცე ფორმას ჩაქროს შენში ცოცხალი წარმოდგენის უნარი, განუწყვეტლივ თვალწინ გედგას ის ამბავი თუ მოვლენა, რაზედაც სწერ და შენს განცდასა და ფიქრს მისი ხილვით ასაზრდოებდე.

* * *

პორტრეტისტებმა კარგად იციან, როგორ ცვლის სახის გამომეტყველებას პა-

წია წერტილი — ხალი. ასევე ლექსში. ერთ უმნიშვნელო სიტყვას შეუძლია ან შორისდებულს — შეუძლია შეცვალოს ყველაფერი.

* * *

ტურისტის შთაბეჭდილება ყოველთვის მცდარია, რადგან ჩამოსული ადამიანი გარეშე მაყურებლის და არა უშუალო მონაწილის თვალთ აღიქვამს ახალ ცხოვრებას: იგი მისთვის სანახაობაა და არა ყოველდღიური მოქმედების ასპარეზი.

* * *

სიკვდილი ყოველთვის მოულოდნელია, რადგან ადამიანის გონებას არ შეუძლია გაიაზროს და დაიჭეროს დაღუპვის გარღვევალობა.

* * *

პოეტი გეოლოგს შეიძლება შევადაროთ, რომელიც სულის წიაღში ძვირფას მადანს ეძებს. იგი ერთდროულად ოქროსმაძიებელიცაა და ოქროსშემცველი ქანიც. ტრაგედია მაშინაა, როცა ქანი უკვე გამოფიტულია, მაძიებლის შემართება კი ჯერ არ დამცხრალა, ან პირიქით — როცა ქანი მდიდარია, მაძიებლის შემართება კი დაცხრა და ჩაღველდა.

* * *

საქმეც იმაშია, რომ სამშობლოს „გარედან“ ვერ შეხედავ და თუ შეხედე, ის უკვე სამშობლო აღარაა, რაღაც სხვაა! სამშობლოს განყენებულად წარმოდგენა, ცნებად გადაქცევა — შეუძლებელია. როგორც შვილის სიყვარული მშობლისადმი, იგი ადამიანის კონკრეტული სულიერი მდგომარეობაა.

შენი საქმე და სარსთაველი

ყური მიუგდე და გეტყვის ხნული, გეტყვის ვარძია გარდასულ ამბავს, თუ რატომ ეძნო ქართველის გული სამედიცინოლოდ ჩაქუჩს და ნამგალს. იდგა უკუნი თუ თეთრი ღამე, კიდა ცეცხლი მიწას თუ ლაფვარდს, გეტყვის გრწანისის დღეები მწარე, რატომ ხელთებყრა მახვილი ვაჭკაცს. გაიმბობს მუხა, კლდის პირას მდგარი, რამდენჯერ სევში მდინარე დაშრა, არ გაგვიგდია მაშინაც ბარი, როცა მარჯვენა იქნედა დაშნას. ფრთააწურული გაიმბობს შურთხი, კეითხე ჯეჯილში ჩამუხლულ ნიავს, არ დაცემულა ღირსება გუთნის, როცა სიცოცხლედ ფასობდა ტყვია. ახლაც ის თრთოლვა ამოაქეთ ბელტებს და ბილიკებზე ნატვრად ინთება, ცხრაასრუდიმეტში აფრენილ მტრედებს ცად ვით აპქონდათ შრომის დიდება.

ეს ქარხნის მილი ბურჯია ცისკრის, ზედ ცისარტყელის ირხევა ტოტი... აქ განთიადის ღიმილი იტყვის, ბედნიერება თუ როგორ მოდის. მკედრუთით აღმდგარი რუსთავი გეტყვის, გამდნარ ფოლადში მთავარე რომ ცურავს, თუ საით მიჰყავს ცხოვრების ეტლი წალდს და ხელგროს, ნამგალს და ქურას. ესმენია ძვერა შირაქის მკერდის როგორ ამოაქვს ოქრო და ფარჩა?


ათქვირებული ჯეჯილი გეტყვის, თუ სისხრული საიდან გაჩნდა. და ენა მარტო სუნთქვა იგების, რამდენადგარ კვირტებს ზედ რომ ედება, გეტყვის კოლხეთის პლანტაციები, თუ რამ აქცია მიწა ედემად. როცა ბულბული შეარხვეს ღარებს და შემოიყვანს ფრთხილად განთიადს, ჩამოქვე ნაშინ ალაზნის ქალებს და მითხარ შრომას თუ რა მადლი აქვს. ნახე იორზე ზეიმი ფერთა, უსმინე რა თქვან ბედის ზარებმა, შრომის გარეშე არ მოდის ქვეყნად არც სასწაული, არც უკვდავება.

სადაც კი შრომა ანწვერვალდება და ნატვრულებს ყაყაო მისდევს, იქ არ აკლია ჩანვს ელვარება, სიმტიციე რვალს და ბარაქა მინდერებს. იქ აღტაცება დადის მადლობად, სიყვარულს მკლავის გაშლა უხდება, იქ არ აკლია ხმაღს ფხიანობა, რომ იტავს შრომის თავისუფლებას. იქ მალამოა ვარდი მშვიდობის, მუდამ საამის ქვეყნად მთოველი, და უფრო ბრწყინავს შენი დიდგორი და შენი სულის სვეტიცხოველი. შრომამ წამალა წინსვლის სახლვარი, გასჭრა ახალი გზები შეტვიცნი. სამშობლოვ, მიტომ არის მალალი შენდამი ტრფობის ცა და სვეტები!

არ გიღალატებს, მიჰყე და ენდე
და გაიხადე სულის ზიარად,
შრომა მხოლოდ ყველაფრის შემძლე,
ის ქკურნავს მხოლოდ ყველა იარას.

მისი მკერდიდან სისხლი არ ქონავს,
ალარც ნისლია, ზედ რომ ეფინა,
შერე ბორკილი ვინ ახსნა შრომას
და სამუდამოდ გაახელმწიფა?
ვინ აიტანა ცამდე დროშებად?
ვინ იყო მისი გზების მიმგნები?
ვინ აღასრულა მისი ოცნება?
ვინ და პარტიამ კომუნისტების!
რასაც პირველ ხნულს ჩაუთქვამს გლეხი,
ჩაუთქვამს მუშა გამართულ დაზგებს,
იმ საყვარულით და იმავ ღელვით
და ისევ შენი სიკეთის მაცნედ,
ისევ შენივე სიციცხლის ფარად,
იმედად, ვაშად, სიმხნევედ გულთა,
ვით გუშინ, ვით დღეს და ასე მარად—
პარტიას შენი დიდება უნდა.
შენი დღეები რარიგ ხშიანობს,
რა აღმაფრენით მკერდი ივსება,
შრომა მხოლოდ, ადამიანო,
შენი სახელის შნო და ღირსება.
არა სისხლისღურას და განზე დგომას,
ცას რომ ჩამოშლის ომის ბიხდებად,
პირველი სიტყვა ცკუთვნის შრომას,
ზვალ რომ უკეთეს დღეებს გეპირდება.

ეს მთა, ეს ველი, ეს კლდე ფრილო,
ეს ბალი — მთვარე დამეს რომ უთეეს,
შენ გეკითხება, ადამიანო,
რა მიუმატე ახალი ხუთწლედს?
რით აღამადლე ხუთწლედის ბჭენი,
თქვი, უფრო ეს დღე რითი მზიანობს?
შენი აწმყო და წარსული შენი,
შენ გეკითხება, ადამიანო!
რა მიუმატე ამ არხს, ამ ვენახს,
რა სიახლეთა გახდი მიმთვლელი?
რით განამტკიცე მშობელი ენა,
შენი მამულის დღე ხვალინდელი?
ადამიანო, ხარ ცის მპყრობელი,
სტრიქონს აწრთობ თუ მზეს აკვანს ურწევ,
შენ გეკითხება წუთი ყოველი
რა მიუმატე ახალი ხუთწლედს?
ოცნებამ სხივი კვლავ სად გასტყორცნა,
რომელ დიდების მწვერვალს გადგელო?
რით დაამშვენე შენი კაცობა,
შენი საქმო და სარუსთაველო?
რა მიუმატე ხუთწლედს ახალი,
ნუგეშს, სიამეს, არდავიწყებას,
ხუთწლედს, რომელიც შენს გზებს დაჰხარი
და ხვალ უკეთეს დღეებს გეპირდება?
არა არის რა წმინდა იმაზე,
არც გამიგია, არც მეგულება,
ვიდრე იხდიდე ქვეყნის წინაშე
ადამიანურ ვალდებულებას.



ღღე ღღეკანდელი

ჟერ არასოდეს დედამიწაზე
ცა ასე რიგად არ მოწმენდილა.
ჟერ არ დამდგარა დედამიწაზე
ასე ბოლომდე ნათელი დილა.

კატასტროფების მუდმივი შიში
ღღეს ლეთარგიულ ძილში არსებობს
და ჩვენს პლანეტას არავინ უშლის
მშვიდად იბრუნოს ღერძის გარშემო.

ღღევანდელ ღღემდე ბევრი გვიკვლია
და, თუმც, სამყაროს არა აქვს ბოლო,
წუთისფელი წყლის წისქვილია
და სიყვარული აბრუნებს მხოლოდ.

იხარე ყანავ, ბალო-ეღემო,
ვაზო ლამაზო და ვაზის ფესვო.

ჩვენ ხომ ამ ქვეყნად მიტომ მოვედით,
რომ სიყვარული ვზარდოთ და ვთესოთ.

ღღე ღღევანდელი თქმის ნებას მაძლევს.
ამას მპირდება ღღე ხვალინდელი,
რომ ლურჯი ზეცა ქალაქი თავზე
სულ სიყვარულის იყოს მხილველი.

ღღე ღღევანდელი ხვალინდელს ერთვის,
ხვალინდელ ღღეს კი მშვიდობა ჰქვია.
მიფრინავს ლაღად ფრთათეთრი მტრედნი,
ზეთისხილის რტო ნისკარტით მიაქვს.

ღღე ღღევანდელი ისე ვიწამე,
ვით მშვიდობის მზე ცაზე რომ ბრწყინავს.
არ ჩამჭრალიყოს დედამიწაზე
ასე ნათელი და მშვიდი დილა.

9 მ ა ი ს ი

...ოთახში მე და მამაჩემი ვიყავით მხოლოდ
და ღღევანდელ ღღეს გაახსენდა მამაჩემს ქერჩი,
ხიმაშაცე და სიმხდალე კაცის,
ხიკვდილ-სიცოცხლე,
გამარჯვების რწმენა, იმედი...

მე ხელში მეჭირა ჩემი ბიძაშვილის
ღღონიდე მინდაძის სურათი,



საიდანაც ის ისე უხერხულად იღიმება,
თითქოს თვითონ იყოს დამნაშავე,
რომ ომიდან ვეღარ დაბრუნდა.

ჩვენს მეზობლად კი ცხოვრობს ქალი,
რომელიც დღესაც მოელის წერილს...
მაგრამ წარსულს, ხომ იმიტომაც ჰქვია წარსული,
რომ მომავალში არ მეორდება...

ბებერი სიხე

მე ისევ ვდგავარ და ცას შევცქერო.

(დიდი ხნისა ვარ და განწირული.
შთავარი არის, როგორ მოვევლები).

ჩემი ქონგურის ყოველ სვეულზე
მძიმე და ნელა გადადის ფიქრი.

ჯერჯერობით კი, ისევ ვდგავარ და
ველოდები.

მე ვსუნთქავ ჩემი ხალხის იმედით.

ჩემი ქონგურის ყოველ სვეულზე
მძიმედ და ნელა გადადის ფიქრი.

ის თუ იხარებს,
სიხარულე ჭერს ამხდის მაშინ.
ის თუ იდარდება,
საკუთარი ცრემლები დამშლის.

ფიქრში გამჯდარა ჩემი წარსული,
როგორც სხეულში ტყვიის ნამსხვრევი.
მეპატიება ბებერს სისუსტე —
მეამაყება ნატრილობევი.

• • •

გახუნებული ხალათივით დღე არის ბაცი.
ნელა ჩამოდის ქვის კიბეზე მალალი კაცი.

აქ დრო ჩერდება და ამოკლებს გასაველელ
მანძილს.

თითქოს ითხოვდეს უკანასკნელ სურვილს და
წადილს,

ძალიან ნელა ქვის კიბეზე ჩამოდის კაცი.


მზე დასაველეთით გადახრილა და ნელა
ჩადის.

აქ სიჩუმეა და სითეთრე თოვლივით
ბარდნის.

წელიწადები ქარებს წამში წარსულში
გააქვს.

საავედმყოფოს მოსაცდელში დრო ნელა
გადის.

აქ კი, წამები იშვიათად მოწყდება საათს.



ქართლის მკვლელი

რომანი

პეტრე იბერის მიმართ ინტერესს ახალი სული შობებრა აკად. შალვა ნუსტუბიძის აღმოჩენამ, იმ თვალსაზრისით, რომ არცთუ ახალი წიგნების ავტორია პეტრე იბერი.

ამ აღმოჩენამ წინამდებარე რომანის ავტორს გააბედინა ფრთად საძინელო ხაქმე: დაეწერა რომანი პეტრე იბერის ცხოვრებისა. რომანის ავტორს გამბედაობა იმანაც შეემატა, რომ ბუნებრივად მელოდრამის ერესტ პონიგმანის გამოკვლევებამაც იგივე დაადასტურა: მართალია, ეს მოქდა შალვა ნუსტუბიძის გამოკვლევების გამოქვეყნებამდე, მაგრამ მაინც თავისი, დამოუკიდებელი კლი.

V საუკუნის ბიზანტიის არ შეუღლია არც პროკოპი კესარიელი და არც მიქაელ ფსელოსი, რომ დაეტოვებინათ იმდროინდელ სასახლის ცოცხალი სურათები, მაგრამ პეტრე იბერის თანამედროვეებმა, მისმა მოწაფეებმა: ზაქარია კართველია, იოანე რუფუსმა და სხვებმა შემოვიწინა ხეს ბიოგრაფიული ცნობები იმ ეპოქის დიდი მოღვაწის შესახებ. იმ ეპოქის მრავალ გამოჩენილ პიროვნებაზე მსტორიას არ შეეძლო არ ეთქვა თავისი სიტყვა; ასეთი იყვნენ: ნესტორიოსი, პრისკე პანონიელი, რომელმაც თვითონაც დატოვეს ბევრი რამ საინტერესო წყნეთის; თეოდანე ბიზანტიელის ცნობები, მართალია, ფრამენტულად შემორჩენილი, მაგრამ მაინც ღიად მნიშვნელოვანია იმ ეპოქის შესასწავლად. ფოტიოსს და გრამატიკოსს ცეცხლ საგანგებოდ შეისწავლიან წყნეთის საინტერესო დედოფალ ევდოქიას ცხოვრებას, ახალი დროის ისტორიკოსნი — რამბო, ტერი, თუ შარლ დილი და სხვანი უკან ფენენ პეტრე იბერის ეპოქის ისტორიის უროულეს საკითხებს. მაგრამ თვით დედოფალ ევდოქიას პოემა „აგლადა და აუსტანა“, რომელიც მიაჩნდა ბიზანტიის „დაკარგული სამოთხის“ შთაგონებას წყაროდ, ჩვენი რომანის ერთ-ერთი საყრდენად იქცა. წყნეთის უადრესად უურადასადება აღმოჩნდა შარლ დილის აზრი, რომ ეს პოემა დედოფლის აღსარებაა; შარლ დილი დასძენს: „შესაძლოა კიდევ რამე ახალი აღმოჩნდეს იმ შორეული ეპოქის დაიწყებულ დედოფლის ცხოვრებიდან“. შექმნის დავაგარად შეეცადეთ დანაკლისი შევეყვას იმ ეპოქის მაქისციქოსა და სულიკეთების შესახებამხად.

დრომ დაშორა ჩვენთან ეპოქა, რომელშიც გამოიზარდა პეტრე იბერი, ვაჟი, რომელსაც „ცხოვრება მოქმედებისა და შემოქმედების გაერთიანებულ სარბიელად მიაჩნდა“; დრომ უხვად მისცა მას მასალა ფილოსოფიურ განვითარებებისათვის და დრომეც დანიხდა ის შორეულ ფიქრები, მის თანამედროვეებს რომ აღეღებდნენ; ბევრიც თვით პეტრე იბერმა დაუარა საიდუმლოებით, დევნითა და სახელოთ იძულებულმა, მაგრამ მათი ნახმევი საუკუნეებს გადმოსწვდა და თავისი მაცოცხლებელი ძალა შეინარჩუნა; „კინც ახალ შესაძლებლობათა ერასა შლიდა კაცობრიობის წინაშე, იგი კაცობრიობის მესხიერებას კიდევაც შერჩა“.

„მითობის“ რეაქტია აქვეყნებს ამ წიგნის მხოლოდ პირველ სამ თავს. „ქართლის მძევალი“ მთლიანი სახით ცალკე წიგნად დაიბეჭდება.

მოვლენათა გაშუქებისას ყოველთვის ვერ ვენდეთ ბიოგრაფთა განმარტებებს, ანუ, მაგალითად, ის თვალსაზრისი, რომ პეტრემ კონსტანტინოპოლი დასტოვა ასკეტური ცხოვრების პირობებით, სავსეოდ მივიჩნით, რადგან ისტორია საგანგებოდ აღნიშნავს სასაზღის მონასტრულ გარემოს, სადაც თვით ბაზილიდესიც კი ბერად გამოიყურება; პალესტინაში კი პეტრე საეროსაზოგადო მოღვაწეობით გამოირჩევა; ახალგაზრდა, სათნოებით აღსავსე სარდლის გაქცევას მიზეზის ამოხსნისას უფრო ბუნებრივად მივიჩნით ის მოსაზრება, რომ კარის ინტრიგებისაგან თავის დახალწევად ის იძულებული გახდა პალესტინას შეზღუდებოდა.

ვენდით რა ისტორიას, ვიღრე ფანტაზიას, შევეცადეთ მოვლენების გაშუქებისას კემშარიტება არ ყოფილიყო განსხვავებული ფაქტებისაგან, როგორც დრო სივრცისაგან, როგორც ბედისწერა მიზეზობრიობისაგან.

მოკრძალებით მადლობას უხდის ავტორი მწერალ ლევან გოთუას კეთილი რჩევებისათვის.

აპტორი

თავი პირველი

ბოსფორსა და ოქროს რქას შორის კონსტანტინეს ქალაქიც კარგად გამოჩნდა. მაგრამ თოთხმეტი წლის მურვანისათვის შეუქმნველი რჩებოდა მანიაკივით მოფენილი თეთრი ეკედერები და უზარმაზარგუმბათებიანი ტაძრები. იგი ისევ და ისევ იგონებდა როგორ იძირებოდნენ ზღვაში პატარ-პატარა ქედები, მათ მიჰყვებოდნენ კავკასიონის კალთებიც, მწვერვალებიც და მურვანი მათთან ერთად ინთქმებოდა შეუცნობელში. ცა გაუხსნველ ბურუსში გახვეულიყო, თვალთახედვა საყრდენ წერტილს ველარ პოულობდა და მისი ფიქრები გარბოდნენ მზის სხივის ბილიკზე, რომლის საწყისი მის ქვეყანაში იყო და დასასრული ბიზანტიას.

კარგს არას უნდა მოასწავებდეს მძველობა, ესოდენ რომ დაალონა დედამა, სასახლე; მთელი ქვეყანა, — ფიქრობდა იგი, — შესაძლოა, დაკარგოს ტახტი, რომლის თანამდებობაც იყო, ველარც სამშობლოში დაბრუნდეს, ველარავინ იხილოს...

და მურვანმა ისევ წაართვა თავი მონგოლებს, ზურგი შეაქცია ზღვას და თავის დიდებულ ამაღას მოუბრუნდა. ყმაწვილის ფართოდ ვალებული თვალები თითქოს სიზმრიდან იცქირებოდ-

ნენ. ცხოვრება ისეთი ძალით შემობრუნებულყო, აწმყო წარსულს ემიჯნებოდა. ირგვლივ ყველაფერი უცხო იყო, მეზღვაურების ხმაც უცნობი, სხეულს კი ჭერაც ნაცნობი ტყის სურნელება ასდიოდა, მშობლების ცრემლები არ შეშრობოდა, გამზრდელ ზუზოს ხმაც ისევ ესმოდა, სამეფო ამაღაც კი, დიდი დიდებით და სიმრავლით რომ ახლდა, უცხოდა და მღუმარებით გამოიყურებოდა, მაგრამ მათი თანამგრძნობი, მოლიმარი სახეები მზესავით გულს უნათებდა, ნუგეშის სცემდა და ყმაწვილი შვებით სუნთქავდა.

მის გვერდით, ცალფეხაკანჭურებულ, მობუხულ-მოწყენილი ბურგაკასი იდგა. ის ჭერ კიდევ გუშინ დედის, ოთას კალთას ვერ შორდებოდა, არ ეთმობოდა დედა, თავიც ებრალოდა: ახლა კი, ნაღვლიან თვლებს მურვანს რომ შეაულებდა, უნდოდა გაეცინა, მაგრამ მტირალს უფრო ჰგავდა. წამწამებში ჩამოკიდებული ცრემლი გარემოს ამღვრევდა და მცხუნვარე მზის ალერსში სადღაც შორს ზღვას აცქერდებოდა, ზღვის თევზს თვალს ადევნებდა. თევზი ხან მალა ამოსხლტებოდა, ხან უცებ სადღაც იძირებოდა და ბურგაკასიც ფიქრებში გაერთობოდა: უცვირდა ზღვა.

როგორ ამშვიდებდა და თვალთ მომდგარი ცრემლი კი დახრჩობას უპირებდა. მურვანი და ბურგაკასი ერთად შეზრდილი მეგობრები იყვნენ, მათ საერთო საცინელი და საერთო სატირალი ჰქონდათ.

მითრიდატემ ორივეს თავზე ხელი გადაუსვა გულმტკიცუნულად, იმ რწმენით, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა.

განთქმული და წარჩინებული სწავლული, კოლხეთის აკადემიის რიტორი მითრიდატე აღმზრდელი იყო და ნათლიაც მურვანისა კეთილი რჩევებით, თუ უხვი წახალისებებით ამხნევებდა, საუკეთესო თვისებებს უღვიძებდა თავის მოწაფეს, ფაქიზსა და სიბრძნის მოყვარეს, უმაგრებდა აზროვნების საძირკველს, სულიერი ძლიერებისათვის მოუწოდებდა: „სული უმაღლესია სხეულზე, — დღე მუდამ იმეორებდა, — როდესაც ადამიანი თავისი თავის მბრძანებელია, ეს უმაღლესია, რისი მიღწევაც მას შეუძლია“. მითრიდატეს ბედნიერება პირადულით არ განისაზღვრებოდა, უფლისწულის წარმატებებით ხარობდა. წარმოსადგეი, ბრგე კაცი, თავისი ახოვანი შეხედულებითაც შთამბგონებელ გავლენას ახდენდა. საშობლო ქვეყნის მწარე ხვედრით იტანჯებოდა, მით უფრო ახლა, როცა ბიზანტიის უღელს მთელი თავისი სიმძიმით დასწოლოდა ქელზე მის ქვეყანას. გრძნობდა, რომ ამის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. სპარსელებთან მოხერხდა სიტყვიერი შეთანხმება, მართლმადიდებელი ბიზანტია კი მართლმადიდებელ იბერიას ფიცითაც აღარ ენდობოდა, მძევალს ითხოვდა. „ჩანს, — ფიქრობდა, — ქრისტიანობა არ კმარა იმისათვის, რომ სამეფო სამეფოს დაენდოს“. ყრმათ კი ღიმილით ეუბნებოდა:

— ვითარცა ზღვას არ დააყენებს წარდინებანი წყალთანი და არცა მოაკლდებიან შედინებანი მდინარეთანი, იბერიასაც არ დააყენებს მოსაზღვრეთა შემოტევა-მიტაცებანი.

მაშინ მოლივილე ლურჯი ზღვა მა-

რადისობისა და უსასრულობის წიაღად გადაეშლებოდათ, თვალთახედვას გაიტაცებდა სხივების ფერთა თამაში და მურვანს სახე უნათლებოდა, ამ შეუცნობელ გარემოში საწუთო მარადიულზე აფიქრებდა, უკიდევანო სივრცე ცაბერწყმოდა და მეგობრებს თავი ზღაბრულ გმირებად მოჰქონდათ.

მაგრამ აი, ისევ დესპანის გაყვიტლებული სახე აღიმართებოდა მათ წინაშე, ცივი ღიმილი რომ ჩამოჰყინოდა. თითქოს მბრძანებელს სიტყვასთან ერთად ეს ღიმილიც გამოეყოლებინა; თვალეები შეიშაგე ჰქონდა და მის ენაშვიობას არ ემოწმებოდა: მშვიდობის მოსურნე დამპყრობელის ძლიერებაც ის იყო, რომ ვერავინ იტყოდა მტრად მოვიდა იგი, თუ მოყვრად? მაგრამ ახლა მურვანს თავისი გულისძგერა უფრო ესმოდა, ვიდრე დესპანის არაფრის მთქმელი სიტყვები.

— ალბათ, — ეუბნებოდა მურვანი მითრიდატეს, — კეისარი თეოდოსიე მასავით ხისა ან ქვისა იქნება, ჭუჭა უსათუოდ, მკელობელი ნამდვილად და ბრწყინვალე პატარა თვალეები ბოროტად გაიღვებენ ჩვენს დანახეზე. ჩაბლუნძული, მუდამ დაბლა მაკჭერალი განგებასაც დავიწყებია ალბათ და დაუმთავრებელ სურათსა ჰგავს.

მითრიდატეს ეღიმიებოდა და მურვანისათვის საფიქრალი რომ შეეცვალა, დანახა ვინმე ახალგაზრდა ვარჯი ყმაწვილი, გემბანზე ხალხში გამოსაძერენს რომ ეძებდა და ვერ მოენახა. ჩაუქი მურვანს თვალს არ აცილებდა, მალ-მალწინ გამოიჭრებოდა, რომ მურვანის თვალის სარბიელს მოხვედროდა. ერთი უწვერ-ულვაშო ყმაწვილი იყო, სხაბასხუპით ხმამაღლა იზრახებოდა, ისე კი მშვიდობიანად და კეთილად გამოიყურებოდა; ნათესავით პართენოკელი აღმოჩნდა.

განზე მეზღვაურები მღეროდნენ — იცით ვის უმღერიან მეზღვაურები? — მურვანს უცქეროდა და ბურგაკასს მიმართავდა პართენოკელი.

ბურგაკასმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— ისინი უმღეროან წმინდა ფოკას, მელნაურთა მფარველს. არ გაგიგონიათ სინოპელი ფოკა? არც ასტარია ამასიელის „შესხმანი ფოკასი“ წაგიკითხავთ? — ჩაიციებით ეკითხებოდა პართენოკელი და რა დარწმუნდა, მათ ეს ამბავი არ იციანო, შეღერებულმა თავმოწრონედ დაიწყო:

— დიოკლეტიანე მეფის დროს იყო ერთი ღარიბი მებოსტნე ფოკა, რომელმაც სახელი გაითქვა ქველმოქმედებითა და ქრისტიანობის გავრცელებით. დიოკლეტიანემ მის შესაპყრობად ლიქტორები წარგზავნა. ლიქტორები შემთხვევით ღამის სათევად ფოკასთან მოხვდნენ. ფოკა მათ კარგად გაუმასპინძლდა და რა გამოიფერდნენ, ღვინოც შეუჭდათ, ლიქტორებმა თავისი მიზანი გაუმხილეს. ფოკამ არაფერი თქვა. გავიდა თავის საკანში, გათხარა საფლავი და რომ შემობრუნდა, განუცხადა თავის ვინაობა, სთხოვა მისავე სახლში მოეკლათ. ლიქტორები სასტად დარჩნენ, ასეთი კარგი მასპინძლობის შემდეგ როგორ უნდა მოეკლათ, მაგრამ ფოკა იმდენად იყო შეპყრობილი მოწამებობივი სიკვდილის სურვილით, ევედრა შესრულებას მისი თხოვნისა, რადგან მისი სიკვდილისათვის პასუხს განგება მათ არ მოსთხოვდა, მისი ცოდო მათს მბრძანებელზე იქნებოდა. არწმუნა მუდართით და ჯალათებმაც აღარ დააყოვნეს, მოჰყვეთეს თავი და მიაბარეს საფლავს. დიოკლეტიანემ, მოღლილმა ქრისტიანების შეუპოვრობით, უარი თქვა ტახტზე და თავის სამშობლოში მობრუნებულმა მებაღედ გააბათა სიციოტლენ. ფოკა კი ასი წლის შემდეგ გადმოსვენეს კონსტანტინეპოლს ისეთი დიდებით, რომ ყველაზე დიდმა პატრიარქმა, იოანემ ორჯერ წარმოსთქვა სიტყვა მისთვის, — ისევ თავმოწრონედ გადახედა ყველას პართენოკელმა, უშურველი შური რომ ამოიკითხა მათ თვალეში.

— ასეა, ჩვენისთანა განათლებულნი უცხოთაგან გავიგებთ ჩვენებური, სი-

ნოპელი კაცის ამბავს, — უბნო მითრიდატემ.

ფოკამ ერთხანს თავისი გმირობის დადიწყო, მის გმირობასთან დათა უბედობა აღარ გამოჩნდა. მურვანს თითოს სეველის ისარი ამოუღეს, კინოდენ შვებაც იგრძნო, ფიქრებმა მცხეთისაკენ უფრო მშვიდად გასწიეს და როგორც მკრთალდებოდნენ სამშობლოს მთები და ველები, ფიქრებიც ჰჰარგავდნენ სიმძაფრეს, და თუ მთები ბურუსში ეხვეოდნენ და იმალებოდნენ, ქვეყანას ემატებოდა მიმზიდველობა, ზეობა და სიახლოვისას უმნიშვნელო ადამიანებიც კი ახლა დიდებულად გამოიყურებოდნენ.

— მე მიყვარს ჩემი სამშობლო შორიდან კიდევ უფრო მეტად, სიხარულით მოგვედებოდი მისთვის, თუმც სიციოტლენ ძალიან მიყვარს. მისთვის სასჯელსაც მივიღებდი, თუმცა თავისუფლების მოტრფიალენ ვარ, — ამბობდა პართენოკელი, — მე ეგრძნობ, ვილაც მარად მითვალთვალეებს და ამიტომ ფიქრადაც კი განველტვი ბოროტს... იცი, შენ, რა არის ბოროტება? — უცებ შეეკითხა ბურგაკასს პართენოკელი.

ბურგაკასმა მხრები აიჩეჩა, გაიღიმა და მურვანს გახედა, მიშველეთ.

— ბოროტებაა ყოველივე ის რაც გვაშორებს მარადიულისაგან, სამშობლოსაგან, — თქვა მურვანმა და ისევ ზღვას დაიქვრდა, თავის ნათქვამს ჩაუკვირდა: ახლა რომ ეკითხათ — რა არის ის, რაც გვაშორებს მარადიულისაგან, თუნდა ეკითხათ — რა გვაახლოებს მასთან? იტყოდა: მხოლოდ სამშობლოში შეიძლება ამაზე სიტყვის თქმა, ტყვეობაში კი შაშვიც არ გალობს.

მაგრამ პართენოკელმა აღარაფერი იკითხა და განაგრძო:

— მე მოგზაურობა ავირჩიე ცხოვრების გზად მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს სამშობლოში დავბრუნდენ გამდიდრებულნი, რაც რამ საუკეთესოა, ჩემს ქვეყანას მიუუტანო. ოქრო არა, ოქრო აღარ იბეჭებს ადამიანს... მე ვეტყვი ჩემს თანამემამულეებს: ვიხილენ ქართლის უფ-

ლისწული, სამშობლოსთან გაყრით და-
ლონებული ფიქრად ქცეული, სევდით
პყრობილი, მამინ, როდესაც მას ელო-
და ბევრი რამ ახალი.

მურვანს თითქოს მზემ შიგ გულში
ჩააწვდინა შუქი, გააღო გულის მოყი-
ნული სარქველი, თითქოს ცხოვრებას
მაჯისცემა მოუსინჯა, შენიშნა როგორ
მძლავრად მიპობდა ხომალდი ტალ-
ღებს, ჩარხის შეუწყნარებელი ხმაურიც
პირველად გაიგონა, თითქოს შერცხვა
კიდევ, რომ უცნობის გასამხნევებელი
გამხდარიყო.

პართენოკელმა შეამჩნია მურვანს
გამოცოცხლება და სიხარულისაგან აც-
მულა.

— ეს ტერაპიაა, — არ დაახანა, — იმ
დაქცეულ ბურჯს კი „ბურჯი მდღესი“
ჰქვია. აქ დასტოვა თქვენმა მდღემ სკი-
ვრი, სავსე სამკურნალო ბალახებით,
მიაძინა მძინვარე ასპიტი და დაიხსნა
თავისი მიჯნური...

მურვანმა კამარა შეიკრა: არ ეამა მე-
ღეას ხსენება.

— ...ეს — ყურეა არგონავტა, ის —
აკიმიტების მონასტრებია. იცით, ვინ
არიან აკიმიტები? — არ ცხრებოდა
პართენოკელი.

მურვანს აღარ უნდოდა მისთვის ეს-
მინა, განზრახ მალა იყურებოდა, ფრი-
ნველთა ფრენას თვალს ვადევნებო; ბუ-
რგაქას კი მისი ენა ძნელად ესმოდა და
პართენოკელი ხელებს იშველიებდა, სა-
ხეს მანჭავდა, სხეულს ათანაირად ამო-
ძრავებდა, ყველანაირად ცდილობდა
მიეპყრო მურვანის ყურადღება.

მურვანს გაეღიმა და ბურგაქას
უთარგმნა:

— აკიმიტები, ანუ დაუძინებლები,
გაურბიან ყოველგვარ მოღვაწეობას,
შრომას, განუწყვეტლივ ლოცულობენ
და სადიდებელ საგალობლებს ეძლევი-
ან.

განუწყვეტელი ლოცვა-გალობის ხე-
ნებაზე ბურგაქას ღრუბელი ჩამოაწვა.
მას ყოველდღე „მამია ჩვენს“ წარმო-
თქმაც უძნელდებოდა; არც მურვანს
ჩაუთვლია ეს დიდ ბედნიერებად და

5. „მნათობი“, № 1.

ისევ შორს ზღვის კიდეს გახედა, ცის იმ
კუთხეს მიაჩერდა, საითაც მცხეთა იმდენი
ლებოდა.

— ხმა გაეცი, მურვან, — უბნო მით-
რიდატემ, — თორემ პართენოკელია და
სიმღერას დაიწყებს.

მურვანს სევდიანმა ღიმილმა გადაუ-
რბინა. ფიქრებით მეტად დამძიმებულს,
მოსმენაც კი უჭირდა.

პართენოკელი კი ენად ქცეულიყო
და ახლა მითრიდატეს მიადგა:

— დიდი ამბებია ქვეყანაზე, დიდი...

— აბა, წარმოიდგინე, შენ, — გაუს-
წორა მხარი მითრიდატემ, — გრიგალი
ინდოეთში, მიწისძვრა საბერძნეთში,
ნიაღვარი თქვენს პართენოკში.

— ზევი ჩამოწვა ტავრში... — მრ-
ვალმნიშვნელოვნად ჩაურთო პართენო-
კელმა, — მე კი სულ სხვას ვამბობ: აი-
სპარსეთში რა ამბებია? იეზიდგერდმა
ქრისტიანობის დევნა განაახლა, დევნი-
ლნი შაჰის მოხელეებისა და მოგვები-
საგან თავის დასაცავად ბიზანტიას ეხი-
ზნებიან. იეზიდგერდი უთელის კეისარ
თეოდოსის: „ჩვენი ქვეშევრდომნი ქრი-
სტიანენი თავიანთ ქვეყანაში გამორე-
კეო“, მაგრამ თეოდოსი დიდი ღვთის-
მოსავეია და ქრისტიანებს არ გასცემს,
არ გასცემს. ამიტომ სპარსელები ომით
იმუქრებიან.

მითრიდატეს თეოდოსის ღვთისმო-
საობაზე გაეღიმა და პართენოკელს არ
აპყვა საუბარში. როგორც კი აღგომა
დააპირა, პართენოკელმა ისევ შეკით-
ხვა შეაგება:

— თქვენ მორწმუნენი ხართ?

— შენ გინდა გაიგო, ჩვენ ცხოველ-
ები ვართ თუ ადამიანები, არა? — ღიმი-
ლით გახედა მითრიდატემ.

მურვანმა პართენოკელს თანაგრძო-
ბით დაუწყო ყურება, აოცებდა მისი
დაუშრეტელი ცნობისმოყვარეობა. ჩა-
ნდა, ბევრი რამ იცოდა, ბევრიც აინტე-
რესებდა. მაგრამ ყველაზე საგულის-
ხმო ის იყო, რომ აზროვნების უნარს
იჩენდა.

— მაინც სარწმუნოებები ვინა ხართ?

— თავისას არ იშლიდა.

— შენ როგორ ფიქრობ? — უბნო მურვანმა.

პართენოკელმა მტრები აიჩეჩა.

— სჯობია უპირველეს აღიარო შენი მრწამსი, — თქვა მითრიდატემ.

— ინებეთ, — ხალისიანად დათანხმდა პართენოკელი და ჩამოჭდა იქვე, — მწამს, ღმერთი ერთია, მწამს ისიც, რომ ავის მქნელს სამაგიერო მიეზღვება, სიკეთე არ დაიკარგება; ქრისტიანობასაც მივიღებდი, მაგრამ ბევრი რამ დაუჯერებელია. აი თუნდაც „მოვიდა იესო სულით ზღვასა მას ზედა“. შეიძლება მართლაც მოვიდა ზღვაზე სიარულით, მაგრამ ზღვა რომ იქ ღრმა იყო, ამის დაჯერება შეუძლებელია წარმოვიდგენ იმასაც, რომ ხუთი პური და ორი თევზი გაუყო ხუთი ათას მამათ, თვინიერ ყრმათა და ღედათა მაგრამ ისინი რომ გაძლნენ, ეს, მე მგონი, არც თქვენა გჯერათ... დიახ, კიდევ, წმინდა მოციქულების გამოსახულების თაყვანისცემა იგივე კერპთ თაყვანისცემად მიმაჩნია და აი კიდევ რა, — უფრო ახლოს მიიწია, — მღვდლისათვის საიდუმლოდ განდობილი აღსარება არ მიმაჩნია სწორ გზად ხსნისათვის: აქ ქრისტეს სიტყვა უფრო მართებულად მიმაჩნია: „ერთმანეთის წინაშე აღიარეთ შეცოდებანი თქვენნი“. კიდევ ერთი რამ — თუ კი მამა ზეციური ერთი ვაშლის გამო განრისხდა, რატომ არ შემოიძლია მე თავებდობისათვის ვინმე მივბეგვო?

პართენოკელმა კამათის ხასიათზე დააყენა ყველა, რადგან სადღაც ყველა თანაუგრძნობდა; მითრიდატეს კი წმინდა წიგნებზე ასეთი მსჯელობა ღვთისმგმობელობად მიაჩნდა და სიტყვა მოუჭრა:

— გეტყობა, უკმელი ხარ, მაძლარი უკეთ იმსჯელებ, — და ანიშნა მსახურთ საზრდელი მოერთმიათ.

— შენ ალბათ ცოდვათაგან ისე განბერტყილხარ, ყმაწვილო, საიქიოსიც იღარ გეშინია, — იზრახა მითრიდატემ.

— საიქიოს უშიშარი ან ბრიაყია, ან წმინდანი და რაკი მე არც ერთი ვარ

და არც მეორე, რა თქმა უნდა მეშინია, — თქვა პართენოკელმა. საზრდელს მურვანი უხალისოდ შეექცეოდა, პართენოკელი კი მადიანად ილუქმებოდა.

— აღამიანს თავისი ბედი არ ასცდებია... — თქვა მურვანმა და მზად იყო საუბარი გაეგრძელებინა, რომ საერთო ხმაურმა ყველაფერი დაფარა: კონსტანტინეს ქალაქს უახლოვდებოდნენ.

დიდ და მშვენიერ მთათა შორის მიკლაკინილ-მოკლაკინილი ბოლაზი ბაღვად ქცეულ სერებს შორის წარმოცად გამოიყურებოდა. ვერ ასწრებდნენ აღექვათ ერთი სანახაობა, რომ იშლებოდა უკეთესი მეორე. ათასნაირ მცენარეებში ცაცხვები გამოირჩეოდნენ. ეს ცაცხვები კი ამ საიდუმლოებით მოცულ სივრცეში ნაცნობ ადგილებისაკენ მოუხმობდნენ. მტერთათვის შეუვალი ბოლაზი მთებზე გადმომდგარი ციხესიმაგრეებით შრისხანებით გამოიყურებოდა და მის შემხედვარეს მხოლოდ მასზე აფიქრებდა. ზღვის მძლავრი სუნთქვა და ჩარხის დაუწყნარებელი ხმაური სინამდვილესთან მოსარიგებლად მოუწოდებდა — გარდაუვალი იყო იგი.

მეუღრო ბაღების ხასხასა, ფაფუკ მწვანეში ჩაფლული ფერად-ფერადი სახლები მატულობდნენ.

— ეს აგარაკებია, — ისმოდა ისევ პართენოკელის ხმა.

— ეს ქალკედონია, — თქვა მითრიდატემ, — აქ მოუხდა ფარსმანი ბერძნებს დიდი ჭარით და მთლად შემუსრა. ფარსმანი ტახტზე ასკლამდე სპასალარად იყო კეისარ არკადისთან, თეოდოსის მამასთან. დიდი მორწმუნე და დიდი ნდობით აღჭურვილი ფარსმანი, დედოფალთან სიახლოვის გამო რომ ამხილეს, კარის რისხვისაგან თავის დასაღწევად სამშობლოში გამოიქცა. ბედმა ისე გაუღიმა, მყის გამეფდა იბერიაში და ცოდვების მონანიების ნაცვლად მტრობა დაუწყო რომაელებს. გადმოიყვანა თეთრი ჰუნები და რომაელებს

ქვეშევრდ-ებს მიუსია. ახსოვს ეს თეოდოსის, დიდი ხანი არ არის მას აქეთ და ახლა აღბათ იმასაც ამბობს, სიფრთხილეს თავი არ ასტყვიავ, მძევალი სამშვიდობოდ მინდაო.

მურვანს ფარსმანის თავგადასავალი არ ეკაშნიკა, სასიყვარულო ამბებიათვის გაქცევით თავის შველა და შემდეგ თავის დასაცავად ქვეყნის გაწირვა ფარსმანს დიდ ღირსებად არ ჩაუთვალა და იღუმალ შესთხოვდა კლდეებსა და ზღვას შთაენერგათ მისთვის თავისი მრისხანება, რომ დაუძლეველ კლდედ და გარდაუვალ ზღვად წარმდგარიყო თეოდოსის წინაშე, უღელქვეშ მგმინავი სამშობლო უძლეველად დაენახებინა ერთხელ კიდევ მოუხედა სამშობლოს, ერთხელ კიდევ დაემშვიდობა და კონსტანტინეს ქალაქისაკენ შემობრუნდა. პართენოკელის თვალებს შეაჩერდა, უნდოდა ეთქვა, რომ მას აქვს უდიდესი სიმდიდრე, თავისუფლება, მაგრამ პართენოკელი უეცრად მოწყდა ადგილიდან კილიციის ძახილზე და გაუჩინარდა.

— პატარა დაბა ბიზანტიონი კონსტანტინე დიდმა სატახტო ქალაქად აქცია, მას ოქროს ხიდსაც ეძახიან. აქ ყველა ჭურის ხალხი იყრის თავს, — ამბობდა მითრიდატე. ხომალდი ნავსაყუდელში შედიოდა, უფლისწულს სამეფო ღირსებით სვდებოდნენ.

დიდ ხომალდებს შორის ასობით ნავი დასრიალებდა. ამ წარმოუდგენელ სიციწროვეში პატარა ნავეები ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ათასიანი აღმებით შემოკობილნი, აჭრელებულნი სხვადასხვა ჭურის, სხვადასხვა ფერის ხალხით; ისმოდა მენავეთა ხმამაღალი ლაპარაკი, ყვირილი.

სამეფო სასახლე გაშლილიყო ზღვისაკენ დაქანებულ უსწორმასწორო ფერდობზე, ლიმონის ქალასა და ვეება ბაღებს შორის. ვრცელი ვალაყანი სასახლისა ქანდაკებებით შემკულ მარმარის საოცარ ნაგებობებს მოიცავდა, რომლებიც კიბეებიან და სვეტებიან ტალანებით ბოსფორთან ეშვებოდნენ. მოჩანდა ეკლესიები, აბოღჭომი, ამ

საკვირველი ქალაქის ბუნებრივ სილამაზა-ნებას ადამიანის ხელოვნებაც არ დასკლებოდა. ბოსფორის მშვიდი წყალი კი ისე ნაზად სჩქეფდა სასახლის კიბეებთან, თითქოს ეალერსებოდა; ირგვლივ ყველაფერი სილამაზით, სიწყნარით და დიდებულებით სუნთქავდა.

ჩამავალ მზის სხივებზე ზღვა ფარუზის ფერად ელავდა, ღრუბელს მოფარებული მზის გული, თითქოს ცეცხლმოკიდებული რამ, ზღვაში იძირებოდა. კეისრის რწმუნებულნი თანმხლებლებითურთ ბრწყინავდნენ აღაჯმულობით და უფლისწულს მისი დიდებული ამალით მეფური პატივით სასახლეში მიაცილებდნენ. ბურგაკას ესახელებოდა უფლისწულის ბედის გაზიარება და ყველას ზვიადად გადასცქეროდა.

ქალაქში შესასვლელად ხილით გრძელ უბეზე უნდა გაეცლოთ. ხიდზე ისეთი დიდი სიმრავლე იყო ხალხის, იფიქრეს უბედურება რამ მომხდარიყო, ავისმალუწყებელი. გამოიკითხეს და გაიგეს: რომის იმპერატორ პონთრიუსის გარდაცვალებების გამო მგლოვიარე კონსტანტინეს ქალაქი, შვიდი დღით ჩაყეტოი, დღეს პირველად აღებდა კარს, ამიტომ ჩვეულებრივზე მეტად მოსწყდომოდა მომსვლელ-წამსვლელი ნავსადგურსაც და ქალაქსაც. მშვიდად წარიმართნენ, ვარემოს ცნობისმოყვარე კმაყოფილებით დაუწყეს თვალიერება.

როგორც ყოველ ადამიანს, ამ ქალაქსაც ჰქონდა რაღაც თავისებური, განუმეორებელი. თვალს იტაცებდა ყველა ფერისა და ელფერის სახე, ტანსაცმელი, ათასი ჭურის ადამიანების ნაკადები...

ბურგაკასი მღუმარედ მისდევდა მათ: პატარა ტანისა იყო, ხან ერთსა და ხან მეორე ფეხზე შედგებოდა, თითის წვერებზე აიწვედა, მთელი ტანით იკიშებოდა, მაინც ბევრს ვერას ხედავდა.

დიდ მოედანს ავგუსტონისას შემორტყმოდა ზეკისიპის კოშკები, იბოღრომი, მაგნავრის სასახლე და კონსისტორიუმი. ტალანებიდან ვისასვლე-

ლად ბრინჯაოს მძიმე კარები მურვანს გულის სარქველად ექცა, დიღვეში მყოფის გრძნობა გაუჩინა და ნაბიჯს უჩქარა.

მაგრამ რაოდენ განცვიფრდა მურვანი, კეისარ თეოდოსის წინაშე რომ წარსდგა: კეისარი იყო ლამაზი, სულ ახალგაზრდა, ოცდაოთხი წლისა, ტანადი, ქერა, გულლია გარეგნობისა, და მურვანს უნებურად გაედომა:

„სანდომიანი სახე აქვს, უნდო კი არის! განგებასაც ჰყვარებია ბასრობა“, — გაიფიქრა.

თეოდოსიმ კი ამ ღიმილში გამოიმწვევი, გმირული თავდადება ამოიკითხა.

მურვანმა ცალ მუხლის მოყრით სალაში მისცა და მყის შეიშარბა.

— მე მას შვილად მივიღებ, — ეუბნებოდა თეოდოსი გვერდში მყოფ დედოფალს, რომელსაც თვალი ვერ მოეცილებინა მშვენივლით აღსავსე უფლისწულისათვის, რომლის ხელმწიფური გამომეტყველება ცნობითა ზემხედველითა ბრწყინავდა. დიდრონი თავისფერი თვალები, ღიმილის დროსაც რომ სევდიანად გამოიყურებოდნენ, მნახველს ერთი შეხედვით მრავალსაჰპირდებოდნენ.

დედოფალიც კეისარის სიტყვებს იმეორებდა და ქებას შეასახამდა, ჰპირდებოდა, რომ მის განსწავლას თვით უხელომდევანელებდა.

მურვანი მონუსხულივით იდგა ფერთა სიუხვით მოკაშკაშე მეფე-დედოფლის წინაშე. შვილად აღიარება გულში ისარივით ხედებოდა, ცერად გახედავდა ზოლზე, როტვად ესმოდა, რაც მის საქებად ითქმოდა. გულის სიმები წყდებოდა, მათს შვილობას ერჩია სამშობლოსათვის სახარზობელაზე ასულიყო, ერჩია მრისხანება ალერსს; მზად იყო აეტანა ყოველგვარი ტყივილი, მაგრამ რაღა იქნებოდა იმაზე უფრო მტკივნეული, რასაც განიცდიდა — მშობლიანა და სამშობლოს გაცვლა! თავის აზლას გულისწყრომით, გულისტკივილით გახედავდა: მათ თავი ისე უნდა სკერო-

დათ, როგორც რომაელემს ესამოხუნებოდათ და არა ისე, რომ სამშობლოს დარსება დაეცვათ. მაგრამ ხომ უფრო დამშვენდებოდათ მათ ხმლები რომ ეშიშველათ; ბედნიერია ის, ვინც ბრძოლაში კვდება. მორჩილი კრძალულება ამდენი მკერდშეღერილი ვაჟკაცისა გულს უღადრავდა.

ამ ფიქრებით შეძრწუნებულმა მურვანმა იგრძნო გამსჭვალავი მზერა, რომელმაც თვალთახედვა გადაანაცვლებინა. ხშირ წამწამებს ქვემოდან მას გასცქეროდა ავგუსტა პულქერია, კეისარ თეოდოსის და, რომლის ჭარბად ალერსიანმა სიტყვამ, გულუხვმა ღიმილმა და სახის მოუსვენარმა მოძრაობამ აფიქრებინა, რომ იგი შეიძლება საშინელიც ყოფილიყო; და რამდენადაც ალერსიანნი იყვნენ, იმდენად კაეშანი უძლიერდებოდა, სახე ექუფრებოდა, ქარქაშს ხელს წაავლებდა და შემართებული, გამოიმწვევად გამოიხედავდა. „როდის შესწყვეტთ რიტორიკული სიტყვების ჟღარუნსო“, — თითქოს უნდოდა ეთქვა: თუ ბიზანტიის კეისარი ქართლის მეფეს არ ენდობა, არც უფლისწული გაიზიარებს მათს ეითომ კეთილ გრძნობას. მაგრამ მას ბაგენიც არ შერხებია, მხოლოდ თავი დახარა დასამშვიდობებლად.

თავდახრილმა მურვანმა დედოფლის დალმატიკას მოჰკრა თვალი: მას ისეთივე თორაკია უქანავებდა, როგორც დედამისს, დედოფალ ბაკურდუხტს, და ეგონა ხედავდა დედას. აცქერდებოდა გარემო ზოლებს მარგალიტებისა, შუა არეზე გაფანტულ პატიოსან ქვებს, მაგრამ რა თავი ისევ ასწია და დედოფლის უცხო სახეს შეაჩერდა, მისი მშვენიება მისთვის ისევ შეუმჩნეველი დარჩა, აღიდებელი არაგვივით აღმფოთებული გრძნობა გულის კედლებს ასკდებოდა: ამ უხარმანარ ჭადებს პატრუქის შუქი ერჩია. ამ ვერცხლისა და სპილოს ქელის ნაკდევ კარებებს — ხის ფულტროში შემალვა, ამ უცხო ალერსს — ზღვის ხმაური, სადაც სამშობლოს ნახმევი ესმოდა.

აკროპოლისის სასახლეში დაბინავდ-

ნენ იბერიელნი. ყველას გულში ერთ-
ნაირი ცეცხლი ტრიალებდა და ყველა
ერთნაირად სდუმდა.

მყუდრო ბინამ გულგამკრთალ მძევ-
ალს სიმყუდროვე ვერ მოუტანა, გამო-
უნელებელი სევდა აჰკიდებოდა და ფიჭ-
რად ქცეულს ძილი არ ეკარებოდა. და-
ხუჭავდა თვალებს და ხედავდა მთების
გალავან შემოჭობილ მცხეთას; მთების
დიდებული სიმყუდროვე, საყვარელი
ტყე-ველების სილამე, მუდამ ბრწყინ-
ვალე სასახლე, მშვენივით რომ შერწყ-
მოდა ბუნებას, ახლა პირქუშად გამოი-
ყურებოდა აჩრდილების ქვეყანად ქცე-
ულიყო ძაძით მოსილი მცხეთა. სასახლის
კოშკი გასაფრენად შემდგარ არწივსა
ჰგავდა. ჩაფიქრებული იყო მიდამო, არ-
მური დაუფლებოდა, სიცარიელე იყო
თითქოს ირგვლივ, იადონიც სმენად
ქცეულიყო, მთებარეც ღრუბელს ამო-
ჰფარებოდა, საუკუნოვანი ცაცხვები გა-
რინდებულყვენ და აზრიც შეჩერებუ-
ლიყო. გუშინ კი იქ ყველაფერს სიცო-
ცხლის ნაპერწყმები სცივოდა, ქართ-
ლის მეფე ბუზმარს უბედნიერესი დღე
გასთენებოდა: სპარსელების მძევლობი-
საგან თავის დასაღწევად მთაში გახიზ-
ნული მურვანი დაებრუნებინა და მას-
თან ერთად პირველად სანადიროდ გა-
სულიყო. გალაღებული სამეფო კარიც
ამ დღეს ნადიმით აღნიშნავდა. გოდო-
ლებიდან გადმოცვევანზე იყვნენ მეცი-
ხოვნენი, მანდატურნი, მეულუფენი. ნა-
დირობიდან მობრუნებული მურვანი სა-
სახლის გალავანს უახლოვდებოდა, მას
უკან მოსდევდა პატარა ბურგაკასი,
დაპირულ ქურციკს ძლივს რომ ეზიდე-
ბოდა.

—სიკეთეს მოგიძღვნით ნანადირევე-
ით, — მისკენ მომავალ მითრიდატეს
სიტყვა შეაგება და თავმოწონენდ ბურ-
გაკასზე ანიშნა.

—ქურციკისათვის ეს სიკეთე არ იქ-
ნებოდა, — ლიმილით აზრახა მითრი-
დატემ.

— მაშ, არც ჩვენთვის იქნება სიკეთე,
რადგან ერთისათვის ბოროტება არ შე-

იძლება იყოს მეორისათვის სიკეთე, —
უნდოდა ეთქვა მურვანს, მაგრამ მითრი-
დატე აღარ უსმენდა. უჯერო იყო მსჯე-
ლობა, ფიჭრიც კი შეუძლებელი, მას კი
აზრი ვერ გამოენასკვა. უახლოვდებოდ-
ათ მეფის ამაღა და სასახლიდანაც გაი-
სმა საზუიგო სიმღერა-შეძახილები:

— ვაშა, მეფესა და უფლისწულსა,
დიდება მალალთაშინა!

ეგვებოდნენ დიდებულნი.

— შეენის უფლისწულს ქარქაშოსა-
ნი, — დინჯად შემოხვდათ არჩილი და
გადაეხვია მამა-შვილს ერთად.

ბუზმარმა ბედნიერი მამისა და ამაყი
მეფის თვალთ გახედა მემკვიდრეს:

— ჰაი, ჰაი და მეფეა ქართლისა. რას
ვაქნევ შე ტახტისათვის ხანდაზმულ-
ბას... რომ შეგახედა, რა მტყორცნელია
ისრესა!

— სიტყვაში მჯობნი, მობნის მწველ-
მია, — მითრიდატემაც დაუმოწმა.

— შთამომავალია დიდი ბაკურისა,
—თავი მოიწონა არჩილმა.

— ჰო და, ჩემო არჩილ, მალე, სულ
მალე, დაეუთმობ ტახტსა და როგორღა
მომთხოვენ მაშინ მძევალსა. ვერ მოი-
დენს სამეფო გვირგვინს? — გახედა
დიდებულთ ბუზმარმა.

— ღირსია დიადემისა! — თითქოს
ერთხმად შესძახა ყველამ.

დედოფალი ბაკურდუხტი სიხარუ-
ლის ცრემლებით შვილს თვალებს უკო-
ცნიდა და ჩანდა აოცებდა მისი დაღონე-
ბა, თითქოს უნდოდა ეთქვა: რა უძღურ-
ნი ვართ ბედნიერების დასაუფლებლად
და უბედურებას კი რა რიგ ადვილად
ვეურიგდებით. დედის მიხვრა-მოხვრაში
მორჩილი ხასიათი გამოსჴვიოდა, სიტყვა
მისი ბრწყინავდა თავმდაბლობით. მურ-
ვანს უნდოდა მაშინ ეთქვა— „ძალიან მი-
ყვარხარ, დედა“, უნდოდა, მაგრამ ვერა
თქვა. ხალხი ირგვლივ ირეოდა, ოქროსა
და ვერცხლის ლანგარების ელვარება,
სიმღერა და შეძახილები, სალაღობოდ
აღძრავდა ყველას და ნადირობის ყიფი-
ნა სასმისში ქიშპობით გრძელდებოდა.
მეწოდეთა, მერაქიფეთა და მესასმისეთა

მკვირცხლ ხელბში ტრიალებდნენ ოქრო-ვერცხლის სურები და ცალყურა ზეღადები თასებთან ერთად.

ის იყო მურვანმაც ასწია ჯიხვის რქა და მაცნეც შემოვიდა. ბიზანტიის დესპანი კარს მოსდგომოდით. მკმუნვარებამ დარბაზს შურდულის ქვასავით გადაუზრიალა, მაშის სადღევრატელოდ აწეული სასმისი მურვანს შეუსმელი დარჩა და სათქმელიც უთქმელი. სიხუმე ჩამოვარდა. ბუზმარმა ერთი თქვა მხოლოდ:

— ბიზანტიისათვის ფიცი გვაქვს მიცემული, რომ არ შევუერთდებით ქართველნი სპარსთ ბიზანტიის საწინააღმდეგოდ და რაღას უნდა გვემართლებოდნენ, — და მძიმედ წამოდგა. მურვანიც უკან გაჰყვა უსიტყვოდ.

— მზად ვართ შევრაცხოთ ყოველი თქვენი მტერი მტრად ჩვენდა, — ეუბნებოდა ბუზმარი დესპანს.

დესპანი თითქოს მშვიდად იტყოდა, მაგრამ მის კილოში ბრძანება ისმოდა:

— კეთილად თხოულობს მძევალს.

მაშინ ბიზანტიის დესპანს კონსტანტინე დიდის წერილი წაუკითხეს, მირიან მეფეს რომ გამოუგზავნა:

„მე, კონსტანტინე მეფე, გწერ ჩემისთანავე ახალ ნერგს. იყავნ შენთან მშვიდობა და სიხარული, აღარ მსაქიროებს შენგან მძევალი, საკმარია ჩვენს შორის შუამდგომად ქრისტე, ძე ღმრთისა. ვიყენეთ ჩვენ სიყვარულითა ძმებრივ და შვილი შენი შენადვე მომინიჭებდეს. იხილე და გაიხარე. განდევნენ ღმერთთან დამბადებელმან ეშმაკი მაცდური საზღვართაგან შენთა“.

— თუოდოსიც დააბრუნებს მძევალს, როდესაც აღარ იქნება საშიშროება სასაზღვრო ქვეყნებში, — ცივი ღმილით თქვა დესპანმა.

„ფიციც ხომ ამ დღისათვის იდებოდა“ — უნდოდა ეთქვა მურვანს: ხედავდა გულწრფელი იყო ბუზმარი. სამტროს არას ეძებდა, თავის ბედნიერებითა და ქვეყნის სიმშვიდით უნდოდა ეცხოვრა, უნდოდა დაენახებინა ქვეყნისათვის, რომ ქართლს უფრო დიდი

მიზნები ჰქონდა, ვიდრე მეზობლებთან ქიშპობა.

— კაპადოკია იბერიის დიდი იყო და ძლიერი, ბიზანტიამ რომ თავის კლანჭებში მოიქცია, — ამბობდა მითრიდატე, — არ გავცეთ მძევალი. ომი უნდა მივიღოთ, რა მძიმე დღეც უნდა დაადგეს ერსაც და ქვეყანასაც!

მურვანს გული გადაუქანდა: თუ ერის გადარჩენა მასზეა, იგი მზად იყო ზვარაკად შესაწირავად.

ბუზმარმა ბოლოს ცემას მოუხშირა, მითრიდატე მოიხშო და ესმოდა მურვანს, როგორ უბარებდა:

„გაჰყვები მურვანს, დარჩები მასთან, არ დაავიწყებ ქართულ ენას, ვინ იცის ამ კეთილმოსურნე მეზობელთაგან კიდევ რა არ მეწიოს და მამობასაც შენ გავალე“.

მურვანმა კი მაშინვე ხელი ჩაჰკიდა გამზრდელი ზუზოს შვილიშვილს, პატარა ბურგაკასს, შენც ჩემთან წამოხვალ.

გამზრდელ ზუზოს, თავდავიწყებისა და სათნოების განსახიერებას იმ დამეს არ სძინებია, წარა-მარა წამოიჭრებოდა, — უფალო შეგვიწყალეს“ წარსთქვამდა და ცრემლმორეული დუღუნებდა თავისთვის:

„მამამან შვილი შვას ესრეთი მზრდელმან აღზარდოს მსგავსი ამისასიმაბლით თხოვილი, წყალობით შოვილი ძე და ჩვენებით ნახული, სიბრძნით დასახული...“ და ბოლოს რომ ველარ გაუძლო მარტომ სევდას, მურვანს ჩამოუჭდა და მოჰყვა:

„ჩერ კიდევ უშვილო ბუზმარს სიზმრად ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: შეისმინა ღმერთთან ლოცვანი თქვენი და დედოფალმა გიშვას ძე, რომელი იყოს დიდ და სრულ წინაშე ღმრთისა და კაცთა... ამის შემდეგ კი სულ მალე დაიბადე შენ... არ უღალატებს ღმერთი თავის სიტყვას. ვინ იცის ეგების სჯობდეს კიდევ გასვლა ბიზანტიას, დიდ სახელს დიდი სარბიელი უნდა... ესაა ზუზო ველარაფერს მოესწრება.“

და ეს სიტყვები მურვანს ნაღვერდა-
ლივით გულზე ეღვენებოდა, ფიქრე-
ბის ხლართი ყელს ეკიდებოდა და თვა-
ლთაგან ცრემლები ედინებოდა.

არც მეფე-დედოფალს ეძინებოდათ.
მათ სამყოფელიდანაც ესმოდა მურვანს,
როგორ ეუბნებოდა ბუზმარი დედო-
ფალს:

„ესეც შენი ქრისტიანი კეისარი!
შევედრე აბა ერთი შენს ღმერთს, თუ
დაგვტოვებს ქრთადერთ იმედს, ბურჯს
ქვეყნისა ბრძენ მემკვიდრეს... ვირწმუ-
ნებ, ვირწმუნებ, ქეშმარიტად ვირწმუ-
ნებ ჭვარცმულ ღმერთს, რომელსაც არ
ღებულობს გონება, თუ მიჩვენებს სას-
წაულს და მურვანს დამიტოვებს.“

„სასწაული არ შველის რწმენას,
სასწაულს ბოროტი და მემრუშე ეძიებს.
— ამბობდა დედოფალი: — იმაზე დი-
დი სასწაული რაღა იქნებოდა, როცა
უშილოთ წინასწარ გამოცხადებით შე-
გვეძინა მურვანი? მაგრამ უქამოა სასწა-
ულით რწმენა, ადამიანს რწმენა სკიპრია
მუდამ უამს, როგორც სუნთქვა.“

იციოდა მურვანსაც, ბუზმარი მართ-
ლაც ურწმუნო იყო, ხშირად თავის ეკ-
ვებს გაუზიარებდა, დედის სარწმუნო-
ებრივ გულმოდგინებას გაბასრავდა,
მაგრამ კაცი, ყოველად ღირსეული თა-
ვისი სულიერი თვისებებით, ვერ იკად-
რებდა ერის წინაშე სჯულის სიძულვი-
ლის გაცხადებას, რადგან მოქცეული
იყო ქართლი და აზნაურნიც და უაზნო-
ნიც ქრისტეს სჯულს აღიარებდნენ.

თითქოს ზეცაში გლოვის ზარი ჩა-
მოჰკრეს, როდესაც მითრიდატემ წარ-
მოსთქვა:

„გვიხსენ ვნებათა კვეთებისაგან და
მოგვაქციენ კვალად.“

ცხენებმა გეზი საზღვრისაკენ აიღეს.

— ხმალი შენი ლოცვა იყოს, ფა-
რად გქონდეს მოთმინება, — განშო-
რების კაემანით შეჭირვებული ეუბნე-
ბოდა ზუზო და აცახცახებული ხელე-
ბით გულზე ჭვარს ჰკიდებდა. — ატარე
მუდამ და მომიგონებდე კეთილად. —
ზუზოს ჩათენთილ სახეში, თითქოს ჩა-

ცვენილ თვალბში უკანასკნელი „გზა“
მშვიდობისა“ კიაფობდა.

დიდ გზაზე გამოფენილყვენენ
დრნი ქართლის სოფლებისა, დიდსა და
პატარას, მოხუცსა და ყრმას, ყველას
უნდოდა თავისი მეფე დაენახა, უფლის-
წულისათვის შეეხედა. რომელიც ქვეყ-
ნის მშვიდობას ეწირებოდა. მურვანი
ხალხის სულისთქმას გრძნობდა, ყოვე-
ლივე ეს აღელვებდა და თითქოს ამხნე-
ვებდა კიდევ, ხანში შესულნი გულზე
ხელს იცემდნენ, ქუდებს მიწაზე ანარ-
ცხებდნენ, ახალგაზრდები კი, გულ-
მკერდშელღერილნი, პირმოკუმულნი, ვა-
ფითრებულნი გასცქეროდნენ; მანდი-
ლოსანნი ფიცს სდებდნენ: სათუთად
შეინახავდნენ ტახტის მემკვიდრის ერთ-
გულებას, კეისრის წყევლას არ მოიშ-
ლიდნენ, რომ იგიც, ასე უწყალოდ, და-
ელონებინოს ბედს.

საზღვარზე ბუზმარს მუზარადის
ლითამი ჩამოეფარებინა, შვილს ცრემ-
ლებით მხრებს ულტობდა და გულში
იკრავდა. ფერმიხდლი ამაცი და მხნე
დედოფალი ჭანდაკს დამსგავსებოდა,
ნაძალადევი ღიმილი უნუგეშო მწუხა-
რებას ამხელდა. მურვანს სიტყვა ვერ
მოენახა დედისათვის სათქმელად, თვა-
ლებში ჩახედეს ერთმანეთს, ცრემლიან
ღიმილში მარადიულზე გაიფიქრეს და
ეს განშორება წუთიერს მიაწერეს.

„ველარასოდეს, ველარასოდეს, ვი-
ხილავ მე მათ, ვერ შემოვირბენ ჩემს
მთებს და ველებს, ვერ შევისუნთქავ
ტყის სურნელებას, ვერც ვიოცნებებ
მშვიდად, ესოდენ მახლობელნი დღეს
მიუწვდომელნი გამხდარან.“

უიმედობა გულს საფლავის ლოდი-
ვით შემოაწვა, განუჭვრეტელ წყვლიად-
ში საზარელი უაზრობა ელავდა, გონე-
ბა ბედს ეკიდებოდა, გზა-გაულებელი
საწუთროების ფიქრები შეებოდნენ უკ-
ვდავებისას.

„ახლავე, ახლავე, გავბრუნდეთ უკან,
მთაში, მიუვალ ადგილს, ზუზოსთან
ერთად...—და მთრთოლვარე ხელებით,
ზეწამოტკრილი ბრმად მიიწევდა მითრი-

დატესავენ, მითრიდატე კი უკვე მის სარეკლთან იღვა.

— ასე მგონია, შავი კლდე აღიმართება ჩვენსა და სამშობლოს შორის, დაბნელდა ზეცა ირგვლივ, ველარას ვხედავ — სასომიხილი იტყობა.

— როგორც მზის განჭვრეტა თვალთ დაგვიბნელებს, უმაღლეს ნათელში შესვლა გონებას აბნელებს. — სცადა მითრიდატემ აზრის სამყაროში გადაეტანა გრძობა.

— ვით შევეწყობით უცხო ქვეყანას? — იკითხავდა ისევ.

— შევეგუებით მათი ცხოვრების წესს. მხნეობით დავძლევთ ვარაშს. სევდა გულისა მოგვიტანს შევებას, სევდით მხოლოდ, და არა ლხენით ვეზიარებით ზენარსს, იგი წყაროა სიკეთისა, — ირწმუნებოდა მითრიდატე და მით თავსაც ირწმუნებდა.

— თუ ღმერთი წყაროა სიკეთისა, საიდანღა ბოროტება და განა ჩვენი ხვედრი ბოროტისაგან არაა?

— მზეც დროდადრო მცბუნვარეა და მწველი. სიკეთისაგან კი ისევე არ შეიძლება წარმოიქმნას ბოროტება, როგორც ცეცხლისაგან ყინვა — ამბობდა მითრიდატე და თან კელპატრებს ანთებდა.

— ყინვა კი წარმოიქმნება სითბოს ნაკლებობით, — ლამობდა მურვანი ჩასწვდომოდა ჭურღმულს სიბრძნისას. თვალბში რაღაც ნათელმა აზრმა გაიბრწყინა — პართენოკელის სახე არასოდეს დამავიწყდება, არც მისი ხმა. იქნებ იმ თავისი სიფიცხით რისიმე ჩახრჩობა სწადა, იქნებ მასაც აღონებს რამ, მაგრამ იგი მაინც ბედნიერია, რადგან თავისუფალია. მას უბრალოდ სწამს, არ ეძიებს როგორ გახდა ღმერთი ადამიანად, როგორ აიკიდა ქვეყნის ცოდვა, აღსდგა მკვდრეთით და ჩვენც თავისი თანაზიარი გაგვხანდა; მას არ აწუხებს სამების ერთარსება, მე კი სულ იმის საგონებელში ვარ, როგორ არის ერთ იმავე დროს სამი ცქ?!
მითრიდატემ დაიწყო გრძელი და

საინტერესო ამბების თხრობა ნისელი-სა, ნაზიანზელისა თუ მასილი დიდის ცხოვრებიდან, რომელსაც მურვანი მუსიკასავით უსმენდა, თან შუქმოციავე ვარსკვლავებს გაპყურებდა და ფიქრობდა:

„ესეც ხომ იგივე ცაა, რომელიც ჩვენს ქვეყანასაც დაპყრებს, განუკეთილია იგი: იგივე ზღვაა, ჩვენი ქვეყნის ნაპირებს რომ ელამუნება. მითრიდატეს ხმაც ასე ნაცნობია. მას ისევე ნისელის ცხოვრების გზებზე მივყავარ. შეშის ნაპობივით მიაქვს ნისლი ცხოვრების ტალღებს, მაგრამ მას აქვს მიზანი და სევდა გულს არ უღრღნის. ნაზიანზელიც, განმარტოებული არიანხას მყუდრო მამულში ბუნების იდუმალ ხმებში მარადიულის გამოძახილს უსმენს და თვალს უსწორებს ადამიანური აზრის მწვერვალებს, რომელთაც უკვდავება მოაქვთ. შორს ელვასავით ანათებს ორივე ადამიანი, ეს ბრძენი მისტიკოსი, ქრისტიანებს რომ თავის წინასწარმეტყველად მიაჩნიათ და ფილოსოფოსებს თავის მასწავლებლად. ადამიანის ცხოვრება ერთ განუწყვეტელ ლოცვად ისმის, ის უსასრულოდ კეთილია და უსასრულოდ სამართლიანი. ქრისტეში ის სრულყოფილ ღვთაებასა და სრულყოფილ ადამიანს ხედავს და ღმერთს სიკეთისა და ქვეშაობების წყაროდ სახავს.“

მურვანმა თითქოს სურნელიც კი შეიგრძნო ორიგენის მრავალფეროვანი ყვავილნარისა. მას თვლენა მოერია. სანთლები ქრებოდნენ, აღარ ესმოდა მითრიდატეს ხმა, რადგან სიჩუმე უფრო ხმაძალდა კარნახობდა.

ზღვის სუფთა ჰაერის ნაკადმა კარგანხმულ სამყოფელში თითქოს სიმხნევე შემოიტანა. მკრთალი აისის შუქი დააჩნდა ტატნობს.

სასახლე საქმაოდ უცნაურ სანახაობას წარმოადგენდა: კარის წარჩინებულთა ნაცვლად უმეტეს შავსამოსიან ბერთა ლანდები მოსჩანდნენ, მრისხანე ხმათა ნაცვლად ფსალმუნთა გალობა ისმოდა. კეისარი თითქოს აქ არც იყო. თავის საქმიან სიტყვას ყველა ავგუსტითი იწყებდა და ეს ავგუსტაც არ ნიშნავდა დედოფალს; ეს იყო კეისარ თეოდოსის უფროსი და, ავგუსტა პულქერია, რომელსაც სახელმწიფო სადავებები ხელთ ჩაეგდო და უმაღლეს სიტყვას განასახიერებდა.

მურვანისათვის საგანგებო მეკრესაქურისი პამბო მიეჩინათ. პამბოს ხელში გამოზრდილიყო თეოდოსის მამის კეისარ არკადის მთელი შთამომავლობა. თავისი დანაოკებული ტანჯული სახით, გაცრიატებული ფერით და სევდიანი დიმილით იგი სასახლის ცოცხალი მატინე იყო. ერთ დროს თავადაც იმულებით ჩამოყვანილს, კარგად ესმოდა იბერიელთა საწუხარი და მთელი თავისი ერთგულებით, სიკეთითა და მონღომებით ცდილობდა მათთვის პირველი დღეების სიმძიმე შეემსუბუქებინა. ცხოვრებას ბევრი უსამართლობა ეჩვენებინა მისთვის, მაინც ბედნიერს უშუარველი შურით შესცქეროდა და თვით შესაშურად აღუშფოთველი, ყველას უყვარდა. მან იცოდა თავისი ადგილი, გონებით მყუდრო, ცხოვრებას არ ებრძოდა. მონა იყო დედით და მონური ცხოვრებაც არ ასცდა, მას იმანაც არ უშველა, რომ მამამისი იყო თეოდოსე დიდი.

პამბო მხოლოდ მაშინ იღიმებოდა როდესაც ვისმე გაახარებდა მხოლოდ მაშინ აღელდებოდა, როდესაც ვისიმე მწარე ხვედრს იზიარებდა. უმეტეს იჭდა ჩუმად, თავის ამბებით არავის მოაწყენდა, გარკვეულ დროს კი ვერ დაბამდით — სალოცავად გარბოდა. ვერც გზის სიშორე, უამინდობა, ვერ აკავებ-

და. ღვთის წინაშე ქედს იხრიდა, მაგრამ არაფერს სთხოვდა; არც ვისმე ხოტბას შეასხამდა. ქება მიიჩნდა ლიქნად, უკეთ — ბასრობად, ამიტომ ძუნწი იყო ქათინაურებზე. ერთი კი იყო, პამბოს ძალიან იზიდავდა თერმები. უყვარდა ყურება როგორ დარბოდნენ მონები სუნამოებით სავესე კურკლების გასახსნელად. როგორ უსვამდნენ ზეთს შიშველი მექისეები და ყურს უგდებდა ხმამაღლა მომუსაიდეთ, გამოელაპარაკებოდა მონებს. თერმები იყო საუკეთესო ადგილი. სადაც მოდიოდნენ ქალაქის უკანასკნელი ამბების გასაგებად და ამიტომაც პამბოსთანაც ყოველთვის საინტერესო იყო საუბარი.

პამბოს ის უცნაური სუნი ასდიოდა, რომელიც საოსტიკნოებიდან და სენაკებიდან შემოჰყვებოდათ ხოლმე. ახლამას ხელში მოწიწებით ეკავა მურვანისათვის, როგორც სამეფო ოჯახის წევრისათვის, გიაციტინას ტანსაბურავი, ვარდების სურნელებას რომ აფრქვევდა.

პამბო დიდხანს იღვა მურვანის წინაშე, აღმოსავლური მოთმინებით ელოდა როდის მოხედავდა და სიტყვას ვერ ძრავდა. ბოლოს მურვანმა სთხოვა დამჯდარიყო და ჰკითხა, რას შეეწუხებინა, რაზე გარჯილიყო. მაგრამ სამოსს ზედაც არ შეხედა.

მაშინ პამბო საოცარი გულწრფელობით ამეტყველდა, აუწერა მონების რა თავდადება და გულმოდგინება იყო ჩაქსოვილი ამ სამოსში. მონა ქალების რა ხელოვნება და გემოვნება იხატებოდა ქსოვილზე ნაქარგ გამოსახულებებში; მურვანმაც უნებლიედ დახედა სამოსს, გახარებულმა პამბომ ისიც დაურთო, თუ როგორ ამებდა თეოდოსის მისი დანახვა ბიზანტიურ სამოსში. და მურვანმა მაშინვე პირი იბრუნა, თვალი აარიდა სამოსს, წარბიც შეიკრა.

პამბოს სახის ნაოკები ჩაულრმავდა,

თავი კიდევ უფრო დაბლა დახარა, ქვე-
ვიდან შეანათა თვალები სინანულითა
და სიბრალულით და სთხოვა მიეღო
იგი როგორც საჩუქარი ტყვე მონებისა,
რომელთაც ნაქარგს სამშობლოს. სიყვა-
რული ჩააქსოვეს.

პაპბოს გულისხმისმყოფელობით გა-
კვირებულმა მურვანმა მას ისევ ღიმი-
ლით და თანაგრძობით გახედა.

ბურგაკასი სურვილს ვერ მალავდა
მურვანი ბიზანტიურ სამოსში დაენახა.

ბოლოს პაპბომ მოჰკიდა ხელი სა-
მოსს და პათეტიკურად წარმოთქვა:

— განა ყველაფერი არ იცვლება
ქვეყანაზე? განა დღისით და ღამით ზა-
ფხულსა და ზამთარში. ქექა-ქუხილსა
და სიმყუდროეში, ბუნება ერთნაირად
იმოსება? განა მას შემდეგ, რაც ფოთ-
ლებით იფარვიდა ადამიანი სხეულს,
სამოსელს მრავალნაირად არ გამოიც-
ვლიდა? თუ ტერტულიანემ ტოვა გას-
ცვალა ლაბადაზე, რომ ემცნო ჩვენთ-
ვის თავისი აზრის განსხვავებულობა,
შენ შეგიძლია ამ სამოსელით მისი და-
ფარვა!

მურვანს გულზე მოხვდა პაპბოს სი-
ტყვა და მორჩილად, ღიმილითაც დანე-
ბდა შესამოსელად.

გახარებულ პაპბოს ცრემლები აუ-
კაფდა თვალებში და გაფაციცებით
რომ აწვდიდა შემოსავთ სამოსს, თან
ახალ ამბებსაც ჰყვებოდა:

— დასავლეთის ტახტის მემკვიდრეს,
აწ განსვენებულ ჰონორიუსის შვილ-
შვილს, ალექსისს. უარი უთქვამს ტახტ-
ზე და ჭორწინების ღამეს გაუჩინარებუ-
ლა. ამბობენ, ღვთის სამსახურისათვის
ამას აღრეც ფიქრობდაო. ზეპირად სკო-
დნია საღმრთო წერილი, თურმე უმან-
კოა ხორციით და სულით, სამოთხეს და-
იმკვიდრებსო...

პაპბოს გამომცდელ გამოხედვაში
ბრწყინავდა ფარული აზრი, თითქოს
უნდოდა ეთქვა, — ტახტს ჩვენში თავი-
სი ნებითაც სტოვებენო, მაგრამ მან არ
იყოფა, რომ ტახტი იყო ერთადერთი,
რაც მურვანს ყველაზე ნაკლებად ალო-

ნებდა და ღვთის სამსახურისათვისაც
დღე-მამისა და საცოდინს მმტრებება
მისთვის გაუგებარი ჩნებოდა.

იგრძნო პაპბომ, რომ მისი ამბავი
დიდად არაფრად ჩაავდეს და უფრო ყუ-
რადსალებად განაგრძო:

— ხვალ თეოდოსი ღებულობს ჰონო-
რიუსის დას, თავის დეიდას, ცნობილ
გალა პლაციდიას ქალიშვილითა დ-
ხუთი წლის ვალენტინიანით, რომელიც
გამოცხადებულია დასავლეთის ტახტის
მემკვიდრედ ალექსის ნაცვლად. დედო-
ფლის სურვილით კი სასახლეში სასწ-
რაფოდ ეწყობა თეოდოსის ახალშობი-
ლი ქალიშვილის, ევლოქიას და ხუთი
წლის ვალენტინიანის ნიშნობა. თეო-
დოსის ყოველი ღონე უხმარია რომში
ელიაზბინათ მისი მომავალი სიძის —
ვალენტინიანის ძალაუფლება გალლა
პლაციდიას მეურვეობით. აღმოსავლე-
თი და დასავლეთი ნათესაური კავში-
რით ერთიანდებიან.

ამ ამბავმა ყველა გაახალისა მოსა-
ლოდნელი სანახაობით. ბურგაკასი
თვალს ვერ აცილებდა მურვანს: ახალ
სამოსში თითქოს იერი შესცვლოდა
უფლისწულს, ბრძოლაში გამარჯვებუ-
ლივით გამოიყურებოდა.

მეორე დილას სასახლემ მართლაც
ფერი იცვალა. ბრწყინავდნენ დიდუ-
ბულნი პატროსანი ქვებით ნაქარგ სა-
მოსში, განათდნენ ქალებით დარბაზე-
ბი. ყველა საგანგებოდ აგრძობინებდა
ხელისუფალთ, რომ სასახლეს შვენი-
ეს ზეიმი.

პაპბომ შენიშნა მურვანი მალიმალ
ავგუსტას რომ გახედავდა ხოლმე და
სახე ექუფრებოდა.

— ძალაუფლებით გატაცებულს ბო-
როტი აზრი მუდამ თან ახლავს, — ხმა-
დაბლა ეტყოდა.

პაპბოს გარეგნობაში მურვანმა პირ-
ველად შენიშნა მეფური მედიდურობა,
აღრე იგი ასეთად არ ეჩვენებოდა და
ახლა თეოდოსე დიდის სურათს რომ
დააცქერდებოდა, უნებლიეთ პაპბოსაც
გახედავდა. მსგავსება აოცებდა.

თეოდოსის გვერდით ყურადღებას იპყრობდა ერთი წარმოსადგეი კაცი. მის სიტყვასა და სალაშში თითქოს რაღაც უკეთური ელაგდა.

— ეს არის თეოდოსის მეკრე, ხრიზანდი, — ამბობდა პამპო და მის სიტყვაშიც მეფური ხმა ეღერდა, — წარმოშობით ბარბაროსია. ბიზანტიელებს ტყვედ რომ ჩაუყარდა, თეოდოსი მოხიბლა მისმა დიდებულმა ნაბიჯმა, მისმა მგლის თვალებმა, რომელნიც სანდომიანად მიიჩნია; აუკვებამ კი, თუ რამ საწყენი ახსოვდა ბავშვობიდან ჩემვან. ერთ დღეს გადამიხადა და ხრიზანფით შემცვალა. ხრიზანფი სულ მალე კარვის მცველიდან სასახლის მცველთა უფროსი გახდა; ახლა ის დიდი სპოფარია. ხედავ, როგორ ხარხეიმით მიაქვს თეოდოსის წინ მახვილი იმპერიისა. კაცი კი არა, ქურია ყოვლისა უკეთურებისა. მისი ურვა მხოლოდ საფასეს მორეწვაა უძილობა სკირს მრავალი საგონებელისაგან; მას სხვისი უძილობაც არ აძინებს; უნდა იცოდეს, რისთვის არ სძინავს სხვას, რადგან ყველაში მტერსა ხედავს. არ უნახავს მზე არც ამოსვლისას და არც ჩასვლისას, არც როდის გაუტაცია მაღალ იდეებმა, მაგრამ ყველაზე ნაკლებ ღირსეული. ყველაზე მეტად ფასდება. არ მოეწონები, თუ მის გარეგნობას არ შეაქებ, თუ არ გაიკვირებ მის სიტყვებზე; თუ მისი თანადასწრებით გაიცინებ ისე, რომ მას მიზეზი არ ეცოდინება — შეგიძლებს, დამცინისო... ავგუსტას ეგონა ჩემი ჩამოცილებით მშვიდობას ჰპოვებდა, სახელმწიფო საქმეებში ველარავინ ჩაერეოდა, მაგრამ ასე არ მოხდა... დედოფალი ათინელია, ცნობილი რიტორის, ლეონტის ქალიშვილი, მწიგნობარი და მგოსანია, სახელად ათენაის, ახლა კი სამეფო კარის საყვარელ სახელს — ვედოქსიას უხმობენ. ავგუსტას თავისი თავის შეურაცხყოფად მიანია, რომ მისი ძმისწული, რომელიც ჯერ კიდევ ხელში ასაყვანია, დასავლეთის ტახტზე ადის და ეს

იმიტომ მხოლოდ, რომ ასეთია დედოფლის სურვილი. ის მოხდენილი ყმაწვილი კარის მზრუნველის შეილია, პავლინი, თეოდოსის ბავშვობის მეგობარი, მას შემდეგ, რაც თეოდოსიმ იგი მეჯვარედაც აირჩია, პავლინს წყალობანი აცვივა: სკოლის მაგისტრისა და დომესტიკის წოდებიდან კურაპალატია დღეს.

მურვანს ერთფეროვნად და მოსაწყენად ეჩვენა ბრწყინვალე ცერემონიალი. იმიტომ არჩია განშორებოდა ყველას და პამპოსთან ერთად ნელის ნაბიჯით ხეივანს ჩაუყვა.

ფართო ტერასებიან დაფნის ტაძართან შეჩერდნენ. ეს ტაძარი იზიდავდა მურვანს თავისი სიდიადითა და გარემოს სურნელებით.

პამპო კი კარგი ზღაპარივით ჰყვებოდა სასახლის ამბებს. მურვანს ეს არ აინტერესებდა, მაგრამ ვერ უკრძალავდა, ატყობდა, იგი უფრო გულს იოხებდა, ვიდრე მის გათვითცნობიერებას ცდილობდა.

მურვანის ყურადღება პანთეონმა მიიპყრო. აქ მოეყარათ თავი კონსტანტინე დიდის მიერ დამორჩილებული ერების დამზობილი ღმერთებისათვის, რომელთაც შეენარჩუნებინათ თავისი დიდება, მაგრამ ეს თავყრილობა თავისთავად უკვე ცხადყოფდა, რომ არც ერთი მათგანი არ იყო ჰეშმარტად ღმერთი. მურვანს სწორედ ამ შთამავონებელ გარემოში აფიქრებდა ჯვარის საიდუმლოებაც.

— თუ ჯვარი გვაგონებს ქრისტეს, მაშინ ჩვენ უნდა ვემთხვეოდეთ უბრალო ხის ჯვარს. ჩვენ კი ვემთხვევით ოქროთი და თვალმარგალიტით მოკვდილს, — და პამპოსათვის მოულოდნელად იკითხა:

— რატომ გახდა ღმერთი ადამიანი?

— იმიტომ, რომ უცნობის არცმიგნება შეიძლება და მით უფრო სიყვარული. ადამიანის სახით კი ყველასათვის მისაწვდომია იგი, — თან პამპო გაოცებული

შესცქეროდა მურვანს, რომლისათვისაც ასევე მოულოდნელი იყო ეს შეკითხვა.

მურვანს ახლა თავისი კითხვა უფრო აფიჭრებდა, ვიდრე პასუხი. განა სწამდა, რომ ღმერთი ადამიანად გადაიქცა, შემოქმედი — შემოქმედებად იქცა, რომ ეკითხა რატომ მოხდა ეს?

— შენ, მე ვიცი, — ღიმილით უბნო პამპომ, — მალე იმასაც იკითხავ, თუ როგორ იქცა ღმერთი ადამიანად. მაგრამ დაიხსოვებ ჩემგან — ეს ის საიდუმლოებაა, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანის და მით უფრო ქაბუჯის, საძიებელი არ არის. ჩვენ ვიფიჭროთ იმაზე, რაც ჩვენი გასაკეთებელია. სამების საიდუმლოებას ადამიანი ვერ ჩასწვდება.

მურვანი ისევ დადუმდა და აკროპოლისის სასახლემდე ისე მივიდნენ, პამპოსაც სიტყვა არ დაუძრავს.

მურვანისათვის ზუზოს იმდენი რამ

ეამბნა ქრისტეზე და ისეთი რწმენითა და გატაცებით, რომ მურვანს უცხოებულად, ხელშესახებად წარმოუტყუებლად ხოლმე მაცხოვრის სახე. გრძნობდა პამპოსაც ასევე მიეჩნია და თავის რწმენაში ეკვის შეტანასაც არავის გააბედინებდა. უნდოდა მურვანსაც ჰქონოდა მკვდრეთით აღდგომის, მარადიულ ცხოვრების მტკიცე რწმენა, მით უმეტეს ახლა, უცხო ქვეყანაში, მაგრამ ყოველივე ამის საფუძველი იყო სამების ერთარსება, რომელიც მისთვის ამოუცნობელი რჩებოდა და პამპო კი ეუბნებოდა მისი ჩაწვდომა არც უნდა სცადო.

მაგრამ მურვანის გონება ხოვანებას წინ უსწრებდა, ყველას აკვირებდა მისი წარმატებანი ბერძნულსა და ლათინურ მეტყველებაში; პამპოც გრძნობდა, რომ ეს ჩვეულებრივი კი არა, საოცარი ბავშვი იყო, რომელსაც შეეძლო დაენახა და გაეგო იდუმალი და ამოუცნობელი.

თავი მესამე

იქ, სადაც მარმარის კიბეებიანი ტერასები ზღვაში ეშვებოდა, მხიარული საფარდულები იდგა. ვაჭრები უმეტეს სირიელები და სომხები იყვნენ, არაბებიც გამოერეოდნენ და ქართველებსაც ედგათ ქარავნები. მათი მიმყოფ-მოწყობილი ლაყობასა და წვრილმან ვაჭრობაში იქცევდნენ თავს, ხის ძირს გაშხლართულნი ქილიკობდნენ, იკინოდნენ.

მურვანს უყვარდა აქ გავლა, გაიხარებდა ხოლმე იბერიელთა ხილვით: ქუდებს მოიგლეჯდნენ, დაბალ სალამს მოსცემდნენ. ისიც ყველას გამოელაპარაკებოდა, დიდხანს ტრიალებდა მათ შორის, რომ მათი ხმა სმენოდა, ქართული ბასრობა გაეგონა, თავდაც ებასრა, მათ ხმებში ნაცნობი ხმები ამოეცნო და სამშობლოს სურნელება შეეგრძნო. უცხოთაც აკვირდებოდა ხოლმე, სურ-

და პართენოკელისათვის თვალი მოეკრა: ახლა თვითონ ჩასკიდებდა ხელს და მეგობრობას შესთავაზებდა, მაგრამ პართენოკელი არსად ჩანდა. ზუზოსა და დედისათვის უცხო რამ ნივთს შეათვალიერებდა: ჩუქურთმებიან ზარდახშს სპილოს ძვლისა, ხატებს მოზაიკისა, ოქრომკედლით ნაქარგ სამოსს ძოწეულისა. აქ დამზადებული ფუფუნების ნატიფ საგნებით ზომ მთელს ქვეყანაზე თავს იწონებდა ბიზანტია.

კონსტანტინეპოლი ჰგავდა ვეებერთელა ქარვასლას, სადაც ყოველი მხრიდან რაღა არ მოედინებოდა. აქ იყიდებოდა ყველაფერი, იყიდებოდა 'მონებიც, ისევე, როგორც ოჯახისათვის ფრიად საჭირო პირუტყვი; მონა კი პირუტყვზე იაფად ფასობდა და ზომადღებთან გადმოტვირთვისასაც ტვირთს

მეტი ყურადღება ეთმობოდა, ვიდრე აღამიანებს, მოკრუნჩხულები კუთხეებში რომ ეყუნტნენ. უმოწყალო მცხუნვარე მზე მთელი დღის განმავლობაში სწვავდა ოფლშეუშრობელთ, მოთმინებით რომ უცდიდნენ თავიანთ მყიდველებს.

მურვანი ხედავდა ბურგაკასი როგორი სიბრალულით, გულდამძიმებული შესცქეროდა მონებს თავისი გაფაციცებული დიდრონი თვალებით. გრძელსა და შავ წამწამებს შინაგანი სიხვი ვერ დაეფარათ, მისი მეტყველი სახის პატრონს ბევრი ლაპარაკი არა სჭიროდა.

— შენ ახლა იმას ოცნებობ, — უთხრა მურვანმა, — ეს მონები გაყიდინა და გაგანთავისუფლებინა, — ხელი გადახვია, ამ საზარელ სანახაობას მოაშორა.

ბურგაკასი ზალისიანი აღმასრულებელი იყო, მაგრამ სწავლა მაინცა და მაინც არ ეხალისებოდა. თვალი ნადირობასა და დოღზე ეჭირა. სცადა კიდეც მოჭირითებთან დაახლოება, ცირკნი მონაწილეობის მიღება, მაგრამ სულ მალე დარწმუნდა — წარმატებისათვის მოწადინებისა და უნარის გარდა, კიდეც ბევრი რამ ისეთი იყო საჭირო, რაც მის მართალსა და ფაქიზ ბუნებას არ ეგუებოდა. ნადირობას დასჯერდა, ისიც მურვანთან ერთად.

ბურგაკასი ფიქრით თავს არ იწუხებდა, მოვლენების მიზნებს მუდამ მართივად ხსნიდა. ტაძარს რომ მოუხედა, რომელსაც მონები გალავანს უშენებდნენ, თქვა:

— რა საჭიროა ტაძრების აგება? ღვთის ყოვლისშემძლეობას ბუნების კალთაში უფრო ვგრძნობ, ჩამობნელებულ ტაძარში დაჩოქილს კი მხოლოდ სევდა მეუფლებდა.

— კიდეცა იმიტომ გამოიყურება ზოლმე ტაძარში ვითარცა ისააკ, ზვარაკად შესაწირავი, — თქვა ღიმილით მურვანმა.

— განა მზე უფრო არ შეენის ღმერთს სანათებლად, ვიდრე მბეჭუტავი პატრუქი, გინდ სამეფო კელაპტარი?

— ეკლესია ჩვენთვის არის, საჭირო, ღვთისათვის კი არა, — განუმარტუნდა მურვანი, — ბუნებაში ყოველთვის ღმერთზე ვერ იფიქრებ ისე, რომ რაიმემ არ გაგიტაცოს, ხან უამინდობაც არ შეგიწყობს ხელს. ეკლესიაში კი მხოლოდ ღვთის სადიდებლად მოვდივართ და „როდესაც სამნიც კი შეიყრებით ჩემს მოსაგონებლად, მეც თქვენს შორის ვარ“ — ქრისტემა თქვა. აღარ გახსოვს ბებია ზუზოს ნაუბარი: ვითარცა დღე და ღამე არ დასცხრებთან მიმოვლობასა, ისე კეთილმორწმუნენი არ დასცხრებთან ეკლესიასა შინა სიარულსა, — ბრძენი დამრიგებელის სიღარბაისლით გახედა და ერთნაირი გულუბრყვილობით კი გაეცინათ.

ამ საუბარში იყვნენ, რომ მაცნე შემოხვდათ და უსტარი დედისა გადასცა.

მურვანს მღელვარებისაგან თითქოს დასცხა კიდეც, ხელები აუცახცახდა და უცბად რომ თვალი გადაავლო, ავის მაუწყებელი ზომ არაფერიო, მხოლოდ თავის სავანეში მისულმა დამშვიდებით წაიკითხა:

„შვილსა ჩემსა და მემკვიდრესა, იმელსა და ნუგეშსა, დედა მოგიკითხავ!“

„შენმა წერილმა გავგვახარა. ისეთი ხატოვანი იყო შენი სიტყვა, თითქოს გხედავდით კიდეც, შენი ხმაც გვესმოდა. შენს სამოსს მივეალერსეთ და შენს ნატერფალზე ფიქრი დაექანკეთ.“

„ვიწროება გონებისა და უღონობა ენისა ჩემისა უწყოდ.“

„ჩანს ქვეყნის ყურის მიმგდებსაც ბედნიერება არ მიუჩნევია მიზნის მისაღწევ გზად და ამიტომაც უბედობასთან მორიგება არ გვალონებს. უბედობაში უკეთა ვფლობთ თავს, ღვთის სიხალთვესაც მეტად შევიცნობთ. გვწამს ღვთის ხელშია ჩვენი ბედი და არა კეისრისა, რომელიც აგრეთვე ღვთისაგან მოელის ხსნას.“

„ქეშმარიტი სიხარული შესაძლებელი ყოფილა მხოლოდ წარსულის მოგონებით, ან მომავალზე ოცნებით; აწმ-

ყოს უმეტეს ზომიერება შევინს, რათა არ ვიციოთ იგი რისი მათუწყებელია. და თუ ის დაუძლეველი სიხარული მწუხარების მათუწყებელი იყო, იქნებ დღევანდელი გოდება სიხარულად გვექცეს.

„და თუ საზარელია ადამიანი, რომელიც ფიციოთ არ ენდობა ადამიანს, რაოდენ შემზარავი უნდა იყოს ის, ვინც ღმერთს არ ენდობა მაშინაც კი, როდესაც უფალი თავის ნება-სურვილს წინასწარმეტყველებით გვამცნობს. მე მწამს შენ მძევლობით კარი გააღე დიდების გზაზე.“

„მამაშენს, ბუზმარს, სევდა ერევა და ბოლმა უტევს, მაგრამ ზუზო სიყვარულით ლოცულობს ყველასათვის და ნუგეშინსა გვეცემს. არილს ეშინია არ გაგიტყუებოთ მანდ და არ დაგვივიწყოთ. ბურგაკასმა რომ სწავლას უმარჯვა, დელამისის, ოთას სიხარულს საზღვარი არა აქვს, აღარ იტრემლება.“

„რამეთუ მზე ერთნაირად აღმოვალს ბოროტთა და კეთილთა ზედა და ერთნაირად წვიმს მართალთა და ცრუთა ზედა, ამისათვის კეთილს უყოფდეთ მოძულეთა თქვენთა. უკეთუ ვიყვარდეს მხოლოდ მოყვასი შენი, რა სასყიდელი გაქვს?“

„გაბსოვდეს სიგრძე ეპისა ყოველსავე დავიწყებდა მიიღებს, ზოლო წინაშე უფლისა მარადის ბრწყინავენ რომელთა სათნოდ აღასრულეს თავისი ცხოვრება.“

უსტარს მოჰყვა მოსაკითხი, სპარსეთს წამებულთა წმინდა ნაწილები, რომელნიც იქაურ ქრისტიანებს წარმოგვზავნათ ბუზმარისათვის.

უკნობ და წარუხოცელ მოგონებთა ნიაჟმა სევდა გულისა მოჰგვარა ყმაწვილს. წარსულის მოგონებანი თავის იერსა ჰყენდა ყოველივეს, იქ პოულობდა ფერებს, იქ შეიგრძნობდა ხმას და მით კახმავდა სიტყვას. ხედავდა აცრემლებულ კენახს, გადათეთრებულ ხეხილის ბაღებს, ატმისა და ვაშლის ყვავილის ნაზი ვარდისფერი რომ შერთვოდა და მათ სურნელებს იყნოსავდა.

წმინდანთა წამება იმდენად განიცადა, მოწამენი სიზმრად გჩვენებოდნენ. ნუგეშინს სცემდნენ, შეგების მომტარ დაუსრულებელ ცხოვრებას აღუთქვამდნენ.

ნათლისღების წინა დღე იყო. საღამოს ლოცვაზე მურვანი მეფეს ტაძარში არ გაჰყვა, დადგომა უნდოდა ლოცვად მოწამეთა ჩვენების სამადლობლოდ.

კანდელების დანთება რომ მოინდომა, მსახურმა უარი თქვა ზეთის მოტანაზე და დაყვედრა:

— ასეთ დიდ დღესასწაულზე ყველა ქრისტიანენი იხარებდნენ, ზოლო შენ, მეფის ძე, ვითარცა მონაზონი, მშიერ იმყოფები და არც ჩვენ გვაძლევ უფლებას გახარებისაო.

მურვანმა მსახურის ყვედრება არად ჩააგლო, კიდევაც გაუხარდა, რომ მასაც წასვლა უნდოდა და გაანთავისუფლა, კანდელები კი წყლით შეავსო და ხატებს სინათლე მოჰტინა.

შეგრძობილი ჰმადლობდა და ეგედრებოდა უფალს, მაგრამ გონება რწმენას არ ჯერდებოდა, სამების საიდუმლოებას იძიებდა: რატომ ვაღიარებთ ერთ ღმერთსა და, ამავე დროს, გვწამს სამება იმავე არსებისა, მარადიულისა და უსაწყისოსი? როგორაა სამება თანაბარი, სამიცაა და ერთიც? ის, ვინც განკაცდა ჩვენთვის, როგორ არის ერთი სამებათაგანი?

მიზეზთა მიზეზი სამების მიღმა ეგულებოდა. ბურუსით იყო მოცული იგი, გონების თვალი ვერა სწვდებოდა. მურვანი საღმრთო ნისლს მოეცვა, უხილავ ნათელს, რომლისა შინა მკვიდრობა ღმერთისა იგულვებოდა, რომელა უხილავ არს ზეშთა გარდამეტებულისა საჩინოებისაგან და თავის უსუსურობის შეგრძნებით სევდიანს ჩასთვლიმა.

ძილის შორისში ხედავს პეტრე მოციქულს; მან გამოიყვანა ბორცვზე და ზეცაში დაანახა დიდი სხივი, რომელიც მაღლა მიმავალ გზას ჰგავდა, მიუწვდომელსა და შეუცნობელს. წრისებური იყო იგი მზის მსგავსად. მოციქულ-

მა თქვა: „ეს არის მამამერტი“. შემდეგ აჩვენა მეორე სხივი, რომელიც პირველს მისდევდა და პირველის მსგავსი იყო, მხოლოდ შუაში იმყოფებოდა ის, ვინც ჭვარს ეცვა, ერთი სამებათაგანი. „ეს ძეა“ — განუმარტა ისევ მოციქულმა და ბოლოს დაანახა მესამე სხივი, მსგავსი პირველი ორისა: „ეს კი სული წმიდაა“, — თქვა და გაუჩინარდა კიდევ.

მურვანმა თვალები გაახილა მიიხედ-მოიხედა, ჩვენება გამჭრალიყო, მაგრამ უსასრულობა და სასრული, უსაზღვრობა და საზღვრული, ცა და ქვეყანა გამთლიანებულიყო მზის ნათელში...

ორთოღვით იბარებდა პერგამენტი ზეშთავონებას:

„თუ შენობაში რამდენიმე სანთელია, ჩვენ ვხედავთ რამდენიმე სანთელის მონაფენს, სინათლის მთლიანობას, ყველა სინათლის შეერთებას ერთ ნათელში და ვერაფერს შესძლოს მის გარემომცველ ჰაერში გააჩიოს სინათლე რომელიმე ერთი სანთლისა სხვა დანარჩენებისაგან, ვერაფერს თქვას, რა ნაწილი რომელი სანთლისაა, თუმცა ისინი შეერთებული არიან შეურწყმელად. მაგრამ თუ ოთახიდან გავიტანთ ერთ სანთელს, მას თან გაჰყვება მისი ნათელი და ოთახს სინათლე მოაკლდება, თუმცა ეს სინათლე ვრცელდება ჰაერის სივრცეში და წარმოიქმნება ნივთიერი ცეცხლისაგან“...

კანდელებზე სინათლე ოდნავდა კრთოდა, მასთან თეოდოსი რომ შემოვიდა.

თეოდოსიმ შეუქო მურვანს გულმოდგინება, ამბორის ყოფითი დავითი დოვა.

მითრიდატე ხარობდა მურვანის წარმატებით, ამბობდა:

— ასე ხდება ხშირად; ასე დაემართა ნისელსაც, ზოგი წლები ცხოვრებისა სიზმარივით გაქრება და ერთი ღამის სიზმარი კი სინამდვილედ დარჩება.

თუ პირველი დღეები გულისკასაწყალებლად მიიზღაზნებოდნენ, თვეება უკვე ერთმანეთს დინჯად მისდევდნენ, გადიოდა წლებიც და ღროს თავისი გაქონდა — აეწყვნენ იბერიელნი ბიზანტიის ცხოვრების ჩალუმ ჩქევას. მითრიდატე როგორც სახელმწიფოველი სწავლული, დედოფალმა მიიწვია თავის დაარსებულ სკოლებში, ღროზე ადრე დაბრძენებული უფლისწული მეცნიერებათა წყარობს ეწაფებოდა. მწივნობარი დედოფალი განსაკუთრებული მზრუნველობით თავს ევლებოდა საკვირველ ყმაწვილს.

უფლისწული მოშორებული იყო ქალაქის ხმაურს, მოსაწყენსა ცერემონიას. მურვანის გონების თვალსაწიერი იზრდებოდა და უხვად ხარობდა, ღამეები კითხვაზე თუ წერაზე დაათენდებოდა. რაშდენადაც დამოუკიდებელი იყო გონებით, იმდენად მიმნდობი; რამდენადაც რთული იყო მისი სულიერი სამყარო, იმდენად სადა იყო ურთიერთობაში; რამდენადაც მოკრძალებული განგების წინაშე, იმდენად მოურიდებელი ამა სოფლის ძლიერთა მიმართ.



კლდის ვეუსკი

ბიოგრაფიული რომანი

მას მთელ მსოფლიოში იცნობდნენ, როგორც უმაჰაცეს მთაშველელს, მთების მინდიას. ურნალ-გაგურებში მსხვილი შრიფტით იბეჭდებოდა რეპორტაჟები და ნარკვევები მრავლისმეტყველი სათაურებით: „კლდის ვეუსკი საქართველოდან“, „დაამიანი — საკვირველება“ ...

შესტიის რაიონში, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა, შინაურები და ახლობლები რამდენიმე სახელით მიმართავდნენ — ჩხვიშლიან, შინაან, შინგილ, შინა ...

ბავშვობიდანვე დაჰყვა მთიელთათვის დამახასიათებელი სიღარბისლე, უბრალოება და შრომისმოყვარეობა. ღრმად სწამდა — ყოველგვარი დიდება და წარმატება შრომით, მხოლოდ და მხოლოდ შრომით მოიპოვებდა.

უყვარდა თავის ვარშემო ატეხილი ხმაური და ქება-დიდება:

— ყველაფერია ეს ზედმეტია ... მე შგონი, ვისაც თავისი საქმე ვუღიანად უყვარს, მისთვის ეს აურზაური ზედმეტია ...

თავის ვატაცებაზე რომ შეეკითხებოდნენ, იგი ამბობდა: სვანეთში დაბადებული კაცო ბევრით არის დავალებული მთისაგან. ტყუილად როდი უთქვამთ ჩვენს წინაპრებს: „მთა აქ ყველაფერია: მთა იღარავს, მთა ჰყვებავს და ასაზრდოებს დადაინასო“. მართლაც რომ საოცარია მთა — შეგიჩვევს, შეგიჩვევს და ვეღარც კი მოსცილდები, მთა მშობელივით საუფარელი და ახლობელი ხდება, მთა სულში იდგამს ფესვებს, ისევე, როგორც ხე — მიწაში ...

ხანდახან საუკუნოვანი მყინვარებივით გამქვირვალე თვალებს მოწყურავდა, გამოქარულა, ქანდაკებასავით ჩამოსხმული სახე გაერიდებოდა, რადაცნაირად დაეძაბებოდა, თითქოს ნაპრალზე გადასახტომად შემართულაო, ერთხანს

დუმილი მოიკავდა, ბოლოს ძლივს შესამჩნევად იშლილი გაუტრთებოდა სახეზე, დიმილი შუის სხივებივით მოეფინებოდა.

ამ დროს იგი თავის პირველ ნაბიჯებს, თავის ბავშვობას იგონებდა ხოლმე ...

ბაბუა ანტონი ცნობილი მონადირე იყო. სხვა მეფთვიარებივით მანაც უამრავი თქმულება თუ ძველისძველი ამბავი იცოდა. აუ, რამდენი ლეგენდა-ზღაპარი უაჰსინა ანტონს მიხეილისათვის, პატარა შინაანისათვის, ზღაპრები დევებზე, ქაქეშმაკებსა და მწიქებულებზე ...

იმ ნააშობიდან ზოგი რამ კარგად დაამახსოვრდა. აი, მაგალითად, ბეთქილის ამბავი!

— კარგად მახსოვს, როგორ დაიწყო ჩვენი საუბარი. ნაზირობიდან ახლადღებრუნებულს მოხუცმა დაღლილმა რომ შემატყო, თავისთან მიმხიშო და დიმილით მომპარათა:

— აი, დღეს ისეთ გუნებაზე ვარ, რომ რაც გინდა შეიხებ, ყველაფერზე გიპასუხებო. ჰოდა შეც მტერი რა მინდოდა, ავდექი და რაც გამახსენდა, ისა ვთხოვ — პირველი მთაშველელები ვინდა იყვნენ, ვიცი, რომ გაბრიელი იყო, მაგრამ იქამდე სხვა ხომ არავინ გვეყოლია-თქო.

— ბევრნი იყვნენ, — ხალხიანად დაიწყო მოყოლა მოხუცმა — ყველა კარგი მონადირე მთაშველელაც იყო. მათს შორის კი თავისი ვაჟკაცობით ბეთქილი გამოირჩეოდა. იმიტომაც მისი ამბავი ლეგენდად შემორჩა ჩვენს ხეობას.

მამაცი მეფთვიარი ნადირთ ქალღმერთ დანს უყვარდა. მან საუკუნო ერთგულების ნიშნად თავისი მძივი უსახსოვრა ვაჟკაცს, მაგრამ ბეთქილმა

ულაღა, მიყვამული სიტყვა გატეხა, იმისი ნაჩქარი მძივი კი თავის საცოლეს ჩამოკიჯა ვაღზე.

გაეიდა ხანი, ერთ ღღეს სოფლის მოედანზე მოყარა თავი ახალგაზრდობას. წაბღის ქუდიანება მღეროდნენ და ვერხელს უვლიდნენ. ბეთქილიც მათ შორის იყო. იღვა ერთი ერთი და სიკალ-ბორხოცი. საცოლო ბიჭები თავს აწონებდნენ გოგონებს.

უეცრად, საიდანაც თეთრი შუნი გამოიქცა, მოცეკვავთა წრეში შევარდა. ხალხს ლაქებში გეძებდა და გაქრინარდა. მსგავსი რამ არავის სწენოდა. მოხუცები ამბობდნენ — ეს ან სიყვითის მუწყებელია, ანდა რაიმე უხედეურებისაო. მოედანზე ერთი ჩოჩქოლ-ხმაური იღვა. უნდა გამკალებოდა ენამე თეთრ შუნს, მაგრამ ვინ იყო ასეთი გულადო?

ვინა და — ბეთქილი! ბეთქილი გაეკიდებოდა თეთრ შუნს, ბეთქილი... ბეთქილი...

ბეთქილს პატივები ჩაესწორებოდა, ლობარები ამოღებოდა ბანდულებზე, თოფისთვის დაფვლია ზევი და შუნის კვალს გაყოლია. კვალ-შევი კლდეებში შეტეხვებია ბეთქილი, შევი კლდეებში — ღალაბის საშფლობელოში. უეცრად ქალღმერთი დალი გამოცხადებია დაბნეულ ბეთქილს. გამოცხადებია და თავისი ნაჩქარი მძივი მოვითხავს. აბა საიდან მოუტანდა ბეთქილი ქარის ყვლასაბაზს, დალისგან ბოძებულს?

პოლა, იცრუა — სასთუმალქვეშ დამბრბო. იგივე რომ ძებორციელი იყო და იცრუა მაგრამ ყოვლისყოფნენ და ყოვლისმზიველ დღას აბა რას გამოაპარებდა მონადირე ბეთქილი?

— შენ რომ სიმართლეს ამბობ, ის სიმართლე დაგაბრუნებს სახლშიო... — უთხრა თვალეზზე ცრემლმომდგარმა დაღმა ბეთქილს და როგორც უეცრად გამოეცხადა, ისევე თვალის დაბამაშემაში გაუჩინარდა.

ორგვლივ სიბნელე ჩამოწვა. ბეთქილს ფეხს დასადგმელი ადგილი ჩაუშავდა. ვეღარც ხელი მოეყოლია სადმე, იო, მამაცი მეთხვიარი ცალი ფეხები და ცალი ხელით გადმოყოფდა ქარაფზე.

გეორგ დილით შევი კლდის მისადგომებთან უმარავმა ხალხმა მოიყარა თავი, მთელი სოფელი ღმ ამოსულა. ყველა ცდილობს დახმარების ხელი გაუწვიანოს მამაც მონადირეს, მაგრამ შევი კლდეს ვინ აებლოტება? ვინ გადაეგვება იმის სიბუნს? ხალხი ტირის, ხელს იწვივის ბეთქილისკენ, ღმერთს ევედრება იმსნას მონადირე განსაცდელისაგან. მაგრამ აბა რა გამოვა ხეეწნა-მუდართით, ჩოჩქოლითა და ვი-ვიმით?

ისევე ბეთქილი მოიკრებს მხნელობას და ომბი-ანად ვადასამებებს შეეკრებოდა:

— აბა ჩემმა საცოლემ მოცეკვოს. უკანასკნელად მინდა ვნახო იმისი გოგამანო. წრე გაშალეს თანასოფლელებმა, და მამაცი მონადირის საცოლემ როინით ჩამოუარა მოედანს.

ისევე დაიძახა ბეთქილმა:

6. „მნათობი“, № 1.

— ახლა ჩემმა დაიამ დამიტიროს, მინდა უკანასკნელად გავიგროო იმისი ხმაო. **გეორგ ვივსონი** მოედნის შუაგულში, კლდის ნახევარსაშუალო ერთი ციქნა გოგო ჩამოვიდა და ბეთქილმა გაიგონა მისი ხმა. თურმე რა გულიანდამწველი მოთქმა სცოდნია პატარა დაიკოს.

— ახლა კი მინდა ხალხის ცეკვა ვნახო, მთელი სოფლის ცეკვას მინდა ვუყუროო... — დაიძახა მერე ბეთქილმა.

ხალხმა ერთერთს ჩასქიდა ხელი. წრე შეკრა და შინავორგული დაუარა. თეთრი ნაბდისქედიანები ერთერთს ვადასვეულ-ვადადლობიანი სეანური მურყვამებივით მოჩანდნენ. მურყვამები ტორტმანებდნენ, ირწეოდნენ, ბუბუნებდნენ...

— ჰე... ჰე... ჰევეიიი — დაიძახა ბოლოს ბეთქილმა და იმისმა ღრიალმა მოიცვა ირგვლივ ყოველივე. მოთება და მწვერვალებმა დააბურთავეს ბეთქილის ხმა, შორს გაიტაცეს, მიუვალ ჰე-უხეხესა და ქარაფებში დასახსლეს.

ახლაც კი, მოთებში, ხშირად ვაიგონებს კაცო უჩვეულო გინვა-გოგებებსა, იგი მამაცი ბეთქილის სულის ამოძახლია — დაამთავრა თხრობა ანტონმა.

— რა მოუვიდა მერე ბეთქილს? რა ბედი ეწია?

— რა მოუვიდა? ბეთქილი შევი კლდეებს ვადა მოეფლო. მამაცი მონადირის სისხლმა მეწამულ-მთვრალე შეღება უშვის ციკაბოები. იმ ადგილს, სადაც ბეთქილი დაენარცხა, ახლაც „წითელ კლდედ“ უხმობენ...

მას მერე ვერავის შეუბუღავს უშხასთან ჰიდილი. იმასთან მიახლოებისაკენ ეწინოდა ყველას. უშხა ბელმუფვალა რჩებოდა, ვაღერ მონადირე ჩოჩქოლა არ ეუბნებოდა მის ქარაფებს... ხო, ბეთქილის მერე იყო ჩოჩქოლა...

აუცილებლად ვადაპკანბანი...

აუ, რამდენჯერ ვასდევნებია ბაბუა ანტონს სანადიროზე მიხილი, ვასდევნებია, მაგრამ შევინებულდი შევა გზიდან დაბრუნებულა უკან. იგი პატარა იყო, პატარა და გამოუცდელი.

— კლდეებში ქალი დადის, ქალე ბავშვებს დააღებო... — აშინებდნენ ზოლმე უფროსები. მას კი ეს ზალე ხასაილიოდ არ ჰყოფნიდა. მთებში სანადიროდ წახვლა, ბეთქილის ბოლიკების დალაზვა ეწადა. დალა-უორას ცაზე ვადმოკიდებული ფანჯარა იტაცებდა. მიწოდელი და ღამაში იყო შორიდან ნადირობის ქალღმერთის ხახელით ცნობილი მცირე მწვერვალი — ჩრდილოეთისაკენ ვადასაჰედი — „დალა უორა“. მისი ერთმანეთზე მყარდრობილი ლოდელისაგან წარმოქმნილი ბუნებრივი კლდეები.

„უნდა ვადაპკანბანი, აუცილებლად უნდა ვადაპკანბანი“

1 სვ. ალი, ავი სული.

ძვრე... — ფიქრობდა გულში მიხედილი და სამოქმედო გეგმას ადგენდა. მაშისთვის თოფი უნდა მოეპარა, სახლიდან გაპარულიყო და მერტე თეთრან იცოდა თოფი კი „იგდო“ ხელთ, მაგრამ... დალა უორას „სარქმელში“ ვეღარ გაეტია, ბელს ადევნებულ დათვით გაეჩინა ლოდებს შორის. ვერც წინ მიიწვებდა, ვერც უკან. ახლადა შეამჩნია, თურმე რა სიმაღლეზე ამოსულიყო. შიშმა თავბრუ დაახვია, მაგრამ უკანასკნელი ღონე მოაკრია და შეებრძოლა მაცდურ გრძობას.

„შე!... შვე საცაა ჩავა, შთაში მალე ღამდობა ირგვლვ სიხნელე დასაფგურებს და...“

სწორედ ამ წუთას გაახსენდა რატორმაკ პალე. პალე, სასაბლოდ რომ არ მყოფნიდა სხვა დროს.

„კლდეებში მალე დაღის, პალე ბავშვებს დასდევს“...

„რა ეშველება?“

მალე მზე შორეულ მთებს მიღმა ჩიტივრთა. მუიწვარები და კლდეები გაშუქდა. დალა-უორას მისაფგომებში, სულ ქვეით, ნაქნარი ზოლი დამისხულ ბურუსში ვაჭვია. საღამო ხეობიდან მოიპარებოდა და მადლა, მადლა მოცოცავდა. ბოლოს კავკასიონის თეთრი მწვერვალებიდა შეპორჩა ნუგეშად წყვდიადმა ვერ დაიმორჩილა ისინი. ზღაპრულ ჩირაღდნებვით თეთრად რიალებდნენ...

გოთმინება

— მაინც ვინ იყო ის ჩორლა? რა ვაკეთა ასეთი?

ბაბუა ანტონმა თოვლივით თეთრ წვერზე მოივლო მარცხენა ხელი, მერე დაქვბზშორის მოვდებულ სანადირო მუჭურგზე ჩამოყარდნო, რომელსაც ხელიდან არასოდეს არ იშორებდა და ახლა მეორე ამბავს მოჰყვა:

— ჩორლასნაირი მონადირე არც დაბადებულა დედამიწის ზურგზე. მაგრამ, რაც უცნაურია, გუმამაღრობა დაყოლია თურმე ბავშვობიდან. თანაც უტმერი ხასიათისა ყოფილა — ლეთისმოსალი და ამავე დროს თევზასული, გუმამაღარი კაცი. ნადირობისას, რამდენავე მოიხეტლებდა, იმდენ ხარჭივს დათოფავდა. ხოცვის, განადგურების ეინი ვასჯლომოდა ძვალრბილში.

„რამდენავე მოერგვი და აიკიდებ, იმდენი მონადირეო“ — სწერია ჩვეს კანონებში. ეს კანონები კი ნადირობის ქალღმერთების დაწესებულია, მაგრამ ჩორლა იმათს ნება-სურვილზე ზომ არ ივლიდა, მონადირული ადამ-ჩვეულებანი სასაბლოდ ვაჭვია.

ერთხელაც გაუდგა იგი სანადიროდ გზას. თავისი ყორანა ძაღლიც თან ვაყოლია. თეთრი კლდეებისთვის მიუშურებია. მაგრამ ველარათე-

რი მოუხეტლებია. მერე დაღუბის მდგომარეობა გასულა, იქნებ მინდ მაინც წაეწყავდნე რეკვისო. მდგომარეობა მთელი რეკმა ვაქმინდნე კლდეებულად მოვდნენ ჭიხვები ბნლში. მაგრამ ჩორლარისი კაცი იყო, იმათ თუ ვერ დააფრთხობდნს ხარჭიხვისთვის უსროლია და წაუქცევი, მეორედ გაუტყვარენია თავისი კუთხვა. მეორეც წაეცილა, მერე — მესამედ და მეოთხედ, მეოთხედ და მეხუთედ და ვიდრე კიდევ მოუნაცვლებდა, მოთმინებააღესილმა დაღუბმა შეიპყრეს იგი. შეიპყრეს და კლდეზე მიაჭკვეს — მარჯვენა ხელით და მარცხენა ფეხით ჩამოჰკიდეს დაღუბმა ჩორლა მიუვალ ქარაფზე.

— გუმამაღარი ჩორლა, აქ დაიმამგნება ყორნებისაგან შენი ძვალბორი, აქ დასახლდება საუუენოდ შენი ბორთი სული, შენს საყვარელ კუთხვას აქ შექვამს წვიმა-განგაი... — დაუტოვეს ნუგეშად დაღუბმა.

— ჩემო ყორანავ, — ჩასძახა თავის მოწყვეტავე ძაღლს ჩორლამ, — წადი და ძმებს შეატყობინე ჩემი ამბავი, ჩემს ძელებს შინ წასვლებენ, ჩემს თოფ-იარაღს თეთროი მოიხმარენ...

შინისაკენ წაქმნულეებულ ყორანას სოფლის მისადგომებთან წინდა გიორგი შემოხვდა.

— საით ვაგაწევი, ან რაზე დაღონებულხარ ასერივად, ყორანაო? — შეეკითხა უფალი გიორგი.

— როგორ თუ საით ვამიწევი? ჩემი ჩორლა კლდეზეა მიჭკვეული. იმის ძმებს მივეტან ამბავს, ისინი ჩორლას ძელებს შინ წასვლებენ, თოფ-იარაღსაც უპატრონებენ...

— მერედა ამან დავალონ, ყორანაო? მერედა-ამაზე წაეწყვავებ ასე საყოდავიდა? ახლავე უკან დაბრუნდი და ჩემს მოხელამდე გააშხნევე შენი პატრონი, მე ჰვეს ამოვეუყვებო და დაღუბს მოციქულობს ვავეუმართავ, თუ არ ვამიგონებენ, ძალათ დაგისნნი და გამოვიტაცებო...

გიორგიმ მართლა შეუთვალა დაღუბთ — გამოუშვით მამაივი ჩორლაო.

დაღუბმა ვაცივრებს გიორგის ნათქვამი:

— ჩორლას როგორ გამოვეუშვებთ, სამი ათასი ჩიხვი გამოვეისაღმა წუთისოფელს, ამდენივე შენი მოვევილა, სამაღ-სამი ერსკანლა დავიჩინა, ისინიც სუ ყველა კოჭლახებო... აი, ის რემა ვაგეიმრთელე, ჩვენი ჩიხვები ფეხზე დავევიყენე და თქვენს ჩორლას ახლავე ვაგანთავისუფლებოთ...

გიორგიმ თავისი ვაიტანა, ძალით გამოიხსნა ჩორლა, მაგრამ დაღუბი ავხორც მონადირეს მარჯვენა მხარს დაუჩქაჭვავენ, რათა ვეღარ მიიბჩინოს თოფის კონდახი, ვეღარ დაეტყვარინოს თავისი კუთხვა...

— ჩორლაო, სამბალო ჩორლაო, როგორა გრძნობ თავსა? — ჰკითხავს გზად უფალი გიორგი მონადირეს.

— კარგადა, წმინდაო გიორგი, აბა მხარი რომ?

დამინჯიქებს, ეგ რა დიდი რამეა, როცა ჩემს გადარჩენას ველარავინ იფიქრებდა?

— მან ნუ იღარღებ, ჩორლაო, მე ახლა სამ ჯიხვს ავკიდებ. თუ მოერევი და იმ გორამდე ახლავ, მაშინ მსარი გაგიმართლებდა...

წმინდა გიორგიმ აკიდა ჩორლას სამი ჯიხვი: — მე წინ გაიძლევა, შენ უკან მომყევი და კენება არ გამოგონო, იმ გორამდე, ვიცი, გეყოფა მოთმინება...

ჩორლას უჯირდა, აუ, როგორ დაიღალა ჩორლა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, თვალს უწყავდა. წინ ველარაფერს ხედავდა დაქრილია მონადირე, გუმანით მიივლევდა გზას, წმინდა გიორგის ნაფეხურებს მიჰყვებოდა ანდუთა...

ცოცხალ და აღმართი უკან დარჩა. გამარჯვების ღიმილი გაუერთა სახეზე მეთხვიარს.

მაგრამ წერ აღრეა სიხარული. გიორგი ეუბნება მონადირეს.

— აი, ხეეს ვადაღმა ზეკრას ხომ ხედავ, იქამდე უნდა ათირო ტვირთი. პოდა, მაშინ გააციონებ, ზემო ჩორლაო...

ჩორლა ითმენს, ბანცალა-ბანცალით მიჰყვება წმინდა გიორგის.

ზეკრამდე რომ ავიდნენ, გიორგი კვლავ ეუბნება მონადირეს:

— ღამისსათევამდე მივიდეთ და მერე გოცინებ, ზემო ჩორლაო...

„ღამისსათევამდე... ღამისსათევამდე...“ — ფიქრობს თავისთვის დაძაბუნებული ჩორლა — „მაინც სად არის ეს ოხერი ღამისსათევი ჯებაი?“ — ველარ გაუხსენებია მონადირეთა თავშესაფარი, ზარე ასკერ რომ გაუთეგია იმ ლოდვევს ღამე.

— სხეა რა გზაა, წმინდაო გიორგი, უნდა გავუძლო როგორმე, ან მოკვდე, ან გავუძლო...

ნახიგი არ შეუნელებია ჩორლას. ერთხელ არ დაუკენესია, სახეზე არ მოტუქეს ხელი ბუზების მოსავერიებლად, მუხლმორთბმის, დასვენების მკეთუნებული ფიქრი არ გააკარებია გონებაში. წმინდა გიორგის კვალს მიჰყვება ჩორლა, ვეკაცურად მიჰყვება...

უცხად რაღაც ზმარტი მოისმის ხეობიდან, უცნაური ჩიჩქოლ-შრიალი.

— ჩორლაო, უკან მიიხედ, ამა ერთი რას დინახავენ შენი თვალები... — უთხრა მონადირეს წინ წასულმა გიორგიმ — ნახე რა წარღვა მოგველინე ი თვექარიან დაღებსა, შენს მოსატაცებლად რომ მოიჩქაროდნენ...

ჩორლამ დაინახა, — უკან გამოდევნებული ღმერთალები მეწყერ-ნიღვარში იხრჩობოდნენ.

— ხომ გსმენია, ჩემო ჩორლაო, სანთელ-საყვეელი თავის გზას არ დავარჯავსო. შენ ჩემთვის ბევრი გიმსახურია, სხვა რომ არა ვთქვა, თორმეტი ცხენის საპალნე მხოლოდ სანთელ-

საყვეელი დაგინთია. იმ სიყვარულსა და პატრიისცემის ხომ არ დაეოიწყებდი, გვირგვინის ეამს მარტოს ხომ არ მიგატოვებდი, იმ ყველგან არაფერი — ამიერიდან წანადირევი მუღამ გეშოვნება, ჩიხვერი ველარსად წავივლენ, წერალი არჩევი — გარეული თხა თავხესაყრელად გეკენება... სიყვდილი კი მაშინ გესტუმრება, როცა თავად მოისურვებ... ღვთის სიყვარული და თავანისცემა არაგის დაქარგვია, ჩემო ჩორლაო... — დაამთავრა თხრობა თერთმე მოხუცმა, ერთხანს თვალმიღებული რაღაცაზე ჩაფიქრდა, მერე განავრო:

სალომე უანჩელის მიერ განსახიერებულ მხატვრულ სახეებს თუ ვაჩიხებთ, ადვილად შევნიშნავთ, რომ მათ შორის თანაბრადაა ე. წ. გვირი ქალებიცა და სახასიათო სახეებიც: ერნია შეროვა (ა. ბრუსტერის „ციხეფერი და ვარდისფერი“), კვანა (გოლდონის „ქორიანა ქალები“), კეი (პრისტლის „დრო და კონვეის ოჯახი“), — ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში შემდეგ მარჯანიშვილის, სოხუმისა და რუსთაველის თეატრებში: დორა (გოლდონის „სახატარალო აღიშინა“), ნინა (დერმონტოვის „მასკარადი“), ცაბუ (მ. დადიანის „ნაერწყლიდან“), იულია ტუგინა (ოსტროვსკის „უკანასკნელი მსხვერპლი“), ეკატერინე ჰეპკვაძე (მ. მრეველიშვილის „ბარათაშვილი“), ესმა (ვ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“), შირინ (ნაზიმ ჰაქიმოვის „ღრვენიდა სიყვარულზე“), ელია (ა. არ-

ბუშვილის „არკუტსკის ისტორია“), ტატიანა (გორკის „მდებარეობა“), ნირანდოლინა (გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“), დანი (რ. ნევის „წვიმის გამოდევლო“), ზერნარდა ალბა (ლორკას „ზერნარდა ალბას სახლი“), სახასიათო როლებში“), ანტონეტა (გოლდონის „ქორიანა ქალები“), კორინკინა (ოსტროვსკის „უღანაშაული დამანაშავენი“), მიაა წენთელი (ვ. კანდელიას „მიაა წენთელი“), თაქო (ნ. აზიანის „დღეგრძობა“), ივლიტე ბოსტოლიანაშვილი (ვ. ბუაჩიძის „ახალი სიყვარული“), ნუცა (მ. ელიაშვილის „ბებერი მეზურნეები“), შვეტუნაშვილი (ვ. ნახუციანიშვილის „კინკრაქი“), ქ. ნი იანი (პრისტლის „სტრუანელი კეთილი აღმართი“), ხანუმა (ა. ცაგარდის „ხანუმა“), მარია (ვ. როსტოვის „ვახშობის წინ“), ნესტანი (თ. კილიანის „წითელი დედა სტუმარი“) და სხვ.

როლებს ამგვარი ნუსხა მხაზობის მრავალმხრივობის მაუწყებელია, იმის მაუწყებელია, რომ მას აქვს გვირი ქალების აუცილებელი დრამატული და სახასიათო მხატვრული სახეებისთვის აუცილებელი მახვილი თვალი და იუმორი. მართლაც, სალომე უანჩელის მშვენიერი გარეგნობა, სასიამოვნო ხმა და იშვიათი ქალური მოზიზღელობა სრულიად სამართლიანად მიაკუთრებდა მას იმ გვირი ქალთა რიგებს, ზემოთ რომ დაგახსნელეთ. ვისაც უნახავს მისი ესმა, ამაში ეჭვი არ შეგებარება, ეს იყო, მართლაც, ქალური მოზიზღელობის ზეიმი სცენაზე, სიცოცხლის მშვენიერების უაღრესი ძალით შეგრძნების ზეიმი.

იმიც უნდა ითქვას, რომ კარგად განსახიერებულ ყველა დრამატულ როლში, სახასიათო ელემენტო მუდამ აქვს სალომე უანჩელს. სა-

ხასიათო როლის განსახიერება მისთვის არ ნაშანავს მვეთო გარეგნულ სახეცვლილებას. ის საერთოდ არ იცვლის სახეს სცენაზე, არ ცდილობს იყოს შეუცნობელი. მაგრამ მისი ქმნილებანი ერთი სახის ქალები მაინც არ არიან. მათ ფოტოსურათებს თუ გადავხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ქალები სალომე უანჩელის გარეგნობის თავისებური ვარიანტებია.

ხასიათის შექმნა მისთვის, უმთავრესად, შინაგანი პროცესია — საკუთარ თვისებათა იმგვარი გადაადგილება, იმგვარი კომბინაცია, ისეთი თვისებების წინ წაშორება, რომელიც მსახიობის პიროვნებას ახალ ანსებად წარმოგვიადგენს. მართლაც, ვის შეუძლია თქვას, რომ სალომე უანჩელის ესმა, შირინი, თალო, ივლიტე, ხანუზა და ბერნარდა ალბა ერთნაირები არიან ან გვანან ერთმანეთს.

ეს კიდევ იმიტომაც ხდება, რომ სალომე უანჩელი თავისი გმირის ხასიათს სხვა გმირებთან ურთიერთკავშირში ავლენს, უთუოდ სახიერად, თუ მოხერხება წარმოსახულის გათავისება, შემდეგ მისთვის ადვილია გმირისეულად აზროვნება სცენაზე, ყველა მოვლენაზე იმგვარი რეაქცია ამ გმირისთვის რომ ბუნებრივია, მისი ტემპერამენტის, გემოვნების და ცხოვრებისეული თვალსაზრისის შესატყვისი. თუ ეს ასეა, თუ სცენაზე მომხდარ ნებისმიერ, დიდსა თუ მცირე მოვლენაზე, გმირი რეაგირებას ახდენს მისი აღმანიერი ბუნების შესატყვისად (და არა მსახიობ სალომე უანჩელის ბუნების შესატყვისად), შეიძლება ჩაითვალოს, რომ გარდასახვის აქტს შედეგა.

ეს არაა ადვილი და მუდამ არც ბერხდება. მიუხედავად ამისა, სალომე უანჩელისთვის სკამარისი მანც არ არის. მისთვის არ არის საკმარისი იყოს საერთოდ ბუნებრივი სცენაზე — მისთვის აუცილებელია იყოს ბუნებრივი კონკრეტული ავტორის ნაწარმოებში. ხელუფანი ავტორი კი უთუოდ თავისებურია, განუშეორებელი. ერთია ბუნებრიობა გ. წერეთლის ნაწარმოებში, სულ სხვა — ოსტროვსკის, არბუზოვის, ლორკას და სხვა ავტორთა ქმნილებებში. მით უფრო, რომ თეატრში ავტორის თავისებურებას სპექტაკლის რეჟისორული გადაწყვეტის თავისებურებაც ემატება. ასეთი განსხვავებული სცენური გადაწყვეტის მრავალ წარმოდგენაში უთმავია სალომე უანჩელს დიდას და პატარა სცენაზე, ფარდით, უფარდოდ, სპორტული რემორტაჟის სახით დადგმულ სპექტაკლში („ახალი სიუჟარულია“), წარმოდგენაში, რომლის მოქმედი პირები მასურებელთა დარბაზიდან ამოდიოდნენ; წარმოდგენაში, სადაც ლექსები და მოთხრობები იყო დადგმული („პოეზიის საღამო“); სპექტაკლში, სადაც გმირის მოქმედებას ქორო ახლდა („არქუტსკის ინტორია“) და ა. შ.

თუ შინაგანი არსებობის სიმაღლედ მივჩენ-

ბულია, სცენური პირობის ყველა სახეობა ახლობელია სალომე უანჩელისთვის. მის არ უცუთუნებს მსახიობთა იმ ქვეყნს, რომლისთვისაც აუცილებელია და ახლობელი მხოლოდ იმგვარი სცენური სიმაღლედ, რომელიც ძალიან გავს ცხოვრებისეულს. მას ურთულესია სცენური პირობა შეუძლია გაითავისოს.

სალომე უანჩელის მხატვრულად ხარისხივან ყველა ნაწარმოებში ერთი რამ შეიშინევა: პერსონაჟში გამოკვეთილია არა ერთი რომელიმე წამყვანი თვისება, არამედ ორი და თანაც ერთმანეთის საპირისპირო. ესმაში — დიდი შორეულია და დაუკლებელი ქალებობა; შირინში — დიდი სიუჟარული და მოვალეობის მძაფრი შეგრძნება, კორინთიანაში — ქუთა და ურთიანობა, ივლიტეში — მოცხვობა და გამხედობა; თალოში — უსაქმურის ნებეობა და ვადარჩენის თითქმას ცხოველური სურვილი; ბერნარდაში — ძალა და უსუსობა. ამგვარი თვისებების თანაარსებობა კონფლიქტურია, ხადებს შინაგან კვიღებს. რის გამოც გმირის სცენური სიცოცხლე აქტიორია, ქმედიოი, დინამიკური.

პერსონაჟის სცენური სიცოცხლის დინამიკაში წარმოდგენა იმდენად ბუნებრივია სალომე უანჩელისათვის, რომ როლზე მუშაობასაც ასე იწყებს. რასაკეარველია, ყველა როლზე მსახიობი ერთნაირად ვერ დაიწყებს მუშაობას, ცალკეულ შემთხვევაში ამას ბევრი რამ განაპირობებს, მაგრამ ყოველ მსახიობს მაინც აქვს საკუთარი „სამწარედლო“: ზოგისათვის აუცილებელია მომავალი გმირის გარეგნობა წარმოიხაზოს, ზოგისათვის — „გაიგონოს“ როგორ ღამარაკობს მისი გმირი, რადგან ყველაზე უკეთ პიროვნებას მეტყველებაში ამოიცნობს. სალომე უანჩელისათვის უმთავრესია დაინახოს როგორ და დღის მისი გმირი. ჩანს, სიარული, ნაბიჯი, მისი რიტმი ავლენს მსახიობისათვის აღმანიის ხასიათს. მართლაც, თუ გავიხსენებთ სალომე უანჩელის თუნდაც ბოლო წლებში განსახიერებულ გმირებს (ივლიტე, თალო, ხანუზა, ბერნარდა), ადვილად დავრწმუნდებით, რომ ყოველი მათგანი თავისებურად დადის. ეს თავისებურება — ივლიტეს გაუხედავი ნაბიჯი, თალოს გაპარკული მიხრა-მოხრა, ხანუზას ფართოშით და ბერნარდას ჩიქური სიარული — გმირის ხასიათთანაა დაკავშირებული, მას ავლენს, მას ემსახურება.

გმირის სიარული დიდმნიშვნელოვნება იმის მასურებელია, რომ მსახიობი თავისი ნაწარმოების ფორმას დინამიკაში, თუ შეიძლება ასე ითქვას — დინამიკურ პლასტიკაში ხედავს. ასეთი ხედვა წმინდა აქტიორული ხედვაა, რადგან მსახიობის მხატვრული ნაწარმოება ცალკეა, მოქმედე ხება, მისი ფორმაც ქმედიოი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში ისეთ მსახიობთან გვაქვს საქმე, რომელიც გმირის პირობაზე განსაკუთრებ-

ზულ მნიშვნელობას არ ანიჭებს, ამიტომ არც იცულის მას, მაგრამ ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გვირის სიარულს, ესე იგი ეძებს დინამიკურ ნახატს. ბუნებრივია, რომ ასეთი მსახიობისათვის შეტად მნიშვნელოვანია გვირის საშოხელი — ის, რაც თავისებურად შეუდამ განაპირობებს სიარულს, მისრა-მისრას, პლასტიკას. სწორედ ამიტომაც ახეთი ყურადღებით, ასე დაბეჭითებით რომ სრუნავს ხოლმე სალომე უანჩელი ყოველი თავისი გვირის შემოსილობაზე, ეს სრუნვა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში (როდესაც დამოკიდებულებით) განსხვავებულია ხოლმე თავისი მიზნით, მაგრამ მსახიობისათვის ერთნაირად აუცილებელია. სალომე უანჩელისთვის გვირის შემოსილობის ყველა დეტალია მნიშვნელოვანი — ფეხსაცმელიც, მოსასხამიც, ქაშირიც, ხელსახოციც, ქოხიც — ყველაფერი, რაც მის გვირს სცენური სიციცხლის რომელსავე წუთში შეიძლება დასჭირდეს. მისთვის წვრილმანი საერთოდ არ არსებობს სცენაზე. ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს — თაღის წითელ თავსაკრავს, ნეტანის ქაქათა თბილ მოსასხამს, ვალიას ბავშვების სათამაშოდ, ბერნარდსა ქოხს. დეტალი ყველა გამოსახველ შესაძლებლობას ბოლომდე ამოწურავს ხოლმე, გემოს ჩაატანს, ეს დეტალი ზოგჯერ მეტისმეტად თვალსაჩინოა, გროტესკამდე აუვანელი, თოქშიის პლუკატური (თაღის წითელი თავსაკრავი, რომელიც თავადის ქოხის ელვისებური „გარეგულყოფილების“ მარყუებელია), ზოგჯერ კი შეიძლება შეუმჩნეველიც დარჩეს მაყურებლისათვის (ქ-ნი იანი ბრეტატის „სიწვანელ კეთილ ადამიანში“, რომელსაც ფეხსაცმელი მხარშეცვლით აცვია, რის გამოც სიარული ვახოტურად არამყარი აქვს). ზოგჯერ ხასიათის შემაღერადებელი დეტალი სიტყვიერია, მეტყველებით.

სალომე უანჩელი კარგად მეტყველი მსახიობია. მხატვრული სიტყვის, პოეზიისადმი განსაკუთრებული ინტერესი სალომე უანჩელმა პირველ უვლითა საკუთარი სახლი შეისახლბორცა. მისი მამა — ცნობილი იურისტი და ფელეტონისტი სანდრო უანჩელი — ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მოტრფიალე იყო. მის ოჯახში თავს იყრიდნენ გამოჩენილი მოღვაწეები. კახთხლოდნენ ახალ ნაწარმოებებს, კამოხოდნენ ხელოვნების საკითხებზე. სწორედ აქ, სანდრო უანჩელისა და ელენე შენგელაის ოჯახში წაიკითხა ბალმონტმა პირველად „უფხვისტუარისის“ თავისი თარგმანის ფრაგმენტები. აქვე თავს იყრია ახალგაზრდობაც.

სტუმართმოყვარეობის, ხელოვნებით დანტერესებულობის ადამიანების თავშეყრის, კამათის ატმოსფერო ახლაც სუფევს სალომე უანჩელის ოჯახში. ახლაც ყველა თაობის ადამიანს მიესვლება იქ, თუკი ხელოვნებითაა დაინტერესებული. დიანახლისმა სტუმრის მიღება იცის შესა-

ნიშნავი, სუფრის გაშლა ძალიან ღამაში, კერძის მართმევა, მომზადება, საუბარი ტკბილი. მაგრამ თუ სადმე წიგნს შეინიშნავთ გადისწილის, უფრო ზწირად ეს ლექსების კრებულაა — პოეზია, პოეტური სიტყვა უყვარს განსაკუთრებით, ეს თავიდანვე ასე იყო. ინტიტუტადან მოყოლებული გატაცებით კახთხლომს რუსთაველს, ბესიკს, ვრიშაშვილს, საიათნოვას, სიმონ ზქიოვანს, ტკიან ტაბიქს, ხალხურ ეთერისან. ამ უყანახუნების მოსწენის შემდეგ მართთა მას ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა გაორგი ლენინამ თავისი წიგნი მსახიობისათვის უძვირფასესი წარწერით — „ქართული სიტყვის ნამდვილ გამოთქმელს“.

სალომე უანჩელი იმიტომ გამოთქვამს სიტყვას კარგად, რომ კარგად ერკვევა მასში, შეიგრძნობს მის მშვენიერებას, შეუქრდილებს, ფორმას. მისთვის არ არის საქმარისი როლის ტექსტის შინაარსის ამოკითხვა, სიტყვის დაბადების მხოლოდ ფსიქოლოგიური მიზეზების მიკვლევა. მოთხოვნისადაა აქვს ქვეული სიტყვის მშვენიერების, მისი თავისებური მანგის აღდრება. მას უნდა, რომ სცენური სიტყვა იყოს არა მხოლოდ გასაგები, არამედ მოსამსენად სასაიმოვნო.

როდესაც მუშაობის დროს, რა თქმა უნდა, ამოხსნის ხოლმე სათქმელი სიტყვის მიზეზს, მიზანს — რისთვის წარმოთქვამს გვირის ამ სიტყვას? როგორია წინადადების მისული სტრუქტურა? რამ განაპირობა იგი? როგორ აპირებს ამ სიტყვით პარტნიორზე უგადელონის მოხედნას? განსაკუთრებულ სიამოვნებას გვირის ინტონაციური ფერადების მიღება და გამოყენება. ინტონაციური ფერადოვნება სალომე უანჩელის ყველა როლში შეიძლება აღმოვაჩინოთ. სანიშნოდ ერთ მომენტს გავიხსენებთ თ. კილიას „მოულოდნელი სტუმარიდან“ ნეტანის — სალომე უანჩელი ტელეფონით ესაუბრება მეგობარს, გულწრფელად უზიარებს თავის დიდ წუხილს მის გამო, რომ ოჯახში ყველაფერი აერია და უტე ნამცხვრის რეცეპტზე გადადის. შინაგანი ვიადართვის ეს ელვისებურობა გვირის ხასიათის დასურათების ერთი საშუალებაა ავტორისათვის, მაგრამ სცენაზე ის ვერ გამოიკვეთებოდა მაყურებლისათვის თვალსაჩინოდ, მსახიობის სიტყვის ინტონაციური ფერადოვნება რომ ასეთივე კონკრეტული და ელვისებური არ იყოს თავის ცვალებადობაში. ვისაც უნახავს სალომე უანჩელი ამ როლში, არ შეიძლება არ ახსოვდეს ეს მომენტი, იმდენად შეხამჩნევია იგი. დაბაზიცი, საპასუხოდ, უსათუოდ რეაგირებს ახდენს ხოლმე გულღია სიცილით — მან ამოიცნო პერსონაჟის დამახასიათებელი ერთი შტრიხი.

დეტალი იმდენად ფაქიზია, რომ განხორციელების ოსტატობას მოითხოვს უთუოდ. სალომე უანჩელი დღეს უკვე ოსტატია თავისი საქ-

მისა. სასცენო მოღვაწეობის სამი ათეული წელი საკმაო დროა დაოსტატებისათვის. მაგრამ საკმაო იმისთვის, ვინც სერიოზულად ეკადრება საკუთარ საქმეს, ცდილობს ამოსხნას ყველა საიდუმლო, რათა იცოდეს როგორ გადალახოს წინააღმდეგობანი, რომელთაც დასასრული არა აქვთ ხელოვნებაში.

უფრო ხშირად, ოსტატობის საფუძველი გამოცდილებაა. საღიმიე ყანჩელის შემოქმედებაში, ჩვენი ფიქრით, ოსტატობის საფუძველი თეატრისადმი ფანატურის სიყვარულია. შეიძლება ითქვას, რომ საღიმიე ყანჩელს ყველაფერზე მეტად ცხოვრებაში თეატრი უყვარს, თავისი საქმე. ესაა უდიდესი პატივსიყვარული გასჭვადული სიყვარული. მას უყვარს თეატრი, მისი დღენასწავლი, ყოველდღიური მისი ცხოვრება, სცენა, კულისები, საკაშულო, სამკრო... ყველაფერი.

საღიმიე ყანჩელისათვის რავით სპექტაკლში, პატარა როლში გამოსვლაც კი იმდენად მნიშვნელოვანია, იმდენად პასუხსაგები მოვალეობაა, რომ შინაგანად ამისათვის უკვე წინა დღით ემზადება. სპექტაკლის დღს, თუკი ეს შესაძლებელია, მთლიანად ვადარბოვლია იმ გზაზე, სადაღოს რომ უნდა ვაწახსიეროს. თუ რაიმე მიზეზით ეს არ ზერბდება, ძალიან ნერვიულობს.

დღეში ორჯერ რომ მოუწიოს თეატრში მისვლა, ორივეჯერ მიღის შინაგანად აღფრეხებული, თეატრში შესვლა არასოდეს არ არის მისთვის არაღაც ზეუღებრივი. ასე მიღის წარმოდგენაზე, ასე მიღის რეპეტაციაზე.

როგორც ცნობილია, როლზე მუშაობის უმთავრესი სახეობა რეპეტაციაა, ვინაიდან აქ სცენის კოლექტიური მხატვრული ნაწარმოები კოლექტიურად მზადდება. რეპეტაცია ან ძიება, ან მოპოვებულნი შემოქმედება და ფიქსირება. მაგრამ იმისთვის, რომ რაიმე მოსინჯო ან შეამოწმო, რეპეტაციაზე უნდა გქონდეს იგი მოფიქრებული. რეპეტაციაზე მსახიობი მუშაობს.


შრომის უნარიც თავისებური ტალანტია, განაკუთრებით აუცილებელი კოლექტიური შემოქმედების მოწაწილესათვის. ჭკუფური წინსვლისთვის საჭირო მწუხრი ნაბიჯით სვლა შემოქმედებაში მწილია. ამიტომაც ნერვიულობა რეპეტაციაზე ბუნებრივი მოვლენაა. ოღონდ უნდა შეგეძლოს თავის შეკავება, ნებისყოფის მოხილვისება, რომ სხვას არ შეუშალო ხელი მუშაობაში.

საღიმიე ყანჩელმა იცის მუშაობა, ესმის რას ნიშნავს როლზე მუშაობა, რის გარეშეც შეუძლებელია მხატვრული სახის შექმნა. მან გააიარა სცენის ხელოვნების ისეთი სკოლა, რომლის ქვაკუთხედიც სპექტაკლის მხატვრული მთლიანობის შექმნაა. სამუდამოდ აქვს შეისხმულბორცვული კემშარბება, რომ ყველა რელი ნაწილია მხოლოდ სპექტაკლის, ამიტომ სარეპეტაციო პროცესიც ანსამბლური უნდა იყოს.

ამ რწმენას აწიარა საღიმიე ყანჩელი და მისი თაობის სხვა მსახიობები მამანქმედსრდელმა პედაგოგმა გიორგი ტოვტანოვიძემ. რესპუბლიკის თეატრშიც იგი სწორედ მაშინ მოვიდა, როდესაც ამ თაობამ შემოქმედებთადა თანამოაზრე კოლექტივის სპექტაკლებისათვის დაიწყო ბრძოლა. ანსამბლური სპექტაკლებისათვის დრმად ფსიქოლოგიური ცხოვრებისეული სმმართლის სცენაზე ერთობლივი გამოტანისთვის. ისიც იბრძოდა მთელი სეგნებით. ახლაც იბრძვის.

რეპეტაცია საშუაო პროცესია. ზოგჯერ აბამე, დამღელი, დამქანცველი შრომის პროცესი. საღიმიე ყანჩელი მთელი ძალით, დაუზოგავად მუშაობს ხოლმე. მიუხედავად ამისა, მოდის რეპეტაციაზე, როგორც დღესასწაულზე. მუდამ წინრივში, მუდამ კობტად გამოწვიბილი, საუკეთესო ტანსაცმლით, ახლად ვაუთობული კაბით, იმ სამკაულით, რომელიც ამ კაბას უბდება. მოდის ისე, როგორც უმრავლესობა პრემიერაზე მიღის ხოლმე. მისთვის საერთოდ არ არსებობს ე. წ. ყოველდღიური და გამოსასვლელი ტანსაცმელი. მისი საშაბური თეატრია, მისი დღენასწაული—თეატრია, მისი ყოველდღიურისათვის — თეატრია. ამაზე მნიშვნელოვანია არაფერია მისთვის, ამიტომ რაც აქვს, აქ ხმარობს. ასე იყო მაშინ, ომის დროს, როდესაც ერთადერთი კაბა ჰქონდა (მაგი, თეთრი წინწყელებით, გულზე თეთრი ბაფთით), — ასეა ახლა, როდესაც არა ერთი ლამაზი კაბა აქვს. ასე იყო მაშინ, როდესაც სობუბის თეატრის მსახიობი გახვლით წარმოდგენაში მოწაწილეობდა მოუწყობული სოფლის კლუბის სცენაზე. ვიღაცის ფართო აფრანზე, ვაშლილ მინდორში, სადაც არ იყო ფარდა, არ იყო ელანთურა და ლამფის ალი წელში წუდებოდა მინდვრის სოსაგან... ასეა ახლა, როდესაც ის საშუაოდ არსთათელების თეატრის სარკეებიან, ოქროთი მოვარაყვებულ სარეპეტაციო დარბაზში მიდის.

სპექტაკლის მხატვრული მთლიანობა, მასი დაცვის აუცილებლობა—ყველაზე მთავარია საღიმიე ყანჩელისათვის. ამიტომ უყვარს პარტნიორი სცენაზე, შეფარმნობს მის აუცილებლობას. დიდად არის დამოყიდებული მასზე, ცუდ პარტნიორთან თამაში უქირს. თითონ კარგი პარტნიორია — იცის ამზანავი-მსახიობის პატივისცემა სცენაზე. არ ყოფილა შემთხვევა, რომ საღიმიე ყანჩელს ზედმეტად წინ წამოეწიოს თან. ვინა რთლი წარმოდგენაში, ან განკუთხილზე მებო სცენური დრო დაერემებისონს (მოწილოთ. გი ან დიალოგი გაუხანგრძლივებინოს). მან იცის რა ფასი აქვს ყოველ წამს სცენაზე და პირადა წარმატების პატემოყვარულმა სურვილმა პირადა შეიძლება დაზიანოს სპექტაკლის ქსოვილი, ეპროფის ან მთლიანად წარმოდგენის დედაზარი. საღიმიე ყანჩელისთვის საერთოდ დამახასიათებელია იშვიათი ტაქ-



ტი და თავშეკავების განსაკუთრებული უნარი. სალომე ყანჩელის პიროვნებას ეს თავისებურება აირყვება მის შემოქმედებაში და ელინდება თვისებაში, რომელსაც მხატვრული ტაქტის და ზომიერების იშვიათი უნარი ეწოდება. ის იმდენად პატოს სცემს სცენაზე თავისი არსებობის ყველა წუთსა და სახეობას, იმდენად ბედნიერია ამ წუთებში, რომ ამისათვის სრულებით არ სჭირდება უთუოდ დიდი როლი, უთუოდ ხმაალაღი და ენაქტური მდგომარეობა სოლისტისა.

საქმისადმი სერიოზული, უდიდესი პასუხისმგებლობითა და პატივისცემით გამსჭვალული დამოკიდებულების შედეგია ისიც, რომ სალომე ყანჩელს შეუძლია განსახიერებელი სახის მხატვრულა სიციცხლის შენარჩუნება. კარგად ნათამაშებ როლს არ გააფუჭებს. მისი ბედოვნების უკიდურეს უარყოფილებას არ შეუძლია დასახიერლოს როლი, რომელიც სალომე ყანჩელმა კარგად ითამაშა, შემდეგ კი წახაზინა იმის გამო, რომ ასევე მკურნებულს, მის მოსაწონებლად ან შეხატვევად შედგებტი რამ ჩართო გმირის ცხოვრებაში, გადააქარბა ან, პირიქით — დაიწინა ენერჯია ძველი როლისთვის, რომელსაც მკურნებელი შემოაყვდა. ამგვარი რამ წარმოუდგენელია მისთვის.

შექმნილი ნაწარმოების მხატვრული დონის შენარჩუნება, სახის მხატვრული სიციცხლია ვახანგრძლივება მსახიობის იშვიათი და უძვირფასესი უნარია. იგი დაკავშირებულია მრავალ ისეთ თვისებასთან, რომლებიც ერთ მსახიობს იშვიათად გააჩნია ხოლმე. მხატვრული სახის სიციცხლის ხანგრძლივობას აღწევს მხოლოდ ის მსახიობი, რომელიც სექტაკლიდან სექტაკლამდე ზეწეს მოპოვებულს და მისი მხატვრული სრულყოფისავე მოსწრაფვის, ეს კი განსაკუთრებით ყურადღებას მოითხოვს მხატვრული ხაზისადმი, განსაკუთრებულ სიყვარულსა და ზრუნვას. იქნებ ამიტომ არ მოილტვოს სალომე ყანჩელი არც კონცერტანოსკენ, არც ტელევიზიანოსკენ, არც ესტრადოსკენ (თუმცა ძალიან კარგი მკითხველია), არც რადიოში გაიგონებთ მის ხმას. დრამატული თეატრი, სცენა—მისი ერთადერთი სიყვარულია.

სალომე ყანჩელი კვიციანი მსახიობია. მხატვრული სახე მუდამ ვაზრებული აქვს. ნებისმიერ

კითხვაზე გიპასუხებთ მისი გმირის წესახებ. შემთხვევითობა, გაურკვეველობა მისი ბიზნესზე შემოქმედებაში მისთვის არაა ბუნებრივი. ეს რომ ასე არ იყოს, შეუძლებელი იქნებოდა ზრუნვა ნაწარმოების დახვეწაზე, მისი ფორმის სრულყოფაზე, არც ისა ალბათ შემთხვევითი, რომ სარეჟისორი მუშაობის ეტაპებიდან (მაგალითად, ძვირფასში, სცენაზე) მომეტებულად პირველი და მესამე უწყარს — სადაც ირკვევა ყველაფერი ნაწარმოებისა და მისი გმირის შესახებ და სადაც უკვე ვარკვეული უნდა დადგინდეს. არ უყვარს სწორედ ის, ყველაზე ნალებ ვარკვეული შედეგები (ძვირფასში, სარეჟისორი დაბანაში), სადაც მაგიდასთან ამობსნალი, ჩვეულებრივ, სადაც იყარება ხოლმე და ხელახლა მოსალოცებელი.

კვიციანა იმიტომაც, რომ შეუძლია საყუთარ შესაძლებლობებში გატყვევს, კარგი და ავი გამოარჩიოს, მარცხის მიზეზიც გაცნობიეროს, წარმატებისაც, ძნელად, ალბათ, დიდს გულის ტკივილით, მაგრამ მაინც გამოუტყვევს თავის თავს, რომ რაღაც უკვე აღმატება მის რეალურ ძალებს. მაშასადამე, საქირთა უარი თქვას. ასე ვთქვაყურად გაუსწორა თვალის მსახიობი ქალბოვის ძნელად გადასლახავ ასაკობრივ ზღვრებს შემოქმედებაში. ძალდატანებით არ გაუგრძელებია უარყოფის ვადა და სექცო მდგომარეობაში თავი არ ჩაუტყენებია სცენაზე, ვატყვებით ჩიძირა ასაკოვან ქალთა სულიერ სამყაროში. იქ დაინახა უამრავი რამ შესასწავლად და სათქმელად საინტერესო. საქირბორატორ. ამის საბუთია თუნდაც სულ ახლახან განსახიერებელი ბერნარდა ალბა, მხოლოდ რეპერტუარის ერთი ურთულესი სახე. რა გამოიღვებს სინტერესოს, საქირბორატორსა და ამაღლვებელს, თუკი არ ხარ გულგრილი ცხოვრებისადმი, თუ შეგიძლია გიყვარდეს, გწოდდეს. თუ გაქვს რამე სათქმელი ცხოვრებაზე როგორც ხელოვანს. ასეთ ადამიანს შეუძლია გადაღბოს დიდი წინააღმდეგობა, შეუძლია გაუმკლავდეს სირთულეებს ცხოვრებასა და შემოქმედებაში. საინტერესო ცხოვრება არაა აველი ცხოვრება.

ბედნიერ ადამიანად მიმაჩნია სალომე ყანჩელი იმის გამო, რომ შეუძლია თავდავიწყებით უყვარდეს თავისი საქმე და რომ ამ საქმემ გაუმართლა.



იოსებ ბრინბარბი

ოლიუი. დიად გარდაქმნათა ქრონიკა

გრივალ ჩიქოვანის პროზაში ადგილმდებარეობა — უცვლელაა, დრო — ცვალებადი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი ნაწარმოებების ახალი კრებულის თვარამტი მოთხრობისა და ერთი რომანის მოქმედება საუკუნეების წიაღში ხდება ერთსა და იმავე კუთხეში. დასავლეთ საქართველოს ეს კუთხე არცთუ ისე ღივია, და მას ოდისი ჰქვია. გრივალ ჩიქოვანის სიუჟეტებში ამ ზუსტად შემორჩალებულ და, ერთი შეხედვით, ვიწრო სივრცეზე იშლება, მაგრამ აქ ეს სივრცე ვე და ეს სიძვირე არ იგრძნობა, კოლიზიები მონოტონურად არ მეორდება. ზუსტად მითითებულ ადგილ-გარემოში შეფთავენ მდღევარე ვნებები, თავს იჩენენ თავისებური და ძლიერი ხასიათები, იქმნება დაძაბული, რთული კონფლიქტები. ოდიშური მოთხრობების ავტორის მოგვარებ, მშვენიერმა ქართველმა პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა დაწერა: „ეინა სიქვა, თითქოს პატარა იყოს, ჩემი სამშობლო დიდების ღირსიო“, მერე არწივის ფრთების შრიალიც და კლდით ირმის ყვირილიც მოგვასმენინა, „უსასარულობის შემცველი მხარის“ უსაზღვრო ხილაჲ და მისი წარსულისა და თანამედროვეობის სიდიადე შეგვაგრძნობინა. პოეტის სიტყვები თითქოს ანათებენ გზას, მიმავალს ხალხის ცხოვრების წვდომისკენ.

მაგრამ ის, რაც პოეტური აზრის მოძრაობის მეოხებით „ელვისებურად“ გამოისახვის, პროზაში ფართოდ ვაჩვენებს, სხვაგვარ ზონტებს მას მოითხოვს. ჩვენ საუკუნეთა საფეხურებს ავღივართ, ლეგენდარული დროემიდან მოკიდებული მეოცე საუკუნის შუახანამდე, სხვადასხვა ეპოქის ადამიანებსა და გმირებს ვეცნობით. ზუსტი კონკრეტული-ისტორიული დახასიათებები მწერალს საშუალებას აძლევს ჩაწერდეს სიღრმისეულ სოციალურ მოვლენებს, რომ-

ლებიც საუკუნეების მანძილზე აკავშირებდა ოდიშს უზარმაზარ გარესამყაროსთან; რაღა თქმა უნდა, დამპყრობელი ამორძალებიდან მშობელი ქვეყნის დამცველი ოდიშელები დიდად განსხვავდებიან თავიანთი შორეული შთამომავლებისგან — დიდი სამაშულო ომის მონაწილე ოდიშელებისგან. ყმა-გლეხები, რომლებიც უცხოეთში მონად გაუიღვისგან თავდასახსნელად ტყუებსა და ქაობებში ვარბოდნენ, სულაც არ ჰგანან თავიანთ არცთუ შორეულ შთამომავალთ — დღევანდელ კოლმეურნებს. და მაინც, თვალსაჩინოა ის ძაფები, რაც წინარე და მომდევნო თაობებს ერთმანეთთან აკავშირებს, ხედავ, თუ როგორ გროვდება სახალხო გამოცდილება, ერთმანეთისგან თითქოს მთლად დამოუკიდებელი სიუჟეტები — მომარაგი, განვითარებადი მთლიანობის რგოლები ქმნიან როგორც მოტივების წრით, ასევე მხატვრულ გააწვევებათ არსით შენაგანად თანმიმდევრულ წიგნს.

მოთხრობა „ამორძალს“ ვადევნებართ მრავალი ასეული წლის წინანდელ ლეგენდარულ წარსულში. ამორძალთა მეზობელი ურდო დღევანდამდგ იბრძვის, თავს ესხმის და არბევს მეზობელ ქვეყნებს. და ამ მარბევარი ურდოს წინააღმდეგ ამხედრებულა ახლა ოდიშართა და სვანთა, აფხაზთა და რაჭველთა მხედრობანი. ხალხი იცავს თავის მშობლიურ მიწა-წყალს, მშვიდობიან სოფლებს, სათიბ-საძოვრებს, საქონელს. ერთი სიტყვით, დამარბეველი უხუფუფლობის პირისპირ ქვეყნად სიცოცხლის დამკვიდრების წუშრტილი დამდგარა. ურდო განადგურებულა და ახლა უკვე იწყება მეორე ორთაბრძოლა, ამორძალ ელასა და ოდიშელი მეომრთა გიორგის ორთაბრძოლა. თავიდან ელას ვერ გაუგია რას უნდა ნიშნავდეს გიორგის სიტყ-

ვები: „ადამიანი სიყვარულისთვის ცოცხლობს... ადამიანი სიკეთისთვის ცოცხლობს... მიწა დიდაა, ადგილი ყველას ყოფნის...“

თითქოს ძველი თქმულებებიდან გადმოსულ სახეებში მწერალი ხორცს ასხამს თავის შეხედულებებს სიკეთესა და ბირობებისაზე. იდეალების კუმირობებსა იგი ხალხის შეხსიერებაში დარჩენილი რეალური ისტორიული ფაქტებით ამოწმებს. გრიგოლ ჩიქოვანის თანამემამულენი და წინაპრები იტანჯებოდნენ ვარდუე მტრების შემოტევების გამო და „თავისიანების“ — ადგილობრივი სასტიკი ბატონების ხელითაც. თურქების შემოსევებისა და მებატონეთა სასასტიკისა და უღმობილობის ფონზე მოქმედებენ ვრიგოლ ჩიქოვანის ბევრი მოთხრობის გმირები, გლეხის ასულები და ვალები. მაგრამ ამ თითქოს და ჩანებულბულ, წყვარამ სინამდვილესაც ვლინდება ნათელი და თვითმყოფადი ხასიათები. გრ. ჩიქოვანი მათ ტრადიციულ-რომანტიკული მეთოდით ქმნის.

მოთხრობა „ქაობის“ გმირებს — შვენიერ ეკასა და მწუწმს ჭებებს, სოფლის თვალს, ისე თავდავიწყებოთ, ისე ვნებიანად უყვართ ერთმანეთი, რომ მათი ბატონის — მურზაყან აწინიხისა რისხვა და მუქარა და თვით სიკვდილიც კი არ აწინებოთ. ისინი სიკვდილს არჩევენ, ოღონდ ერთმანეთს არ დაცილდნენ, ოღონდ მონებად არ გაიუიღონ. შევნიშნავთ, რომ მათი სიცოცხლის გამაჰმარებელი — მურზაყანი უპარაკო ვინმე რიღია. ადრე იგი თვითონვე სცემდა თავზარს თურქებს, მუსხრს ავლებდა მომხდურებს. მაგრამ ტყვედ ჩავარდა, თურქებისგან დისაჭურისებულთა ვაჯდა და ახლა თავდად ჰყიდის თურქეთში ოდნეულ ქალ-ვაჟებს. მწერლის თვალში ეს ყოფილი მემორი არა-არაობაა და სანუალობელი იმითთან შედარებით, ვისაც ტახტუთრებია, — ამათ, უფუფლებოთ, სიყვარული ძალღუჭთ და ამით არიან უძლიერენი. უფლის უფალთა უძლიერება და უფუფლებოთა სულიერი ძლიერება — გრ. ჩიქოვანის წიგნის მნიშვნელოვანი ლეიტმოტივია. მოთხრობაში „ტყაში-მთაჲ“ მზეთუნახავი ნათი მწარედ შეცდება თავის გულის რჩეულში. ვარდუენულად რომანტიკული ეს ვაუბატონი სინამდვილში ერთი ვარდუარი, ყნებთა მოვაჭრე აღმოჩნდა — იგი თურქებს სტაციებს შესუიადულ ოდნეულ ქალ-ვაჟებს, რათა თვითონვე უფრო სარფაანად გაიუიღოს ისინი „დემონური“ გმირი ზელმარჩვე მტაცებელი გამოვდა.

გრიგოლ ჩიქოვანს ერთ პოლუსზე მოქცეული აქვს ანგარება, ეგოიზმი, „დემონიზმი“, თუნდაც შენიღბული, ხოლო მეორე პოლუსზე — თავგანწირვა, კეთილშობილება. მოთხრობა „შურისგებაში“ იმერლები ებრძვიან ენერგიულ ისკანდერ-ალის, რომელიც მათი ქვეყნის დაბურთის ცდილობს. ისეთი ვარდუობა იქმნება, რომ ხაშველი ვერ მოინახება, თუ ჰაბუყ ვაძე-

ხის დედა ნებაყოფლობით არ ვანწირავს თავს და იგი ასეც იქცევა — სახეგანაადრულდ ნუჯის სახარობელაზე. მაგრამ ხალხში დასუქდურქე ბელმა, ვამარცვულმა ხალხმა, რომელსაც „ხელებისა და გულის მეტი აღარაფერი დარჩენოდა“, ასეთი სიკვდილი რომ ნახა, იარალი იღო და მტრის მამაყურად შეება. მოთხრობის ფინალური სტრიქონები ლექსივით ეღერს:

„წარუძებ შენს ხალხს!“
დაწინაურდნენ მედროშენი.
უძებ დაიძრა ლაშქარი. იმატა ფლოქვების დგრაიდ-თქრაილაძე.

„წარუძებ შენს ხალხს!“ — გუგუნებდა ოდნის დიდი და პატარა ზარები“.

გრ. ჩიქოვანი ცდილობს საერთო-სახალხო ცხოვრების ფონზე განიხილოს ცალკეულ ადამიანთა ხედვები. მისი გმირები პირადი ცხოვრებით შეიძლება უიღბლონი, უბედურნი იყონ, რთვორც, ვთქვათ, სინთუ, რომელიც ამაოდ ელოდა თავის გულის სწორს — ჩინთის, ან, ვთქვათ, მწუხარე ქამლეტ ზარანდია, რომელიც ეულად ებრძვის მისი ცოლის მეკვლეულ და შეიღების გამტაცებელ მტრებს, ან, კიდევ, სასოწარკვეთილი გლეხკაცი დუტუ, რომელმაც თავისი ბატონისა და მანჯველის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ არცერთი მათგანი ჰირსა და განსაცდელში თავს არ კარგავს, რჩება ადამიანად, გულმამაც, სამართლიან პიროვნებად, რადგან ხალხისგან ვანუყოფლობას ვარბნობს. ამიტომაც დალოვება ასე სიმბოლურად დამაბუღო, სადაც ყოველი რბელიკა თითქოს მახვილის დარტყმას ჰგავს. აი, საუბრობენ მებატონე პეხუ და მის საწოლ ოთახში შედწეული შურისმაძიებელი დუტუ. სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზეა შეგდებული საქმე. ერთმანეთს ეჩახება ორი მრწამსი, ორი ურთიერთგამომრიცხველი წარმოდგენა ადამიანის ბუნებაზე, მის უფლებებსა და ღირსებებზე.

„... წაიყვანეს მამის ჩემი ბურდა.
— ბურდა ჩემი უმა იყო.
— ბურდა ჩემი უფროსი ვაჟი იყო.
— ბურდა ჩემი უმა იყო, შენც ჩემი უმა ხარ.
— სამ ოყა მარილში მიჰყიდე თურქს ჩემი ბურდა.

— ბურდა ჩემი უმა იყო, შენც ჩემი უმა ხარ.
— სამ ოყა მარილში გამიყიდე შვილი...“

კაცს სამ ოყა მარილში გაუყიდეს ვაჟი, ქალიშვილი კი ერთ საცაბეში გაუცვალეს. სამ ლეკში გაუყიდეს ცოლიც. რითდა აირწყას უბედურება, რითდა ვაიწოშოს ღირსების შეღახვა? გრიგოლ ჩიქოვანი აქ იმ ლეკონიშის აღწევს, რომელიც ავრე სპირიოა მოთხრობაში (თომცა, ზოგჯერ ავტორი ვერაა ასე ლეკონური და არაუაულებელი აღწერებით ავანურებს სათქმელს). მოთხრობა „სინთუში“ ავტორი ში-

დის ურთულესი გზით, ცდილობს მოწვევებულ და სწრაფი რეაქციებით ვადმოსცეს დრამის სიმძაფრე და მისი საზოგადოებრივი აზრიც. დაბ, საღებავები აქ შევეთრია, კონტრასტულია: შავი და თეთრი, მაგრამ ეს შეესაბამება იმ მხატვრულ აზროვნებას, რომლის განასჯერ- შივ გრ. ჩიქოვანი ეძებს საყუთარ ინდივიდუა- ლობას: ჩვენს თვალწინა კონტრასტულ-სა- მბოლორი შეპირისპირება საწყისებისა, შეიშინე- ვა ხალხურ-გმირული ეპოსის ტრადიციათა ნიშ- ნები. კონტრასტი — აქ მოთხრობის საფუძვე- ლია. შავი აქ შავია, თეთრი კი — თეთრი. და დიალექტიკა აქ დარტყმაზე დარტყმით მასწ- ნია.

გრიგოლ ჩიქოვანის გმირები ყოველთვის ღებნიან გადაწყვეტი არჩევანის წინაშე. მო- თხრობაში „რავითი რიაშენცევი“ გერცენის „კოლოკოლის“ გავრცელებისათვის ჭარისკაცად გამწესებული ახალგაზრდა ოფიცერი ოდიშში მოხუცდება 1857 წლის ზაფხულში, როცა მთელი სამეგრელოს სამთავროს მოედო გლეხთა აჯან- ყუბის ცეცხლი და გენერალ-შაიორ კოლუბია- კინის ჭარები დაიძრნენ აჯანყების ჩასაქრო- ბად. ამ ერთარებაში, ორი შეურავებელი ძა- ლის — მშრომელებისა და შთაი მჩავერელების სამკედრო-სახეცხლოდ შეპირისპირების დროს, რიაშენცევმა ვადაღვა ნახიგი, რომელმაც ვანსაზღვრა მთელი მისი შემდგომი ცხოვრება. მან გაათავისუფლა შეპურობილი შეამბოხენი და აიწ თავისი ადამიანური ღირსება დაიცვა. აქ თითქოს გერცენის „კოლოკოლის“ რეკვა ოდი- შელ მემამბოხეთა უფინას ეხმარება. გენერალი კოლუბიაკინი ეხმარება სამეგრელოს დედო- ფალს, რავითი რიაშენცევი — ამბოხებულ გლეხებს...

მაგრამ ახალი დრო ოდიშელებისგან გაცი- ლებით უფრო რთულ და შორსმჭერტეტელურ გადაწყვეტილებებს ითხოვს. გრიგოლ ჩიქოვა- ნი ასახავს საბჭოთა ზღვისუფლების დაწყარე- ბას საქართველოში, ამისთვის მოთხრობიდან რომანზე გადადის და ქმნის ვრცელ, მავალ- პერსონაჟიან მხატვრულ ტილოს. რომანში „ო- ბერვალი დაგვაო“ ათობით მოქმედი პირია: გლეხები, რომლებიც წახული იყვნენ მშობ- ლიური სოფლიდან, მაგრამ ახლა უკან მობრუ- ნებულან, სოფელი ინტელიგენტობა, გაკოტ- რებული პოლიტიკანები... ზოგი ფიგურა ოდ- ნევა მოხაზული: ტენე ქმნიან ფონს, რისი მეოხებითაც უფრო ცხადად იკვეთება იმ ადა- მანათა ზედბერი, რომლებიც უფრო სავსედ გვა- ზიარებენ ისტორიული ძვრების არსთან, ზოლო

არც ოდიში დარჩენილა ამ ძვრებისგან შორს. ოდიშის პატარა სოფელი სოფლისტურში რევოლუციამ აზიარა ახლია მხატვრული და დიდ მასშტაბებს. რომლებსაც მთელი ქვეყანა უნდა გარდაეცნათ. სოფელში შორიდან ჩა- მოდიან გვარდაელები, რომლებიც შენსევი- კურმა მთავრობამ გამოგწავნა აქანუებული გლეხების დასაბრუნებად. შორიდან ჩამოდიან თავის სოფელში ვარდენიც — ბოლშევიკების პარტიის წარმომავალი. თვით სოფელშიც უკვე საქმიად არიან ადამიანები, რომლებიც დიდ გულსყურით უსწენენ ჩრდილოეთიდან, მოსკოვიდან მიღწეულ ამბებს, უნდაო ცხოვ- რის მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური ზღლისუფლების მიერ დადგენილა კანონებით. ამ ახალი იდეების მიღების წინამძღვრია საუ- კუნების მანძილზე მომწიფებული თაობების ოცნებები თავისუფლება და სამართლიან- ბაზე. ჭერ ისე ცოცხალია ბაბუა წოსიმი, რომელსაც ახსოვს, ამბოხებულმა ხალხმა როგორ არ დაჰყარა იარაღი მეფის გენერლის ბრძანე- ბაზე: მეტსრამეტე საუკუნემ მეოცეს დააკის- რა გადაუტრელი პრობლემების გადაწყვეტა. კოლექტივიზაციისა და დიდი სამაშელო ომის წლებში ოდიშის ცხოვრება გრიგოლ ჩიქოვანმა ასახა ოცდაათიანი და ორმოციანი წლების ნაწარმოებებში. ამათში ყოველთვის რიდი ხედავთ თხრობის ისეთ ოსტატობას. ავტორმა რომ ჯიან მიადწია და სამოციანი- სამოცდაათიანი წლების თავის პროზაში გამო- ავლინა. მაგრამ, მთლიანობაში, გრ. ჩიქოვანის პროზა აღქმება როგორც ერთიანი ჩანაფიქ- რით შეკრული განუყოფელი ქმნილება. და როცა მოთხრობა „დაბრუნების“ გმირი — სერგანტო გვარი მიქაქე ფრონტიდან ჩამოდიან და შემდეგ კვლავ მოქმედ არმიაში ბრუნდება. ის და მისი მეზობლები ჯვესაბებიან სოცია- ლისტური საზოგადოების მიერ აღზრდალ შთამომავლებად იმ სახალხო გმირებისა, რომ- ლებიც საუკუნეების წინათ იარაღით ხელში იბრძოდნენ დამპყრობლების წინააღმდეგ.

დაბ, ნამდვილად სიამაყის გრძნობით იგო- ნებს ჩვენი თანამედროვე ვარდენი თავის პა- პას, ამბოხებული გლეხების თავიაც. გრიგოლ ჩიქოვანმა შესწლო ერთიანი შუქით გაენათე- ბინა უწინდელი და ახლანდელი ოდიშის ცხოვ- რება, მან ვადმოსვა დროთა კეწვიარი. ისტო- რიის წედობა მის პროზაში მხატვრის შთა- გონებას შეერწყა და ამ შერწყმამ ყეთილა ნა- ყოფი გამოიღო.

დაწვიმური მსვავლეელი

მოვლენა

ივანე ჯავახიშვილი მეცნიერად იყო დაბადებული და მეცნიერებათა შორის უველაზე უნივერსალურია სტერტი — ისტორია სიკვდილიდან შეიქმნა მისი უკიდურესი ვატაყუას საგანი.

თავისი შემოქმედებითი მუშაობის სიქარმაგში იგი წერდა:

„სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა, ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც უველას ზეგარს არ წარმოადგენს და, ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაქილდობებულია ნიქით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე ვატაყუა, ის უნდა გრძობდეს, რომ ვალდებულება სამეცნიერო ვადაუხალის იმ ვრს, რომლისაგანაც ის წარმოშობილია“.¹

და რამდენადც მეცნიერების საბოლოო მიზანი ზალხის სამსახურია, ბუნებრივია, რომ სათანადო ნიქით დაქილდობულმა ადამიანმა „მეცნიერებას შესწიროს მთელი თავისი ძალღონე და ვადაუხალის სამეცნიერო იმ ქვეყანას, იმ სახელმწიფოს, რომელმაც შეუქმნა მას შესაფერო პირობები მეცნიერული მუშაობისათვის“.²

ასეთივე, თვით მისივე სიტყვებით, ივ. ჯავახიშვილის, როგორც მეცნიერის, მარწამსი.

ივ. ჯავახიშვილისათვის მეცნიერული მოღვაწეობა, მეცნიერების ორგანიზაციისათვის ზრუნვა იყო სიცოცხლის აზრი და არსი, მისი სასიცოცხლო მოწოდება და მისწრაფება. იგი

სიყრმიდანვე აიყოლია ქართული ერის ბედში და ისტორიაში და მთელი თავისი ქართველობიანი ცხოვრება, ნიქი, უნარი და შესაძლებლობანი უხადოდ და გულსრულად შესწირა ამ მიზანს, რომლის წინაშე ივ. ჯავახიშვილი ყოველთვის მტლიანი და ვაგებზარაი იღდა.

ქართული ერის სამსახურში იგი ყოველთვის მტლიც, და განუხრელი იყო, მის მიერ დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის იყო წლისთავის სასწიფო სხდომაზე, 1938 წლის 25 მაისს, იგი აცხადებდა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართული მეცნიერების განვითარებას ვერაფერი შეაყუებს. მეცდრეთით აღსდგა ის მეცნიერება და კულტურა, რომელიც მე-13 საუკუნის ზოლოდან მეცდრინებული იყო.“

ვინ წარმოადგენდა, რომ ეს შესაძლებელი იყო ასეთ ხანმოკლე პერიოდში“.

დაბ. საბჭოთა სოციალისტური საქართველოს პირობებში „მეცდრეთით აღდგა ის მეცნიერება და კულტურა“, რომლის აღორძინებასა და აყვავებას შეალია ივ. ჯავახიშვილმა მთელი თავისი ენერგია და უღიდესი შემოქმედებითი ნიქიერება.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღეებში ცნობილი ისტორიკოსი მოხე ჯანაშვილი წერდა:

„ივანე ჯავახიშვილმა იყისრა ყველაზე დიდი ტვირთი — გუთნისდღობა, თვით ქართული მძიმე სახენელი გუთნისა... ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვითო. ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ერთგულად დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის საგანდ“.

პეტრე მელიქიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის

¹ ივ. ჯავახიშვილი, ბრძოლა საქართველოს უნივერსიტეტის დაარსებისათვის (თფშ, 1 (138), 1971, გვ. 17).

² იქვე, გვ. 16.

ტიტის პირველი რექტორი, 1924 წელს აცხადებდა:

„ივ. ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ზენი უნივერსიტეტისა, აქ მას ევრაიენ შევეტოქება და შევზიარება.“

ივანე ჯავახიშვილი შეიქმნა მე-20 საუკუნის პირველი მეთხუთმეტი ქართული კულტურისა და მუღელი ცივილიზაციის ერთ-ერთი უდიდესი მოწინააღმდეგე — თბილისის უნივერსიტეტის მთავარი ფუნქციონერი და ორგანიზატორი.

ივ. ჯავახიშვილმა, თავის მიტერინციხივან თანამებრძოლებთან ერთად, წარმატებით ისარგებლა დიდი რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებით და უოველივე ვაიკეთა იმისათვის, რათა დროულად ჩაეყარა საძირკველი ქართული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ამ დიდებულ ტარისათვის.

აქ უპირაინა მოვიხსენიოთ ადამიანები, რომლებიც გვერდით ედგნენ მას ამ დიდ ბრძოლაში (დიხ, ამ ებოებს ივანე ჯავახიშვილმა თვით უწოლა „ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის“). ეს ადამიანები იყვნენ იმ დროის გამოჩენილი, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები: პეტრე მელიქიშვილი, ფილიპე გოგინიშვილი, კორნელი კეკელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, აგრეთვე, მაშინ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ დიდი მომავლის მქონე მეცნიერები: ი. ყიფშიძე, დ. უზნაძე, ა. რაზმაძე, ა. შანიძე, ვ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, ასეთი იყო თვით უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოების შიერ გამოყოფილი აკადემიური კომისიის შედგენილობა.¹

არსებობის პირველსავე წლებში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორას ამშვენებდნენ: ა. ბენაშვილი, ალ. ცაგარელი, ს. ავალიანი, ი. აბულაძე, ა. თვალკრელიძე, ა. ნათიშვილი, ვ. მოსესიშვილი, ზ. ქერდიანი, ს. შიარჯიხი, ივ. ბერიტაშვილი და სხვ.

ივ. ჯავახიშვილი უაღრესად ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი იყო. მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის ღრმა ცოდნამ მის წინაშე მალა ასწია მძიმე ფარდა, რაც ქართველი ხალხის თვითმყოფური და სასიქადლო კულტურის დიდებულ ძეგლებსა და მიღწევებს ფარავდა, საქვეყნოდ გამოამუხურა და ააფრთხინა მამა-მამათა ნაამაყარო...

ივ. ჯავახიშვილს კარგად ჰქონდა შეგნებული და გააზრებული დიდებული ილია ჭკუჭავაძის სიტყვები, რომ „აღდგენა ისტორიისა — ერის გამოკოცხლებაა, გამოზხნეებაა. აწმყოს გავება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევა სიბნელისაგან“.

¹ იქლად თუ შეიძლება კაცმა დასახელოს

¹ ი. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. 1, :968, გვ. 417.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პრობლემა, უძველესი დროიდან უმოკლესი მემკვიდრეობის მემკვიდრეობა, რაც მის მადლიან კალამს, ასე თუ ისე, არ გაეშუქებინოს, ანდა, რაზედაც ფუნქციონერები მონოგრაფიება არ დაეწეროს.

ივ. ჯავახიშვილის ქვეშაირტად გასაოცარი ერთდციოა, მრავალმხრივი დაკვირვებისა და კვლევის უდიდესი ენერჯია მიმართული იყო არა მხოლოდ ისტორიულ მოვლენათა შესწავლისათვის მანამდე გამოვლენილი და გამოკვლეული წყაროებისა და მასალების ახლებურად გაშუქებისაკენ, მას ბედმა არგუნა ყოფილიყო ქართული კულტურის ისტორიის მანამდე უცნობი, პირველხარისხოვანი წყაროების აღმოჩენა, მათი ტექსტის დამდგენი და გამოკვლეული.

ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორიის პრობლემაზე ამუშავებდა და წარმოაჩენდა არა მხოლოდ როგორც სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური წარმოებრივი განვითარების პროცესებს, არამედ, ამასთანავე, იყვავდა ქართული კულტურისა და, საერთოდ, ცივილიზაციის სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ, იდეოლოგიურ, მორალურ ასპექტებს. აქ საქმარისაა დავასაბულოთ მისი ნაშრომები ქართული მწერლობის, კერძოდ რუსთაველის, ივრეთვე ქართული მუსიკის, ზურთთმომღერების, დამწერლობათმცოდნეობის, სიველთამცოდნეობის, ტანისამოსის, შრომის იარაღებისა და ორგანიზაციის, ადამიანის პიროვნების პრობლემათა შესახებ.

ქვეშაირტად ფართო იყო მისი შემოქმედებითი შრომის დიაპაზონი, ასევე ძალიდ იყო და დამსახურებული მისი, როგორც მეცნიერის, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის რეზონანსიც.

მას, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელს, ქართველი ხალხის გმირული ისტორიის თავდადებულ მკვლევარს და მესიტყვეს, ქართული მეცნიერების სინდისსა და დიდებას, — სასიქადლო მამულიშვილს — უწოდებდნენ, და ასეც იცნობდნენ საქართველოს უველა კეთხეში.

აღსანიშნავია მაინც ერთი შტრიხი: 1938 წელს ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. იმავე წელს ვაზეთ „კომუნისტში“ (9 ივლისს) გამოკვეყნებულ სტატიაში იგი, სხვათა შორის, წერდა: „... რაკი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ვმუშაობდი, ჩემი მთელი მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებელს შევსწირე, ბუნებრივია, რომ უმაღლეს საბჭოში უვეელი ჩემი ძალიდ მსურს ეზმარო ამავე საკითხის განამუშავებლად, როგორც საბჭოთა საქართველოს შეშვენის“...

ამგვარად, როგორც არ უნდა ყოფილიყო, მისი პრაქტიკული მოღვაწეობის გვირგვინსა

და სიამაყეს, მისივე გაგებითაც, თბილისის უნივერსიტეტი წარმოადგენდა.

• • •

1961 წლის 26 იანვარს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, რომელიც მიმდებარე იყო. ქავახიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავს, ჩემი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაიწყო:

„ისე მოხდა, რომ ქართველობით დრო ვერ გამოვჩინებ მოვიხადო უღიღესი ვალი, რაც კი მოწაფეს მასწავლებლისა და უფროსი მეგობრისაგან შეიძლება ემართოს; დღემდე ვერ შევსული დამეწერა იგი. ქავახიშვილის შესახებ განზრახული ორი საკითხიდან ვერც ერთი — 1. იგი, ქავახიშვილი, როგორც საქართველოს გეოგრაფიის ისტორიის შევლევარი და 2. ჩემი მოგონებანი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის იმ მომენტებისა თუ ეპიზოდების შესახებ, რომელთა მოწმე, მომსწრე და მონაწილე ვარ“.

ახლაც, მას მერე თორმეტობდე წლის შემდეგაც, ამ სიტყვებს ემიჯორებ, როგორც ვერ კიდევ გაუნაღებულ დაპირებას, რისი შესრულების იმედს, ცხადია, ვერასოდეს ვერ შევედევო.

მინც აქ მინდა შევჩერდე მოგონებათა ორიოდ ეპიზოდზე, რომლებზედაც მამინაც მქონდა საუბარი და რაც ადრევე მაქვს ჩაწერილი.

იგი, ქავახიშვილის პირველი ლექცია მოესმინე 1922 წელს. ნოემბრის ერთ დღით გამოვიდნ და ვივლიე, რომ იგი საჭარო ლექციას წაეთიხებდა ქართული უღიღესი შესახებ. მამაჩემი თბილისში იყო და არ უნდოდა გავშეა შემთხვევა ენახა და მოესმინა მისთვის. წინა დღეებში მამაჩემი უნივერსიტეტში ახირებდა წასვლას, რათა, სტუდენტებთან ერთად, მოესმინა მისი ლექცია. მაგრამ მე არ ვერჩივი: გრძელწევარიანი, ჩოხანი გამოუწვილი, ზედაც მონრდლისატევიანი კაცის აუდიტორიაში შესვლას შეეძლო ზოგიერთი სტუდენტის არასასურველი რეაგირება გამოეწვია. დამიჯერა.

ახლა, რაღაც ქალაქში იყო საჭარო ლექცია გამოცხადებული, გადაწყვეტილი ორივენი ერთად წავსულიყავით. ადრეც შევედი. დარბაზი ხალხით ივსებოდა. ჩოხანი და სატევიანი მინც არაინ ჩანდა მამაჩემის გარდა.

მალე ერთი ჩემი კოლეგა შემოგვიერთდა. ის და მამინ მეც მათემატიკის ფაკულტეტის 1 კურსის სტუდენტები ვიყავით.

ხუტად დანიშნულ დროზე დარბაზში შემოვიდა იგი. ქავახიშვილი, მან პირტყელი მაგიდაზე დადო და ქაღალდები ამოაღა...

მე დღეს მამამ ორი შენიშვნა მომცა.

ერთი თვით ლექციის მიმდინარეობის დროს. რატომ არ იწერ, ხომ შეიძლება ზოგი რამ

მინც დაგაეწყდესო. მეორე, როდესაც უკვე ქუჩაში ვიყავით, ეს ჩემს კოლეგას შეეხებოდა ამისთანა მეგობარი არ გინდა, ლექციას დროს სწორად გელაპარაკებოდა და გაიცდენდა. ივანე ქავახიშვილის ლექციაზე უფრო საინტერესოა უნდა ეთქვა და კიდევაც რაიმე სათქმელი რომ ჰქონოდა, მერმე ვერ მოასწრებდაო.

შინისკენ წავი მივდიოდით. მამა თავის შთაბეჭდილებებს მიზიარებდა: ექვთიმე თაყაიშვილს საკმაოდ კარგად ვიცნობო, მაგრამ იგი. ქავახიშვილი სულ სხვა არის, მისი წინგებიც განცდიერებას იწვევენ და უღიღესი შთაბეჭდილებას ახდენენო.

მერე შეათხა: — უნივერსიტეტში თუ ესწრები მის ლექციებს... — არა, ჩვენთან არ კითხულობს...

ეწეინა. შევპირდი ამიერიდან დავესწრებოდი. მამა იმ აზრისა იყო, რომ ქართული ერის ისტორია ყველა ფაკულტეტზე უნდა იკითხებოდა.

— მისი წიგნები ყველა გაქვს? — არა...

მალე წიგნის მაღაზიას მივუხლოვდი. შევედი. მოიკითხა ივანე ქავახიშვილის წიგნები. არც ერთი არ ჰქონდათ. ერთხანს ხმა არ ამოუღია. მოიღუშა, მინც რამდენიმე სხვა წიგნი იყდა...

მალე მათემატიკურიდან, სადაც ლექციები მხოლოდ დღის საათებში იკითხებოდა და მე სამსახურის გამო მივდებოდა, სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტზე გადავედი. აქ იგი, ქავახიშვილი საქართველოს გეოგრაფიის ისტორიის კურსს კითხულობდა. ხშირად ვესწრებოდი, აგრეთვე, ქართული ერის ისტორიის კურსისა და სხვა მის ლექციებს. მეორე კურსის სტუდენტს უკვე თითქმის ყველა მისი წიგნი მქონდა. უფრო მეტად ბუკინისტებთან შეეჩინილი.

1926 — 1928 წლებში საქართველოს სსრ ცენტრალურ არქივში ემუშაობდი, კავკასიის საცენტრალურ კომიტეტისა და ბუქდევითი სატყუვა თბილისის კომიტეტის ფონდებს ვეცნობოდი. აქ გამოვავლინე ერთი „საქმე“ — ეს იყო იგი, ქავახიშვილის ნაშრომის — „«Политическое и социальное движение в Грузии в XIX в» (СПБ, 1906, изд. «Сакартвело») ცენტრის მიერ აკრძალვის შესახებ მიმოწერა. აქ იგი, ქავახიშვილი დახასიათებული იყო როგორც ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური და სულსინამდგამელი.

ეს ვაეცნო თვით იგი, ქავახიშვილს, რამდენიმე დღის შემდეგ დანიშნულ დროზე მობრძანდა. საქმეს გაეცნო. წასვლისას დამეწვილობა და მითხრა: მეტსმეტი ყურადღება მიუქცევიათო... თქვენი დიდი მადლობელი ვარ, რომ ამ მასალის გაცნობის საშუალება მომეცითო.

ივ. ჭავჭავაძის ხშირად მიწვევა კონსულტაციას ჩემს ცალკე წიგნად გამოცემულ (1929 წელს) პირველ ნაშრომზე („ქართული წიგნი 1629-1929 წწ.“) შემუშავს პროცესში. სწორედ ამ წიგნში პირობა ასახვა ხსენებულმა საცნობროს არქივის მასალამ!

ივ. ჭავჭავაძის პროფ. დ. გოგინიძისგან ერთად, ჩემი პირველი წიგნის ფაქტობრივ რედაქტორი იყო...

1930 წ. შემოდგომაზე შამა თბილისში ჩამოვიდა, მისთვის ორი ფრიალ სასიხარულო მოვლენის გამო: 1. მან სოფელში ფოსტით მიიღო 1929 წელს წიგნად გამოცემული ჩემი ნაშრომი — „ქართული წიგნი 1629-1929“, 2. გაიგო, რომ მე უკვე უნივერსიტეტის ბაზაზე წარმოქმნილი ორი ინსტიტუტის ლექტორად ვიყავი მიწვევში.

როცა ყოველივე დეტალურად გამომიყობა, მტკიცედ განაცხადა: ივ. ჭავჭავაძისა და დ. გოგინიძისგან უნდა მივიღე და მალეობა ეუფობო. ეს წიგნი ხომ მათი ხელმძღვანელობით დაწერე და მათვე დახმარებით დაბეჭდე, რაღვთა შეიძლება შენს მასწავლებლებს პირადად არ ეცნობდეთ!

შამაჩემი, უნდა მოვასხენით, ცოტა გორობი კაცი იყო და, დიდი ხნის განმავლობაში თემის თავაყად (მამასახლისად) ნამყოფს, რადენითი შეუფალიბის ელფერი იყავდა.

არ დამშალა. დავითანხმე. მაგრამ ახლა, თურმე, სხვა განსაცდელი მელოდა. ხელცარიელი როგორ უნდა მივიდოე... როგორც იქნა ამ განზრახვაზე ზელი ავალბინეთ. მარტო წავიდა. ისე ევლავდი, რომ სახლში ვერ გავიჩერდი, გვიან დავბრუნდი. შამა უკვე შინ დამხედა.

თვალეგაბრწყინებულს, ეტყობოდა აღფრთოვანებული იყო. მე მაინც გულისფანცქალით მივუახლოვდი და სშენად გადამეჩქვი. ნება-ნებაზე დამწყო. ჩანდა, ჩემს მოსვლამდეც ბევრი რამ ეთქვა შინაურებისათვის. ახლა უფრო მოთქმებულ სიტყვებს ეტებდა...

— კარი თვითონ ბატონმა ივანემ გამოიღო... მე უფრო იმის ფიქრში ვიყავი, ვაითუ, შენ არც ახსოვხარ, არც შენი სახელი და გვარი ახსოვს და, მაშინ, რაღა უნდა შექნა, რა უნდა შეთქვა?! როდესაც ეუფობო, პაატა გუგუნიძის შამა ვარ... მეტის თქმა არ დამაცალა და მყისვე მკითხა: „პაატა ეტლად ხომ არ ბრძანდება, რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეეშობაო?“

შამა შეჩერდა და მერე განაგრძო: — ეს რაღაც მოულოდნელი და საოცარი სიტყვები იყო. ვატყობდი, რომ მაშინ უფრო მაღალი ვავხდი და ფეხებზედაც უფრო მაგრად ვიგრძენი თავი... შინ შემომატივა. თავის სამუშაო

ოთახში შემიყვანა... ამის მერე შევლოდი ის მამინებდა, ბევრი ზრო არ შეჩვენიდნენ... მაშინ, მოკრძალებამზე, ჭავჭავაძისგან რომ მამათარ არ მიწვევდი და ისიც, რომ შენ არ წამომყვები...

სოფლის ყოველ-ცხოვრების ამბები გამომიყობა. საუბრის დროს სულ იმაზე ვფიქრობდი, დიდი შეცდომა დავშვი, რომ ხელცარიელი წამოვედი და რაიმე მამასახლორო სარეჟარი არ შექნოდა წამოღებული. წამოსვლის ამრად მომივიდა, ჩემი სატყეარი მეზღვებინა და კიდევაც შევიხსენი ქამარი: სწევა მიზობით, ეს სატყეარი მოგართათა აღსანიშნავად დიდი მადლიერების ვრწამობისა...

სიტყვა არ დამამთავრებინა. შორს დამიქრა. ის კი მოეწონა, რომ სატყეარი ეთქვი და არა ხანჭალი. ესაა სწორედ ნამდვილი ქართული. სიტყვა შეტყვიდან წამომდგარი... ხანჯალი კი არაბულია და არა ქართულია, ამიხსნა.

— ეს განმარტება ჩემთვის უფრო ძვირფასი საჩუქარია, ვინემ ეს სატყეარი და ძალიან ვთხოვე, მიიღოთ... — კიდევ მივმართე... მაგრამ არ დამაბუღლა.

— კიდევაც რომ მივიღო, უსატყეაროდ ახაროგორ ვავალით, ის ხომ ჩინის, ამ შეყენიერი ქართული სამოსის აეკლებელი ნაწილად დიდად წასამოუნები ვარ. ჩემო ბატონო, რომ მიწახედე. — განაგრძო შამა. — ცუდ გუნებზე ვიყავი და ურადი შეამა, რომ თქვენი სახით სატყეარიან ქართულ კაცთან შეიხსენი-საინტერესო შეტყვდრა და საუბარი. ბატონ პაატას სათხოვეთ, როდესაც დრო ექნება, მიწახედე, ნუ დამერიდება.

ამ დღიდან შამაჩემი, ცხადია, კიდევ უფრო მეტად ეტრფოდა მის და არ იღლებოდა მის შესახებ საუბრით. მას წიგნებში წაიკითხედი ამბების თბრობით... სოფელში, განსაკუთრებით ზამთრობით, მას ყოველთვის სეჯავდა პატარა აუდიტორია.

ამ ეპიზოდზე უმთავრესად იმისთვის შეჩერდი, რათა დამენიშნა, თუ რაოდენ პოეტულად იყო ივ. ჭავჭავაძისა და როგორ უყვარდა იგი ქართველ ხალხს, შორეულზე შორეულ კეთხეებშიაც კი.

ივ. ჭავჭავაძის ყოველთვის უადრესად პრინციპული იყო ცხოვრებისა თუ შეცნიერების, პრაქტიკისა თუ თეორიის სადავო საკითხებში.

ქართველი ერის ისტორიის დაწერა მისთვის არა სამსახურის, არა ზელობისა და დავალების, არამედ სასიცოცხლო მოწოდებისა და ღირსების საქმე იყო.

ქართული კულტურის ისტორიის კვლევა-თიხებაში ივ. ჭავჭავაძის მიღწევები, ცხადია, შეპირებებული იყო, საერთოდ, თავისი დროის შეცნიერებისა და, კერძოდ, ქართველოლოგიისა და კავასიოლოგიის არსებული დონით,

1 პ. გუგუნიძე, ქართული წიგნი, 1929, თბ., გვ. 267.

საკუთრივ მისი საოცარი ერთდროითა და შრომის დიდი ნაყოფიერებით.

ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ ამ მხრივ, ვასაგებია, დიდი წარმატებებია მოპოვებული. მისი შთელი რიგი მეცნიერული შეხედულებები და დებულებები ასეა სხვა ასპექტშია გააზრებული და გაშუქებული. მაინც, თითქოს საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ მისი ყოველი ასეთი აზრი და შეხედულება ყოველთვის ქართული ხალხის ერთგული თავმოყვარეობისა და ღირსების დონეზე არის შემუშავებული. ამ ღირსების თენდავ ოდნავ შეღახვას ის არავის აპატიებდა და ქართული ხალხის და ქართული კულტურის შინაური თუ გარეშე მტერი ყოველთვის საკუთარ, პირად მტრად მიიჩნდა. არასოდეს და არავითარ კომპრომისზე წასვლა ფიქრადაც არ შეეძლო გაეცლა...

ივ. ჯავახიშვილი რჩება და ყოველთვის იქნება როგორც დიდებული და სწორუბოვარი მეცნიერი, რომელიც არა მხოლოდ კალმით, არამედ თითქოს რაინდის მხვილით და ფარით იბრძოდა საქართველოს ისტორიის კვლევების მაღალი და პრინციპული ტრადიციის დამკვიდრებისათვის.

ივ. ჯავახიშვილი უაღრესად დიდი ერთდროის, შორისმკერდების და საყვლე ობიექტებში ღრმად ჩახედული მეცნიერი იყო. იგი ხშირად შთელ „არქეოლოგიურ ვახტრებს“ აკეთებდა ძველი საისტორიო მწერლობის აქვლებში, მარჯვედ იყენებდა სხვა მეცნიერებათა მონაპოვართ, რათა დაედგინა შორეული ისტორიული წარსულის საინტერესო ფაქტები.

მაგალითისათვის ავიღოთ არაპირდაპირი გამოანგარიშების მშვენიერი ნიმუში: 1254 წ. მონღოლთა მიერ საქართველოში წარმოებული აღწერის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ლაშქარად გასაყვანი (15-დან 60 წლამდე) ასაკის მამაკაცთა რაოდენობის გამოკვლევა. კოლოზბრიცკენბრიც საფუძველზე აგებული სამხედრო ბეგარის შესაბამისად, ქართველი გამოაღწერელის სიტყვით, მონღოლებმა „ცხრასა გლახსა სრულისა მიწისა (ფუძისა — პ. გ.) მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმოავლი კაცი შეადგინა“; ხოლო ამ წესის შესაბამისად აღფთვალის (აღწერის — პ. გ.) შედეგად გამოიჩინა, რომ საქართველოს „ცხრა დუშანი მხედარი, თათართა თანა წარმოავლი, რომელ არს ცხრა ბეგარი“ (90.000) უნდა გამოეყვანა.¹

ამ მონაცემთა საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი მსჯელობს: „რაც საქართველოს სახელმწიფოთაჲს გამოსაყვანი 90.000 მეომარი შემდგა-

რა, მაშასადამე, მთელს სამეფოში მაშინ თვათოველ მხედარზე სრული ფუძის მქონებელიცხრა კომლი უანგარიშიათ, ე. გ. (სულ: 810.000) სრულფუძიანი მოსახლე ყოფილა. კომლები რომ 5 სელი ევიარაუდლოთ 4.000.000 სელი გაიშა. ამ 90.000-ში, როგორც ვითო, მაშრობითი სქესის მოსახლეობა 15 წლამდე და 60 წელზე უფროსი აღწერაში შეტანილი არ იყო. თუ მათაც ევიარაუდებთ და მივათვლით, მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა შესაძლებელია, დაახლოებით, 4,5-5 მილიონამდე მანკი ეთანგარიშოთო.¹

ასეთივე ხერხით, არაპირდაპირი გამოანგარიშებით, ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური ვითარების მაჩვენებელი მრავალი ფრიად საინტერესო ცნობა.²

მახვე დიდძალი ისტორიული და შედარებუთი, ადგილობრივი და უცხოური წყაროების, არქეოლოგიური და ნემუნიმატიკური ძეგლები შესწავლის საფუძველზე გახსნა ძველი ქართული ფულის სისტემის საფუძველი, რაც ათეული წლების მანძილზე დაუცხრომელი დავის საგანს წარმოადგენდა.³

1938 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ — ივ. ჯავახიშვილის, ფე ვოგინაიშვილის, მ. პოლიკტივისა და სხვათა წარდგინებით, დისერტაციის დაცვის ვარეშე, მომანიტა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ასეთი მხოლოდ ორიოდ შემთხვევა იყო ჩვენს უნივერსიტეტში.

მაღე სადოქტორო დისერტაცია წარვადგინე. ჩემი ოფიციალური რეცენზენტები და ოპონენტები იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, ფილიპე ვოგინაიშვილი და ნიკო ბერძენიშვილი.

საერთოდ, ჩემი მეცნიერული კვლევა-ძიების მთავარი მიმართულება — საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება მე-19 — 20 საუკუნეებში — არსებითად განისაზღვრა ჩემი შესწავლებლების — ნიკო ნიკოლაძის, ივანე ჯავახიშვილისა და ფილიპე ვოგინაიშვილის შთამაგონებელ გარემოცვაში.

ივ. ჯავახიშვილი დაბეჯითებით მირჩევდა, რათა ხელი მოეყვინა მე-19 საუკუნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სისტემატური კვლევა-ძიებისათვის, და მიხატავდა იმ დიდ ინტერესს, რასაც ეს ეპოქა შეიცავდა, რამდენადაც აქ ერთმანეთის პარალელურად და ერთ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, III, 54 — 56.

² პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, მე-19-20 სს, მონოგრაფიები, ტ. I, გვ. 663 — 664.

³ იქვე, ტ. II, გვ. 43—51.

¹ „ქართლის ცხოვრება“, 1849, სპბ. I, გვ. 386—387; 1959 წ. გამოც. 7, 11, გვ. 235.

² იქვე.

12. „მნათობი“, № 1.

დროულად შეიძლება დაკვირვებისა, შესწავლისა და მეცნიერული ანალიზის ობიექტი გამხდარიყო, არაუღიადან მოყოლებული, ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმები, თავისი შესაბამისი ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური ურთიერთების ყოველგვარი გადმონათხებით, ინსტრუქციებითა და დანაშრევებით.

ამ იდეამ გამოიტაცა და სადოქტორო დისერტაცია სწორედ ამ ანსებულ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და მორალურ ფორმებსა და ნორმებში ერთერთი ყველაზე ძლიერი ძვრების მომასწავებელი მოვლენის, სახელდობრ, საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაციის საკითხებს მიუძღვნა.

1937 — 1938 წლებში სულ ხუთთოდე შეხვედრა და სუბარჩი მქონდა ივანე ჯავახიშვილთან. ერთ-ერთი ასეთი სუბარჩი სამი საათი გაგრძელდა და მასწან საბოლოოდ დასრულდა ჩემი სადოქტორო დისერტაციის ქრონოლოგიური ჩარჩოები და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების გაშუქების აუცილებლობა.

ამ დროიდან კარგა ხანი გავიდა და სიმონ ჯანაშიამ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის — ენის, ისტორიისა და ჰისტორიული კულტურის ინსტიტუტში მიხიჩა და გამოამიხიხა, რომ ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, რასაც თვითონ იგი იზიარებდა, და რაც ზემდგომ ორგანოებთანაც უკვე შეეთანხმებინათ, სახურველი და საკურო იყო შემუშევა „საქართველოს ისტორიის კურსის“ შემდგენ ავტორთა კოლექტივში. ამ კურსისათვის უნდა დამეწერა, სახელდობრ, „მე-19 საუკუნე“.

ავტორთა შორის საგანი პირვანდელი ვარაუდით ასე ნაწილდებოდა:

ს. ჯანაშია (უძველესი დროიდან მე-11 საუკუნემდე), ივ. ჯავახიშვილი (11 — 15 სს.), ნ. ბერძენიშვილი (16 — 18 სს.), პ. გუგუშვილი (მე-19 ს.) და გ. ზაქაუარიძე (მე-20 ს.).

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნას საკმაოდ რთული და გრძელი ისტორია აქვს, რაზედაც, იქნებ, სხვა დროს მომიხდეს ჩემი მოგონებების გამოქვეყნება; ახლა ამაზე საუბარს არ ვაეგრძელებ...

ჩემი სადოქტორო დისერტაციის ოთციკალი რეცენზენტთაგან დასკვნა უწინარეს ივანე ჯავახიშვილმა წარადგინა უნივერსიტეტში. რეცენზენტად დანიშნვიდან ამ დრომდე მის

საგანგებოდ ვემალებოდი, რათა, ჩემმა უნებურად, არ შეგრძნობინებინა, რომ მისი დასკვნის მოლოდინმა ვაჩქარებ უფრო, ფ. გოგინაიშვილისაგან ვიცოდი მის მიერ ამის თაობაზე რექტორისათვის ნათქვამი სიტყვები: „ამ დავალებზე ვერც უარს ვიტყვი და, ამასთანავე, განმრთელობის მდგომარეობისა და გადაუდებელი სამუშაოებით გადატვირთულობისა გამო, სამწუხაროდ, ვერც მალე ვაეკეთებო“...

გავიდა ხანი, დამირეკეს, უნივერსიტეტის პრორექტორი პროფ. ა. ზარაძე ვიბარებდა, მივედი, როგორც კი კარი შევადე, იგი ფეხზე წამოიჭრა და გულიანად შემხვდა: ბატონ ივანე ჯავახიშვილის დასკვნა მივიღე. სულ ორიოდე გვერდზეა, დიდებულია, ეს შესანიშნავი გამაგრებება მომილოცავს.

ჩემს სიტყვებზე, რომ ჯერ მოლოცვა ნაადრევია, რამდენადაც დანარჩენი ორი ოთციკალი რეცენზენტის დასკვნა არ მიგვიღიათ და ვინ უწყის-შეთქი, მან გაიღმა და მიასხვა: რა თქმა უნდა, დანარჩენებიც საინტერესოა, მაგრამ ჩვენთვის, ივანე ჯავახიშვილის ასეთი დასკვნის შემდეგ, საკითხი უკვე გადაწყვეტილია...

სადოქტორო დისერტაციის დაცვის (16. 6. 40) შემდეგ, ივ. ჯავახიშვილის ლექციებს კვლავ წინა რიგებში მდარი ვისმენდი, ვაკლასი ეს სიტუბო და სიამოვნება დიდხანს არ ვაგრძელებულა...

მასწინაც მრავალიცხოვან აუდიტორიაში მის ლექციას ვისმენდი...

„ამ საღამოს, ხალხური ხელოვნების სახლში, ლექციის კითხვის დროს, 9 საათსა და 35 წუთზე“ გარდაცვალა თანამედრობობის უდიდესი მეცნიერი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, ეკონომისტი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი დამაარსებელთაგანი, ჩემი უძვირფასესი და დაუფიქვარი მასწავლებელი და მეგობარი.

გარდაცვალა სახელოვნად და იდეალურად, თუ შეიძლება სიკვდილი იფოს საერთოდ იდეალური. ის მოკვდა მეცნიერული მოღვაწეობის პოსტზე — ათედრახე, ლექციის კითხვის დროს“.

ჩემი დღიურის ამ ფურცელს მიწერილი აქვს: 1940 წელი, 18 ნოემბერი.



პარკების დაბრუნება

...მე და ღარბიოვმა ავაცი თათარიშვილს მივაცოხტეთ, რომელიც იმ ხანებში, საქართველოში მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი იყო. მე საუბარი წამოვიწყე ავეტოვ ასაკიანზე, მოეხსენე, რომ ის ამჟამად თბილისში იმყოფება და ამაღამ ერთეანში მივგზავრება.

— მე კარგად ვიციან ისაკიანის შემოქმედებას. ის ბუმბერაზი პოეტია, იმ უკვდავ მკობანთა დარი, რომელთაც მთელი ეპოქები შექმნეს თავიანთი ზოგადსაკუბრიო იდეებით აღსავსე ქმნილებებით. ესენი ის შექმერებია, რომლებიც გზას უნათებენ შემდეგ თაობებს, — დასძინა თათარიშვილმა, მერე ქალაღი აიღო, რაღაც დაწერა და მე გადმოკოცა.

—ახლა შეხედრის საქმეება მოვაწყოთ. ეს ქალაღი საქმეთა მმართველს გადავცოთ.

მე მადლობა მოეახსენე და ვთხოვე, რამდენიმე ქართველი მწერალი დასწრებოდა ვარტის საბატოეხაცემოდ გამართულ ბანკეტს. მას თვალები აეციმციმდა. მხერა გადაიტანა დივანზე, სადაც ერთმანეთის გვერდით ისბდნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი და ცხარედ კამათობდნენ.

— ესენი მიიწეე, დილიდან დაობენ, მუშაობას არ ვეცლიან. ტიციანი „აბულ ალა მახრის“ მთარგმნელია. პაოლო ავეტოვის პარიზი-

რუბენ ლუსინიანი დიდხანს ცხოვრობდა თბილისში. იმ წელს, როცა საზღვარგარეთიდან დაბრუნდა ა. ისაკიანი, იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის სიმბურ სექციას. ეს ნაწევეტი ამოღებულა მისი მოგონებიდან, რომელიც ავეტოვ ისაკიანის თბილისში ჩამოსვლის და აქედან სომხეთში გამგზავრებას ეხება.

დან იცნობს. მიხეილიც წაიყენეთ, სასიამოვნო თანამესუფრენი იქნებიან.

ბუღალტერიიდან ფულის გამოტანა ღარბიოვის მივანდე, მე კი ქართველი მწერლების თანხლებით სომხური ზელოვნების სახლისაკენ გაეწიე.

ვარპეტი, ტიციანი და პაოლო ძველი ნაცნობები იყვნენ. ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. შემდეგ კი რიცრიგობით მივიდნენ ქალბატონ სოფისთან და ხელზე ემთხვიენ.

ყოფილი სოლოლაკის ქუჩით გავეშერეთ ლენინის მოედნისკენ. წინ ვარპეტი, ქალბატონი სოფი, მე და ტიციანი მივდიოდით. უკან მოგვეყვებოდნენ მ. ჯავახიშვილი, ზოზიკა, პ. იაშვილი, მ. ღარბიანიანი, ვ. ტერ-არაქველიანი და ღარბიოვი.

ჩვენ რუსთაველის გამზირს მიუყვებოდით „ორიანტისკენ“, რომელიც იმ ხანებში თბილისის პირველ რესტორნად ითვლებოდა. უცხად პაოლო იაშვილის ომიხიანი ხმა მომესმა:

— ბიჭო, რუბენ, ერთი წუთი მოიცა.

მე ნაბიჯი შევანდე, პაოლოს დავეცადე.

— რუბენ, როგორც ვხედავ, „ორიანტში“ აბრებ სტუმრის წაუვანას. ჩვენი ავეტოვა პარბიზიდან დაბრუნდა. ჩვენ მას „ორიანტი“ ვერ ვაგვიყრივებთ. იქ ის შალაღელიანი სასმისების, საუკეთესო საინების, ფაფურის ფილებისა და ვერცხლის ახარფეშების მეტს ვერაფერს იხლავს, უბრალო ადამიანებს, რომლებიც მას ესოდენ მონატრებია, ვერ ნახავს... მეტეხის ციხის ძირას, მტკერის საინაბირთზე ერთი ძველისძველი დენის საჩდაფია...

1 ზოზიკა — მწერალი — იუმორისტი.

2 მათეოს ღარბიანიანი — მწერალი.

3 ვაჰან ტერ-არაქველიანი — ცნობილი სომეხი მომღერალი.

მოდი, იქ წავიყვანით, გარწმუნებთ, ჩინებულ დროს ვავატარებთ.

— უბერბული არ იყოს, — ეკვმა გამკენწლა.

— ორიგინალურად და მაღალ პოეტურ დონეზე ჩაივლის შეხვედრა, — კვერი დაუტრა ტიციანმა. მეც დავეთანხმე.

ჩვენ მანქანებში ჩავსხვდით და თათრის მოედნისაკენ ავიღეთ გზი.

მეტეხის ციხის ძირას, მტკვრას სანაპიროზე, ერთ-ერთი ძველი სახლის ქვედა სართულში მოთავსებული იყო კარგი ძველებური რესტორანი. შეაგულ სარდაფში შადრევანი ამოჩნებრუნებდა, და მისი ჰაეროვანი ტელისაკენ თითქოს აღმოსავლური ზღაპრების ნიჭიანად თვლვდა იქაურობა. აზრში თევზები დაცურავენდნენ. ვასომ, ვნაკვიმატმა და გონებამახვილმა ოფიციატმა, ჩვენ თვალწინ მკვირცხლად ისროლა ბაღე. რამდენიმე „ყოცხალ“ ამოიყვანა და აფართობლებულ თევზებიანი ბაღე სამზარეულოში შეაკიმძიხა.

სამი მაგიდა ერთმანეთს მივადგიით. ვასომ თოვლივით ქათქათა სუფრა გადააფარა და მაგიდასთან მივიწვივია.

მე პაოლოს გვერდით ვიქევი და თვალს ვერ ვაცილებდი ვარპეტს. პოეტს მშვიდი ნაირულ ნაკვეთბობაში სახე გაისკროვებოდა, კმაყოფილების იერი ეღო. მე საოცარი მსჯავება მენიშნა მასა და მის მიერ გამოძერწილ უსტაკაროს შორის. ვამჩნევდი, რომ ეს უბრალო, თბილისური პატრიარქალური ყოფა, ამ სარდაფში ასე ძალეზად რომ იგრძნობოდა, საამეს ჰგვრიდა მას, სულს საამოდ ესალბუნებოდა.

ქალბატონი სოფისა, რომელსაც კალთაში ევდა თავისი განუყრელი ფინია, და ვარპეტს შუა ხოზიყა მოკალათებულებო. ხოზიყა ძალდს ეთამაშებოდა, დრუნხე თითს აღებდა, აღზიანებდა, ძალდი კბილებს კრებდა, ღრინავდა, ხოზიყას უწყურებოდა...

ქალბატონ სოფის სახე ჩამოსტიროდა. ვიფიქრე, მიიწყინა-მეთქი, და გული დამწყვდა, ევრობულ „ორიანტიში“ რომ არ წავიყვანე.

შეგრძალ ისევ ვარპეტზე ვადავტრანე. ის მშვიდად იქდა და კმაყოფილებით თვალყურს აღევნებდა ვასოს მარჯვე შორაობას. ოფიციატნი, ვრივოდ ორბელიანის ლობიანას რომ მოგვეავგონებდა, ერთმანეთის მიყოლებით მაგიდაზე მკვირცხლად აწყობდა პოთლებსა და ჭიქებს, თეფშებსა და დანა-ჩანჯალს; კახური სიღარბასლით მაგიდის შუაგულში დადგა შეწყვარი გუკი, შემდეგ მწყინაღუღული, მადისა-აღმჭარელი სანელებლები, გულის ყველი, სათალი, მწინაღუღულობა და ერთ წუთში სუფრა გაიწყო.

თამადაბა პაოლოს შეეთავაზე. უარი თქვა,

მათეოს დარბინიანს ვთხოვე, იმანაც იყარა, იბრლებული გავხდი მე ამევიდა, ეს ტერატი. პირველი სასმისით, რა თქმა უნდა, ვარპეტე ვაღლებრძელე მედელითერთ. პირველი სიტყვა ტიციან ტაბიქემ აიღო. ფეხზე წამოიღვარაშაული პატრიციის სიღარბასლით. მისი ოვალური სახის ლამაზი ნაკეთები, სწორი, ცხვირი, სავსე, წითელი ტუჩები, შუბლზე ვაღმწიწული ვარცხნილი თმა, ლტრეი ნუშისებარი თვალები, ვანიერ მკერდე დახვეული მიხაკი ძალეზად იზიდავდა ყველას თვალს.

ტიციანმა სასმისი ასწია, თამაშსუფრეთ თვალი გადაავლო და დაიწყო:

— ძვირფასო ავეტიკ, მხურვალედ გილოცავთ უცხოეთიდან დაბრუნებას. ნამდვალ პოეტს, კუმშარიტ ბელოვანს უცხოობაში, მართალია, დიხანს გული ვერ გაუძლებდა. მე კარგად მახსოვს ჩვენი შეხვედრა ამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც მე ხელი მოკიდე შეაღდაი ამბულ ალა მაარის ქართულ ენაზე თარგმნას. მას მერე გონებით სულ თქვენიონ ვარ, ჩემს თვალწინ გადაშლილია ესაზღვრო, უსასრულო უღამტრი სივრცე. უფროს ჩამუსმის ექვენების იღმელი ელარენი, თეთრძალპიანი ბედენინების ოხერა და თვალწინ მიდვას აღმოსავლეთის დიდი მგოსანი ამბულ ალა მაარი: უღრეკი და უშინარი, მართალი და უმწიკვლო, ელასა და გრივალში მულამ წინ რომ მოაქრთლებს თავის ქარავანს. ეს უბრალო მიწიერი მოკვდავი როდღა, — სასწაულმოკმედა ხელით გამოქანდაკებული, ზეციური მაღლით ცხებული ქმნილება.

ასეთია თქვენი მაარი. ძვირფასო ავეტიკს მუდს ვიხრი თქვენი პოეტური ნიჭის წინაშე. ამიტომაც აღმეპრა სურვილი ქართულ ენაზე ამქვერებინა თქვენი უკვდავი ქმნილება. ჩემს თარგმანს, რა თქმა უნდა, ის მართალი და სტრნელი არ ექნება, რითაც ასე უხვად მომადლებულია დედანი.

მე ეთვლმძღვანელე ვალერი ბრიუსოვის თარგმანით. მაგრამ ჩვენი ენების აღმოსავლურმა ცოლორტმა, მათმა კეთილზმოვანებამ, ასე თუ ისე, ვინაპირობა ამ საქმის წარმატება. ქართულენება და სომხებს საუკუნო მეგობრობა გვაქვეშირებს; სამწუხაროდ, ხანდახან გეოპირს უშუალად დედნიდან ვთარგმნით ჩვენი ელასიკოსები. მხატვრული ლიტერატურის თარგმნის ერთ-ერთი მთავარი პირობაა იმ ენის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა, საიდანაც ვთარგმნით. მე მუდამ ამას ვჭადაგებ და ჩვენი ხალგავრბდა პოეტებსაც ვერბვე შეისწავლონ მეზობელი ხალხების ენები. ამას წინათ მოსკოვში, მწერალთა კავშირის პლენუმზე წინადადება შეიკრანე საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა ენაზე თარგმნის თქვენი ნოვატორი პოეტის ელიშე ჩარენცის ლექსება.

ქვირფასო ავეტიკ, რამდენადაც ვიცი „აბულ ალა შარის“, ჟერ კიდევ მაინც, როდესაც შევედრე მასზე მუშაობას, უკვე თერთვეტ ენაზე იყო თარგმნილი. ჩვენ ცოტა დავიგვიანეთ. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ დაგვესწრაო. ქვირფასო ავეტიკ, მე სრულყოფილად არ მიმანია ეს თარგმანი, მე ჟერ კიდევ უნდა დავხვეწო და გავიწილო იგი. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც ჟერ არ შეხვედრებართ ნიკოლოზ ბარათაშვილის „შერანის“ ისეთ სომხურ თარგმანს, სადაც სრულად დაცული იყო დედნის სილამაზე. იმედი, ეს თარგმანი საწინდრად დავდებ ქართველი და სომეხი ხალხების შეგობრობის შემდგომ გაღრმავებას.

მინდა გავახსენოთ ოცი წლის წინათ ვ. ბრიუსოვის შიერ „აბულ ალა შარის“ შესახებ ნათქვამი სიტყვები: „აქ, — ხაზგასმით ამბობს რუსი პოეტი და ლიტერატურისმცოდნე, — ისაყიანი გვევლინება როგორც ვერობული პოეტი, თავის წინაშე აყენებს ისეთსავე პრობლემებს, რომელთა გადაჭრას ცდილობენ სხვა ხალხთა ცნობილი ლირიკოსები — ფრანგები, გერმანელები, რუსები. ამ ლექსებით შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ ისაყიანის სახით რა დიდი გენია ჰყავს სომხურ ლიტერატურას“.

შე სრულიად ვეთანხმები ბრიუსოვის აზრს. ქვირფასო ავეტიკ, ოვანეს ოვანესიანთან და ოვანეს თუმანიანთან ერთად, სომეხ ხალხს თქვენ დაუბრუნეთ მშობლიური ლიტერატურა, მათთვის გასაგები და მისაწოდომი გახადეთ იგი. ახალაკი თქვენ შეგიძლიათ თქვენი თვალთ ნახოთ, თუ როგორ აყვავდა და გაიფურჩქნა სომხეთი უკანასკნელ წლებში.

შე, ქართველი პოეტი, მივიღ გულთ მოგილოცეთ მშვიდობით დაბრუნებას საშობლოში. სხვაგვარად ჰქნეს პოეტის ხმა მშობლიურ მიწაზე. თქვენ თითქოსდა ხელახლა დაიბადეთ. ასეც უნდა ყოფილიყო. თქვენი ხალხი მოგვლით. დარწმუნებული ვარ, ის გულთბილად შეხვდება თვის საამაყო შვილს.

შე მუდამ ერთგული შეგობარი ვარ სომეხი პოეტებისა და ასედაც დავრჩები. დიდი ოვანესი ჩემი მშა და ახლობელი იყო. შე და ნინამ გვაირი რომ დავიწერეთ, ჩვენს უხადრეკ ოთახში საწოლისა და საწერი მაგიდის გარდა არაფერი გქონდა. მხოლოდ წიგნები და ფურცლები იყო ყველგან მიმოფანტული.

ერთ საღამოს ოვანეს თუმანიანი სანოვაგით სავსე ორი კალათით გვესტუმრა და იმ ღამეს კარგი დრო გავატარეთ.

ტყიანი ვარპეტთან მივიდა, ჭიჭა ჭიჭაზე მიუჯახუნა, ბოლომდე გამოსცალა და გადახვია.

უეცრად მეზობელი შავიღები ამბურდა. სოფლებიდან ჩამოსული ყმაღლაბაანი გაცხებისა და ხელოსნების გუნდი ყაყინით შემოიჭრა და რამდენიმე მაგიდას შემოუსხდა.

იმ ხანებში ტყიანი, პოლოცაშვილი და შიბ. ჟაფახიშვილი უკვე ცნობილი მწერლები იყვნენ და დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ხალხში.

შეზობელი შავიღებიდან მოდიოდნენ, გელოცავდნენ და გვადიდებდნენ ჩვენ და ჩვენს ქვირფასს სტუმარს.

ერთი ღამე დაელოცა, შუბდაკრული, პირმრგვალი გლეხი მოწიწებით მოგვჩაბლოვდა, შევერცხილი უღვაშებზე ზედი გადასვა, ილიიდან ტიკორა გამოიღო, ჩვენს მაგიდაზე დადო და მასპინძლებს ასე მოგვმართო:

— ღმერთმანი, დილას ეს ღვინო ბაზარზე უნდა ვამეტანა, მაგრამ ახლა გადავიფიქრე. დასტურ საქართველოს ყადრი გცოდნით! თქვენ თუ პარტისა სცემთ ამ შესანიშნავ ალაშინს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ღირსია. ჩემი ეახის ეს ტყბილი წვენი შეგარგოთ თქვენ და თქვენს სტუმარს. კეთილი გულით გიძღვნი, უარს ნუ მეტყვით. გამომართეთი.

ჩოხის კალთებით გაოფლული შებლი შეიწმინდა და გაგვიცოდა.

იმ გლეხის შემდეგ ყველას ყურადღების ცენტრში ჩვენ ვიყავით. გვიგზავნიდნენ კონიაკს, არაყს, შამპანერს, ხილს...

მედუდუქეთა ანსამბლი ქართულ და სომხურ ლაზთთან მანგებს აღუღუნებდა. სახელმისეპილი შულავრელის ტყბილი ხმა სარდაფს ემსხატებდა.

ავეტიკ ისაყიანს თავი ზელებში ჩაერგო, მზერა შორს მიეპერო და სულგანაბელი იყო. ეტყობოდა, რომ სიმღერას მოეხიბლა, და სავგულდავლოდ უსმენდა მას.

დამკერვლებმა და მომღერლებმა არც კი იცოდნენ, ვინ იქნა სუფრის თავში, გატაცებით ასრულებდნენ საუკეთესო სიმღერებს.

გარბეტს თავში ცრელი მოურია, მაგრამ პოზა არ შეუცვლია. მალე ვრევანში გამოვიდა პოეტის ლექსების კრებული, წიგნს დართული ჰქონდა მარტიროს სარიანის ფუნჯით ნახატი აეტიროს პორტრეტი. ფერთა ქაღალქის ზუსტად ამ პოზაში მოცა ფიქრებში წასული ისაყიანის სახე. მისი დახატვა მხოლოდ ასე შეიძლებოდა, თანამედროვეთ ასე აღუთქვამთ მისი სილიადე.

შულავრელი რომ გაჩემდა, ახლა ეპანტერ-არაქელიანის ტყბილი ხმა ვაისმ. იღუმალი სიღუმე ჩამოვარდა. დამკერვლებს უნდოდათ დავესვენათ და ქუჩაში ვასულას აპირებდნენ, მაგრამ ადგოზე ვაშემდნენ. ოფიციალურ ტყბმა წრიალი შეწყვიტეს და მონუსხული უსმენდნენ ჩვენი შეგობარის ნარნარ მელოდისს. საოცნებო მანგები გულის უნაზეს სიმებს ურხევდა ადამიანს, იმონებდა და თავდაიწმინდებდა მისიყვდა.

ვარპეტს შოგროს სახეზე აღშურმა ვადაპ-

რა, დრო და დრო ზელს ივლებდა ნიკაპზე, მორთილვარე თითებით შევერცხლილ წვერს იფურჩქნინდა, ნუშისებარ თვალში ცრემლი უკაფებდა. ბრძნულ ნაირულ სახეზე სევდა გამოუყრათოდა.

სიმღერის ბოლო ბეგრები ნახად მიწყდნენ, მიიღუნ სირიუმში. იგრილა ტაშმა. ყოფინით აწიფეს კიქები. ალტაყების აბობოქრებული ტალღა დაცხრა. ვაჟანი ვარპეტს ზელზე ეამბოზრა.

— რა კარგია, რომ ჩამობრძანდით. მშობელ რ მიწა, მშობელი ერთი ვიხმობთ, გულით. ჭერ მხნელ ხართ და კიდევ ბევრ შესანიშნავ ნაწარმობებს შექმნით...

— მაღალბელი ვარ, ჭვირფასო ვაჟან, შენმა ტუბილმა სიმღერამ გული სიამით ამივსო, — ბ. ჟუკო ვარპეტმა.

სიტყვა აიღო წარმოსადგება ვაჟაკმა პაოლო იმწვილმა, რომელსაც ბრიალა თვალეში ცეცხლი უკაფებდა. ლამარაკის დროს სახეზე ნათელი ფეხებოდა, მსმენელს რწმენას რომ უწერგავს, და ხალისს უღვივებს.

— ჭვირფასო ავეტიკ, ცხოვრების უმეტესი ნაწილი უცხოეთში გაიტარებთ. მე კარგად მახსოვს ჩვენი შეხვედრები მონ-მარტრის უაჯანანში. მე მინდოდა მხატვარი გამოავლენიყავი. — ლტერი ჩემოთს წმინდა აფგილად იქცა. მე იქ სახელოვანი მეგობრები მყავდა: გიიომ აპოლინერი, პაბლო პიკასო, ალბერტ ფამე, ერენბურგი. თქვენ მე მათ დასს გაუთოვნებთ. ამ უაჯარო აღამაწებმა თავიანთი პოეტური სიტყვით ასევე გაქანება მისცეს პოეტურ აზრსა და გონებას.

— ჭვირფასო ავეტიკ, დიდი ამავი მიუძღვით მათ ჩვენს წინაშე. მაგრამ სამშობლო, მამული, სადაც ფეხი ავიდგით, მაინც ყველას სჯობია. სულითა და გულით გილოცავთ სამშობლოში დაბრუნებას. უცხოეთში ცხოვრობდით, სამშობლო გენატრებოდით, კალამი ზელიდან არ გაგავლიათ. სულ მალე კვლავ უფს დადგამთ სამშობლოს, ღვთიურ მიწაზე, დაქველავ ქუხდეს თქვენი პოეტური ხმა.

იგი მიუხალოდა ვარპეტს და გადაეხვიდა.

გულთბილი, სიტყვებით მიესალმა პოეტს ვაშორენილი ბელეტრისტი მიხეილ ჭავჭავიძელი. მას ლამარაკის დროს სახეზე კმაყოფილების ღიმი დასთამაშებდა.

— ჭვირფასო ავეტიკ, — თქვა მან, — ერთი წლის წინათ ჩვენს რიგებს გამოაკლდა სომხური ლიტერატურის სიამავე აღექსანდრე შორიანაძე. თბილისის საღვთრზე გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვით გამოვედი. ცრემლი მომადგა თვალზე. მსურდა მენუგეშენიან სომეხს მეგობრები, მაგრამ გული ამიჩუქდა. დღეს ბედნიერი ვარ, თქვენ რომ გხედავთ, მოვსალაშებით, დარწმუნებული ვარ,

მშობლიური მიწა-წყალი შემოქმედებითი პათოსით აღგავსებთ და ახალ გაქანებას მისცემს თქვენს პოეტურ სიტყვას, ახალ შარბაღიტებს შექმნით. ჩვენი ერთი თარბის ხალხნი ვართ და ერთ დიად საქმეს ვემსახურებით. ალტაყებულ ვარ თქვენი შემოქმედებით. როცა წაფიკითხე ტიციანის თარგმანი, მწარე ფიქრები ამიშალა აბულ აღს ზედღრმა, მისმა მიზნებმა, მისწრაფებებმა. თქვენი პოეტური სიტყვა მიკითხველის გულამდე აღწევს. ეს იმას მოწმობს, რომ თქვენ კემშარიტად დიდი მობაროენე ხართ. ეპოქის სუნთქვა საკუთარ სუნთქვად გაიხადეთ. წარმატებებს ვისურვებთ ახალ შემოქმედებით გზაზე.

შორიაბლო მსხდომნი დგებოდნენ, პატივს სცემდნენ და ქებადილებას ასხამდნენ ვარპეტს.

შეფურებული ვარპეტის სახეს, ჭკვიანურ თვალებს და მიხაროდა, რომ ამ თვალეში ბედნიერების სხივი კიაფლობდა.

ნადიმო კი კვლავ გრძელდებოდა. ყველას ვარპეტის სახელი უკერა პირზე. ზოგი მას, ალბათ, პირველად ზედადა.

ზოზიკა კი ისევ ფინას ვთამაშებოდა და ქალბატონ სოფის აჭაური სასაცილო ამბების მოყვლით ართობდა.

— ჰეი, ზოზიკ, — შენცა თქვი რამე, რა დავემართა? ცირკში ზომ არა ხარ? — თავი ვერ შეიკავა მათგოს დარბინიანმა.

ზოზიკამ მოკლედ მოუტრა:

— შენ ილანარავე, ცირკში სულ ერთია, არ გამოდგები, ამაში მაინც უქნიახარ ღმერთს.

სიტყვა მათგოსმა აიღო.

დარბინიანს მაღალმადალი ტანმოვარჯიშის აღსავაზა ჰქონდა. მუდამ მოხდენილად იცვამდა.

— ვარპეტ, — თქვა მან, — მე ჩემს ხმას ეუერათებ ნიჭიერი ქართული მწერლების გულიანთქმას და გილოცავ სამშობლოში დაბრუნებას. გზა მწვიდლობისას ვისურვებთ საოცნებო სომხეთში. გზა ია-ვარდებით გქონდეს მოთვნილი.

— ჭვირფასო ვარპეტ, შორეულ უღამნობებსა და თვალწვიდუნულ ტრამალებზე, ციხე-კოშკებსა და მარმარილოს სასახლეებზე კარგი ჩვენი კერა დედასამშობლო სომხეთია, ჩვენი ბალღენახები და ველ-მინდვრებია. მანათიის ხეობას ეახლები, ალაგოზის უვაილთა სურნელი დათურები, ჰრდუჭრელი ჩიტუნების გალობით დატკებები... და გულზე მოვეშვება. სხვაგან ოქროს სასახლეებიც რომ დავიდგან, სტაერისა და ატლასის ფარჩებიც რომ ჩავაცუნინ. სულ ერთია, მანათიანა და ალაგოზის მანათი ვარაფერა შეედრება.

ისიც მივიდა ვარპეტთან და მოწინებით გადაეხვიდა.

მოთმენლად ველოდით ვარპეტის სიტყვას. ის იღვა და ისე ლაპარაკობდა, ხმა უთრთოდა, ლელოდა.

— მე, — თქვა მან, — ამ უბრალო სარდაფში თქვენთან ერთად დიდი სიამე ვიგევე, თქვენმა ველთბილმა სიტყვებმა მანუვევეს. ქართველები საყვარელი ხალხია. საქართველო ვდემის ბაღია. ქართველები მამაცი ხალხია. ქართველი მტერს ან მოკლავს ან შეაყვებდა, სახელს კი არ შეირცხვენს. საქართველო და ქართველი ხალხი ყაზბევის ნაწერებით გავიცანი. ქართველის კეთილშობილებასა და გმირობაზე დაეწერე მოთბობა „შაქრო ვალიშვილი“. ბათუმის მატარებელში მე მოვიპოვე უსინათლო ქართველი აშულის სიზღერა ახალ საქართველოზე. იმ აშულს მე კვლავ მივებრუნდები. ამ ერთი დღის განმავლობაში მე ძალიან ბევრი რამ ვიხილე, ჩემი ქართველი მეგობრებიდან იმდენი რამ მოვიპოვე, რომ ავცილებლად უნდა დაეწერო.

მე, ტიციანი და პაოლო ძველი მეგობრები ერთ. ძვირფასო ტიციან, მადლობას მოგახსენებ „აბუღ ალას“ თარგმნისათვის. საზღვარგარეთ მე აღფრთოვანებით წაეკითხე შენი ლექსები „სომხეთის მთებში“, შენ უმღერ სომხეთს, სომხის მარჯვენას. ეს მომწონს. შენი თქმისა არ იყოს. შემდეგმა თაობებმა უნდა ისწავლონ ჩვენი ენები. ჩვენ საუკუნო მეგობრები ვართ. თქვენი ქვეყანა რომანტიკულია, თქვენი თვალტყვენი, ტანწერწერა ქალები და ვაჟები უდიდესი რომანტიკოსები არიან. ქართველი ხალხი თავისუფლებისმოყვარეა, მტრეც და უღრვეია მისი რწმენა. როდესაც ფეხი დავდგა თბილისის მიწაზე, ვიგრძენი ახალი ცხოვრების ნიაყი...

ძვირფასო მეგობრებო, თქვენ მე მაქვთ. მაღლიდეთ, რისთვისაც მადლობას მოგახსენებო, მე უდიდესი ვალი მადღეს ჩემი ხალხის წინაშე. მე დაებრუნდი, რათა მოვიხალო ეს ვალი სამშობლოს წინაშე.

ბინდი წვებოდა. ავიშალეთ.

სტუმრები ველთბილად გამოეშვიდობნენ ვარპეტს, მის მეუღლეს და წაიღინენ.

ჩვენს წინ ქართული ავტობოთ ნაშენი მტრეხის ციხის ქონგურებიანი კედლები იღვა. ქვემოთ მტკვარი მიღუღუნებდა, ხილზე გავლიანს ვარპეტი შეჩერდა, მოაჩირს დაეყრდნო და

დიდხანს, დიდხანს დასუერებდა მტკვარის მჩქეფარე ტალღებს.

ღარიბოვმა მანქანა მოიყვანა. ჩავსხედით მანქანაში. სადგური ვაირაღდნებული იყო. წვიმა წვრილად სცრიდა. ასფალტზე ალაგ-ალაგ გუბები იღვა. მე ვარპეტის ჩემოდანი შეკერა და მის გვერდით მივაბაიყებდი. იგი ისევე ფიქრებში იყო წასული.

ყველანი სავრთიშორისოს მე-9 ვაკონში ავედით.

— რუბენ, დიდი სტუმართმოყვარე და მგრძნობიარე ხალხია ეს ქართველები, — მითბრა ვარპეტმა.

— დიბა, ასეა, — მივეუბე მე. ღარიბოვი საღლაე გაქრა. ქ-ნ სოფის ფინიამ ორკერ შეწყვეა რკინიგზელს, რომელმაც ღერეფანში ვაიარა.

კარში ქომინით შემოიკრა ღარიბოვი. ხელში დიდი ტორტი ეჭირა. მან ტორტი მაგიდაზე დაღო.

— Это вам на дорогу!

ქალბატონმა სოფიმ ჩაფერფლილი თვალები მოაღო ტორტს.

— რატომ შეწუხდით? — უსაყვედურა.

ვარპეტი ერთ წერტილს მიმტკრებოდა. ვგრანბოდი, რომ რღაეც ფიქრები არ ასვენებდა.

ბოლოს მკითხა:

— რუბენ, როგორ არის აესელა. რა იცი მის შესახებ?

არ ვიცოდი, რა მეპასუხა. აესელი დიდი ხანია აღარ იყო. თვალი ვერ გავუსწორე.

— კარგა ხანია მისვან წერილი არ მიმიღია. მე იგი ძალიან მიყვარს. დიდი მწერალია. ერთხანობას მიმოწერა მქონდა, ის პასუხს არ მივვიანებდა.

ვარპეტი მიმიხედა, აღარაფერი უკითხავს.

ვაისმა მესამე ზარი. ფაეფუცით გამოვემშვიდობეთ ვარპეტს, ფანქარასთან თავის ფინასთან ერთად ატრულ ქ-ნ სოფის, და ვავონილად ჩამოვედით. წვიმა სცრიდა ბაქანზე. სინათლები ჩახჩახებდა, ციმციმებდნენ წვიმის წვეთები...

1 აესელ ბაკენცი — ცნობილი სომეხი მწერალი.

გეორგი ჯავახიშვილი

ფოლკლორული მასალები „იმედის“ ფურცლებზე

ყოველთვიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „იმედი“, რომელიც ხალხოსნური მიმართულებისა იყო, გამოდიოდა 1881-1883 წლებში.

ჟურნალ „იმედის“ გამოცემაზე ლაპარაკი ორი-სამი წლის განმავლობაში ისმოდა, მაგრამ მთავრობამ გამოცემის ნება არ ღართო. ვარადა ამისა, 1879 წელს ჟურნალის გამოცემის ინიციატორი მიხეილ ასათიანი (იმერლიშვილის ფსევდონიმით ცნობილი) ტრაგიკულად დაიღუპა და ბოლოს, დიდი მცდელობის შემდეგ, 1881 წელს განხორციელდა ჟურნალის გამოცემა (რედაქტორ-გამომცემელი მიხეილ გურგენიძე). პირველი ორი წლის განმავლობაში გამოვიდა ჟურნალის 12-12 ნომერი, ხოლო 1883 წელს კი — 5 ნომერი.

ჟურნალის ირველიე შემოკრებილმა ხალხოსანთა ჭგუფმა სურსი თავიდანვე ცხოვრების ახალი ფორმების ძიებისაყენ აიღო. „იმედი“ — წერდა პროფესორი მიხ. ზანდუკელი, — როგორც მჭარნობიარე ბარომეტრი, აღნიშნავს საზოგადოებრივ საკიბრობოტო მოვლენებს. ყოველ შემთხვევაში, ამა თუ იმ მოვლენას, თუ საკითხს შექალებსდაგვარად მოერიდებლივ ხალხის მასების საყეთოდლეოდ ამუქებს და წყვეტს¹.

„იმედის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა წერილები საშერნეო საკითხებზე, პედაგოგიური, ისტორიული, ლიტერატურული, ფოლკლორული მასალები, კრიტიკული წერილები და ფელატონები.

ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნდა ვეაფშაველას, სოფრომ მვალბლიშვილის, ანტონ ფურცელაძის, მიხეილ ასათიანის, იოსებ დეა-

თაშვილის, ზაქარია გელისაშვილის და სხვების ნაწარმოებები. აქვე გამოქვეყნდა ისეთი ავტორებიც, რომელთა შემოქმედება დიდმნიშვნელოვანი არ ყოფილა, მაგრამ თავის დროზე დადებითი როლი შეასრულეს. ასეთთა რიცხვს ეკუთვნიან: გიორგი და ეკატერინე კრელაშვილები, დავით დათოშვილი, დ. ქართველიშვილი, ს. სანიძე, კ. მაკუვარიაანი, ი. ქაჯაია და სხვ. „იმედში“ გამოქვეყნებულია საინტერესო ისტორიული, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, რომელთა ავტორები არიან დიმიტრა ბაქრაძე, ნიკო ხიზანიშვილი, მოსე ჭანაშვილი, სტეფანე კრელაშვილი, დ. აბდულეშიშვილი, რომან მამასაშვილ-ცაპიკიევი და სხვები.

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებასა და შესწავლას მტკიცე საფუძველი ეყრება. იწყება იმდროინდელ ჟურნალგაზეთებში ფოლკლორული ძეგლების სისტემატური პებლიკაცია — პროპაგანდა.

„იმედის“ მეორე ნომრიდან წესდება ახალი რუბრიკა — „ხალხური ლექსი“, რომელსაც ჟურნალის თითქმის ყველა ნომერში ებეჭდებოდა.

აქ გამოქვეყნებულია ფოლკლორისტიკაში კარგად ცნობილი ლექსები: „ვიტყვი და ვიტყვი შიარსა“, „ერთი გლეხი ვარ საწყალი“, „მარხანზე ჩავიარე“, „მობრძინდი, მკალო“, „ახანურობა მიყვარდა“, „ქართლი იმისათვის დავაგდე“, „აქამდის ახანურები“ და სხვ.

„იმედში“ დაბეჭდილი ხალხური ლექსები ზედმიწევნით კარგად გადმოსცემენ იმდროინდელი გლეხის განცდებს. მაგალითად:

„ქართლი იმისათვის დავაგდე,
თოელი მოვა და აღარ აიღებს;
რაც რომ ჭირახტული მოვა,
სულ მთლად ბატონი წაიღებს“.

¹ მიხეილ ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. 111, თბ., 1939, გვ. 40.

მკვლევარი ნიკო ტატიშვილი სამართლიანად მოუთხოვდა, რომ „იმედში“ მოთავსებული არც ერთი პოეტის ლექსი გლების განცდებს ისე მკვეთრად არ გადმოგვეცემს, როგორც ხალხური ლექსები¹.

1883 წლის „იმედის“ მესამე ნომერში დაბეჭდილია თამარ მეფის ხალხური ეპიტაფიის ვარიანტი, რომელიც ასეა დასათარებელი: „იმერთა მეფის სოლომონ პირველის საფლავზე დაწერილი“. ეპიტაფიის ეს ვარიანტი ანაქრონიზმისა და კონტრინაციის ნიმუშია.

„იმედი“ დაბეჭდილ ფოლკლორულ ჩანაწერებს არა აქვს მითითებული ჩაწერის ადგილი, უცნობია შექმელისა და ჩამწერის ვინაობა, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მასალები ფიქსირებული უნდა იყოს ქართლ-კახეთში. ჩამწერნი კი ფურნალის უახლოესი თანამშრომლები — სოფრომ მგალობლიშვილი, იოსებ დავითაშვილი, ანტონ ფურცელაძე და სხვები არიან.

„იმედში“ გამოქვეყნებული პროზაული ნაწარმოებებიდან ფოლკლორულ მასალებს გამოყენებით აღსანიშნავია ზაქარია გულისაშვილის მოთხრობები „მეტყე“, „უბედური ქვქული“, „მარტიანთ პაპა“, „განთიადი“, სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობა „ცეცო“, მიხეილ ასათიანის — „მე და ონისიმი“, ანტონ ფურცელაძის „თამარ დაზნელი“ და სხვები.

გამსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზ. გულისაშვილის მოთხრობა „მარტიანთ პაპა“, რომელშიც დახატულია გლეხის შვილის, ხალხის სულისა და გულის — ხაზარეს სახე. ავტორის მოთხრობაში უხვად ჩაერთვის ლექსები ხალხური რეპერტუარიდან, რითაც ნაწარმოებში გადმოცემული ამბავი უფრო კოლორიტულია. ფოლკლორისტ თამარ ოქროშიძის აზრით, „ხაზარეში“ შეფარებული უნდა იყოს მოქმელი, მოთხრობელი, სტივის მკვრელი, პოეტური ნიჭით მიმადლებული პიროვნება².

სოფრომ მგალობლიშვილმა „ცეცოში“ ოპტატურად დახატა სოფლელი ტლუბიკი დამაზ მეზრე ცეცო, რომელსაც ეს ლექსები წარმოითქმევინა:

„ა, ქალო, ვაშლი, რა ვაშლი,
უბეს ნადები, ნასეტყვი;
ამღამ შენთან წამოვალ,
გულის კირიმი, რას მეტყვი?!“

1 ნ. ტატიშვილი, ლიტერატურული ნარკვევები. თბ., 1965, გვ. 208.

2 ვახუთი, ლიტერატურული საქართველო, 1968 წ. № 15.

„წუთისოფელში დაღ ჩვენსი ძირმწარე დაგვაღვივნს ბიჭლიროსთქს არც მოგვეკლა, არც დაგვარჩინა, არც დღენი დაგვაღვივნა“.

მოთხრობაში „ცეცო“ (მწერალმა შემდეგ ამ მოთხრობას „ღამის მეზრე ცეცო“ უწოდა) ასახულია ქართული წარმართული ღვთაების ელიას რიტუალი. მეზრეები „ცა-ღრუბლის ღვთაებას“ — ელიას შესთხოვენ წვიმას, ერთი მეზრეთაგანი პუეება: „...რო ქუხს, ელია წინას წარმეტყველი ზის დროშკაში და დააჭირითებს ცაში და, ცა რომ გაინარჩევა, მაშინ წამოკა სხაპა-სხუბით წვიმოა. მესხაც თურმე ისა გზაენის. რო ვააქანებს ი დროშკას, თუ რაღაცას, წინ ი წყუელი ეშმაკი აუძლებოა, ცხენები თურმე უკან დაიხვეწენ; ელია, ვენაცვალე ამის მადლსა, იღებს მესხა და ესკრის ი წყუ-ულსო; ის დაიუხუბოა და მეხი კი აქ ჩამოვარდება ხოლმეო“. ტაროსის ღვთაებაზე მრავლად არის ჩაწერილი მასალები, მაგრამ შემოთ მოტანილი ლეგენდა გამოირჩევა თავისი ორიგინალობით.

„იმედის“ ფურცლებზე დაბეჭდა ანტონ ფურცელაძის პოემა „თამარ დაზნელი“². საერთოდ, მწერლის მთელი შემოქმედება ძალიან ახლოსაა და მკიდრო კავშირშია ხალხურ წყაროებთან. ეს განსაკუთრებით ითქმის ისტორიულ თხზულებებზე. იგი აქ ხშირად ღვთაებულ გვერდს უვლის ძველ მატიაწებებს, სანაგვიროდ უხვად სარგებლობს ფოლკლორული მასალებით, გადმოცემებით, ეს არაა შემთხვევითი. აქ საქმე გვაქვს გარკვეულ თეორიულ წინამძღვრებთან, საქმე ისაა, რომ ეს საერთო მთლიანად ორგანულად ეკავშირდება ანტონ ფურცელაძის ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ მრწამსს.

ისტორიის ვაგების საკითხში ანტონ ფურცელაძე არც თუ იშვიათად თავს აღწევს იდეალიზმის ტყვეობას და იძლევა საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენების „მარტიანლისტურ“ ახსნას. ამის ერთ-ერთი ნიმუშია მწერლის მტკიცება, რომ ისტორიის მამოძრავებელი ძალა არის ხალხი და ის არა ჩანს ჩვენს მატიაწებში.

ფოლკლორული მასალების გამოყენების საუბებით სასიათლება ფურნალ — „იმედის“ პუბლიცისტკა სტეფანე კრულაშვილის, მონე ჯანაშვილის, ნიკო ხიზანიშვილის, მ. გურგენაძის, გრიგოლ ყიფშიძის, დ. აბღუშელიშვილის, რ. ძამსიაშვილი-ცამცივეის და სხვათა კრიტიკული-ისტორიულ წერილებში ჩართულია ხალხური სიტყვიერების საინტერესო მასალები.

„იმედის“ თანამშრომლები თავიანთ ნაწარ-

1 ს. მგალობლიშვილი, რჩეული ნაწერები. თბ. 1963 წ. გვ. 358.

2 იმედი, 1883, № 1.

მოგზაურობა უხვად იყენებენ ფოლკლორულ მასალებს. ისინი ცდილობენ ისეთი ენით და სტილით წერონ, რომ მათი ლიტერატურული ნაწარმი ხალხისათვის ადვილი გასაგები გახდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ხალხისებრი დაინტერესებული ყოფილან არა მარტო ხალხური შემოქმედების მასალების ჩაწერა-გამოქვეყნებით, არამედ ისინი თავიანთ ეთნოლოგიურ-ეტიმოლოგიურ ბეჭდავენ წერილებს, რომლებშიც ფოლკლორის კვლევის კვალი შეინიშნება. მაგ. 1881 წელს (№ 9) იბეჭდება ცნობილი ქართული მოღვაწის რომან ქაშაშვილ-ცამციციას წერილი ხალხურ მუსიკალურ ფოლკლორზე. წერილში ძირითადად ქართულ-კახური სიმღერებია მიმოხილული. ავტორის აზრით: „ხალხური სიმღერა შეიძლება ვეწოდოთ მხოლოდ იმ სიმღერას, რომელსაც სოფლის ხალხი იგონებს — სოხაეს“¹. ხალხთაური იდეებით შთაგონებული ავტორი აქვე მიუთითებს: „ღიახ გლეხი ხალხი — „ერი“ იყო ყოველთვის თვისის საყვარელის მამულის ინტერესების დამცველი“². რაც შეეხება ხალხური სიმღერის ჩაწერას, ამის თაობაზე წერს: „ვისაც მესწავლა და ნოტებზე გადალება მსურს ხალხური სიმღერისა, — იგი უნდა წავიდეს სოფელში, დაახლოდეს ხალხთან, დაჰყოს მასთან კარგა ხანი და კარგად შესწავლოს და შეითვისოს — ხალხური კილო“³.

რ. ქაშაშვილი აღნიშნულ წერილში მუ-

თითებს, რომ სიმღერა „დიდება“ რუსულსავე მღერიათ „თუ გვალვა და წვიმა სთხოვენ — ამბობენ, „ღმერთო მოგვეცე ტალახი, აღარ გვინდა გორიხი; თუ გვალვასა სთხოვენ „ღმერთო მოგვეცე გორიხი, აღარ გვინდა ტალახი“, ამ ჩვეულებას „გონჯობასაც უწოდებენ და, მგონია, წარმართობის დროს ევთენის, რადგანაც კერპის „გონჯს“ ატარებენ ქალები“¹.

რ. ქაშაშვილი ქართულ ხალხურ სიმღერებზე დაკვირვებისას ასკვნის, რომ „ქართულ-კახეთში თრნაირია ფერხული სიმღერა: „მაყრულის“ (იგივე ორ-პირული) კილო და „შავლეგო“-სი. „თამარ მეფე“ კილოთი ემსგავსება „შავლეგოს“ სიმღერასო“².

რაკი ხალხურ სიმღერებზე მივუთითებთ, აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ ზ. გულისაშვილის მოთხრობაში „მეტრევე“ მოტანილი აქვს „მეტრევი“ სიმღერის ტექსტი და ასკვნის: „ტრევი“ ანუ „ხეური“ სიმღერაა, საცა ორნი ლექსებს მღერიათ. ეს მეტივეების სიმღერაა“³. შრომის პოეზიის ეს სინტერესო ნიმუში ერთერთი პირველი და სანდო ჩანაწერია.

ამრიგად, ეთნოლოგი „იმედში“ დაბეჭდილ ფოლკლორულ მასალას გარკვეული მნიშვნელობა აქვს როგორც ქართულ პრესის ისტორიის, ისე ზეპირსიტყვიერების შესწავლა-გამოყენებისა და პუბლიცისტიკისათვის.

1 იმედი, 1881, № 9, გვ. 91.

2 იქვე, გვ. 92.

3 იმედი, 1881, № 9, გვ. 93.

1 იქვე, გვ. 87.

2 იმედი, 1881, № 9, გვ. 91.

3 იმედი, 1881, № 3-4, გვ. 26.

წიგნი გეომიერულ კილოკავში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვა-
შომცემლობამ კარგი საქმე გააკეთა, რომ აჯად.
არნ. ჩიქობავასა და დოც. მიხ. ალაიძის რედაქ-
ტორობით ცალკე წიგნად გამოსცა გეომიერისა
და პედაგოგის — დოც. ქეთევან ძოწენი-
ძის გამოკვლევები ზემოიშვრული კილოკავის
შესახებ.

ქ. ძოწენიძე, როგორც ცნობილია, წლებს
მანძილზე (1947 წლიდან გარდაცვალებამდე)
ენერგიულად სწავლობდა ზემა იშვრეთის მცხო-
ვრებთა მეტყველებას. სოფელ-სოფელ, ად-
ვილზე იწერდა სათანადო ტექსტებს, ცოცხალ
მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებისა და ჩა-
წერილი დიალექტოლოგიური მასალების ანა-
ლიზის საფუძველზე აქვეყნებდა საინტერესო
გამოკვლევებს სამეცნიერო კრებულებასა და პე-
რიოდულ გამოცემებში. მკვამ ზემოიშვრულის
შესახებ მისი ზოგიერთი შრომა ჯერ გამოცემუ-
ლი არ იყო. სპეციალისტთა უმეტესობას შეეძ-
ლო გაეცნო მხოლოდ ზოგი მთავანი სამეცნიერ-
ო სესიებისა და კონფერენციებზე წაკითხული
შოხსენებების თეზისებით; ამგვარ მკითხველს
შესაძლებლობა ეძლევა ყველა ამას გაეცნოს
ბეჭდური სახით. წიგნში, რომელსაც ეწოდება
„ზემოიშვრული კილოკავი“, ენობრივი ანალიზი
მოცემულია ზემა იშვრეთის ცალკეული რაიონ-
ების მიხედვით (მოთიკავს ოჩოჩინიძის, საჩხე-
რის, ჭიათურისა და ზესტაფონის რაიონებს).
სამწუხაროდ, ავტორის არ დასცალდა, რომ თი-
თიველი კუთხის დაწვრილებითი შესწავლის
შედეგები შეეკრა ერთ მთლიან მონოგრაფიად.

კარგად მოქმედება რედაქტორები, რომ აქვე
გამოქვეყნებიათ ამავე ავტორის მიერ ზემოი-
შვრულ კილოკავთან დაკავშირებით დაწერილი
სხვა შრომები და წერილები, რომლებიც არკ-
ვევენ ზემოიშვრულის მიმართებას ქვემოიშვ-
რულთან, ან ეხებათ შუაიშვრულის საკითხს ამ
ორ კილოკავთან შესარისპირებით, ანდა აშუქე-
ბენ სპეციალურ საკითხებს ზემოიშვრულში, ან

კიდევ, ავლენენ ზემოიშვრულის ელემენტებს
მხატვრულ ლიტერატურაში და სხვ.

პირველად აქ იბეჭდება ისეთი საინტერესო
გამოკვლევები, როგორცაა: 1. „ზემოიშვრული
კილოკავი (საჩხერის რაიონის მცხოვრებთა მე-
ტყველების მიხედვით)“, 2. „ზემოიშვრული კი-
ლოკავი (ზესტაფონის რაიონის მცხოვრებთა
მეტყველების მიხედვით)“, 3. „ზემოიშვრული
კილოკავი ქვემოიშვრულთან მიმართებით“, 4.
„აკავი წერეთლის ენა“, 5. „დავით კლდიაშვი-
ლის პერსონაჟთა მეტყველება“ და სხვ.

გამოკვლევებს, რომლებიც 320 გვერდს მოი-
ცავს, ერთის ზემოიშვრული „მეტყველების ნი-
შეში“ (გვ. 321-548) და „უცნობ სიტყვათა
განმარტება“ (გვ. 549-554), ნაშრომს წინ უძე-
ვის ანოტაცია, ავტორის სურათი, აჯად. არნ. ჩი-
ქობავას წინასიტყვაობა და დოც. მიხ. ალაიძის
ნარკვევი ავტორის ცხოვრებისა და ღვაწლის
შესახებ, ხოლო ბოლოში მოცემულია: პირთა
საძიებელი, შემოკლებათა განმარტება, შესწავ-
ლილი სოფლების სახელწოდება, მთხრობელთა
(ინფორმატორთა) სია, ავტორის შრომების ბიბ-
ლიოგრაფია და საჩუქევი.

ნარკვევში, რომლის სათაურია „ზემოიშვრუ-
ლის საკითხისათვის ზემოიშვრულ და ქვემოიშ-
ვრულ კილოკავებთან მიმართებით“, ქ. ძოწენი-
ძე თავისებურად წყვეტს შუაიშვრულის სა-
კითხს. მისი აზრით, „ზემოიშვრულ კილოკავად
მიჩნეულ თურქოლის, შიაკოესკისა და ტყიბუ-
ლის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაში
ზემოიშვრული კილოკავის ნიშნებიც გვეხვდება
და ქვემოიშვრულისა. მოკარბებულად ან ერ-
თთა წარმოდგენილი, ან მეორე ამ რაიონების
ტერიტორიული განლაგების შესაბამისად, მა-
გალითაჲ, თურქოლის რაიონში, რომლის სოფ-
ლებზე უშუალოდ იყარის ზემოიშვრულის სოფ-
ლებს, ბუნებრივია, უფრო ზემოიშვრულის მოე-
ლენება წარმოდგენილი, ხოლო შიაკოესკისა
და ტყიბულის რაიონებში — ქვემოიშვრულისა“
(გვ. 260).

ავტორის დაკვირვებით, „თანაც ამ რაიონების
მცხოვრებთა მეტყველებაში არ დასტურდება
ისეთი საერთო, თავისთავადი ნიშნები, რომ შე-

ქეთევან ძოწენიძე, ზემოიშვრული კი-
ლოკავი (ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები),
1978.

საძღვრელი იყოს მათი ერთ კილოკავად გავრთიანება ქვემოიშვრულისა და ზემოიშვრულის საპირისპიროდ“ (გვ. 260).

იქვე ავტორი დასძენს: „ჩვენი აზრით, ის თავისებურებანი, რომლებიც შეიშვრულად მიჩნეული რაიონების მებრებთა მებრებლებში შეიშვრევა, თქმის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს“ (გვ. 260).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნარკვევი „ზემოიშვრული კილოკავი ქვემოიშვრულთან მიმართებით“, რომელიც პირველად ამ წიგნში ქვეყნდება. ქ. ძოწენიძე დასახვლებული რაიონების მებრებლებს ამ შრომაში აქვთ მხარე ქვემოიშვრულს. იგი წერს, რომ „იშვრული აერთიანებს ზემოიშვრულ და ქვემოიშვრულ კილოკავებს. ზემოიშვრული გავრცელებულია საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონისა და ორჭონიკიძის რაიონებში, ხოლო ქვემოიშვრული — ქუთაისისა, ტუიშელის, თერჯოლის, მთიანეთის, წყალტუბოს, წულეიძის, სამტრედიისა და ვანის რაიონებში“ (გვ. 228).

ბევრი შედგენილობისთან დაკავშირებით აქ ნათქვამია, რომ „იშვრული კილოს სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებას აქა-იქ გდმონაშთის სახით შემორჩენილი“ ზოგიერთი ბგერა. (გვ. 228).

ამვე შრომაში სწორად არის შენიშნული, „რომ ქვემოიშვრულშიცა და ზემოიშვრულშიც თითქმის ერთნაირად აქვს ადგილი პროტესტულ ასიმილაციას, როცა ასიმილატორი ყრუ ფშვინვიერი ან ყრუ სპირანტია, ხოლო, როცა გამყენული აბრტევიცა, მაშინ ქვემოიშვრულში ასიმილაცია კანონზომიერად ტარდება (ტა, ტბილი, კტე, ვაბორტტა, ვატტა, დამიწტა, კტარი, მოტა), ზემოიშვრულში კი პროტესტი მერყევობს და, რაც უფრო ქართლისკენ მივიწევთ, მით უფრო მატერლობს უასიმილიაციო ფორმები“ (გვ. 228).

მართებულად არის აღნიშნული, რომ „პრევერბის ა და მ ხმოვნებს სრულად იმსჯავებდა ე ხმოვანი: ვატანა, წილა, გავყანა, გიღვიტანა... შევიკლია, შევიკო“ (გვ. 228).

ავტორი დადასტურებულად აქვს, რომ „ამ შემთხვევაში ასიმილაციას არ აბრკოლებს ფიქსირებული ვ და პირის ნიშნები ვ, გ, გვ: წივეყანეთ, გეშევეთებია, ჩევეყანეთ... მეველი, მევეკალი, მევეტანა...“ (გვ. 228).

ავტორი ზემო იშვრულის წიფის სასოფლო საბჭოში შეშავალ სოფლებში ადასტურებს სრული სახის ასიმილაციის შემთხვევებს რთულ პრევერბებშიც: ასიმილირდება „ამო, ჩამო, გამო, შამო. პრევერბების პირველი ხმოვანიც“ (გვ. 228). ეს მოვლენა სწორადაა ახსნილი ქართულის გავლენით (გვ. 229).

ქ. ძოწენიძე ამტკიცებს, რომ „ქვემოიშვრულში, სამტრედიის რაიონის იმ სოფლებში, რომლებიც მეგრულის გავლენას განიცდიან, აი კომპლექსში ნაწილობრივი ასიმილაციის პარალელურად სრული ასიმილაცია დასტურდება უშუალო მეზობლობაში, რადგანაც მასიმილირებული მხოლოდ სათავისო ქვეყის ან ვნებითის ი პრეფიქსია: წიყყანა, დითანანმა, გიპარა...“ (გვ. 229).

იქვე ნათქვამია, რომ სამტრედიელ თქმაში ანალოგიური სახის ასიმილაცია შეიქმნება მოხდეს მაშინაც, როცა ა-სა და ი-ს შორის გვაქვს პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ (ღივიწერეთ).

ასეთვე ვითარება შენიშნული იქ კომპლექსის მიმართაც ამავე თქმაში: მიქწია (= მოქწია), წამივიყვენეთ (= წამივიყვანეთ) და სხვ. (გვ. 230).

ზემოიშვრულისათვის უცხოა ანალოგიური ასიმილაცია აი და თი კომპლექსებში.

ქვემოიშვრულში სრული სახის ასიმილაცია შეინიშნება ია სუფიქსიან სახელებშიც (მართათი — || მართათი — მართათი — მართათი). ამ შემთხვევაში ქვემოიშვრული უპირისპირდება ზემოიშვრულს, როგორც ეს სახეებით მართებულად არის აღნიშნული ამ შრომაში (გვ. 234).

ქვემოიშვრული გამოყოფა ზემოიშვრულს აგრეთვე, როგორც ავტორი წერს, „უცნ თანდებულის ხმარებითაც (სახლისყენ — || სახლაყენ) და „თვის თანდებულთან ნათესაობითის ფუნქციით“ - იხა||-იხან ტიპის წარმოებით: საქმიხა||საქმიხან (გვ. 235, 236).

ავტორი ამ შრომაში გულმოდგინედ იხილავს ქვემოიშვრულ და ზემოიშვრულ კილოკავებს, გამოყოფს თითოეული მათგანის დამახასიათებელ ნიშნებს და უპირისპირებს ერთმანეთს, განსაზღვრავს მათ ადგილს ქართული ენის სხვა კილო-თქმათა შორის.

დიალექტური მოვლენების ქ. ძოწენიძისებულ მიკროანალიზს, როგორც ამის საფუძვლით სწორად აღნიშნავს ავად. არნ. ჩიქობავა ამ წიგნის წინასიტყვიანობაში, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიალექტოლოგიური ატლასის შესადგენად.

„ზემოიშვრული კილოკავი (ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები)“ ქართული დიალექტოლოგიის დიდი შენაძნა.

სასურველად მიგვაჩნია, რაც შეიძლება მალე გამოვიდეს მეორე წიგნიც, რომელიც ზემოიშვრულის ლექსიკას ეთმობა, და დააბეჭდოს ამავე ავტორის გულმოდგინედ ჩაწერილი სანდო დიალექტოლოგიური ტექსტებიც.

ს ა ზ რ კ ნ ე მ ე თ ი

რ ა დ ა მ მ რ თ ა მ ა ნ - პ ო ლ - ს ა რ ტ რ ს

საბჭოთა მკითხველი კარგად იცნობს თანამედროვე ფრანგი პროზაიკოსისა და დრამატურგის, ფილოსოფოსისა და პუბლიცისტის ეან-პოლ სარტრის შემოქმედებას. რუსულ ენაზე თარგმნილი და გამოცემულია მისი პიესების ვრცელი კრებული, რომელშიც შევიდა კერძოდ მისი „დაუმარბავი მკვდრები“, „ზუზეები“, „მოკრძალებული კაზა“, „სატანა და შამალმერითი“, „ზხოლოდ სიშარბლე“ („ნეკრასოვი“) და სხვ. სარტრის ავტობიოგრაფიული მოთხრობა „სიტყვები“ ითარგმნა ქართულ ენაზეც; გარდა ამისა, თბილისშივე გამოიცა ქართული ავტორის — შ. ბაქრაძის ნაშრომი „უ...“ შ. სარტრის მსოფლმხედველობის ევოლუცია მისი ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით“. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის საბჭოთა მკვლევარები მუდამ იღავებოდნენ სარტრს, როგორც ეკზისტენციალიზმის ფილოსოფიური მოძღვრების მოთავეს, გადაქრით უარყოფდნენ მას; შვარამ, იმავე დროს, აღნიშნავდნენ კიდევ მისი მხატვრული შემოქმედებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის ცალკეულ პოზიტიურ მხარეებს.

სარტრი ოცდაათობზეტი წლისა იყო, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. 1939 წელს არშიაში გაწვეული მწერალი და ფილოსოფოსი, საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, პიტლერელებმა საკონცენტრაციო ბანაკში გამოაპყვედინეს. ტყვეთა ბანაკს მან, როგორც ექნა, დააღწია თავი, 1941 წელს დაბრუნდა პარიზში და მასშივე მიემხრო წინააღმდეგობის მოძრაობას — დაპურობილი და მტრის მიერ ფეხქვეშ გათვლილი პარიზის სცენაზე იღვებოდა მისი პიესები, რომლებშიც მხილებული იყო პიტლერელები ბარბაროსობა; ომის დამთავრების შემდეგ იგი რედაქტორობს ეურნალ „ახალ დროებს“. შრავადრიცხოვან ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში, კერძოდ თავის პროგრამულ ესეში „რა არის ლიტერატურა“ (1946 წ.), აგრეთვე ნაშრომში „ბოდლერი“ (1947 წ.) სარტრი იცავდა იმ აზრს, რომ ლიტერატურა უნდა

ემსაზურებოდეს საზოგადოების წინსვლის საქმეს, რომ მწერალს ვულოან ახლო უნდა მიაკონდეს ყველაფერი, რაც დედამიწაზე ხდება. სარტრი — პუბლიცისტი („საუბრები პოლიტიკაზე“. 1949 წ.) გამოდიოდა რასიზმის წინააღმდეგ, ებრძოდა ფაშისმის გადაწეობებს, ხოლო 1952 წლიდან, ვენის მსოფლიო კონგრესზე, მიემხრო სამშვიდობო მოძრაობას და ამერიკიდან როგორც თავისი კადმიოთ, ისე ზეპირი გამოსვლებით ებრძოდა ომის გამართვლებს, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის დამცველებს, ამბილებს და მსოფლიო იმპერიალიზმის ბნელ საქმეებს, იცავდა მშვიდობის საქმეს, ამ მხრივ აღსანიშნავია მისი წერილები ცაკლი „კომუნისტები და მშვიდობა (1952-1953 წ.წ.)“. ანრის მარტენის საქმე“ (1953 წ.), შეიღი ტომი კრებულისა „სიტუაციები“ (1947-1965 წ.წ.).

იმავე დროს, სარტრი აქვეყნებდა ფილოსოფიურ ტრაქტატებსა და მხატვრულ ნაწარმოებებს; აქ უნდა დავახელოთ მისი რომანები: „დავუკაცება“, „გადავადება“, „სიკვდილი სულში“ და სხვ. საერთოდ, წინააღმდეგობაში სარტრის შემოქმედებაში მუდამ დიდად საგრძნობი იყო — მწერალი ხან ეძებდა რაღაც „მესამე ზვს“, ხან ნიმილისტურ განწყობილებებს ეძლეოდა. მის ნაწარმოებებში მძალტრად გამოიხატა მატროპობის ტრაგედია, განწირულება ადამიანისა, რომელსაც შეუგნია უაზრობა თავისი გაჩენისა და სიკვდილისა ქვეყნად. ამ მოუწყობელ, აწეწულ-დაწეწულ და მისაღმი მტრულად განწყობილ სამყაროში.

1964 წელს სარტრს მიენიჭა ნობელის პრემია, რომლის მიღებაზე მან უარი განაცხადა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სარტრის პიესა „ზხოლოდ სიშარბლე“ („ნეკრასოვი“); იგი დაიწერა 1956 წელს; ეს იყო უაღრესად მძალტრი მხილება მთელი იმ სიყრტისა და თაღლითობისა, რომელსაც მიმართავს ბურჟუაზიული პროპაგანდა საბჭოთა ქვეყნისა და მისი სამშვიდობო პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. თავის პიესაში სარტრმა გვიჩვენა, რომ ბურჟუაზიული გაჭეთის რედაქცია — ეს არის „სიყრტის ფაბრიკა“, რომელიც არაფრის წინაშე

უკან არ იხევის, ოღონდ თავის მკითხველს უკუ-
ლაფერი უყუდმა და მხოლოდ სარკვეში უჩვენოს.
ამ პიესის მთავარი გმირია თადეოსი და ავან-
ტურისტის ფორმე დე ვალერა, რომელიც სის-
ხლის სამართლის პოლიცია გაცხარებში დაე-
ქებს, მაგრამ ის იმდენად ოსტატურად მოქმე-
დებს, რომ მუდამ მარჯვედ გაუსვლიტება ხოლ-
მე ზედღაღან პოლიციის გამოცდილ მეტებრებს.
პოლიციის ინსპექტორი გობლე ლამარკობს:
„დამავალეთ ჩვეულებრივი მკვლელის დამატომ-
რება და ორ წუთში მოგვკრათ მას. ჩვეულებრი-
ვია ადამიანები ადვილად ვუგებო, ერთი-მეორეს.
მაგრამ რა უნდა ვაფუგო ასეთ არამზადან? ეს
ხომ მსოფლიო მასშტაბის ყაღაბანდია, ასორი-
დანაშაულები აქვს ჩადენილი და ერთი მარცხი
არ მოსვლია. რა უნდა მოვუხერხო მას; როცა
ჩემს წინაშე გენიოსია, მე ვინმევა. გენიოსების
დევენა ჩემი საქმე არ არის.“

და აი, როცა დევნილი ფორმე დე ვალერა
ოსტატურად დაუსხლტება პოლიციის შორივ
მხეს, ამ დროს ვაზეთ „სურა-ამარის“ რედაქ-
ციამი გამალებით დაეძებენ რაიმე სენსაციას,
რაც ხელს შეუწყობდა ომის უსპოქოის გაჩაღე-
ბას. რედაქტორს თავის კაბინეტში გამოუძახ-
ნენ თანამშრომლები და ტუპის ამრობს მათ,
თათხავ და ავირებს — უნებოები ხართ, გირი-
ანი ვერაფერი მოგაფიქრებიათ, რომ რაკი-
ღამი შეწყდა, „ცოვი ომის“ საქმე მანც წინ წავ-
წიოთო. შესაფერი მასაღა არა გვაქვსო, თავს
იმართლებენ თანამშრომლები. „ვამინცტონიდას
არაფერი ისმის? დალესმა არაფერი თქვა?“
„არა“ „სენატორებმა?“ „ხმა არ ამოუღიაო.“
„დოკუმენტები. მამ ნეტავ რას აკეთებენ?“ —
გამწარებთ წამოიძახებს რედაქტორი. ამ გავა-
მწიამი რომ არაან, მიიღებენ რეიტერისა და
ფრანს პრესის სააგენტოების ცნობას იმის
თაობაზე, თითქოს მოსკოვიდან საზღვარგარეთ
გაიქცა საპქოთა მინისტრი ნეკრასოვი. საზოთი?
საიდან ჩანს ეს? ნეკრასოვი არ ესწრებოდა
მოსკოვის დიდ თეატრში დადგმულ პრემიერას.
ცრუბენტლებს მეთი საზოთი არც სჭირდებათ;
რაკი არ ესწრებოდა ახალ საოპერო სპექტაკლს,
მასადაამე, სამშობლოდან გაიქცა და პოლიტი-
კურ თავშესაფარს იძებს. სახელდახელოდ იგო-
ნებენ სათაურს ამ სენსაციური ცნობისათვის:
„ნეკრასოვი სადღაც გაქრა“. ქვესათაური: „საბ-
ქოთა მინისტრმა არჩა თავისუფალი სამყარო“.
იქვე მკრატლია და წიბოს საშუალებით სა-
წრაფოდ აკეთებენ ყაღბ ფოტომონტაჟს: საბ-
ქოთა მარშალი წაბლა ცხენით შედის ცეცხლ-
წაიღებულ პარისის ღუთისმშობლის ტაძარში
გახარებული რედაქტორი — მამ ხომ სენსაცი-
ური მასაღა იშოვა გაზეთისათვის.

მაგრამ ამით არ თავდება ყველაფერი: რე-
დაქციის მუშაება დიდი წვალებით მოქმედაან
„მსოფლიო მასშტაბის“ ავანტიურისტის ფორმე
დე ვალერას და შეაუღლიანებენ პრესაში გა-
მოვიდეს განცხადებით, თათქოს იგი არის არა

ფორმე დე ვალერა, არამედ გამოცდილი საქო-
თა მინისტრი ნეკრასოვი. მეთქვინებოდა აწუ-
ხებით, რომ, როგორც ირკვევა, ნეკრასოვი
ნეკრასოვი თურმე იმიტომ არ ესწრებოდა პრემი-
ერას, რომ ყირიმში იყო წასული დასასვენე-
ლად.

ამრიგად, მაწინწალა ახალ როლში გამოდის,
აწუხოს პრეს-კონსტრუქციებს, სადაც აცხადებს,
თითქოს სულ მალე დაიწება მესამე მსოფლიო
ომი, თითქოს მას სულ აქვს სიბები ამ პიართა,
რომლებიც პირველ რიგში უნდა იქნან დავებრ-
ტილნი და ა. შ. პიესის მთელი დახარბოული
სიუჟეტის და მასში ახასული ამების დაწერი-
ლებით გადმოცემა საჭირო აღარ არის, მხო-
ლოდ უნდა აღინიშნოს: სარტრის პიესის დედა-
აზრი ის იყო, რომ თვით ეს მაწინწალა დე ვა-
ლერა შედარებით უფრო პატიოსანი ცაცი ჩანს,
ვიდრე სენსაციებს დახარბებული ბურჟუაზიუ-
ლი ფურნალები, „ცოვი ომის“ დაოსტატებუ-
ლი გამალებლები. აქი ფორმე დე ვალერა მი-
მარბავს კიდევ მათ: „მე თქვენ მშუღხარბთ
თქვენ ტურები და მგლები მართო“

ასეთია სარტრის ეს პიესა, რომელიც მძაფრი
დაგმობა იყო „ცოვი ომისა“, მთელი ძალით
რომ მძვირებოდა ორმოცდაათიან წლებში.

ახლა კი სარტრს რაღაც უცნაური რამ დაე-
მართა: მას დაავიწდა ყველაფერი, რასაც აღ-
რე წერდა, მას ვეღარ გაურჩევია ვინ არის
მშვიდობის მომხრე და ვინ არა. სარტრის უც-
ნაურ გარდაქმნათა შორის ერთი საკვირველება
ის არის, რომ მწერალმა და ფილოსოფოსმა
უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა — ადღო და
შეუწრბა და ჯაუფს ამ უსვედორველციონე-
რებისას, რომლებიც თავის თავს ფრანგ შოთის.
ტებად აცხადებენ.

ახლხან ამერიკულმა ფურნალმა „ესკვიარმა“
გამოაქვეს თავისი კორესპონდენტის საუბარს-
უან-პოლ სარტრთან; ამ საუბრის დროს, ევროპედ,
კლასიკური მემკვიდრეობის შეფასების საკითხ-
ში, სარტრმა ნათლად უჩვენა მკითხველს, თუ
როგორ „ღრმად დაუფლებია“ იგი შოთს იდე-
ებს.

საუბრის დასაწყისში სარტრი აცხადებს, რომ
უფროებმა იმ „მემარცხენე“ ახალგაზრდობის
განწყობილებებს, რომელიც ებრძვის „კლასი-
კურ ინტელექტუალობას“. მისი აზრით, „კლასი-
კური ინტელექტუალიზმი“ და სარტროდ,
მთელი დასავლეთის ინტელიგენცია — მწერა-
ლი, ექიმი თუ პროფესორი, თავის მოღვაწეო-
ბის სფეროში შეზღუდული და ზედღესებო-
კილია ბურჟუაზიის მიერ. სარტრი არაწორად,
ნიმილიტურად აღასებს კლასიკური კულტურის
არსს და მნიშვნელობას, და ეს იმიტომ ზღვება,
რომ ოცნებობს მთელი საზოგადოებრივი ცხოვ-
რების გარდაქმნაზე „ჩინური ნიშნის“ მიხედ-
ვით.

ფურნალ „ესკვიარის“ კორესპონდენტის კითხ-
ვა ასეთია: „წარმოიდგინეთ, რომ „კულტურულ“

ლი რევოლუციისა, რომლის მოსახდენად იბრძვიან თქვენი მეგობრები, პარტიზმი უკვე განხორციელებულია. შედეგობრივად თუ არა არ მივცათ მათთვის ნება დავწვათ ნაციონალური მიზნობრივად, ლენინად და ვინჩის „ქოკონდა“ და სხვა ასეთი შედეგები? ამაზე სარტარი უნახუნებს:

„რაც შეეხება „ქოკონდას“, მე ერთ წუთსაც არ დავფიქრებოდი, ისე დავრთავდი ნებას დავწვათ იგი, მაგრამ ამასთან, აღნაშთ, შედეგობრივად ვაღიარებინა ზოგიერთი სხვა ნაწარმოები. შედეგობრივად თუ არა ამას, ეს სხვა საქითხია. მე მგონია, უფრო ასე ვიტყვოდი: ეს ჭიჭიერობით ვადვილო, შემდეგ მოვთხოვრებო, თუ როგორ მივციქვით.

ხოლო თუ პროფესორების დავება დავწვებდნენ, ამაში მე ცუდი არაფერს ვაინახავდი, იმიტომ, რომ ამ პროფესორთა შორის ზოგიერთები — ნამდვილი ბოროტმოქმედნი არიან. მაგრამ ფაქტობრივად მე მოვიხიზვდი, რომ პროფესორები, გარკვეული დროით დავემუშავებოდა გაქცეულნი. საქებში, ისე, როგორც ინახვენ წიგნებსა და სურათებს ომის დროს, ხოლო შემდეგ, რაცა მთავარი საქმე გაკეთებული იქნებოდა, განვიხილავდით საქონის თუ როგორ უნდა ყოფილიყო მათი მოწყობა ბუდე.

მაგრამ, როცა მე ვუთხრობ „ქოკონდაზე“... აი, ეს ნამდვილად ისეთი ნაწარმოებია, რომელიც არ არის საქებრივ, აბსოლუტურად არ არის საქებრივ. ხანგრძლივი დროის მანძილზე ქოკონდას დამილი ვაცვითილი თემა იყო უხერხული მწერლებიხათვის. მაშინ ამ დამილი მანძილზე რაღაც აზრი მქონდა. ახლა ის არააობა, ცარიელი ადგილია“.

ხოლო ლიტერატურული შედეგები? როგორ მოქცევოდით მათ? რა დავმართებოდა ფლობრის „მადამ ბოვარს“? — ევითხება კორესპონდენტი სარტარს, „შეაქმედოდა ეს კომპანი შეგვენახა, — პახუნობს იგი, — შეგვენახა მასში გამოხატული ფელსაზრისხათვის „ინტერპერსონალურ კავშირებზე“. იმ კულტურაში, რომელიც დაფუძნებული იქნება მარტო სიუჟეტზე. „მადამ ბოვარს“ შეაქმედოდა ეპოქა თავისი ადგილი... ის შეაქმნა დატოვებულ იქნას. ხოლო დანტე ალიგიერი? რა დარჩებოდა დანტესხავან? ეს ძალზე ბნელი და გაუგებარი მწერალია მკითხველისათვის ჩერ ახლაც კი; ის მოვითხოვს რაღაც სიმბოლადურ საიქიოზე, რომელსაც ჩვენთვის ყოველგვარი აზრი დეკარგული აქვს“.

კორესპონდენტი სთხოვს სარტარს განმარტოს თუ რას გულისხმობს ფრანკა, რომელიც მწერალს ამას წინათ წარმოუთქვამს: „ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურის საქმე ვთავაზობოდა“. და აი, სარტარის განმარტებაც: „მოგვიწავნებოდა მკითხველის, ვისულ წელს პარტიზმი დადგეს ძალზე კარგი პიესა სახელწოდებით „ოთხმოცდა“

მეცბრე წელი“. ის ერთობლივად შექმნა რომელიცდათმა ქაბუცა და ქალიშვილი; რა რომელი შესარულა ამ პიესის შექმნისა მწერალიმ არავითარი, ახალგაზრდობამ გადაწყვიტა თვითონ დაეწერა ეს პიესა და დაწერა კიდევ სცენარისტი, მართალია, ვანოუოფილი იყო, მაგრამ მისი როლის შესრულება შეეძლო ყოველ მათგანს. მთავარი იყო მოქმედება. მათ ვაღებდეს ჩვენი რევოლუციის მთელ ისტორიას, როგორც ის წარმოდგენილია სასწავლო პროგრამაში, შედეგობრივად მოიყარეს თავი და მოიფიქრეს სცენები მომავალი პიესისხათვის. ისე, რომ ეს იყო ნამდვილი კოლექტიური სამუშაო, ავტორი მათ არ სწირდებოდა“...

ასე წარმოდგენილია სარტარს ლიტერატურის მომავალი ბუდე.

როი იხსენება ვეფხეფერი ეს? ბოლო წლების მანძილზე დახვედრის ცალკეულ ქვეყნებში შესამჩნევია გამოცხადება „მემარცხენე“ ექსტრემისტული დაჯგუფებებისა, რომლებიც პეკინელი გამოაშვებების მხარდაჭერით მოქმედებენ. ეფარებიან რა ფსევდორევოლუციური ფრანკებს, ისინი თავს ესხმიან მსოფლიო კომუნისტურ და მუსლიმან მოძრაობას, ცდილობენ სახელე გაუტყვიან რევოლუციის იდეას. ამით ისინი წყაღს ასხამენ ანტიკომუნისტებისა და რეპრესიის წესწვლილ.

თანამულ სარტარს ამ ექსტრემისტების ფენის ხმას ახუცა.

მანან შორის ახალი რომი

ფრანკმა რევიორმა ფილიპ დე ბოკმა ვადაილო ფილიპი „სახეყარულო ისტორია“, რომელშიც მთავარ როლს ასრულებს ცნობილი ფრანგი მსახიობი ქალი ენა შორი.

...არც თუ ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი, რომელიც დღისი გარდაცვალების შემდეგ ხულ მარტობელია დარჩება, გადასწყვეტს სხვა ქალაქში გადასახლდეს. ახალ ადგილზე იგი გაცნობა ახალგაზრდა კაცს, რომელიც სამუშაოს ეძებს. ეს ახალგაზრდა კაცი გულმზრვილო პროცენება, ვაუნათლებელია, ღარიბ ოჯახში გაზრდილი. მასწავლებელი ქალი არა თუ შეიფარებამ ამ კაცს, დანებებამ და სამუშაოზე მოაწერებს, ხოლო შემდეგ წერაკითხვასაც ასწავლის, ბოლომდე კი მისი საუყარელიც ვაბდება. ერთ დღეს ახალგაზრდა კაცი მიატოვებს საუყარელ არსებას, მიუხედავად ამისა, ქალი ახერხებს ასეთი არაადამიანური მოხერხებით გამოწვეულ გულმზრვილის ვაუჭლოს და არა თუ ვაუჭლოს, იგი ბოლომდე არ კარგავს ადამიანებისადმი რწმენას.

საფრანგეთის პრესა მალალ შეფასებას აქდებს ენა შორის თამას.

ბ ღ რ

„პაპასნიური ცარცის წრე“

სულ უფრო და უფრო იზრდება ინტერესი დიდი გერმანელი მწერლის ბერტოლდ ბრეტხო-სადმი. მისი მრავალმხრივი ლიტერატურული შემოქმედებობა კვლევის დიდ და დაუცხრომელ ინტერესს იწვევს. ცხადია, ბ. ბრეტხოის დრამატურგია, ამ მრავალფეროვან შემოქმედებობაში უოველთვის წინა პლანზეა წამოწეული; თუცა ბრეტხო-დრამატურგი, ბრეტხო-თეორეტიკოსი და ბრეტხო-ნოვატორი ერთ სიბრტყეზე ძვეს და მათი დაცობა არაფრით არ შეიძლება.

ბ. ბრეტხოის დრამატურგიულ შემოქმედებობაში გარკვეული ადგილი უჭირავს პიესას „კაე-კასიური ცარცის წრე“, და აი, ახლახან გდრ-ის ტელევიზიამ დადგა ეს პიესა; რეჟისორია ლო-თარ ბულაგი. მუსიკა პაულ დესანსი. გდრ-ის პრესა აღნიშნავს, რომ ტელესტუდიის ეს დადგმა დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს, რადგან პიესა ბრეტხომა თეატრისათვის დაწერაო და საერთოდ, მისი დრამატურგიული ნაწარ-მოებების ფილმად გადაღება ძალიან რთული და პრობლემატურიო... შეიძლება ამითაცაა განპირობებული, რომ რეჟისორმა და მხატვარ-მა (მანფრედ გრუდი) ნაწარმოებს მთლიანად თეატრალური პიესის სახე შეუნარჩუნოს.

პიესის ბრეტხოისეულ ინტერპრეტაციას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მთავარ როლს ასრულებდა ქართველებისათვის უკვე კარგად ცნობილი ექვარდ შალი, რომელმაც იმ ხანებ-

ში გდრ-ის პრესაში გამოაქვეყნა სპეციალური წერილი: „მე ვსწავლობდი ბრეტხოთან“.

„კაეკასიურ ცარცის წრეს“ ერთხელ კიდევ ხვედა წარმატება მრავალი წლის შემდეგ. ფაქტიურად, ბრეტხოის სიკვდილის შემდეგ, გდრ-ში ბრეტხოისეული ინტერპრეტაციის გარდა, იგი პირველად იქნა წარმოდგენილი.

გოეთეს რუმანის პარანეზისი

ბერლინში დაიწეეს გოეთეს რომანის „მონა-თესავე ხახიათების“ გასცენოურებული ვარიან-ტის გადაღება. ბოლო წლების მანძილზე ეს პირველი ცდაა ეკრანზე ვიზილით დიდი გერმა-ნული მწერლის გმირები. აღსანიშნავია, რომ შარლოტას როლის შემსრულებლად პოლონე-თიდან მოიწვიეს ბეატა ტიშევიჩი.

ბ ვ ს ტ რ ი ბ

ბ. პაუპტმანის „ფიქრების“ პრემიერა

ვენის თეატრმა ახლახან მორიგ პრემიერად წარმოადგინა გერჰარტ პაუპტმანის პიესა „ფე-იქრები“. როგორც ცნობილია, პაუპტმანის ეს პიესა მიეძღვნა სიღვწიელი ფეიქრების 1844 წლის აჯანყებას, უფრო სწორად, პიესის თემად გამოყენებული იყო ვადმოცემები ამ აჯანყების შესახებ, რომლებიც პაუპტმანს ბაბუამ უამბო. „ფეიქრების“ პირველი ვარიანტი გ. პაუპტმან-მა სიღვწიურ დიალექტზე დაწერა.

ვენის თეატრის ახალ დადგმაში რეცენზენ-ტების გაოცებას იწვევს ის, რომ დამდგმელმა რეჟისორმა, ბრეტხოის მოწაფემ პერალდ ბენე-მა სპექტაკლი სწორედ სიღვწიურ დიალექტზე წარმოადგინა.

8560 80 553.

8/13/87



საქართველოს
საქართველოს
ИНДЕКС
76128

„МНАТОбИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ